

ადამიტოსტრატიული

პროცესი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე:
http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ საქმეებზე
2015, №12

Decisions of the Supreme Court of Georgia
on **Administrative Cases**
(in Georgian)
2015, №12

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Verwaltungssachen
(in der georgischen Sprache)
2015, №12

Решения Верховного Суда Грузии
по административным делам
(на грузинском языке)
2015, №12

გადაწყვეტილებების შერჩევასა
და დამუშავებაზე პასუხისმგებელი ლიანა ლომიძე

ტექნიკური რედაქტორი მარია მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი: 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების
ქ. №32, ტელ: 298-21-03; www.supremecourt.ge

შურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

1. მესამე პირების ჩატანა პროცესში

სავალდებულო მოწვევის მესამე პირის ჩატანა

განხილვა

№ბს-1147-1115 (უს-10)

11 ოქტომბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ე. კ-ოვისა და გ. ყ-ელის
(ო. კ-ოვის უფლებამონაცვლების) საჩივარი თბილისის სააპე-
ლაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010
წლის 20 ივლისის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2001 წლის 14 აგვისტოს ო. კ-ოვმა სასარჩელო განცხადებით
მიმართა დიდუბე-ჩულურეთის რაიონულ სასამართლოს, მოპა-
სუხის – დიდუბე-ჩულურეთის რაიონის გამგეობისა და მესამე
პირის – ვ. კ-ძის მიმართ.

მოსარჩელემ ჩულურეთის რაიონის გამგეობის 1993 წლის 7
ივლისის №11.149.11 გადაწყვეტილებისა და დიდუბე-ჩულურე-
თის რაიონის გამგეობის 2001 წლის 29 ივნისის №7/2-119 დად-
გენილების ბათილად ცნობა და ქ. თბილისის ოქტომბრის რაიო-
ნის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის
1988 წლის 20 ივლისის №17.404.25 გადაწყვეტილების კანონიე-
რად ცნობა მოითხოვა.

დიდუბე-ჩულურეთის რაიონული სასამართლოს 2001 წლის
9 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ო. კ-ოვის სასარჩელო მოთ-
ხოვნა არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

დიდუბე-ჩულურეთის რაიონული სასამართლოს 2001 წლის
9 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩინორა
ო. კ-ოვმა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გა-
უქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილე-
ბა მოითხოვა.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამარ-
თლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2003
წლის 4 ივნისის გადაწყვეტილებით ო. კ-ოვის სააპელაციო საჩი-

ვარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ო. კ-ოვის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი ჩუღურეთის რაიონის გამგეობის 1993 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება და დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობის 2001 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილება საკასაციო წესითგაასაჩიტრა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობამ. კასატორმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2004 წლის 23 აპრილის განჩინებით დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 25 ივნისის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მოცემულ საქმეში მესამე პირად ჩაება გ. კ-შვილი.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილებით ო. კ-ოვის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილება და სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ო. კ-ოვის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მერიის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობის 2001 წლის 29 ივნისის №7/2-119 დადგენილება და მოპასუხეს – დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობას, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 2 თვის ვადაში, საქმის გარემოება-

თა ყოველმხრივი გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, ს. ნ-ოვის სახლთმფლობელობის აღდგენის შესახებ ახალი ინდივი-დუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაეფალა; სასარჩელო მოთხოვნა ჩუღურეთის რაიონის გამგეო-ბის 1993 წლის 7 ივლისის №11.149.11 გადაწყვეტილების ბათი-ლად ცნობისა და ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1988 წლის 20 ივლისის №17.404.25 გადაწყვეტილების კანონიერად ცნო-ბის ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამარ-თლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 15 პრილის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივ-რა ო. კ-ოვმა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გა-უქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკ-მაყოფილება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 2 ნოემბრის განჩინებით ო. კ-ოვის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნა-ნილობრივ; გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმი-ნისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპე-ლაციო პალატის 2005 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილება თბი-ლისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობის 2001 წლის 29 ივნისის №7/2-119 დადგენილების ბათილად ცნობისა და დიდუ-ბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობისთვის ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალე-ბის ნაწილში და საქმე აღნიშნულ ნაწილში ხელახლა განსახილ-ველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს; დანარჩენ ნაწილში გა-საჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 23 სექტემბრის საოქმო განჩინე-ბით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, ო. კ-ოვის გარდაცვალების გა-მო, უფლებამონაცვლის დადგენამდე შეჩერდა მოცემული საქ-მის ნარმოება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 19 ივლისის განჩინებით განახლდა მოცემული საქმის ნარმოება; ო. კ-ოვის უფლებამონაცვლებად ცნობილ იქნენ მისი შვილები - ე. კ-ოვი და გ. ყ-ელი.

2010 წლის 19 ივლისს ე. კ-ოვმა და გ. ყ-ელმა (ო. კ-ოვის უფ-ლებამონაცვლებმა) განცხადებით მიმართეს თბილისის სააპე-ლაციო სასამართლოს. განმცხადებლებმა სარჩელის უზრუნ-

ველყოფის მიზნით, ქ. თბილისში, ... ქ. №3/ ... ქ. №54-ში მდებარე, ს. ნ-იანის სახელზე რიცხული ქონების შემდგომი რეგისტრაციის აკრძალვა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქმეში ს. ნ-იანის მესამე პირად ჩაბმა მოითხოვეს.

განმცხადებლებმა აღნიშნეს, რომ სადაც აქტით აღდგენილ სახლთმფლობელობაზე, 2010 წლის 28 მაისიდან საჯარო რეგისტრში მესაკუთრის უფლებით აღრიცხული იყო ს. ნ-იანი, როგორც კანონისმიერი მემკვიდრე. განმცხადებლების განმარტებით, ვინაიდან, ს. ნ-იანმა მიიღო სამართლებრივი სიკეთე – სადაც აქტით აღდგენილი ქონების 2/5 წილი, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, იგი მოცემულ საქმეში მესამე პირად უნდა ჩაბმულიყო და სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, მას სადაც ადმინისტრაციული აქტით მიღებული ქონების შემდგომი რეგისტრაცია უნდა აკრძალოდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 20 ივნისის განჩინებით ე. კ-ოვისა და გ. ყ-ელის (ო. კ-ოვის უფლებამონაცვლების) განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ქ. თბილისში, ... ქ. №3/ ... ქ. №54-ში მდებარე, ს. ნ-იანის სახელზე რიცხული ქონების შემდგომი რეგისტრაციის აკრძალვის შესახებ არ დაკმაყოფილდა, ხოლო ს. ნ-იანის საგადღებულო მესამე პირად საქმეში ჩაბმაზე სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველ ნაწილზე, 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტზე და განმარტა, რომ აღნიშნული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება მხოლოდ მოპასუხის მიმართ იყო მიმართული და სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში დაუბრკოლებელი აღსრულების მიზანს ემსახურებოდა. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში მოპასუხეს – დიდუბე-ჩულურეთის რაიონის გამგება ნარმოადგენდა, შესაბამისად, სასამართლოსათვის გაურკვეველი იყო თუ რა სახის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას ითხოვდნენ განმცხადებლები დაუკვირდა აკრძალვოდა სადაც ქონების შემდგომი რეგისტრაცია.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 381-ე მუხლის თანახმად, დავის საგნის გაზრდა სააპელაციო სასამართლოში დაუშვებელი იყო, შესაბამისად, სარჩელის აღმდეგად სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას განმცხადებლები დაუკვირდა აკრძალვოდა სადაც ქონების შემდგომი რეგისტრაცია.

ციის სასამართლოში იყო შესაძლებელი.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ წარდგენილი განცხადება არ აკმაყოფილებდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე და 192-ე მუხლის მოთხოვნებს, კერძოდ, მასში არ იყო მითითებული ის გარემოებები, რომელთა გამო სარჩელის უზრუნველყოფის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ან დაბრკოლდებოდა მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 20 ივლისის განჩინებაზე იმავე სასამართლოში საჩივარი წარადგინეს ე. კ-ოვმა და გ. ყ-ელმა. საჩივრის ავტორებმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით განცხადების დაკმაყოფილება მოითხოვეს.

საჩივრის ავტორების განმარტებით, ს. ნ-იანის მიერ სადავო ქონების სხვა პირზე გასხვისების შემთხვევაში, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება შეუძლებელი გახდებოდა. შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, ს. ნ-იანისათვის სადავო ქონების შემდგომი რეგისტრაციის აკრძალვა აუცილებლობას წარმოადგენდა. საჩივრის ავტორებმა ასევე აღნიშნეს, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინებაში არაფერი იყო ნათქვამი ს. ნ-იანის სავალდებულო მესამე პირად საქმეში ჩაბმაზე, მაშინ როდესაც, მათ განცხადებაში აღნიშნული მოთხოვნაც იყო დაყენებული.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 13 აგვისტოს განჩინებით ე. კ-ოვი-სა და გ. ყ-ელის საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 20 ივლისის განჩინებაზე მიჩნეულ იქნა დაუსაბუთებლად და საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლზე და განმარტა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების მიზანს იმ საფრთხის თავიდან აცილება წარმოადგენდა, რომელიც უზრუნველყოფის ლონისძიების გამოუყენებლობის შედეგად საქმეზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლობის ან გაძნელების თვალსაზრისით შეიძლება შექმნილიყო.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ე. კ-ოვისა და გ. ყ-ელის განცხადება არ აკმაყოფილებდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე და 192-ე მუხლის მოთხოვ-

ნებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ე. კ-ოვისა და გ. ყ-ელის საჩივარი იყო დაუსაბუთებელი და არ არსებობდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 20 ივლისის განჩინების გაუქმების საფუძველი, რის გამოც საჩივარი, საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადაეგზავნა ზემდგომ სასამართლოს – საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და წარმოდგენილი საჩივრის დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ე. კ-ოვისა და გ. ყ-ელის (ო. კ-ოვის უფლებამონაცვლების) საჩივარი სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ქ. თბილისში, ... ქ. №3/... ქ. №54-ში მდებარე, ს. ნ-იანის სახელზე რიცხული ქონების შემდგომი რეგისტრაციის აკრძალვის ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ს. ნ-იანის სავალდებულო მესამე პირად საქმეში ჩაბმაზე უარის თქმის ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნევს, რომ საჩივრის ავტორებმა ქ. თბილისში, ... ქ. №3/... ქ. №54-ში მდებარე, ს. ნ-იანის სახელზე რიცხული ქონების შემდგომი რეგისტრაციის აკრძალვა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქმეში ს. ნ-იანის სავალდებულო მესამე პირად ჩაბმა მოითხოვეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილზე და განმარტავს, რომ თუ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართლწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა თავად არეგულირებს სარჩელის უზრუნველყოფის საკითხს და ითვალისწინებს სარჩელის უზრუნველყოფის ისეთ ორ ღონისძიებას, როგორიც არის გასაჩივრებული ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლი) და დროებითი განჩინების მიღება (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლი).

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საჩივრის ავტორების მოთხოვნა, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინებით, ს. ნ-იანის სახელზე რიცხული ქონების შემდგომი რეგისტრაციის აკრძალვის თაობაზე, თავისი შინაარსით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლით განსაზღვრულ უზრუნველყოფის ღონისძიებას მიეკუთვნება, ვინაიდან, აღნიშნული განჩინების, როგორც უფლებრივი დაცვის დროებითი საშუალების მიზანი – დავის საგანზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე არსებული მდგომარეობის შენარჩუნებაა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლი (დროებითი განჩინება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ქმედების განხორციელების შესახებ) ითვალისწინებს მხარის უფლებას სარჩელის აღძვრამდე, ან დავის საგანზე ადმინისტრაციული სამართლწარმოების პროცესში გადაწყვეტილების მიღებამდე მიმართოს სასამართლოს მოთხოვნით, რათა დავის საგანთან დაკავშირებით სასამართლომ მიიღოს დროებითი განჩინება, როდესაც არსებობს საშიშროება, რომ არსებული მდგომარეობის შეცვლით ხელი შეეშლება განმცხადებლის უფლების რეალიზაციას ან აღნიშნული მნიშვნელოვნად გართულდება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ როგორც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით, ისე სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრული უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება დასაშვებია, მხოლოდ დავის საგანთან დაკავშირებით და მხოლოდ არსებული მდგომარეობის შენარჩუნების მიზნით.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნევს, რომ აღნიშნული საქმის დავის საგანს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობის 2001 წლის 29 ივნისის №7/2-119 დადგენილების ბათილად ცნობა წარმოადგენს, ხოლო 2010 წლის 28 მაისს საჯარო რეესტრში სადავო ქონების ს. ნ-იანის სახელზე, საკუთრების უფლებით რეგისტრაციის ფაქტი, საჩივრის ავტორებს სადავოდ არ გაუხდიათ.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლით გათვალისწინებული დროებითი განჩინება, როგორც უფლების დროებითი დაცვის საშუალება, გამოიყენება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ქმედების განხორციელების შესახებ. საკასაციო სასამართლო განმარ-

ტავს, რომ დაუშვებელია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლით განსაზღვრული უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალების გამოყენება, იმ შემთხვევაში, თუ პირს შეუძლია აღძრას სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლით განსაზღვრული შეცილებითი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება გათვალისწინებულია ამავე კოდექსის 29-ე მუხლით, რომელიც გასაჩივრებული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერებას უკავშირდება.

საკასაციო სასამართლო ასევე ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საჩივრის ავტორთა მოთხოვნა მიმართულია იმ პირის მიმართ, რომელიც მოცემულ საქმეში არც მხარეს და ამ ეტაპზე არც სავალდებულო მესამე პირს არ წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საჩივრის ავტორებმა, როგორც სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებაში, ისე საჩივარში სარჩელის უზრუნველყოფასთან ერთად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქმეში ს. ნ-იანის მესამე პირად ჩაბმა მოითხოვეს. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ე. კ-ოვისა და გ. ყ-ელის საჩივარი ს. ნ-იანის სავალდებულო მესამე პირად საქმეში ჩაბმაზე უარის თქმის ნაწილში, თავისი შინაარსით კერძო საჩივარს წარმოადგენს, რადგან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მესამე პირად ჩაბმაზე უარის თქმის შესახებ განჩინებაზე დაიმუშავება კერძო საჩივრის შეტანა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 20 ივლისის განჩინებით კი მხარეს არ განემარტა მესამე პირის ჩაბმაზე უარის თქმის შესახებ განჩინების გასაჩივრების წესი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია მხარის მიერ დაყენებულ შუამდგომლობაზე, ს. ნ-იანის სავალდებულო მესამე პირად საქმეში ჩაბმის თაობაზე, რაც ამ ნაწილში განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საჩივრის ავტორთა მოთხოვნა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტით განსაზღვრული სარჩელის უზრუნველყოფის ღო-

ნისძიების გამოყენების ნაწილში უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ს. ნ-იანის სავალდებულო მესამე პირად საქმეში ჩაბმაზე უარის თქმის ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და ამ ნაწილში განცხადება ხელახლა განსახილვებად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ე. კ-ოვისა და გ. ყ-ელის (ო. კ-ოვის უფლებამონაცვლეების) საჩივარი სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ქ. თბილის-ში, ...ქ. №3/...ქ. №54-ში მდებარე, ს. ნ-იანის სახელზე რიცხული ქონების შემდგომი რეგისტრაციის აკრძალვის ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;

2. ე. კ-ოვისა და გ. ყ-ელის (ო. კ-ოვის უფლებამონაცვლეების) საჩივარი (კერძო საჩივარი) ს. ნ-იანის სავალდებულო მესამე პირად საქმეში ჩაბმაზე უარის თქმის ნაწილში დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 20 ივლისის და 2010 წლის 13 აგვისტოს განჩინებები ს. ნ-იანის სავალდებულო მესამე პირად საქმეში ჩაბმაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში განცხადება ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

4. დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 20 ივლისის და 2010 წლის 13 აგვისტოს განჩინებები;

5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სავალდებულო მონიტორინგის მესამე პირის ჩაპხა

განხილვა

№პს-1595-1554(კს-10)

8 თებერვალი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: მესამე პირად ჩაბმაზე უარის თქმის კანონი-
ერება

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 7 მაისს ნ. ჭ-შვილმა სარჩელი აღძრა თბილისის
საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია-
ში საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარე-
გისტრაციო სამსახურის მიმართ და მოითხოვა შპს „...“ სარეგის-
ტრაციო ჩანაწერის ბათილად ცნობა და მატერიალური ზიანის
ანაზღაურება შემდეგი საფუძვლით:

მოსარჩელის მითითებით, 1998 წლის 7 ოქტომბრის №... სა-
რეგისტრაციო განცხადების საფუძველზე 1998 წლის 7 ოქტომ-
ბერს განხორციელდა შპს „...“ საკუთრების უფლების პირველა-
დი რეგისტრაცია ქ. თბილისში, ქეთევან. №1-ში მდებარე სა-
ერთო საკუთრების 1206 კვ.მ მინის ნაკვეთზე განთავსებულ შე-
ნობის ნაწილზე. საქართველოს ქონების მართვის სამინისტროს
მიერ გაიცა №... საკუთრების მოწმობა, რომლითაც საზოგადოე-
ბას გადაეცა 364 კვ.მ შენობა. ნასყიდობის ხელშეკრულების სა-
ფუძველზე 166,8 კვ.მ შენობა გადაეცა სს „ს-ს“. შესაბამისად,
საზოგადოების საკუთრებაში უნდა დარჩენილიყო 197,2 კვ.მ.
1998 წლის 7 ოქტომბერს განხორციელებული რეგისტრაციის შე-
დეგად საზოგადოების საკუთრებაში არსებული 197,2 კვ.მ შე-
ნობა ყოველგვარი საფუძვლის გარეშე დარეგისტრირდა ორ ნა-
ზილად – 123/2648 და 74,2/2648, რომელიც აღდგენას არ ექვემ-
დებარებოდა. თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის განმარ-
ტებით, ამ სახით ჩანაწერი განხორციელდა 1998 წლის 13 იან-
ვრის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე.

თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2003
წლის 22 დეკემბრის განჩინებით განხორციელდა შპს „...“ შენო-
ბის ნატურით გაყოფა, რის შედეგადაც მოსარჩელესა და საზო-

გადოების სამ დამფუძნებელს გამოეყოთ საერთო ფართის 25%, მაგრამ მინის მართვის დეპარტამენტმა უარი განაცხადა ალ-ნიშული განჩინების საფუძველზე სარეგისტრაციო ჩანაწერში ცვლილების შეტანაზე საზოგადოების საკუთრებაში არსებული 197,2 კვ.მ შენობის ორ ნაწილად რეგისტრაციის გამო.

მოსარჩელის განმარტებით, საზოგადოების საკუთრებაში იმ მომენტისათვის რეალურად არსებობდა 123 კვ.მ შენობა, ხოლო 74,2 კვ.მ შენობა იყო უკანონოდ დანგრეული და აღარ არსებობდა. შესაბამისად, ნ. ჭ-შვილი ითხოვდა სარეგისტრაციო ჩანაწერში ცვლილების განხორციელებას და ნატურით გაყიდვის რეგისტრაციას რეალურად არსებული 123 კვ.მ ფართიდან. მოსარჩელის მოსაზრებით, შენობის ორ ნაწილად დარეგისტრირება მოხდა უკანონოდ, იურიდიული საფუძვლის გარეშე.

2005 წლის 19 სექტემბერს ნ. ჭ-შვილმა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, რომლის 2006 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილებით თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს დაევალა ცვლილების განხორციელება შპს „...“ სარეგისტრაციო ჩანაწერში ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 22 დეკემბრის განჩინების შესაბამისად. 2006 წლის 18 მაისს ნ. ჭ-შვილმა საჩივრით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს სარეგისტრაციო ჩანაწერის გაუქმების მოთხოვნით, რადგან იგი ზიანს აყენებდა მის კანონიერ ინტერესს. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2006 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებით გაუქმდა მხოლოდ ჩანაწერი „აღდგენას არ ექვემდებარება“. 2006 წლის 10 ოქტომბერს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურმა ცვლილება შეიტანა სარეგისტრაციო ჩანაწერში და ნატურით გამოყო 123 კვ.მ ფართის 25%, რაც შეადგენს 30,75 კვ.მ-ს. მოსარჩელის მოსაზრებით, ვინაიდან რეესტრის სამსახურმა არ დააკმაყოფილა მისი მოთხოვნა და ძალაში დატოვა შენობის ორ ნაწილად რეგისტრაცია, აღნიშულით ზიანი მიადგა მოსარჩელის კანონიერ ინტერესს, რამდენადაც მსა არ ეძლევა საშუალება ისარგებლოს მისი კუთვნილი ქონებით, რომელიც ეკუთვნის საზოგადოების შენობის 74,2 კვ.მ-დან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 26 ივნისის საოქმო განჩინებით საქმეში მესამე პირად ჩაეტა შპს „...“.

მოსარჩელემ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და მოითხოვა მისთვის მიყენებული ზიანის სახით – 64900 ლარის ანაზღაურება და 1998 წლის 7 ოქტომბრის განაცხადის საფუძველზე შპს „...“ სახელზე განხორციელებული რეგისტრაციის ბათილად ცნო-

ბა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიის 2009 წლის 20 ივლისის განჩინებით ნ. ჭ-შვილის
სარჩელზე ქ. თბილისში, ... №1-ში მდებარე უძრავ ქონებაზე 1998
წლის 7 ოქტომბრის განაცხადის საფუძველზე განხორციელე-
ბული შპს „...“ საკუთრების უფლების რეგისტრაციის ბათილად
ცნობის ნაწილში შეწყდა საქმის წარმოება მოთხოვნის დაუმ-
ვებლობის გამო.

2009 წლის 30 ივლისს ნ. ჭ-შვილმა დაზუსტებული სარჩელით
მიმართა საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა თბილისის სა-
რეგისტრაციო სამსახურის დავალდებულება იმ მდგომარეობის
აღდგენის შესახებ, რომელიც იარსებებდა ზიანის ანაზღაურე-
ბის მავალდებულებელი გარემოების დადგომამდე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება საქმის წარ-
მოების შეწყვეტის შესახებ კერძო საჩივრით გაასაჩივრა ნ. ჭ-
შვილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატის 2009 წლის 12 ოქტომბრის განჩინებით ნ. ჭ-
შვილის კერძო საჩივარი დარჩა განუხილველად დაუშვებლო-
ბის გამო.

2009 წლის 16 სექტემბერს ნ. ჭ-შვილმა დაზუსტებული სარ-
ჩელი წარადგინა საქალაქო სასამართლოში და მოითხოვა 1998
წლის 7 ოქტომბერს განხორციელებული რეგისტრაციის არარად
აღიარება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიის 2009 წლის 24 ნოემბრის განჩინებით საქმეში
მესამე პირებად ჩაეცნენ დ. ჩ-უა, ლ. ს-შვილი და მ. ბ-ძე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 16 აპრილის
გადაწყვეტილებით ნ. ჭ-შვილის სარჩელი დაქმაყოფილდა ნაწი-
ლობრივ, არარად იქნა აღიარებული 1998 წლის 7 ოქტომბრის
რეგისტრაცია უძრავ ნივთზე საკადასტრო კოდით ... იმ ნაწილ-
ში, რომლითაც შენობა-ნაგებობის 72,2/2648 წილი დარეგის-
ტრირდა შპს „...“ საკუთრებად ჩანაწერით „აღდგენას არ ექვემ-
დებარება“, ხოლო დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაქმაყოფილ-
და.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წე-
სით გაასაჩივრა ნ. ჭ-შვილმა და მოითხოვა თბილისის საქალაქო
სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის
16 აპრილის გადაწყვეტილების გაუქმება ნაწილობრივ, მატე-
რიალური ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში, ასევე
იმ ნაწილში, რომლითაც არარად იქნა აღიარებული რეგისტრა-

ცია ჩანაწერით „ალდგენას არ ექვემდებარება“, ამგვარი მოთხოვნის არ არსებობის გამო და სასამარჩელო მოთხოვნის დაკამაყოფილება მატერიალური ზიანის სახით – 64900 ლარის ანაზღაურებისა და საჯარო რეგისტრის მიერ 1998 წლის 7 ოქტომბერს განხორციელებული რეგისტრაციის არარად აღიარება.

სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე აპელანტმა ალძრა შუამდგომლობა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის შესაბამისად, საქმეში მესამე პირად შპს „...“ -ის ჩართვის შესახებ იმ მოტივით, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება შეეხება მის ინტერესებს, რამდენადაც სასამარჩელო მოთხოვნის დაკამაყოფილებამ შესაძლებელია გამოიწვიოს შპს „...“ -ის საკუთრებაში არსებული 166,8 კვ.მ ფართის რეგისტრაციის გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 13 ოქტომბრის საოქმო განჩინებით აპელანტის შუამდგომლობა საქმეში მესამე პირად შპს „...“ -ის ჩაბმის შესახებ არ დაკამაყოფილდა იმ მოტივით, რომ 166,8 კვ.მ ფართის რეგისტრაციის კანონიერება არ წარმოადგენს დავის საგანს, შესაბამისად, შპს „...“ არ წარმოადგენს სავალდებულო მოწვევის მესამე პირს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ნ. ჭ-შვილმა და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 13 ოქტომბრის განჩინების გაუქმება და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის საფუძველზე საქმეში მესამე პირად შპს „...“ -ის ჩართვა შემდეგი მოტივით:

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, მისი მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენს ძველი თბილისის რაიონული პროგურატურის 2009 წლის 2 მარტის დადგენილება, რომლითაც დადგინდა, რომ 1998 წლის 7 ოქტომბერს ქ. თბილისის მიწის მართვის დეპარტამენტის დაქვემდებარებაში არსებული საჯარო რეგისტრის თანამშრომლების მიერ განხორციელდა შპს „...“ კუთვნილი ფართის ორ ნაწილად დარეგისტრირება სათანადო საფუძვლის გარეშე, რაც მიუთითებს აღნიშნული სამსახურის თანამშრომლების მხრიდან სსკ-ის 342-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის ფაქტზე. საზოგადოების საკუთრებაში არსებული 364 კვ.მ-დან 166,8 კვ.მ დარეგისტრირდა სს „...“ და დღეის მდგომარეობით იმყოფება შპს „...“ -ის საკუთრებაში. დარჩენილი 197,2 კვ.მ საზოგადოებას დაურეგისტრირდა ორ ნაწილად – 123 და 74,2, რომელიც აღდგენას არ ექვემდებარება. ფართის ორ ნაწილად რეგისტრაციის უკანონობა მითითებულია

პროკურატურის დადგენილებაში.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, 166,8 კვ.მ ფართის შპს „... -ის სახელზე რეგისტრაცია განხორციელდა შპს „...“ ფართის რეგისტრაციის საფუძველზე.

კერძო საჩივრის ავტორმა არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს დასკენა შუამდგომლობის დაკავშირებაზე უარის თქმის შესახებ და მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს ნარმოადგენს შპს „...“ კუთვნილი ფართის ორ ნაწილად კანონის დარღვევით რეგისტრაცია, რაც გამომდინარეობს იქედან, რომ 166,8 კვ.მ ფართის რეგისტრაცია სამართლებრივ კავშირშია შპს „...“ შენობის პირველად რეგისტრაციასთან. შესაბამისად, შპს „...“ საქმეში უნდა ჩაებას ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის შესაბამისად მესამე პირად, რათა შემდგომში არ მოხდეს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ მოთხოვნის დაყენება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, ნარმოდგენილი კერძო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმებას შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ნ. ჭ-შვილის კერძო საჩივარი უნდა დაკავშირებულ საქმეთა პალატის 2010 წლის 13 ოქტომბრის განჩინება საქმეში მესამე პირად შპს „...“-ის ჩაბმაზე უარის თქმის შესახებ, შესაბამისად, ამ ნაწილში საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი განჩინება, შუამდგომლობა დაკავშირებულ და საქმეში მესამე პირად იქნეს ჩართული შპს „...“ შემდევ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ ფაქტობრივი გარემოების გამოკვლევა-შეფასების შედეგად, არასწორად არ დაკავშირებულ აპელანტის – ნ. ჭ-შვილის შუამდგომლობა მესამე პირად შპს „...“-ის ჩართვის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლი მესამე პირებად საქმეში ჩაბმის აუცილებლობას ადგენს იმ პირების მიმართ, რომლებიც არიან სადაც სამართალურთიერთობის მონაწილეები, რომელთან მიმართებაშიც მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანა შესაძლებელი, ანუ ასეთი პირები იმგვარად არიან დაკავშირებული სადაც სამართალურთიერთობასთან, რომ სასამართლოს მიერ დავის გადაწყვეტის შედეგად

მიღებული გადაწყვეტილება გავლენას მოახდენს ამ ურთიერთობასთან დაკავშირებულ კანონით დაცულ მათ უფლებებსა და ინტერესზე. კონკრეტულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ არასწორად არ მიიჩნია შპს „...“ იმ პირად, რომლის უფლებებსა თუ კანონით დაცულ ინტერესთან მიმართებაში რაიმე სამართლებრივ შედეგს გამოიწვევს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რადგან, საქმის მასალების მიხედვით, დავის საგანს წარმოადგენს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60.1 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, 1998 წლის 7 ოქტომბერს განხორციელებული შპს „...“ შენობის რეგისტრაციის არარად აღიარება და მატერიალური ზიანის ანაზღაურება, კერძოდ, დავის საგანს წარმოადგენს შპს „...“ სახელზე განხორციელებული რეგისტრაციის შედეგად ფართის 123/2648 და 74,2/2648 ნაწილებად გაყიდვის კანონიერება. საქმის მასალებით ასევე დასტურდება, რომ რეესტრის ჩანაწერის განხორციელებას საფუძვლად დაედო 1998 წლის 13 იანვარს შპს „...“ და სს „...“ შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც შპს „...“ მიერ დაკავებული საერთო ფართიდან 166,8 კვ.მ გადაეცა საკუთრებაში სს „...“, დლეის მდგომარეობით კი ფართის მესაკუთრეა შპს „...“. შესაბამისად, შპს „...“ კუთვნილი ფართის ნაწილის გასხვისების შედეგად განხორციელდა საზოგადოების კუთვნილი ფართის პირველადი რეგისტრაცია, რომლის ამ სახით განხორციელების კანონიერებაც გახდა სადაც 6. ჭ-შვილმა.

ამდენად, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას შუამდგომლობის უსაფუძვლობასთან დაკავშირებით და ეთანხმება კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ შპს „...“ წარმოადგენს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლით გათვალისწინებულ პირს და ექვემდებარება საქმეში სავალდებულო წესით ჩართვას. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მიერ შუამდგომლობის დაკამაყილებაზე უარის თქმის მოტივად მითითებას იმ გარემოებაზე, რომ 166,8 კვ.მ ფართის რეგისტრაცია არ წარმოადგენს დავის საგანს. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ აღნიშნული არ წარმოადგენს შპს „...“ -ის მესამე პირად ჩართვაზე უარის თქმის საფუძველს, რამდენადაც ასეთ პირობებში შპს „...“ განხილებოდა არა სავალდებულო მესამე პირად, არამედ მოპასუხედ. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლი ადგენს იმ პირთა მესამე პირად ჩართვის სავალდებულობას, რომელიც დაკავშირებულია იმ სამართალურთიერთობასთან, რომ-

ლის თაობაზეც სასამართლოს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს მის კანონიერ ინტერესზე. კონკრეტულ შემთხვევაში შპს „...“ ნარმოადგენს იმ ხელშეკრულების კონტრაპენტს, რომელიც ფაქტობრივად გახდა სადაც რეგისტრაციის განხორციელების საფუძველი. შესაბამისად, მისი კანონიერების შემონების შედეგად მიღებული გადაწყვეტილება შესაძლოა შეეხოს შპს „...“-ის კანონიერ ინტერესს.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ არასწორად ეთქვა უარი ნ. ჭ-შვილს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე საქმეში მესამე პირად შპს „...“-ს ჩართვის თაობაზე. კერძო საჩივრის მოტივები საფუძვლიანია, შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას გასაჩივრებული განჩინების კანონშეუსაბამობის შესახებ, რის გამოც სახეზეა საპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, 16.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 411-ე, 420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. 6. ჭ-შვილის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 13 ოქტომბრის განჩინება საქმეში მესამე პირად შპს „...“-ის ჩაბმაზე უარის თქმის შესახებ, შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებული იქნეს ახალი განჩინება;
3. 6. ჭ-შვილის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს და საქმეში მესამე პირად იქნეს ჩაბმული შპს „...“;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სავალდებულო მონიტორინგის მესამე პირის ჩატვა

განხილვა

№ბს-1414-1396(2კ-კს-11) 19 დეკემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: მესამე პირის ჩაბმის თაობაზე შუამდგომლობის დაკმაყოფილება

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „ო-მ“ 2010 წლის 29 ოქტომბერს სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ, რომლითაც ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის 2010 წლის 2 ივლისის რეგისტრაციის შესახებ №... და 2010 წლის 9 ივლისის №..., 2010 წლის 30 ივნისის №... და 2009 წლის 3 ივლისის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში ცვლილებების შეტანა მოითხოვა. მოსარჩელემ ასევე მოითხოვა შპს „ო-ს“ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2010 წლის 30 სექტემბრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 29 ოქტომბრის განჩინებით შპს „ო-ს“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა ბათუმის საქალაქო სასამართლოს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 15 ნოემბრის განჩინებით შპს „ო-ს“ მიერ აღმრულ სარჩელში, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე, მესამე პირად ჩაება შპს „ს-ი“.

შპს „ო-მ“ 2010 წლის 24 დეკემბერს დაზუსტებული (გაზრდილი) სასარჩელო განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს და ძირითად სასარჩელო მოთხოვნებთან ერთად ასევე მოითხოვა: ბათილად იქნეს ცნობილი საჯარო რეესტრის

ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის 2010 წლის 10 ნოემბრის №... გადაწყვეტილება ... საკადასტრო კოდზე თავის საკადასტრო გეგმასთან ერთად; ბათილად იქნეს ცნობილი 2010 წლის 10 ნოემბრის №... გადაწყვეტილება ... საკადასტრო კოდზე თავის საკადასტრო გეგმასთან ერთად; განხორცილდეს ცეკვილებები უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში, აღსდგეს შპს „ო-ს“ საკუთრება 2009 წლის 3 ივლისის №... გადაწყვეტილებით რეგისტრირებულ მდგომარეობაში, როგორც კანონითან სრულ შესაბამისობაში მყოფი და შპს „ო-ს“ კვლავ დაურეგისტრდეს მისი კანონიერი საკუთრება 2009 წლის 3 ივლისის მდგომარეობით მის მიერ ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურში წარდგენილი კანონიერი დოკუმენტაციის და საკადასტრო აზომვითი ნახაზის მიხედვით.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 03 თებერვლის გადაწყვეტილებით შპს „ო-ს“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „ო-მ“, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურმა შუამდგომლობით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად საქმეში თვითმმართველი ქ. ბათუმის მერიის მესამეპირად ჩაბმა მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 25 მაისის განჩინებით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის შუამდგომლობა თვითმმართველი ქ. ბათუმის მერიის საქმეში შესამებ პირად ჩაბმის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემულ საქმეზე სადაც სამართლურო თვითმმართველის მონანილეს არ წარმოადგენს თვითმმართველი ქ. ბათუმის მერია, შესაბამისად მისი მესამე პირად ჩაბმა სავალდებულოდ არ იქნა მიჩნეული. სააპელაციო სასამართლომ მიჩნია, რომ ქ. ბათუმის მერია არ წარმოადგენდა იმ პირს ვის უფლებასაც შეიძლება შეეხოს ამ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება. აღნიშნულიდან გამომდინარე სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-16 მუხლის არც პირველი და არც მეორე

ნაწილით არ არსებობდა ქ. ბათუმის მერიის საქმეში მესამე პი-
რად ჩაბმის საფუძვლები.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატის 2011 წლის 25 მაისის განჩინება კერძო საჩივ-
რით გაასაჩივრა სიიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს
ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურმა.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, გასაჩივრებული
განჩინება უსაფუძვლოა, ვინაიდან ქ. ბათუმის მერიის მიერ მოთ-
ხოვნილია იმ მინის ნაკვეთის საკუთრების უფლებით რეგისტრა-
ცია, რომელიც ხვდებოდა შპს „ო-ს“ დაზუსტებული საკადას-
ტრო მონაცემებით რეგისტრირებულ მინის ნაკვეთის საზ-
ღვრებში, ხოლო დავის საგანს ნარმოადგენს შპს „ო-ს“ მინის
ნაკვეთის დაზუსტებული საკადასტრო მონაცემების აღდგენა,
შესაბამისად სასამართლოს გადაწყვეტილებამ შესაძლოა გავ-
ლენა მოახდინოს ქ. ბათუმის მერიის ინტერესებზე, უფრო მე-
ტიც იგი არის აღნიშნული სამართალურთიერთობის მონაწილე,
რომლის თაობაზედაც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გა-
დაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატის 2010 წლის 7 ივნისის განჩინებით შპს „ო-ს“
სააპელაციო საჩივარი დაქმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა
ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 3 თებერვლის გა-
დაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნ-
და იმავე სასამართლოს. აღნიშნული განჩინება საკასაციო წე-
სით გაასაჩივრეს შპს „ს-მა“ და სიიპ საჯარო რეესტრის ეროვ-
ნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატის 2011 წლის 3 ნოემბრის განჩინებით განუხილ-
ველი დარჩა სიიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბა-
თუმის სარეგისტრაციო სამსახურისა და შპს „ს-ის“ საკასაციო
საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრა-
ციულ საქმეათა პალატის 2011 წლის 7 ივნისის განჩინებაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატის 2011 წლის 12 დეკემბრის განჩინებით სიიპ
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგის-
ტრაციო სამსახურის კერძო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოე-
ბაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლიანობის
შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-და-

საბუთებულობის შემოწმების შემდეგ მიიჩნევს, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალნარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო ჰალატა განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლით განსაზღვრულია ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირების ჩაბმის საკითხი. დასახელებული მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მე-სამე პირი აუცილებლად უნდა იქნეს ჩაბმული საქმეში, თუ იგი არის იმ სამართალურთიერთობის მონაწილე, რომლის თაობაზედაც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი. ანუ აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული, საქმეში მესამე პირად ჩასაბმელი პირი არის ისეთი პირი, რომელიც სადაც სამართალურთიერთობასთან უშუალო კავშირში იმყოფება და სასამართლოს მიერ მისაღები (მიღებული) გადაწყვეტილება გავლენას მოახდენს მის კანონით დაცულ უფლებებსა და ინტერესებზე.

კონკრეტულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ თვითმმართველი ქ. ბათუმის მერიის უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესთან მიმართებაში რამე სამართლებრივ შედეგს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ გამოიწვევდა რადგან, საქმის მასალების მიხედვით, დაგის საგანია შპს „ო-ს“ საკუთრებაში არსებულიის ქ. №132ა-ში მდებარე 2000 კვ.მ მინის ნაკვეთის დაზუსტების თაობაზე ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის 2009 წლის 3 ივლისის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის 2010 წლის 30 ივნისის №... გადაწყვეტილება და შპს „ო-ს“ საკუთრებაში არსებულ მინის ნაკვეთზე დაზუსტებული საკადასტრო მონაცემების აღდგენა. სადაც აქტის თანახმად შპს „ო-ს“ მიერ წარდგენილი აზომვითი ნახაზით წარდგენილ მინის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემებსა და შპს

„ს-ის“ საკუთრებაში არსებულ ...ის ქ. №132-ში მდებარე 4160 კვ-მ მიწის ნაკვეთის უკვე რეგისტრირებულ საკადასტრო მონაცემებს შორის არსებობდა ინსტრუქციით გათვალისწინებული ზედდება. აღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ დავის საგანს წარმოადგენს შპს „ო-ს“ საკუთრებაში არსებულ 2000 კვ-მ მიწის ნაკვეთსა და შპს „ს-ის“ საკუთრებაში არსებულ 4160 კვ-მ მიწის ნაკვეთებს შორის ზედდება, მიწის ნაკვეთის ის ნაწილი, რომელზეც დავობენ მხარეები დღეის მდგომარეობით კვლავ შპს „ს-ის“ საკუთრებად არის რეგისტრირებული – ... საკადასტრო კოდით. ქ. ბათუმის მერიის მიერ 2009 წლის 29 ოქტომბრის განცხადების მიღების ბარათით ირკვევა, რომ განმხტხადებელი ითხოვდა ქ. ბათუმში, ...ი/...ის ქუჩების კვეთაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციას, რაზეც ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის 2009 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილებით შეჩერებულ იქნა წარმოება, ვინაიდან წარდგენილი მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი ფარავდა ... საკადასტრო კოდზე რეგისტრირებულ მონაცემებს. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული გარემოებები ადასტურებს, რომ ქ. ბათუმის მერიის მიერ მოთხოვნილი რეგისტრაცია ეხებოდა სხვა საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს და არა მოცემულ საქმეში არსებულ სადაც მიწის ნაკვეთს, რის გამოც საკასაციო პალატა თვლის, რომ შპს „ო-სა“ და შპს „ს-ს“ შორის სადაც მიწის ნაკვეთთან მიმართებაში თვითმმართველი ქ. ბათუმის მერიის კანონიერი ინტერესის არსებობა არ დასტურდება. ამდენად, თვითმმართველი ქ. ბათუმის მერია არ წარმოადგენს იმ სადაც სამართალუროთიერთობის მონაწილეს, რომლის თაობაზეც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი.

საკასაციო სასამართლოს მიაწინა, რომ სააპელაციო სასამართლომ ფაქტობრივი გარემოების გამოკვლევა-შეფასების შედეგად, მართებულად გამოიყენა მოქმედი საპროცესო კანონმდებლობად და მიიღო იურიდიულად სწორი განჩინება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თვითმმართველი ქ. ბათუმის მერიის საქმეში მესამე პირად ჩართვაზე უარის თქმის თაობაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის კერძო საჩივარი არის დაუსაბუთებელი, შესაბამისად არ არსებობს აღნიშნული კერძო საჩივარის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი, რის გამოც იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს ქუთაისის სააპელაციო

სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 25 მაისის განჩინება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის საპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 25 მაისის განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სავალდებულო მონების მესამე პირის ჩაბმა

განებინავა

№492-486(კს-12)

20 სექტემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: მესამე პირად ჩაბმა

აღნერილობითი ნაწილი:

2011 წლის 26 ოქტომბერს ზ. ნ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიმართ.

მოსარჩელემ თბილისის სააღსრულებო ბიუროსათვის სასა-

მართლო განჩინებით დამტკიცებული მორიგების საფუძველზე, მოვალე დ. ჯ-ისაგან აღმასრულებლის მიერ ამოღებული და სააღსრულებო ბიუროს ავტოსადგომზე თვეების წინ გადაყვანილი ავტომანქანა „ინფინიტის“ მის საკუთრებაში გადაცემის დავალდებულება მოითხოვა. ამასთან, მოსარჩელემ თბილისის სააღსრულებო ბიუროსათვის მის მიერ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებაზე თბილისის სააღსრულებო ბიუროში გადახდილი 970 ლარის (რომელსაც არ მოჰყვა აღსრულება და შეწყდა აღუსრულებლად) და სასამართლო გადაწყვეტილების აღუსრულებლობით მისთვის მიყენებული მატერიალური ზიანის – 10000 ლარის დაკისრება მოითხოვა.

სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების შემდეგ მოსარჩელემ თბილისის სააღსრულებო ბიუროსათვის ქმედების განხორციელების, კერძოდ, სასამართლო განჩინებით დამტკიცებული მორიგების საფუძველზე, მოვალე დ. ჯ-ისაგან აღმასრულებლის მიერ ამოღებული ავტომანქანის (შემოწმებული სახით, რომელიც დგას სააღსრულებო ბიუროს ავტოსადგომზე) მისთვის საკუთრებაში გადაცემის დავალდებულება და თბილისის სააღსრულებო ბიუროსათვის მის მიერ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებაზე თბილისის სააღსრულებო ბიუროში გადახდილი თანხის – 970 ლარის და სასამართლო გადაწყვეტილების აღუსრულებლობით მისთვის მიყენებული მატერიალური ზიანის – 5000 ლარის გადახდის დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 9 დეკემბრის საოქმო განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საქმეში მესამე პირებად ჩაეგნენ დ. ჯ-ე და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს მე-2 სამმართველო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 22 დეკემბრის საოქმო განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს მე-2 სამმართველოს ნაცვლად საქმეში მესამე პირად ჩაება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 2 თებერვლის გადაწყვეტილებით ზ. 6-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 2 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ზ. 6-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 8 მაისის საოქმო განჩინებით არ დაკმაყოფილდა ზ. 6-ის შუამდგომლობა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საქმეში შესამე პირად საქართველოს მთავარი პროკურატურის ჩართვის თაობაზე.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მესამე პირი აუცილებლად უნდა იქნეს საქმეში ჩაბმული, თუ იგი არის იმ სამართალურთიერთობის მონაწილე, რომლის თაობაზეც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანა შესაძლებელი.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სადავო ავტომანქანაზე ყადაღა დადებულ იქნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ, რომელიც საქმეში მესამე პირად არის მოწვეული. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტის მიერ მხოლოდ იმ გარემოებაზე მითითება, რომ საქმეში წარმოდგენილია საქართველოს მთავარი პროკურატურის წერილი (რომლითაც პროკურატურას მიზანშეუწონლად მიაჩნია სადავო ავტომანქანაზე ყადაღის მოხსნა) არ წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად საქართველოს მთავარი პროკურატურის საქმეში მესამე პირად ჩაბმის საფუძველს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 8 მაისის საოქმო განჩინებაზე ზ. 6-მა წარადგინა კერძო საჩივრი, რომლითაც აღნიშნული საოქმო განჩინების გაუქმება და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საქმეში მესამე პირად საქართველოს მთავარი პროკურატურის ჩაბმა მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, მასსა და მოვალე – დ. ჯ-ეს შორის დამტკიცდა მორიგება, რომლის საფუძველზეც მას გადაეცა დ. ჯ-ის კუთვნილი ავტომანქანა.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, მისთვის ცნობილი გახდა, რომ ყადაღა დაედო დ. ჯ-ის სახელზე რიცხულ ქონებას,

მათ შორის ავტომანქანა „ინფინიტს“, რის შემდეგაც მან მიმართა პროკურატურას და ყადაღადადებული ავტომანქანის ყადაღისაგან განთავისუფლება მოითხოვა, მაგრამ მისი განცხადება პროკურატურაში არ განუხილავთ.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებლობის საფუძველს წარმოადგენს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის თანახმად, აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ მოვალის ქონებაზე ყადაღის დადებამდე ან ყადაღის დადების შემდეგ, თუ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად ამავე ქონებას სასამართლომ ყადაღა დაადო სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიების, ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად, აღსრულების ეროვნული ბიურო ამ ქონებაზე აღსრულებას აჩერებს პროკურორის წერილობითი თანხმობის მიღებამდე. კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, სხორცედ პროკურატურის ნებართვის გაუცემლობის გამო არ ეძღვევა მას სასამართლოს მიერ დამტკიცებული მორიგების საფუძველზე მოვალის მიერ თანხის სანაცვლოდ ვალში გადაცემული ავტომანქანა.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, ვინაიდან, პროკურატურის მიერ თანხმობის გაუცემლობა გახდა მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი, ამდენად, სასამართლოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საქმეში მესამე პირად უნდა ჩაება საქართველოს მთავარი პროკურატურა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 12 ივლისის განჩინებით წარმოებაში იქნა მიღებული ზ. 6-ის კერძო საჩივარი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამონება ზ. 6-ის კერძო საჩივრისა და გასაჩივრებული საოქმო განჩინების კანონიერბა-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ ხსენებული კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალ-წარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპრო-

ცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოები-სათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული – თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ- მეთა პალატის 2012 წლის 8 მაისის საოქმო განჩინებით არ დაკ- მაყოფილდა ზ. 6-ის შუამდგომლობა საქართველოს ადმინისტრა- ციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის სა- ფუძველზე საქმეში მესამე პირად საქართველოს მთავარი პრო- კურატურის ჩართვის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მესამე პირების ინსტიტუტი უფლებას აძლევს მათ მოახდინონ საკუთარი კერ- ძო, სუბიექტური ინტერესების დაცვა და რეალიზება ადმინის- ტრაციული პროცესის ფარგლებში. მესამე პირების ინსტიტუ- ტის საფუძველს ადმინისტრაციულ კანონმდებლობაში საქარ- თველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხ- ლი ქმნის. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართვე- ლოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილი მესამე პირებად საქმეში ჩაბმის აუცილებლობას ადგენს იმ პირების მიმართ, რომელიც არიან სადაცო სამართა- ლურთიერთობის მონაბილები, რომელთან მიმართებაშიც მხო- ლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანა შესაძლებელი, ანუ ასეთი პირები იმგვარად არიან დაკავშირებულნი სადაცო სამარ- თალურთიერთობასთან, რომ სასამართლოს მიერ ამ დავის გა- დაწყვეტის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება გავლენას მო- ახდენს ამ ურთიერთობასთან დაკავშირებულ, კანონით დაცულ მათ უფლებებსა და ინტერესზე.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამარ- თლოს მოსაზრებას საქმეში სავალდებულ მოწვევის მესამე პირად საქართველოს მთავარი პროკურატურის ჩაბმის თაობა- ზე ზ. 6-ის შუამდგომლობის უსაფუძვლობასთან დაკავშირებით და მიუთითებს, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურა არ წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ პირს, რადგან მოცემულ შემთხვევაში დავის საგანია თბილისის სააღ- სრულებო ბიუროსათვის ქმედების განხორციელების, კერძოდ, სასამართლო განჩინებით დამტკიცებული მორიგების საფუძ- ველზე მოვალე დ. ჯ-ისაგან აღმასრულებლის მიერ ამოღებუ- ლი ავტომანქანის (შემოწებული სახით, რომელიც დგას სააღ-

სრულებო ბიუროს ავტოსადგომზე) ზ. ნ-ის საკუთრებაში გადაცემის დავალდებულებისა და თბილისის სააღსრულებო ბიურო-სათვის მოსარჩელის მიერ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებაზე თბილისის სააღსრულებო ბიუროში გადახდილი თანხის – 970 ლარის და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებლობით მისთვის მიყენებული მატერიალური ზიანის – 5000 ლარის გადახდის დაკისრების კანონიერების დადგენა. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ მართებულად არ მიჩნია საქართველოს მთავარი პროკურატურა იმ პირად, რომლის უფლებებსა თუ კანონით დაცულ ინტერესთან მიმართებაში რაიმე სამართლებრივ შედეგს გამოიწვევს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. სადაცო საკითხის გადაწყვეტის შედეგი გავლენას ვერ მოახდენს პროკურატურის უფლებებსა და ინტერესებზე, როს გამოც იგი არ წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით მოცემულ საქმეში სავალდებულო წესით ჩასაბმელ მესამე პირს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სადაცო ავტომანქანას ყადაღა დაედო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ, რომელიც საქმეში მესამე პირად არის მოწვეული. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მოსარჩელის მიერ მხოლოდ იმ გარემოებაზე მითითება, რომ საქმეში წარმოდგენილია საქართველოს მთავარი პროკურატურის წერილი (რომლითაც პროკურატურას მიზანშეუწონლად მიაჩნია სადაცო ავტომანქანაზე ყადაღის მოხსნა) არ წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად საქართველოს მთავარი პროკურატურის საქმეში მესამე პირად ჩაბმის საფუძველს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას მოცემულ საქმეში საქართველოს მთავარი პროკურატურის მესამე პირად ჩაბმაზე უარის თქმის შესახებ და მიიჩნევს, რომ ზ. ნ-ის კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან არ არსებობს გასაჩივრებული საოქმო განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამო-

ქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. ზ. 6-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 8 მაისის საოქმონო განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სავალდებულო მოწვევის მესამე პირის ჩაბოის კანონიერების შემოწმება

განჩინება

№ბს-629-617(ქს-12)

23 ოქტომბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: 6. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
გ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: საქმეში მესამე პირების ჩართვა

აღწერილობითი ნაწილი:

2011 წლის 28 დეკემბერს ტ. ლ-მა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხების საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცეტრის მიმართ და მოითხოვა ბათილად იქნეს ცნობილი: 1. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის 2011 წლის 9 დეკემბრის №01/27-2208 ადმინისტრაციული აქტი; 2. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2011 წლის 9 დეკემბრის №01/54067 ადმინისტრაციული აქტი; 3. დაევალოს მოპასუხეებს 2011 წლის 6 დეკემბრის ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით სამართალნარმოების განხორციელება.

2012 წლის 16 თებერვალს ტ. ლ-მა დაზუსტებული სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხების საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრისა და თვითმმართველი ქ. რუსთავის (საკრებულო და მერიას) მიმართ და მოითხოვა: 1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს დაევალოს 2012 წლის 10 იანვრის ადმინისტრაციული საჩივრის ზეპირი მოსმენით განხილვა; 2. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ 2012 წლის 16 იანვრის №01/2172 ადმინისტრაციული აქტი 3. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2012 წლის 9 იანვრის №01/828 ადმინისტრაციული აქტი და დაევალოს მოპასუხების – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს 2011 წლის 13 დეკემბრის განცხადებით მოითხოვნილი საჯარო ინფორმაციის დედანში გაცნობა და მათი ასლების გადაცემა; 4. ბათილად იქნეს ცნობილი თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის ადმინისტრაციის მიერ 2012 წლის 6 თებერვლის №1/1353 ადმინისტრაციული აქტი და თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიას დაევალოს 2012 წლის 31 იანვრის ადმინისტრაციული საჩივრის ზეპირი მოსმენით განხილვა 5. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2012 წლის 2 თებერვლის №01/5764 ადმინისტრაციული აქტი და დაევალოს 2012 წლის 30 იანვრის ადმინისტრაციული საჩივრის ზეპირი მოსმენით განხილვა 6. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაევალოს სათანადო მტკიცებულებების დედანში გაცნობა და მათი ქსეროასლების გადაცემა, ამასთან 2012 წლის 3 თებერვლის განცხადებაზე წერილობითი პასუხის გაცემა, რომელიც მის მიერ მოითხოვნილი იქნა ზემოაღნიშნული მტკიცებულებების წარდგენის მიზნით რუსთავის საქალაქო სასამართლოს წარმოებაში არსებულ საქმეზე №2-813; 7. მოპასუხების – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისა და ქ. რუსთავის მერიი-

სა და საკრებულოს მიმართებაში სასამართლომ აღიაროს, რომ ქ. რუსთავის მთავრობის 2003 წლის 10 მარტის №49 და ამავე წლის 8 აპრილის №61; №66 და №75 დადგენილებები ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით არ წარმოადგენენ იურიდიული ძალის მქონე დადგენილებებს, ვინაიდან არ შეიცავენ უფლებამოსილი თანამდებობის პირის ხელმოწერას; 8. სასამართლომ აღიაროს, რომ ქ. რუსთავის მთავრობის 2003 წლის 10 მარტის №49 და ამავე წლის 8 აპრილის №61; №66 და №75 დადგენილებებით გათვალისწინებული სალიკვიდაციო ცენტრის სახით არ არსებობდა და არც დღეის მდგომარეობით არსებობს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 17 აპრილის განჩინებით ტ. ლ-ის სარჩელი შემდეგ მოთხოვნათა ნაწილში, რომლითაც ითხოვდა 1. ბათილად იქნეს ცნობილი თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის ადმინისტრაციის 2012 წლის 6 თებერვლის №1/1353 ადმინისტრაციული აქტი 2. დაევალოს თვითმმართველი ქ. რუსთავის საკრებულოს 2012 წლის 10 იანვრის ადმინისტრაციული საჩივრის ზეპირი მოსმენით განხილვა 3. დაევალოს თვითმმართველი ქალაქი რუსთავის შერიას 2012 წლის 31 იანვრის ადმინისტრაციული საჩივრის ზეპირი მოსმენით განხილვა 4. სასამართლომ აღიაროს, რომ ქ. რუსთავის მთავრობის 2003 წლის 10 მარტის №49 და ამავე წლის 8 აპრილის №61; №66 და №75 დადგენილებები ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით არ წარმოადგენენ იურიდიული ძალის მქონე დადგენილებებს 5. სასამართლომ აღიაროს, რომ ქ. რუსთავის მთავრობის 2003 წლის 10 მარტის №49 და ამავე წლის 8 აპრილის №61; №66 და №75 დადგენილებებით გათვალისწინებული სალიკვიდაციო ორგანო რუსთავის სალიკვიდაციო ცენტრის სახით არ არსებობდა და არც დღეის მდგომარეობით არსებობს, განსჯადობით გადაევზავნა რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებით ტ. ლ-ის სარჩელი – მოპასუხების – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის მიმართ, რომლითაც ითხოვდა: 1. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს

2012 წლის 16 იანვრის №01/2172 ადმინისტრაციული აქტი; 2. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაევალოს 2012 წლის 10 იანვრის ადმინისტრაციული საჩივრის ზეპირი მოსმენით განხილვა; 3. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2012 წლის 9 იანვრის №01/828 ადმინისტრაციული აქტი და დაევალოს მოპასუხეებს – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს 2011 წლის 13 დეკემბრის განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის დედანში გაცნობა და მათი ასლების გადაცემა; 4. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2012 წლის 2 თებერვლის №01/5764 ადმინისტრაციული აქტი და დაევალოს 2012 წლის 30 იანვრის ადმინისტრაციული საჩივრის ზეპირი მოსმენით განხილვა; 5. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაევალოს სათანადო მტკიცებულებების დედანში გაცნობა და მათი ქსეროასლების გადაცემა, ამასთან 2012 წლის 3 თებერვლის განცხადებაზე წერილობითი პასუხის გაცემა, რომელიც მის მიერ მოთხოვნილი იქნა ზემოაღნიშნული მტკიცებულებების წარდგენის მიზნით რუსთავის საქალაქო სასამართლოს წარმოებაში არსებულ საქმეზე №2-813; 6. მოპასუხების – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიმართებაში სასამართლომ აღიაროს, რომ ქ. რუსთავის მთავრობის 2003 წლის 10 მარტის №49 და ამავე წლის 8 აპრილის №61; №66 და №75 დადგენილებები ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით არ წარმოადგენენ იურიდიული ძალის მქონე დადგენილებებს – არ დაემაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა ტ. ლ-მა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 21 აგვისტოს საოქმო განჩინებით ტ. ლ-ის შუამდგომლობა საქმეში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლის თანახმად მესამე პირებად თ. ნ-ისა და ქ. რუსთავის მერიის ჩაბმის თაობაზე არ

დაკმაყოფილდა იმ მოტივით, რომ ქ. რუსთავის მერია და თ. ნ-ი არ წარმოადგენენ იმ სამართალურთიერთობის მონაწილე მხარეებს, რომლის თაობაზეც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანა არის შესაძლებელი. საპელაციო პალატამ მიუთითა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს აქტები გასაჩივრებულია მხოლოდ ტ. ლ-ის მიერ და სასამართლო სხდომაზე იხილება ტ. ლ-ის სარჩელიდან გამომდინარე აღნიშნული აქტების შესაბამისობა კანონმდებლობასთან. თ. ნ-ს კი აქტები სადავოდ არ გაუხდია.

აღნიშნული საოქმო განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ტ. ლ-მა და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმეში მესამე პირებად თ. ნ-ისა და ქ. რუსთავის მერიის ჩართვა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, კერძო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული საოქმო განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ ტ. ლ-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალ-წარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოები-სათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული – თბილისის საპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 21 აგვისტოს საოქმო განჩინებით არ დაკმაყოფილდა ტ. ლ-ის შუამდგომლობა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საქმეში მესამე პირებად თ. ნ-ისა და ქ. რუსთავის მერიის ჩართვის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მესამე პირების ინსტიტუტი უფლებას აძლევს მათ მოახდინონ საკუთარი კერძო, სუბიექტური ინტერესების დაცვა და რეალიზება ადმინისტრაციული პროცესის ფარგლებში. მესამე პირების ინსტიტუტის საფუძველს ადმინისტრაციულ კანონმდებლობაში საქარ-

თველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლი ქმნის. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილი მესამე პირებად საქმეში ჩაბმის აუცილებლობას ადგენს იმ პირების მიმართ, რომლებიც არიან სადაცო სამართალურთიერთობის მონაწილეები, რომელთან მიმართებაშიც მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი, ანუ ასეთი პირები იმგვარად არიან დაკავშირებულნი სადაცო სამართალურთიერთობასთან, რომ სასამართლოს მიერ ამ დავის გადაწყვეტის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება გავლენას მოახდენს ამ ურთიერთობასთან დაკავშირებულ, კანონით დაცულ მათ უფლებებსა და ინტერესზე.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მითითებას იმასთან დაკავშირებით, რომ სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად უთხრა უარი საქმეში მესამე პირებად თ. ნ-ისა და ქ. რუსთავის მერიის ჩაბმის თაობაზე აღძრულ შუამდგომლობაზე და განმარტავს, სააპელაციო სასამართლომ სამართლებრივი დასაბუთების გარეშე არ მიიჩნია თ. ნ-ი და ქ. რუსთავის მერია იმ პირებად, რომელთა უფლებებსა თუ კანონით დაცულ ინტერესთან მიმართებაში რაიმე სამართლებრივ შედეგს გამოიწევდა სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. არანაირი შეფასება არ მისცა იმ გარემოებას, რომ სადაცო საკითხის გადაწყვეტის შედეგი გავლენას ვერ მოახდენდა მათ უფლებებსა და ინტერესებზე, რის გამოც ისინი არ წარმოადგენენ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით მოცემულ საქმეში სავალდებულ წესით ჩასაბმელ მესამე პირებს.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კერძო საჩივარი შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას გასაჩივრებული საოქმო განჩინების გაუქმებისათვის, ამასთან, საკასაციო სასამართლო მოკლებული შესაძლებლობას, თავად მიიღოს საქმეზე ახალი განჩინება. შესაბამისად, ტ. ლ-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 21 აგვისტოს საოქმო განჩინება და შუამდგომლობის საფუძლიანობის შემონმების სტადიდან საქმე განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, სამოქალაქო საპ-

როცესო კოდექსის 372-ე, 390-ე, 399-ე, 419-420-ე, 412-ე მუხ-ლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

- ტ. ლ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
- გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 21 აგვისტოს საოქმო განჩინება, საქმეში მესამე პირებად თ. 6-ისა და ქ. რუსთავის მერიის ჩართვის თაობაზე აღძრული შუამდგომლობის არ დაკმაყოფილების შესახებ და საქმე შუამდგომლობის საფუძვლიანობის შემონმების სტადიიდან განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
- საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სავალდებულო მოწვევის მესამე პირის ჩაბმა

განერივა

№ბს-422-417(ქ-12)

2 აპრილი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა; ქმედების განხორციელების დავალება

აღნერილობითი ნაწილი:

შ. 6-მა 2011 წლის 13 ივნისს სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხებების – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ და მოითხოვა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 16 მაისის №... გადაწყვეტილებისა და თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 1 აპრილის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, ასევე მოითხოვა თბი-

ლისის სარეგისტრაციო სამსახურს აღედგინა ქ. თბილისში, ... ქ. №47-ში განთავსებული მიწის ნაკვეთის გამმიჯნავი ხაზი, რომელიც 2000 წლის 24 აგვისტოს, 2004 წლის 27 თებერვლის და 2011 წლის 9 მარტს გაცემული საინვენტარიზაციო გეგმებში იყო ასახული.

მოსარჩევებმ მიუთითა, რომ ქ. თბილისში ... ქ. №47-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი საკუთრების უფლებით ირიცხება მის სახელზე. შესაბამისი მიწის ნაკვეთი 1973 წლიდან არის მის სარგებლობაში, რასაც ადასტურებს ის ფაქტი, რომ იგი ყოველთვის ყრუ ღობით იყო გამოყოფილი და გამიჯნული მიწის ნაკვეთის დანარჩენი ნაწილისგან. სადავო საინვენტარიზაციო გეგმაში მაში ნაშლილია ეზოს გამიჯვნის აღმნიშვნელი ხაზი, შედეგად ამ გეგმაში აღარ ჩანს მისი მიწის ნაკვეთის შემოსაზღვრულობა. თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 1 აპრილის №... გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა მისი მოთხოვნა სახლთმფლობელობის საინვენტარიზაციო გეგმაში მიწის ნაკვეთის გამიჯნავი ხაზის აღდგენის შესახებ, რაც მოსარჩევეს მიაჩნია უკანონოდ და ითხოვა სარჩელის დაკმაყოფილება. მოპასუხეთა: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის წარმომადგენელი არ დაეთანხმა სასარჩელო მოთხოვნებს და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: საქმეში წარმოდგენილი, 1983 წლის 17 ნოემბრის, 1985 წლის 20 აგვისტოს, 1988 წლის 4 ნოემბრის თბილისის ტექნიკური აღრიცხვის საინვენტარიზაციო ბიუროს მიერ გაცემული საინვენტარიზაციო გეგმების მიხედვით ქ. თბილისში ... ქ. №47-ში მდებარე 1234 კვ.მ. მიწის ნაკვეთის თანამესაკუთრედ მითითებულია შ. ნ-ი, ამასთან მიწის ნაკვეთი გამიჯნულია წყვეტილი ხაზით. ასევე საქმეში წარმოდგენილი 2000 წლის 24 აგვისტოსა და 2004 წლის 27 თებერვალს, თბილისის ტექნიკური აღრიცხვის საინვენტარიზაციო ბიუროს მიერ გაცემული საინვენტარიზაციო გეგმების თანახმად ქ. თბილისში ... ქ. №47-ში მდებარე 1234 კვ.მ. მიწის ნაკვეთის თანამესაკუთრედ მითითებულია შ. ნ-ი, ამასთან მიწის ნაკვეთი გამიჯნულია არ არის. აღნიშნული საინვენტარიზაციო გეგმების საფუძველზე თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 9 მარტის გადაწყვეტილებით გაიცა საინვენტარიზაციო გეგმა, რომლითაც ასევე არ არის მიწის ნაკვეთი გამიჯნული.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარე-

გისტრაციონ სამსახურს 2011 წლის 21 მარტს მიმართა შ. ნ-მა და მოითხოვა 2011 წლის 9 მარტის გადაწყვეტილებით გაცემულ საინვენტარიზაციონ გეგმაში არსებული უზუსტობის შესწორება. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციონ სამსახურის 2011 წლის 1 აპრილის №... გადაწყვეტილებით შ. ნ-ს უარი ეთქვა განცხადების დაკმაყოფილებაზე, ვინაიდან გაცემული საინვენტარიზაციონ გეგმა ზუსტად შეესაბამებოდა ტექნიკური აღრიცხვის არქივში დაცულ დოკუმენტებს. 2011 წლის 18 აპრილს შ. ნ-მა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში გაასაჩივრა თბილისის სარეგისტრაციონ სამსახურის 2011 წლის 1 აპრილის №... გადაწყვეტილება. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 16 მაისის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა ადმინისტრაციული საჩივრი.

პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ შ. ნ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2007 წლის 15 ივნისის №174 ბრძანებით დამტკიცებული „დაწესებულებათა არქივების მუშაობის წესების“, საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 28 სექტემბრის №416 ბრძანებულების, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციაზე მითითებით სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელი უსაფუძვლოა და არ არსებობს მისი დაკმაყოფილების საფუძველი.

ალნიმნული გადაწყვეტილება სააპელაციონ წესით გაასაჩივრა შ. ნ-მა.

აპელანტის მიერ ახალ ფაქტობრივ გარემოებად მითითებული იქნა, რომ თბილისის სარეგისტრაციონ სამსახურის ტექაღრიცხვის არქივში დაცულ სახლთმფლობელობის გენერალურ საინვენტარიზაციონ გეგმაზე ნაჩვენებია სახლთმფლობელობის მინის ნაკვეთისა და საცხოვრებელი სახლის ისეთივე გამიჯვნა, როგორც ეს არის გაკეთებული საქმეში არსებულ სახლთმფლობელობის სხვა საინვენტარიზაციონ გეგმაში, შეთანხმებულ აზომვით ნახაზში და საკადასტრო აზომვით ნახაზში. გარდა ამისა, ამავე გეგმაში მითითებულია, სახლთმფლობელობის მინის ნაკვეთის მომიჯნავე სახელმწიფოს კუთვნილი მინის გამიჯვნაც.

აპელანტის მითითებით, რამდენადაც გენერალურ საინვენტარიზაციონ გეგმაში მითითებულია სახლთმფლობელობის მინის ნაკვეთის მომიჯნავედ მდებარე სამშენებლო მოედანი, რომელიც ეკუთვნოდა საბინაო ამხანაგობის „...“ კუთვნილ, ... ქ. №45-ში მშენებარე კორპუსს, მისი მშენებლობის პროექტი შე-

თანხმებულ იქნა ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის 21.10.2003 №320/725 ბრძანებით, მშენებლობის ნებართვა №6/109 ამხანაგობას მიეცა თბილისის მთავარი არქიტექტურის მიერ 2004 წლის 16 აპრილს, ხოლო ეს ბრძანებაც და ნებართვაც ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მერის 04.10.2004 №181 განკარგულებით, ამიტომ სამშენებლო მოედანი მოეწყო 2004 წლის 16 აპრილის შემდეგ ამავე წლის 4 ოქტომბრამდე. საინვენტარიზაციონ გეგმაც ამავე პერიოდშია მომზადებული.

აპელანტის მითითებით გასაჩივრებული გადაწყვეტილების უსწორობა მდგრადი იმაში, რომ „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი არ უკრძალავს საჯარო რეესტრს გაასწოროს შეცდომები თავისთან დაცულ დოკუმენტებში. კანონის ეს ნორმა ანუსებს მხოლოდ საჯარო რეესტრის უფლებას ელექტრონული ასლის სახით შეინახოს და გასცეს თავის მიერ შექმნილი ან თავისთან დაცული ნებისმიერი დოკუმენტი. ამიტომ, სასამართლოს საქმის გადაწყვეტის დროს არ უნდა გამოყენებინა კანონის მითითებული ნორმა.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 15.06.2007 №174 ბრძანებით დამტკიცებული დაწესებულებათა არქივების მუშაობის წესების შესახებ 62-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის პირველი წინადადების თანახმად, საარქივო ცნობები დგება არქივში დაცული დოკუმენტების საფუძველზე, ხოლო ამავე პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, საარქივო ცნობების ტესტში არ დაიშვება შემსრულებლის კომენტარები, საკუთარი დასკვნები გამოყენებული დოკუმენტების შინაარსზე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის“ მე-10 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, თუ ტექნიკური აღრიცხვის არქივის სააღრიცხვო ბარათში ერთ უძრავ ნივთზე მოცემულია რამდენიმე სააღრიცხვო გეგმა და მათზე არსებული მონაცემები არ შეესაბამება ერთმანეთს, უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული უნდა იქნეს ის სააღრიცხვო გეგმა, რომელიც შეესაბამება ამ უძრავ ნივთზე არქივში დაცულ ბოლო მდგომარეობას.

აპელანტის მსჯელობით მითითებული ნორმების სამართლებრივი შინაარსიდან გამომდინარე სარეგისტრაციო სამსახურს 2011 წლის 9 მარტის საინვენტარიზაციონ გეგმა უნდა გაეცა სარეგისტრაციო სამსახურის ტექალრიცხვის არქივში დაცული 2004 წლის 16 აპრილი - 4 ოქტომბრამდე მომზადებული და 2008 წლის 19 მარტის საინვენტარიზაციონ გეგმების საფუძველზე და არა მათზე ადრე, 2000 წლის 24 აგვისტოსა და 2004 წლის

27 თებერვალს მომზადებული საინვენტარიზაციო გეგმებზე დაყრდნობით.

აპელანტი მიიჩნევს, რომ ასეთ ვითარებაში სახლთმფლობელობის 2001 წლის 9 მარტის საინვენტარიზაციო გეგმით სარეგისტრაციო სამსახურმა, წესებისა და ინსტრუქციის დარღვევით, უკანონოდ შეიტანა ცვლილებები 2004 წლის 16 აპრილი – 4 ოქტომბრამდე მომზადებულ და 2008 წლის 19 მარტის საინვენტარიზაციო გეგმებში.

აპელანტი ასევე აღნიშნავს მოპასუხე მხარის პოზიციის უსაფუძვლობას იმასთან დაკავშირებით, რომ თითქოს 2008 წლის 19 მარტის საინვენტარიზაციო გეგმა გაცემულია შეცდომით. მოპასუხე მხარის ეს განმარტება არ ეყრდნობა რაიმე მტკიცებულებას. სასამართლოში მის მიერ წარმოდგენილი იქნა სარეგისტრაციო სამსახურის ტექნიკური არქივის მიერ სათანადო ბეჭდით დამონმებული საფუძველი, ამიტომ 2008 წლის 19 მარტის საინვენტარიზაციო გეგმის უსწორობის ფაქტის მტკიცების ტვირთი ანერს მოპასუხე მხარეს და არა მოსარჩელეს.

სააპელაციო საჩივარში ასევე მითითებულია, რომ სასამართლომ საქმის გადაწყვეტის დროს არ გაითვალისწინა ეროვნული სააგენტოს 06.06.2011 №85.912 წერილის მითითება იმაზე, რომ სარეგისტრაციო სამსახურის ტექალრიცხვის არქივში დაცულ სახლთმფლობელობის სააღრიცხვო ბარათში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია/განმარტება სახლთმფლობელის გამყოფი მიჯნის გაუქმების საფუძვლის თაობაზე, რის გამოც ეროვნული სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს, თუ რატომ აღარ ფიქსირდება მინის ნაკვეთის გამყოფი მიჯნა 2000 წლის 24 აგვისტოსა და 2004 წლის 27 თებერვლის საინვენტარიზაციო გეგმებზე. აპელანტის აზრით, აღნიშნული გეგმები, უნდა ჩაითვალოს უსწოროდ, რამდენადაც ისინი არ ეყრდნობიან რაიმე დოკუმენტს, მაშინ როცა 2004 წლის 16 აპრილის – 4 ოქტომბერს მომზადებული და 2008 წლის 19 მარტის საინვენტარიზაციო გეგმებში მითითებული სახლთმფლობელობის მინის ნაკვეთის გამმიჯნავი ხაზი სრულად შეესაბამება 2000 წლამდე სახლთმფლობელობაზე მომზადებულ 1973 წლის 15 ოქტომბრის, 1983 წლის 17 ნოემბრის, 1985 წლის 20 აგვისტოსა და 1988 წლის 4 ნოემბრის საინვენტარიზაციო გეგმებში, აგრეთვე შეთანხმებული აზომვითი ნახაზში დაფიქსირებულ ეზოს გამიჯნავ ხაზს.

აპელანტის აზრით, ის გარემოება რომ ინსტრუქცია ითვალისწინებს მხოლოდ ინფორმაციის გაცემას ტექნიკური აღრიცხვის არქივიდან და არა მათში ცვლილებების შეტანის შესაძ

ლებლობას, რაც ვერ გახდება სასამართლო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ, როგორც ზემოთ აღინიშნა, 2011 წლის 9 მარტის საინვენტარიზაციო გეგმით გაიცა არასწორი ინფორმაცია. აპელანტის მითითებით, სასამართლომ არასწორად გამოიყენა ინსტრუქცია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 22 მარტის განჩინებით შ. ნ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის 2011 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა: 1996 წლის „მინის რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის (ძალადაკარგულია საქართველოს 28.12.2005წ. №2635 კანონით) პირველი, მე-11; მე-16 მუხლები. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2; მე-5; 28-ე მუხლები.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 1 აპრილის №47339 გადაწყვეტილება და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 16 მაისის №... გადაწყვეტილება წარმოადგენს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1. „დ, მუხლით რეგლამენტირებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60.12 მუხლზე, რომლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე და 34-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ან/და კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ აღინიშნა, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება, ხოლო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102.3. მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, აპელანტის მიერ სააპელაციო ინსტანციაში ვერ იქნა

წარმოდგენილი რაიმე მტკიცება (ცნობა-დახასიათება ტექბიუროს არქივიდან, სააღრიცხვო ბარათი, ადმინისტრაციული ორგანოს ან/და სასამართლო აქტი, და ა.შ.), რომლითაც დადასტურდებოდა, რომ სადაცო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას ... ქუჩა №47-ში მდებარე მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი №...) კანონმდებლობით დადგენილი წესით იყო გამიჯნული და კადასტრულ რუკაზე არსებობდა სათანადო აღნიშვნა. ვერ იქნა დადასტურებული, რომ მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ დაშვებულ იქნა ტექნიკური სარვეზი (დოკუმენტაციიდან მონაცემების უზუსტონ გადატანა). შესაბამისად, პალატა უსაფუძვლობის გამო ვერ გაიზიარებს აპელანტის მიერ სააპელაციო საჩივარში მითითებას აღნიშნულზე.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, აპელანტი მხარის მიერ აგრეთვე ვერ იქნა დადასტურებული, რომ სადაცო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას ადგილი ჰქონდა კანონით დადგენილი ისეთი პროცედურული ნორმების არსებით დარღვევას, რომლის არარსებობის შემთხვევაში სადაცო საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 22 მარტის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შ. 6-მა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორმა აღნიშნა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 22 მარტის განჩინება იმდენად დაუსაბუთებელია, რომ შეუძლებელია მისი სამართლებრივი საფუძვლის შემოწმება. ასევე უთითებს განსახილველი საკასაციო საჩივრის მინიჭნელობაზე სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისთვის.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 24 დეკემბრის განჩინებით შ. 6-ის საკასაციო საჩივრა მიზნეულ იქნა დასაშვებად და განისაზღვრა მისი განხილვა მხარეთა დასწრებით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედე-

გად მიიჩნევს, რომ შ. ნ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სასამართლო დაცვის უფლება ადამიანის განუყოფელი უფლებაა და ყველა სხვა უფლებისა და თავისუფლების რეალიზაციის სავალდებულო გარანტიაა. მართლმსაჯულება უნდა პასუხობდეს სამართლიანობის მოთხოვნას და უზრუნველყოფდეს უფლებებში ეფექტურ აღდგენას. მხარის უფლება მისი საქმის სასამართლოზე განხილვაზე გულისხმობს არა მხოლოდ სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გამოიტანოს სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილება, რაც განპირობებულია მხარის ინტერესით, იცოდეს სახელმწიფოს სახელით გამოტანილი გადაწყვეტილების საფუძვლები და მოტივაცია.

საკასაციო სასამართლო დაცვის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვნად მიიჩნევს მიუთითოს ქვედა ინსტანციის სასამართლოს, შემდეგი: საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი, ხოლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილია, რომ საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი. აღნიშნული ნორმების საფუძველზე, საკასაციო პალატა თვლის, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დარღვეულ იქნა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16.2 მუხლის მოთხოვნა, რომლის თანახმად მესამე პირი აუცილებლად უნდა იქნეს საქმეში ჩაბმული, თუ იგი არის იმ სამართალურთიერთობის მონაწილე, რომლის თაობაზეც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი.

საპელაციო სასამართლოს მიერ ისე იქნა საქმე არსებითად განხილული, რომ არ მოხდა საქმის განხილვაში იმ პირების მოწვევა, რომელიც განსახილველი სამართალურთიერთობის მონაწილეა, მის თაობაზე სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი. ასეთ პირებს საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით წარმოადგენენ ს. და მ. ნ-

ები. აღნიშნული პირები წარმოადგენენ შ. ნ-ის კუთვნილი ნაკვეთის მეზობელი მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებს, რომელ ნაკვეთთანაც სასაზღვრო მიჯნის აღდგენასაც ითხოვს კასატორი, რაც დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით.

საკასაციო სასამართლოს სხდომაზე კასატორი მხარის მიერ წარმოდგენილი იქნა ს. და მ. ნ-ების სასარჩელო განცხადება, ასევე შ. ნ-ის შესაგებელი, თანდართული მასალებით და განმარტა, რომ ს. და მ. ნ-ების მიერ შეტანილია სასამართლოში სარჩელი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს და შ. ნ-ის ნინა-აღმდეგ, რომლითაც ისინი ითხოვენ საჯარო რეესტრის მიერ უძრავი ნივთის სააღრიცხვო ბარათში არსებული მონაცემის შეცვლას, ასევე შ. ნ-ის ინდივიდუალური საკუთრების უფლების გაუქმებას და სახლთმფლობელობაზე საზიარო უფლების რეგისტრაციას იმგვარად, როგორც ეს თავდაპირველად იყო. მათი ინტერესი მდგომარეობს იმაში, რომ აღდგეს მიწის ნაკვეთზე საზიარო უფლება, რადგანაც საზიარო უფლების რეგისტრაციის პირობებში შ. ნ-ის კუთვნილი იყო მთლიანი ნაკვეთის (1234 კვ.მ.) 1/3 (300 კვ.მ.), ხოლო ს. და მ. ნ-ების კუთვნილი იყო 2/3 (822 კვ.მ.). კასატორი მხარის მიერ წარმოდგენილ შესაგებელში მითითებულია, რომ შ. ნ-სა და მ. და ს. ნ-ებს ეკუთვნით თანაბარი წილი 600-600 კვ.მ.მიწის ნაკვეთი.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოცემული სასამართლო გადაწყვეტილება უშუალო შემხებლობაშია ს. და მ. ნ-ების საკუთრებასთან. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლოს აუცილებლად უნდა ჩაეტა საქმეში ს. და მ. ნ-ები, რაც არ განუხორციელებია.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ თეორიულად საქმეში მესამე პირების ჩაბმის მიზანს საქმის ყოველმხრივი განხილვა, პროცესის ეკონომიკურობა, სამართლებრივი უზრუნველყოფა წარმოადგენს. საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16.2 მუხლით გათვალისწინებული დანაწესის შესაბამისად საქმეში სავალდებულო მოწვევის მესამე პირად ჩაბმული უნდა იქნებ ს. და მ. ნ-ები.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც გამოაქვს დასკვნა საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. შესაბამისად, საკასა-

ციონ სასამართლო მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს უნდა მისცეს სრულყოფილი შეფასება და მხოლოდ საქმის გარემოებათა ურთიერთშეჯერების საფუძველზე მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება.

მითითებული საპროცესო ნორმების დარღვევის პირობებში საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შეუძლებელია საქმის გარემოებები სრულყოფილად გამოკვლეულად, ხოლო გადაწყვეტილება სწორად და დასაბუთებულად ჩაითვალოს, რაც სამქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია. შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16.2 ნაწილით, საკალდებულო მოწვევის მესამე პირებად ს. და მ. ნ-ების საქმეში ჩაბმის შემდეგ უნდა გამოიკვლიოს და შეფასება მისცეს შემდეგ საკითხებს: რა გახდა თავდაპირველად ქ. თბილისში, ... ქ. №47-ში არსებული 1234 კვმ. მინის ნაკვეთის გამიჯვნის საფუძველი, რა ოდენობის მიწის ნაკვეთებად მოხდა გამიჯვნა, რამ განაპირობა შემდგომში საინვენტარიზაციო გეგმაში ცვლილებების განხორციელება, ასევე გამოიკვლიოს, რის საფუძველზე განხორციელდა ცვლილება და რა გახდა გამმიჯნავი ხაზის საინვენტარიზაციო გეგმაზე არ დატანის საფუძველი.

საკასაციო პალატა თვლის, რომ ზემოაღნიშნული გარემოებების გამორკევებას არსებითი მნიშვნელობა აქვს დავაზე სწორი და დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანისათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 22 მარტის გასაჩივრებული განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლის შემონმება შეუძლებელია (სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი), რაც სსკ-ის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ქმნის გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის ხელახლი განხილვისათვის დაბრუნების საფუძველს. საკასაციო პალატა თვლის, რომ დავის გადაწყვეტა საჭიროებს მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევას, საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ სრულყოფილად უნდა გამოარკვიოს საქმისათვის მნიშ-

ვწელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები, სათანადო შეფასება მისცეს შეკრებილ მტკიცებულებებს და გამოიტანოს კანონის შესაბამისი გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ სრულად არ იქნა გამოკვლეული საქმის ფაქტობრივი გარემოებები, გასაჩივრებული გადაწყვეტილება არის დაუსაბუთებელი, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო საჩივრის აბსოლუტურ საფუძველს წარმოადგენს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახალი განხილვისათვის უბრუნებს სააპელაციო სასამართლოს, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოკე-მულ შემთხვევაში სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის აბსოლუტური საფუძვლელი, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის შესაბამისად არის საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 412-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. შ. 6-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 22 მარტის განჩინება და საქმე ხელახალი სასამართლო განხილვისათვის დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ

საქმეთა პალატას;

3. სახელმწიფო ბაჟის დაკისრების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასამართლოს უფლებამოსილება მესამე პირის მარტივი ფორმით ჩაბოის შესახებ

განცილება

№ბს-143-136(ქს-13)

16 მაისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: მესამე პირად ჩაბმა

აღნერილობითი ნაწილი:

2009 წლის 1 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართეს ვ. პ-მა, ა. წ-მა, შ. ლ-ემ, ე-დ-ემ, ი. ბ-მა, კ. ყ-ამ, თ. ა-მა, მ. გ-მა, ტ. ბ-ემ, ზ. შ-ამ, ი. ხ-ამ, დ. პ-მა, ა. თ-ამ, შ. შ-მა, დ. ლ-ემ, გ. ს-მა, დ. ქ-ემ, გ. მ-ემ, ზ. ს-ემ, ჯ. უ-ამ, ა. ბ-ემ, ი. მ-მა, დ. გ-ემ, ლ. ჭ-ამ, მ. ც-მა და გ. ა-მა, მოპასუხე-ების – ქ. თბილისის მერიისა და ქ. თბილისის გლდანი-ნაძალა-დევის გამგეობის მიმართ.

მოსარჩელებმა მოითხოვეს ქ. თბილისის მერიის 2009 წლის 11 აგვისტოს №971 განკარგულების, ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის გამგეობის 2008 წლის 19 ნოემბრის №ს-5740, 2008 წლის 12 სექტემბრის №კოლ-5145, 2008 წლის 10 დეკემბრის №კოლ-5963, 2009 წლის 6 აპრილის №კოლ-1284-ის წერილების ბათილად ცნობა, ასევე ბინის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგე-ობისათვის დავალება.

მოსარჩელების მითითებით, შპს „...“ სამმართველო, რომ-ლის სამართალმემკვიდრეა შპს „...“, ... მუშაკთა ბინებით უზ-

რუნველყოფის მიზნით აწარმოებდა საცხოვრებელი ბინების მშენებლობას. ქ. თბილისში, ... დასახლებაში 1988 წელს დაიწყო ოთხი 54-ბინიანი 9-სართულიანი სახლის მშენებლობა (კორპუსი №204, 205, 225 და 226). 1992-1993 წლებში ორგანიზაციამ საკუთარი სახსრებით დაამთავრა აღნიშნული კორპუსების სამონტაჟო-სამშენებლო სამუშაოები, მაგრამ ქვეყანაში იმ დროისათვის შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამოვერ მოხდა ბინების საბოლოო დამთავრება.

წლების განმავლობაში განმცხადებლები მუშაობდნენ „...“ სამმართველოში. იმ პერიოდისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მოქალაქეების ბინით უზრუნველყოფის მიზნით, ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის აღმასრულებელი კომიტეტის 1988 წლის 18 მაისის №11.267.13.1 გადაწყვეტილებით დამტკიცდა მათზე საცხოვრებელი ბინის მიღების აღრიცხვის სია. „მშენებარე საცხოვრებელი სახლების შესახლების დროებითი წესების შემოღების შესახებ“ ქ. თბილისის მერიის კოლეგიის 1993 წლის 4 სექტემბრის №09.10.63 გადაწყვეტილებით „...“ ხელმძღვანელობას მიეცა შესაძლებლობა, გაენანილებინა ზემოთ აღნიშნულ კორპუსებში საცხოვრებელი ბინები თავიანთი მუშა-მოსამსახურეებისათვის, მათ შორის, მოსარჩელეებისათვის. „...“ ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, ბინების განაწილების რიგისა და იმ დროს მოქმედი საბინაო კანონმდებლობის დაცვით მოხდა ... მშენებარე კორპუსების საცხოვრებელი ფართების განაწილება. სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტოს“ 2006 წლის 28 ივლისის №1-3/512 ბრძანების საფუძველზე შპს „...“ საწესდებო კაპიტალში ბალანსზე აისახა მშენებარე კორპუსები მე-2 და მე-2ა მიკრორაიონში გამოყოფილი მინის ნაკვეთი 3117,7 კვ.მ ფართობით, თითოეული 9-სართულიანი 54-ბინიანი №204, 205, 225, 226 კორპუსებისათვის. საჯარო რეესტრის 2006 წლის 30 აგვისტოს №..., ..., ..., ... ამონაწერებით ირკვევა, რომ შპს „...“ იყო აღნიშნული უძრავი ქონების მესაკუთრე. შპს „...“ დირექციამ 2007 წლის 15 თებერვალს მიმართა საქართველოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს „საწარმოთა მართვის სააგენტოს“ №10-19/68 წერილით, შპს „...“ საწესდებო კაპიტალში რიცხული ქ. თბილისში, ... II და IIა მიკრორაიონში №204, 205, 225, 226 კორპუსების 9-სართულიანი, 54-ბინიანი სახლების მუშა-მოსამსახურეებისათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ.

სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტოს“ 2005 წლის 12 სექტემბრის №1-3/567 ბრძანებით შექმნილი „სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების

ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების ჩამოწერის, განკარგვისა და გადაცემის, ამ საწარმოთა ლიკვიდაციის საკითხების, მათ შორის, ლაკვიდაციის პროცესების მიმდინარეობის განმხილველი კომისიის“ 2007 წლის 30 მარტის №12 სხდომაზე განხილულ იქნა შპს „...“ დირექციის 2007 წლის 15 თებერვლის №-რილი №10-19/68. კომისიაშ შესაძლებლად მიიჩნია, განეხორციელებინა ქ. თბილისში, ... II და II ა მიკრორაიონში №204, 205, 225, 226 კორპუსების 9-სართულიანი, 54-ბინანი საცხოვრებელი კორპუსების საწარმოო საწესდებო კაპიტალიდან ამოღება და ქ. თბილისის მერიისათვის გადაცემა, საბინაო ფონდში აღრიცხვისათვის.

სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტოს“ 2007 წლის 2 ნოემბრის №1-3/786 ბრძანების საფუძველზე ცვლილება შევიდა შპს „...“ საწესდებო კაპიტალში და მის ბალანსზე რიცხული მშენებარე კორპუსები, მდებარე მე-2 და მე-2ა მიკრორაიონში, მინის ნაკვეთან ერთად ამოირიცხა საწესდებო კაპიტალიდან და „მენარმეთა შესახებ“ და „სახელმწიფო ქონების ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონებითა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანების საფუძველზე გადავიდა ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში.

მოსარჩელეთა განმარტებით, სარჩელის წარდგენის დროისათვის ისინი წარმოადგენენ ბინების მოსარგებლებს. 2008-2009 წლებში მათ განცხადებით არაერთხელ მიმართეს თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობას არაპრივატიზებულ საცხოვრებელ ფართზე საკუთრების აღიარებისა და საკუთრების მოწმობის გაცემის თაობაზე, კერძოდ, თბილისში, ... დასახლება მე-2 და მე-2ა მიკრორაიონში №204, 205, 225, 226, 9-სართულიან სახლებში განმცხადებლებზე განაწილებულ ბინებზე, რაზეც ეთქვათ უარი.

2009 წლის 9 ივნისს მოსარჩელეებმა ადმინისტრაციული საჩივრით მიმართეს თბილისის მერიას, თუმცა თბილისის მერიის 2009 წლის 11 აგვისტოს №971 განკარგულებით უარი ეთქვათ საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილებით ვ. პ-ის, ა. წ-ის, შ. ლ-ისა და სხვათა სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის გამგეობის 2008 წლის 12 სექტემბრის, 2008 წლის 10 დეკემბრის, 2009 წლის 6 აპრილის წერილები, ქ. თბილისის მერიის 2009 წლის 11

აგვისტოს №971 განკარგულება, ქ. თბილისის გლდანი-ნაძალა-დევის რაიონის გამგეობას დაევალა მოსარჩელეებზე პინის სა-კუთრებაში გადაცემის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრა-ციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წე-სით გაასაჩივრა ქ. თბილისის მერიამ, რომელმაც თბილისის სა-ქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

2010 წლის 2 ივლისს სააპელაციო სასამართლოს განცხადე-ბით მიმართეს ნ. ბ-ემ, შ. ღ-ემ, ფ. ჯ-მა, ქ. ტ-მა, ს. ც-ემ, ლ. ც-ემ, ლ. ჩ-ემ და ნ. ო-მა, ამხანაგობა „...“ წევრებმა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად მესამე პირად დავაში ჩაბმა მოითხოვეს, რო-გორც სადაც ქონების მოსარგებლებმა.

განმცხადებელთა განმარტებით, მოცემული დავის შესახებ მათთვის ცნობილი გახდა გლდანი-ნაძალადევის გამგეობის მეშ-ვეობით. განმცხადებლებმა მიიჩნიეს, რომ დავა ეხებოდა მათ კანონიერ ინტერესს, რამდენადაც სადაც უძრავ ქონებას ფლობენ და სარგებლობენ ამხანაგობა „...“ წევრები. მათ მიერ საცხოვრებელ ფართებს ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები, გაყვანილ იქნა კომუნიკაციები, ქ. თბილისის მერიის შუამდგომ-ლობით 2009 წლის 28 დეკემბერს ამხანაგობა „...“ სს „...“ დაუ-მონტაჟა მრიცხველები და გამრიცხველიანების თანხაც მათ და-ფარეს სრულად, რაც იმას ნიშნავს, რომ ქ. თბილისის მერიამ აღიარა კანონიერი სარგებლობის უფლება. გარდა აღნიშნული-სა, განმცხადებლებმა მიმართეს ქ. თბილისის მერიასა და გამ-გეობას ქონების მათ საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებლებმა მოითხოვეს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქმეში მესამე პირებად ჩაბმა.

ქ. თბილისის მერიამ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექ-სის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე მოითხოვა საქმე-ში მესამე პირად საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი გან-ვითარების სამინისტროს ჩაბმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 5 დეკემბრის საოქმო განჩინებით ზ. შ-ას გარდაცვალების გამო მის უფლებამონაცვლედ საქმეში ჩაება დ. შ-ა; გ. ა-ის უნფლებამონაცვლედ – მ. ა-ი, ხოლო ვ. პ-ის უფლებამონაცვლედ საქმეში ჩაება ი. პ-ი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 5 დეკემბრის საოქმო განჩინებით ქ. თბილისის მერიის შუამდგომლობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მესამე პირად ჩაბმის თაობაზე არ დაკმაყოფილდა; ასევე არ დაკმაყოფილდა 6. ბ-ის, შ. ღ-ის, ფ. ჯ-ის, ქ. ტ-ის, ს. ც-ის, ლ. ც-ის, ლ. ჩ-ის, ნ. ო-ისა და ამხანაგობა „...“ შუამდგომლობა მესამე პირად საქმეში ჩაბმის თაობაზე, რამდენადაც სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული პირები არ წარმოადგენენ იმ სამართალურთიერთობის მონაბილეებს, რომლის თაობაზეც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილებით ქ. თბილისის მერიის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნანილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, სადაც ვისაკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობის 2008 წლის 12 სექტემბრის, 2008 წლის 10 დეკემბრის, 2009 წლის 6 აპრილის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, ქ. თბილისის მერიის 2009 წლის 11 აგვისტოს №971 განკარგულება და ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობას დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ მოსარჩელეთა მიმართ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემა.

მესამე პირად ჩაბმაზე უარის თქმის შესახებ სააპელაციო სასამართლოს საოქმო განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრეს 6. ბ-ემ, შ. ღ-ემ, ფ. ჯ-მა, ქ. ტ-მა, ს. ც-ემ, ლ. ც-ემ, ლ. ჩ-ემ, ნ. ო-მა და ამხანაგობა „...“, რომლებმაც მოითხოვეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 5 დეკემბრის საოქმო განჩინების გაუქმება, საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება თბილისის სააპელაციო სასამართლოში და საქმეში მესამე პირებად ჩაბმა.

კერძო საჩივრის ავტორთა მითითებით, 2005 წლიდან ისინი ფლობდნენ და სარგებლობდნენ ქ. თბილისში, ... მე-2 მიკრორაიონში მდებარე №204 და 205 კორპუსებით, თავად ჩაატარეს სარემონტო სამუშაოები. ქ. თბილისის მერიის შუამდგომლობის საფუძველზე 2009 წლის 28 დეკემბერს ამხანაგობა „...“ ს/ს „...“ დაუმონტაჟა მრიცხველები. აღნიშნულით ქ. თბილისის მერიამ

იმ დროისათვის მის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე კანონი-ერად ცნო ამხანაგობა „...“ წევრების მიერ ქონების ფლობა და სარგებლობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 19 აპრილის განჩინებით წარმოებაში იქნა მიღებული 6. ბ-ის, შ. ლ-ის, ფ. ჯ-ის, ქ. ტ-ის, ს. ც-ის, ლ. ც-ის, ლ. ჩ-ის, 6. ო-ისა და ამხანაგობა „...“ კერძო საჩივარი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, კერძო საჩივრის საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ განჩინების მიღებისას ადგილი არ ჰქონია საპროცესო ნორმების დარღვევას, სააპელაციო სასამართლომ არსებითად სწორად გადაწყვიტა სადაც საკითხი, წარმოდგენილი კერძო საჩივარი არ შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას გასაჩივრებული განჩინების კანონშეუსაბამობის თაობაზე, შესაბამისად, სახეზე არ არის მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

საქმის მასალების თანახმად, ფიზიკური პირები – ი. კ-ქ, თ. წ-ი, შ. ლ-ე და სხვები სარჩელით ითხოვდნენ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის №73 ბრძანებულებით დამტკიცებული „კანონიერი მოსარგებლებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის“ შესაბამისად, ... ტერიტორიაზე მდებარე №204, 205, 225, 226 კორპუსებში არსებული საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემას იმ საფუძვლით, რომ წლების განმავლობაში მუშაობდნენ შპს „...“, თბილისის სახალხო დეპუტატთა აღმასრულებელი კომიტეტის 1990 წლის №06.16.157 გადაწყვეტილებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 29 აგვისტოს №30-70/92 გადაწყვეტილებისა და „...“ თხოვნის შესაბამისად, ამ უკანასკნელს დაუმაგრდა ... ტერიტორიაზე №204, 205, 225, 226 კორპუსები, ხოლო „...“ ადმინისტრაციის პროფესიონალიტიკის სხდომის გადაწყვეტილებით მოსარჩელებზე განაწილდა საცხოვრებელი ფართები. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012

წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილ-და ნაწილობრივ, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრა-ციულ-სამართლებრივი აქტები და ქ. თბილისის გლდანი-ნაძა-ლადევის რაიონის გამგეობას დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფა-სების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სა-მართლებრივი აქტის გამოცემა მოსარჩელეთა მიმართ. სააპე-ლაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით არ გა-საჩივრებულა. შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებამდე, სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 5 დეკემბრის საოქმო გან-ჩინებით კერძო საჩივრის ავტორებს უარი ეთქვათ ადმინისტრა-ციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შე-საბამისად საქმეში სავალდებულო მესამე პირებად ჩაბმაზე. კერძო საჩივრის ავტორთა განმარტებით, ისინი ჩაბმულ უნდა იქნენ საქმეში მესამე პირებად, რამდენადაც 2005 წლიდან ფლობენ და სარგებლობენ ქ. თბილისში, ... მე-2 მრ/რ-ში მდება-რე №204 და 205 საცხოვრებელი კორპუსებით, მათ მიერ საც-ხოვრებელ ფართებს ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები, ქ. თბილისის მერიის შუამდგომლობით 2009 წელს სს „...“ მიერ და-მონტაჟდა მრიცხველები და გამრიცხველიანების თანხაც მათ დაფარეს სრულად. 2011 წელს შპს „...“ და კერძო საჩივრის ავ-ტორებს შორის დაიდო ხელშეკრულება გაზმომარაგებისათვის საჭირო ლონისძიებების ჩატარების თაობაზე. 2012 წელს ხელ-შეკრულება დაიდო შპს „...“ გაზით მომარაგების თაობაზე. ამ-დენად, კერძო საჩივრის ავტორთა მოსაზრებით, ისინი სადავო ქონების კანონიერ მოსარგებლებს წარმოადგენენ და ნების-მიერი გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულ იქნება ქ. თბილის-ში, ... დასახლებამი მდებარე №204 და №205 კორპუსებთან და-კავშირებით, შეეხება მათ კანონიერ ინტერესს, შესაბამისად, უნდა მიეცეთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ მოცემუ-ლი დავის განხილვაში.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციუ-ლი სამართალნარმოება წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სა-მართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე დავის გადაწყვე-ტის მიზნით საქმისნარმოების პროცესს, რომელიც მატერია-ლურ-სამართლებრივი უფლებების რეალიზების პროცესუალუ-რი საშუალებაა. ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირად ჩაბ-მა უზრუნველყოფს ამ პირის სამართლებრივი (სამართლის ნორ-მებით დაცული) ინტერესებისა და უფლებების დაცვას, საქმის ყოველმხრივ განხილვას, პროცესის ეკონომიურობას, სამარ-

თლებრივ უზრუნველყოფას. საქმეში მესამე პირად ჩასაბმელი პირის სამართლებრივი მდგომარეობა განისაზღვრება მისი როგორც მატერიალურ-სამართლებრივი, ასევე პროცესუალურ-სამართლებრივი დაინტერესებით საქმის მსვლელობისადმი. მესამე პირთა ინსტიტუტი, რომელიც ადმინისტრაციული პროცესის მნიშვნელოვან ინსტიტუტს განეკუთვნება, შესაძლებლობას ანიჭებს საქმეში ამ სტატუსით მონაბილე პირებს მოახდინონ თავიანთი კერძო, სუბიექტური ინტერესების დაცვა ადმინისტრაციული პროცესის ფარგლებში. მესამე პირთა ინსტიტუტი მოქმედებს იმ პირთა მიმართ, რომლებიც არ წარმოადგენ ადმინისტრაციული პროცესის მხარეებს, მაგრამ შესაძლოა სასამართლოს გადაწყვეტილებით განესაზღვროთ გარკვეული უფლებები და მოვალეობები. მოქმედ საპროცესო კანონმდებლობა განასხვავებს მესამე პირთა ორ კატეგორიას – მარტივ და სავალდებულო მოწვევის მესამე პირებს. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს მთავარი სხდომის დამთავრებამდე სასამართლო უფლებამოსილია აცნობოს პირს, რომლის ინტრესებსაც შეიძლება შეეხოს სასამართლოს გადაწყვეტილება, ადმინისტრაციული პროცესის დაწყების შესახებ და ჩააბას იგი საქმეში მესამე პირად. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მესამე პირი აუცილებლად უნდა იქნეს საქმეში ჩაბმული, თუ იგი არის იმ სამართალურთიერთობის მონაწილე, რომლის თაობაზედაც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი. ამდენად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მესამე პირთა მარტივი მოწვევა სასამართლოს უფლებამოსილებას განეკუთვნება, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სავალდებულო მოწვევა – სასამართლოს ვალდებულებას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩინია, რომ სააპელაციო სასამართლომ მართებულად არ მიიჩინია კერძო საჩივრის ავტორები – ამხანაგობა „...“ და მისი წევრები სავალდებულო მესამე პირებად, რამდენადაც ისინი არ წარმოადგენ სადაც სამართალურთიერთობის მონაწილეებს, რომლის თაობაზეც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი, სავალდებულო მესამე პირებად საქმის განხილვაში მოწვევა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილება არა მხოლოდ ზემოქმედებას მოახდენს მათ სამართლებრივ ინტერესზე, არამედ სასამართლო გადაწყვეტილებით შესაძლოა განისაზღვროს მესამე პირთა უფლებები და

მოვალეობები.

საკასაციონ სასამართლო აღნიშნავს, რომ კერძო საჩივრის ავტორთა განმარტება იმის თაობაზე, რომ გამრიცხველიანების მოთხოვნით სს „....“ მიმართვა მოხდა ქ. თბილისის მერიის შუამ-დგომლობით, ასევე კერძო საჩივრის ავტორები ფართის საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნით მიმართავდნენ ადმინისტრაციულ ორგანოებს, რომელსაც მათი გამოსახლება და ფართის გა-მოთავისუფლება არ მოუთხოვიათ, შესაძლოა საფუძვლად და-დებოდა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხ-ლის პირველი წანილის შესაბამისად მათ საქმეში მარტივი ფორ-მით ჩაბმას, თუმცა აღნიშნული განეკუთვნება სასამართლოს უფლებამოსილებას და არა ვალდებულებას. ამასთან, იმის გათ-ვალისწინებით, რომ სასამართლოს დავა არსებითად არ გადა-უწყვეტია და საქმე ფაქტობრივად წარიმართა ადმინისტრაცი-ულ ორგანოში განსახილველად, აღნიშნული საკითხი უნდა დად-გეს ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე და ადმინისტრაცი-ულმა ორგანომ უნდა იმსჯელოს მითითებული პირების ადმი-ნისტრაციულ წარმოებაში ჩაბმაზე.

ამდენად, საკასაციონ სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდ-გენილი კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლე-ლად დარჩეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გან-ჩინება.

სარეზოლუციო წანილი:

საკასაციონ სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 წანილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ნ. ბ-ის, შ. ღ-ის, ფ. ჯ-ის, ქ. ტ-ის, ს. ც-ის, ლ. ც-ის, ლ. ჩ-ის, ნ. ო-ისა და ამხანაგობა „....“ კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 5 დეკემბრის საოქმო განჩინება;

3. საკასაციონ სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ სა-ჩივრდება.

საქმეში მესამე პირის ჩაბოლის მოთხოვნის კანონირების შემოწევა

განჩინება

№პს-454-442(ქს-13)

23 იანვარი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
მ. ვაჩაძე

**გასაჩივრებული განჩინება – თბილისის სააპელაციო სასა-
მართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.07.136. სა-
ოქმო განჩინება**

აღწერილობითი ნაწილი:

ვ. კ-ემ და ზ. კ-ემ 28.06.2012წ. სასარჩელო განცხადებით მი-
მართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე ქ. თბი-
ლისის მერიისა და ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქი-
ტექტურის სამსახურის მიმართ, რომლითაც მოითხოვეს ინდი-
ვიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების, კერ-
ძოდ ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამ-
სახურის 03.01.2012წ. №12/167459-12 გადაწყვეტილების, 18.01.2012წ. №247 ბრძანების, ქ. თბილისის მერიის 23.05.2012წ. №1353 განკარგულების და სსიპ თბილისის არქიტექტურის სამ-
სახურის 15.02.2012წ. №550 ბრძანების ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქ-
მეთა კოლეგიის 20.02.2013 წ. განჩინებით ზ. კ-ის სარჩელზე ქ.
თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის
03.01.2012წ. №12/167459-12 გადაწყვეტილების და 18.01.2012წ.
№247 ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში საქმის წარმოება
შეწყდა სარჩელის დაუშვებლობის გამო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქ-
მეთა კოლეგიის 20.02.2013წ. გადაწყვეტილებით ზ. კ-ის სარჩე-
ლი ქ. თბილისის მერიის 23.05.2012წ. №1353 განკარგულებისა
და ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსა-
ხურის 15.02.2012წ. №550 ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში
არ დაემაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქ-
მეთა კოლეგიის 20.02.2013წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წე-

სით გაასაჩივრა ზ. კ-ემ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.07.2013წ. საოქმო გან-ჩინებით აპელანტის ზ. კ-ის შუამდგომლობა – სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს საქმეში მე-სამე პირად ჩაბმის თაობაზე არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ აპელანტმა ვერ დაასაბუთა საქ-მეში სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სა-აგენტოს მესამე პირად ჩაბმის საჭიროება. სააპელაციო სასა-მართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული საჯარო სამართლის იური-დიული პირი არ არის სასკ-ის მე-16 მუხლის არც პირველი და არც მეორე ნაწილით ჩასართავი პირი, რამდენადაც იგი არ არის სადაც სამართალურთიერთობის მონაწილე, ამასთანავე, საქ-მეზე საბოლოოდ გამოტანილი გადაწყვეტილება სააგენტოს ინ-ტერესს არ შეეხება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.07.2013წ. საოქმო განჩინება კერძო საჩივ-რით გაასაჩივრა ზ. კ-ემ.

კერძო საჩივრის ავტორმა მიუთითა, რომ სადაც საკითხზე შესაბამისი კომპეტენცია გააჩნია კულტურული მემკვიდრეო-ბის დაცვის ეროვნულ სააგენტოს, რომელსაც ეკისრება პასუ-სისმებლობა, კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების დაცვის მდგომარეობაზე. დავის საგანი (ქ. თბილისის მერიის არ-ქიტექტურის სამსახურისა და ქ. თბილისის მერიის გასაჩივრე-ბული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები მიშენების ლე-გალიზებაზე უარის თქმის შესახებ) ეხება იმას, რომ ლეგალი-ზებისათვის წარდგენილი ობიექტი კულტურული მემკვიდრეო-ბის უძრავი ძეგლის სტატუსის მქონე ობიექტზე დამენებას წარ-მოადგენს, რის გამოც კერძო საჩივრის ავტორის აზრით, სასა-მართლოს გადაწყვეტილება შეიძლება შეეხოს და გავლენა მო-ახდინოს მითითებული კომპეტენტური ორგანოს კანონმდებ-ლობით რეგლამენტირებულ უფლებებსა და მოვალეობებზე, რაც მისი საქმეში მესამე პირად ჩაბმის საფუძველია. აღნიშნუ-ლის გათვალისწინებით, კერძო საჩივრის ავტორი ითხოვს გასა-ჩივრებული განჩინების გაუქმებასა და სააპელაციო სასამარ-თლოს დავალდებულებას, სასკ-ის მე-16 მუხლის პირველი ნა-წილისა და სსკ-ის 89-ე მუხლის საფუძველზე, საქმეში მესამე პირად ჩართოს სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის, კერძო სა-

ჩივრის საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ზ. კ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.07.13ნ. საიქმონ განჩინებით აპელანტის ზ. კ-ის შუამდგომლობა-სისპ კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს საქმეში მესამე პირად ჩაბმის თაობაზე არ დაკმაყოფილდა. კერძო საჩივრის ავტორი სასკ-ის მე-16.1 და სასკ-ის 89-ე მუხლების საფუძველზე ითხოვს საქმეში მესამე პირად სააგენტოს ჩართვას. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული სამართლაწარმოება არის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე დავის გადაწყვეტის მიზნით საქმისწარმოების პროცესი, რომელიც მატერიალურ-სამართლებრივი უფლებების რეალიზაციის პროცესუალური საშუალებაა. მესამე პირების საქმეში ჩაბმის საფუძველს ადმინისტრაციულ კანონმდებლობაში სასკ-ის მე-16 მუხლი ქმნის. მოცემული მუხლი განასხვებს მესამე პირების მარტივ და სავალდებულო ჩაბმას. მესამე პირთა ადმინისტრაციულ პროცესში მოწვევის მარტივი ფორმა შინაარსობრივად განსხვავდება აუცილებელი, სავალდებულო ფორმისაგან. მესამე პირთა ადმინისტრაციულ პროცესში მარტივი ფორმით ჩაბმა საქმის განმხილველი სასამართლოს უფლებაა, ხოლო მესამე პირთა აუცილებელი, სავალდებულო ჩაბმა-ვალდებულება. მე-16 მუხლის პირველი ნაწილი სწორედ მესამე პირთა მარტივ ჩაბმას ითვალისწინებს. მესამე პირის ადმინისტრაციულ პროცესში ჩაბმის მარტივი ფორმა გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ მთავარი სხდომის დამთავრებამდე სასამართლო მოიჩნევს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება შეეხოს პირის სამართლებრივ ინტერესებს. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას საქმეში სააგენტოს ჩაბმის თაობაზე ზ. კ-ის შუამდგომლობის უსაფუძვლობის შესახებ და აღნიშნავს, რომ სისპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო არ არის სასკ-ის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე საქმეში ჩასართავი პირი, რადგან მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს შეადგენს ქ. თბილისის მერიის სისპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 15.02.2012ნ. №550 ბრძანება ქ. თბილისში, ...-ში მდებარე მრავალბინიან საცხოვრებელ სახლზე უნდართვოდ დაშენებული ფართის ლეგალიზებაზე უარის თქმის შესახებ და ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს – ქ. თბილისის მერიის 23.05.2012ნ.

№1353 განკარგულება ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უჯრის თქმის შესახებ. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ქ. თბილისში, ...-... ქ. №4-ში განთავსებულ ნაგებობას საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 01.10.2007წ. №3/181 ბრძანების საფუძველზე მინიჭებული აქტი კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი, რის გამოც მოპასუხებდა ჩათვალეს, რომ კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლზე ამგვარი ზემოქმედების ღონისძიებას „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონი არ ითვალისწინებს და შესაბამისად მისი ღეგალიზება არ შეესაბამება „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ კანონის მოთხოვნებს.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ განსახილველ შემთვევაში სააპელაციო სასამართლომ მართებულად არ მიიჩნია სააგენტო იმ პირად, რომლის ინტერესებსაც შესაძლოა შეეხოს მოცემულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება. საქმის მასალებით დასატურდება, რომ ქ. თბილისში, ... - ... ქ. №4-ში განთავსებულ შენობა-ნაგებობას კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიანიჭა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა 01.10.07წ. №3/181 ბრძანებით. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო საქმეში მესამე პირად არის ჩაბმული. „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ კანონის თანახმად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამინისტროში შექმნილია მინისტრის სათათბირო ორგანო-კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭო, რომელიც დაკომპლექტებულია დარგის ექსპერტებითა და საზოგადო მოღვაწეებით, იხილავს ძეგლის სტატუსის მინიჭებისა და მოხსნის, ასევე ძეგლის კატეგორიის განსაზღვრისა და შეცვლის საკითხებს, აღნიშნული გადაწყვეტილებები მინისტრისათვის სარეკომენდაციო ხასიათისაა, ძეგლის სტატუსის მინიჭებისა და მოხსნის, ასევე ძეგლის კატეგორიის განსაზღვრისა და შეცვლის საკითხებზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის კომპეტენციას შეადგენს (მე-5 მუხ.). კერძო საჩივრის ავტორი სსიპ კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს მესამე პირად საქმეში ჩაბმას ითხოვს იმის გამო, რომ საქმის სადაცო ფაქტობრივი გარემოებების შეფასება საჭიროებს სპეციალურ ცოდნას და გამოცდილებას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სპეციალური ცოდნის და გამოცდილების გამოყენების საჭიროება ქმნის სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირის შესაბამისი დაწესებულებიდან სპეციალისტად მოწვევის და არა

მისი მესამე პირად ჩაბმის საჭიროებას. სპეციალისტის სახით მოწვევის შემთხვევაში პირი ვალდებულია გამოცხადდეს სასამართლოში და გაუწიოს მას კონსულტაცია (სსკ-ის 204-ე მუხ). სპეციალისტის შემხებლობა დავის საგანთან ამით ამოინურება. სპეციალისტისაგან განსხვავებით მესამე პირის სტატუსით პირის საქმეში ჩაბმა განპირობებულია ამ პირის კანონიერი ინტერესით და დავის საგანთან შემხებლობით, რაც მოცემულ შემთვევაში სახეზე არ არის. სააგენტო არ წარმოადგენს იმ პირს, რომლის ინტერესებსაც შესაძლოა შეეხოს მოცემულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება.

ამდენად, საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააბელაციო სასამართლოს დასკვნას მოცემულ საქმეში სააგენტოს მესამე პირად ჩაბმაზე უარის თქმის შესახებ და მიიჩნევს, რომ ზ. კ-ის კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან არ არსებობს გასაჩივრებული საოქმო განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ზ. კ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისს სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.07.13ნ. საოქმო განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მესამე პირებისათვის საქმის მასალების გაგზავნის საკითხი

განხილვა

№პს-206-204(ქს-14)

8 მაისი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
6. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: საქმეში მესამე პირად ჩაბმა

აღნერილობითი ნაწილი:

2013 წლის 15 მარტს ააიდ „...“ სასარჩელო განცხადებით მი-
მართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოპასუხების – ქ. ბა-
თუმის მერიისა და ქ. ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურ-
ბანული დაგეგმვარების სამსახურის მიმართ, ხოლო მესამე პი-
რად შპს „...“ მიუთითა.

მოსარჩელემ პროექტის შეთანხმების შესახებ 2009 წლის 14
იანვრის №01-22/23 ბრძანების, 2009 წლის 14 იანვარს გაცემუ-
ლი მშენებლობის სანებართვო მოწმობის, 2011 წლის 18 ოქტომ-
ბერს გაცემული სმ №0000906 მშენებლობის სანებართვო მოწ-
მობის, არქიტექტურულ პროექტში ცვლილებების შეთანხმების
თაობაზე 2011 წლის 18 ოქტომბრის №1255 ბრძანების, არქი-
ტექტურულ პროექტში ცვლილებების შეთანხმების თაობაზე
ქ. ბათუმის მერის 2013 წლის 25 იანვრის №135 ბრძანების, 2013
წლის 28 იანვარს გაცემული სმ №0000572 მშენებლობის სანე-
ბართვო მოწმობის ნაწილობრივ (იმ ნაწილში, რომელიც ნებარ-
თვის მაძიებელს შენობის მომიჯნავე მხარეს ღიობებისა და აივ-
ნების მოწყობის უფლებასა და 12 მეტრზე დაბლა, ფანჯრებისა
და ღიობების მოწყობის უფლებას აძლევს) ბათილად ცნობა და
ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესა-
ხებ ქ. ბათუმის მერიის 2013 წლის 26 თებერვლის წერილის ნა-
წილობრივ ბათილად ცნობა მოითხოვა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 27 სექტემბრის
გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ნა-
წილობრივ ბათილად იქნა ცნობილი პროექტის შეთანხმების შე-
სახებ ქ. ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული და-
გეგმარების სამსახურის 2009 წლის 14 იანვრის №01-22/23 ბრძა-

ნება, არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის 2009 წლის 14 იანვარს გაცემული მშენებლობის სანებართვო მოწმობა, არქიტექტურულ პროექტში ცვლილებების შეთანხმების თაობაზე არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის 2011 წლის 18 ოქტომბრის № 1255 ბრძანება, არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის 2011 წლის 18 ოქტომბერს გაცემული სმ № 0000906 მშენებლობის სანებართვო მოწმობა, არქიტექტურულ პროექტში ცვლილებების შეთანხმების თაობაზე ქ. ბათუმის მერის 2013 წლის 25 იანვრის № 135 ბრძანება, ქ. ბათუმის მერის 2013 წლის 28 იანვრის სმ № 0000572 მშენებლობის სანებართვო მოწმობა (ქ. ბათუმში, ... ქ. № 38-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე შპს „...“ მიერ განხორციელებული მრავალსართულიან სახლის მშენებლობის სამეზობლო საზღვრის მხარეს, ფასადზე ფანჯრების გარდა სხვა სახის ღია ნაწილების მოწყობის ნაწილში); ქ. ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურს აღნიშნულ გადაწყვეტილებაში მითითებული, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა ქ. ბათუმში, ... ქ. № 38-ში შპს „...“ მიერ მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებულ აქტებში შესაბამისი ცვლილებების განხორციელების თაობაზე.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „...“, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩევის დაკავშირებულ აქტებში თქმა მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 28 თებერვლის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საქმეში მესამე პირებად ჩაეპნენ რ. რ-ე, შ. ე-ე, ხ. ო-ე, ნ. დ-ე, მ. ბ-ა, ჯ. ფ-ე, თ. კ-ე, ი. ბ-ა, ჟ. დ-ტ, ლ. შ-ა, რ. ც-ე, ც. ს-ე, ე. მ-ე, ჯ. კ-ი, თ. ე-ე, გ. დ-ე, ლ. ა-ო, რ. მ-ე, ნ. ფ-ე, ა. ბ-ი, ც. ფ-ა, ლ. გ-ე, გ. დ-ე, მ. ქ-ე, ს. ჭ-ა, ი. ბ-ა, ე. ჯ-ე, ნ. კ-ა, რ. ვ-ე, გ. ვ-ე, ჯ. შ-ე, ს. დ-ე, ნ. ე-ე, ნ. ტ-ი, მ. ყ-ა, მ. კ-ე, კ. ქ-ა, ც. კ-ა, კ. უ-ა, მ. ფ-ე, მ. ს-ა, მ. გ-ი, ლ. მ-ა, ე. გ-ი, ზ. ბ-ე, ნ. მ-ი, მ. მ-ე, ა. შ-ა, რ. ა-ე, ჟ. მ-ი, ა. მ-ე, ლ. კ-ა, გ. ა-ი, ნ. კ-ა, გ. გ-ა, ნ. მ-ი, ლ. რ-ე, ა. ლ-ე, ლ. ლ-ი, ნ. ე-ე, ჯ. ქ-ე, მ. ა-ა, დ. კ-ი, ე. თ-ე, ნ. ნ-ე, თ. ნ-ი.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემულ ადმინისტრაციულ საქმეში მესამე პირებად უნდა ჩაეპნენ – რ. მ-ე, შ. ე-ე, ხ. ო-ე და სხვები (მათ შორის რ. მ-ე), რადგან საქართვე-

ლოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მესამე პირი აუცილებლად უნდა იქნეს საქმეში ჩართული, თუ იგი არის იმ სამართალურთიერთობის მონაწილე, რომელის თაობაზეც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი, რაც სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით მოცემულ შემთხვევაშია სახეზე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 28 თებერვლის განჩინებაზე კერძო საჩივარი წარადგინა რ. მ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, მან ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე შეიძინა უძრავი ქონება (მდებარე – ქ. ბათუმი, ... ქ. №36-38-ში), რომელიც საჯარო რეესტრში აივნით იყო რეგისტრირებული და იგი აღნიშული ბინის კეთილსინდისიერი შემძენია, რეესტრის ჩანაწერების მიმართ კი მოქმედებს უტყუარობის პრეზუმუცია.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, იმ პირობებში, როდესაც სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება საქმეში მესამე პირების ჩართვის თაობაზე, იგი ვალდებული იყო საქმის მასალები გასაცნობად გაეგზავნა მისთვის, რათა ცნობილი ყოფილიყო საქმის გარემოებების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 17 აპრილის განჩინებით წარმოებაში იქნა მიღებული რ. მ-ის კერძო საჩივარი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა რ. მ-ის კერძო საჩივრისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ ხსენებული კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალ-წარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივარების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 28 თებერვლის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე (სხვა ფიზიკურ პირებთან ერთად) საქმეში მესამე პირად ჩაეტა კერძო საჩივრის ავტორი – რ. მ-ე. სააპელაციო სასამართლომ საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, განსახილველ ადმინისტრაციულ საქმეში მესამე პირებად რ. მ-ე, შ. ე-ე, ნ. ო-ე და სხვები (მათ შორის, კერძო საჩივრის ავტორი – რ. მ-ე), იმ მოტივით ჩააბა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მესამე პირი აუცილებლად უნდა იქნეს საქმეში ჩართული, თუ იგი არის იმ სამართალურთიერთობის მონაწილე, რომლის თაობაზეც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მესამე პირების ინსტიტუტი უფლებას აძლევს მათ მოახდინონ საკუთარი კერძო, სუბიექტური ინტერესების დაცვა და რეალიზება ადმინისტრაციული პროცესის ფარგლებში. მესამე პირების ინსტიტუტის საფუძველს ადმინისტრაციულ კანონმდებლობაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლი ქმნის. ამასთან, აღნიშნული მუხლის თანახმად, კანონმდებელი განასხვავებს მესამე პირების ჩვეულებრივ და სავალდებულო (აუცილებელ) ჩაბმას. მე-16 მუხლის პირველი ნაწილი მესამე პირთა ჩვეულებრივი წესით ჩაბმის ფორმულირებას შეიცავს, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილი – სავალდებულო, აუცილებელი ჩაბმის ფორმულირებას. ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირთა ჩვეულებრივ და სავალდებულო ფორმით ჩაბმას შორის განსხვავებას მნიშვნელობა ენიჭება სწორედ მათთვის საპროცესო უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის მინიჭების თვალსაზრისით. საყურადღებოა, რომ ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირთა მარტივი ჩაბმის დროს გადაწყვეტილი მესამე პირთა სამართლებრივი ინტერესი, ხოლო რაც შეეხება ადმინისტრაციულ პროცესი მესამე პირთა აუცილებელ, სავალდებულო ჩაბმას, ამ დროს სამართლებრივი ინტერესის პარალელურად მნიშვნელოვანია ის, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით მესამე პირთა უფლებები და მოვალეობები შეიძლება განისაზღვროს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქმეში მესამე პირების სავალდებულო მოწვევა სასამართლოს ვალდებულებას წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის ავტორს განუმარტავს, რომ ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირთა სამართლებრივი ინტერესის დაცვის მიზანი წარმოადგენს უპირატეს მიზანს, რომელსაც ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირთა მოწვევის ინსტიტუტი ემსახურება. ამდენად, საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის ავტორს მიუთითობს, რომ მისი განსახილველ ადმინისტრაციულ საქმეში მესამე პირად ჩართვა უპირველესყოვლისა მისივე ინტერესების დაცვას ემსახურება, ვინაიდან, გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გაცემულია სწორედ მისი და საქმეში მესამე პირებად მოწვეული პირების კუთვნილი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის სანარმოებლად და ბუნებრივია, გასაჩივრებული აქტების გაუქმება უშუალო გავლენას მოახდენს მათ სამართლებრივ ინტერესსა და უფლება-მოვალეობებზე. საქმეში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მესაკუთრეების მესამე პირებად ჩაბმა კი უზრუნველყოფს განსახილველ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას მათივე ინტერესების დაცვას.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ სააპელაციო სასამართლო ვალდებული იყო საქმის მასალები გასაცნობად რ. მ-ისთვის გადაეგზავნა. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული მესამე პირი სარგებლობს მოსარჩელის (მოპასუხის) ყველა უფლებით და მას ეკისრება მოსარჩელის ყველა მოვალეობა; ხოლო ამავე კოდექსის მე-13 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ სასამართლოს მიერ გასაგზავნი დოკუმენტი დიდი მოცულობისაა, მაშინ მხარეს ან მის ნარმომადგენელს ეცნობება ამ დოკუმენტის მხოლოდ დასახელება და ის, რომ მას აქვს მისი სასამართლოს კანცელარიაში გაცნობის უფლება. აღსანიშნავია, რომ სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინებით საქმეში მესამე პირებად ჩაბმულ პირებს განუმარტა, რომ მათ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე უფლება პქონდათ გასცნობოდნენ საქმის ყველა მასალას ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის კანცელარიაში. ამასთან, საყურადღებოა, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმეში ჩაბმულ მესამე პირებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებისა და სააპელაციო საჩივრის ასლები გადაუგზავნა; საპროცესო კანონმდებლობა კი სასამართლოს არ აკისრებს საქმეში ჩაბმული მე-

სამე პირებისთვის საქმის ყველა მასალის გაგზავნის ვალდებულებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ რ. მ-ის კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ რ. მ-ის კერძო საჩივარზე გადახდილია სახელმწიფო ბაჟი 100 ლარის ოდენობით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით კი სახელმწიფო ბაჟის ოდენობა კერძო საჩივარზე შეადგენს 50 ლარს. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ რ. მ-ეს უნდა დაუბრუნდეს ს. ი-ის მიერ 2014 წლის 14 მარტს რ. მ-ის კერძო საჩივარზე ზედმეტად გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 50 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. რ. მ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 28 თებერვლის განჩინება;
3. რ. მ-ეს დაუბრუნდეს ს. ი-ის მიერ მის კერძო საჩივარზე ზედმეტად გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 50 ლარი;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

არასავალდებულო ნისით მოსაწვევი მესამე პირის ჩაპხა

განჩინება

№პს-371-367(ქს-14)

18 ნოემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: 6. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: მესამე პირად ჩაბმის კანონიერება;

აღნერილობითი ნაწილი:

2013 წლის 21 მარტს ა(ა)იპ „...“ სარჩელი აღძრა თბილისის
საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია-
ში მოპასუხე ა(ა)იპ „სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ მი-
მართ და მოითხოვა მოპასუხეს დაევალოს, გასცეს საჯარო ინ-
ფორმაცია, კერძოდ: სიიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტე-
ტის სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორის კონკურ-
სანტის ანკეტა, პერსონალური მონაცემების – მისამართის, ტე-
ლეფონის, ელ. ფოსტის გარდა, სიიპ სოხუმის სახელმწიფო უნი-
ვერსიტეტის სრული ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორის
კონკურსანტის სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი, მეც-
ნიერების შესაბამისი დარგის სწავლებისა და კვლევის ხედვა ან
სამოტივაციო წერილი, ასევე 2013 წლის იანვარში სოხუმის სა-
ხელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებული აკადემიური პერსო-
ნალის კონკურსში მონაწილე კანდიდატთა მონაცემთა შესაბა-
მისობა შეფასების კრიტერიუმებთან დადგენილი საკონკურსო
კომისიების მიერ, საკონკურსო კომისიების კენჭისყრის შედე-
გები, რომლის შესაბამისადაც განხორციელდა სიიპ სოხუმის სა-
ხელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის თანამ-
დებობებზე დანიშვნა.

მოსარჩელემ ასევე მოითხოვა სიიპ „სოხუმის სახელმწიფო
უნივერსიტეტს“ დაეკისროს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე
უარის თქმის გამო მორალური ზიანის 3333 ლარისა და სახელ-
მწიფო ბაჟის სახით გადახდილი 100 ლარის გადახდა.

მოსარჩელის მითითებით, „...“ არის არასამენარჩეო იურიდი-
ული პირი, რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს, ხელი
შეუწყოს სამართლიანი, ეფექტიანი რეფორმების შემუშავება-

სა და გატარებას სხვადასხვა სფეროში, მათ შორის, განათლებასა და მეცნიერებაში, საქართველოს მეცნიერთა და განათლების მუშაკთა პროფესიული ინტერესების დაცვასა და მხარდაჭერას, სამეცნიერო და საგანმანათლებლო პროექტების განხილვას, წარმოებას და მხარდაჭერას. სამართლიანი კონკურსების, ტესტირების, არჩევნების დანერგვასა და ჩატარებას, რისთვისაც იგი ატარებს განათლებასა და მეცნიერებაში განხორციელებული რეფორმებისა და მათი მიმდინარეობის მონიტორინგს. აღნიშნულიდან გამომდინარე, როდესაც სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა კონკურსი აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად, სსიპ „...“ 2013 წლის 29 იანვარს განცხადებით მიმართა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს და მოითხოვა 2013 წლის იანვარში ჩატარებული, აკადემიური პერსონალის არჩევასთან დაკავშირებული კონკურსის თაობაზე, საჯარო ინფორმაციის გაცემა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 42-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტისა და „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის საფუძველზე, რაზეც სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისგან მიიღეს უარი იმ მოტივით, რომ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი რეგისტრირებულია არა როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი, არამედ როგორც ა(ა)იპ და მასზე არ ვრცელდება არჩევით თანამდებობაზე პირის არჩევასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება.

მოსარჩელის აზრით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თანახმად, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპ-ზე ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული საჯარო ინფორმაციის მარეგულირებელი ნორმები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 20 დეკემბრის სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოპასუხე – ა(ა)იპ „სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ უფლებამონაცვლედ ცნობილი იქნა სსიპ „სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი“.

მოპასუხე ა(ა)იპ „სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წარმომადგენლებმა – ს. გ-ამ და მ. გ-ამ წერილობითი შესაგებელით სარჩელი არ ცნეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით ა(ა)იპ „...ს“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სსიპ „სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს“ დაევალა ა(ა)იპ „სამართლი-

ან, ეფექტიან რეფორმებს“ მიაწოდოს შემდეგი საჯარო ინფორმაცია: სსიპ „სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ სრული, ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსანტის ანკეტა, გარდა კონკურსანტის მამის სახელის, დაბადების თარიღის, მოქალაქეობისა და ბოლო სამსახურებრივი პოზიციის შესახებ ანკეტური მონაცემებისა; სსიპ „სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ სრული ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსანტის სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი, მეცნიერების შესაბამისი დარგის სწავლებისა და კვლევის ხედვა, ან სამოტივაციო წერილი; 2013 წლის იანვარში სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებული კონკურსის საკონკურსო კომისიების კენჭისყრის შედეგები, რომლის შესაბამისადაც უნივერსიტეტში განხორციელდა აკადემიური ჰერსონალის თანამდებობებზე დანიშვნა; სსიპ „სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს“ დაეკისრა ა(ა)იპ „...ს“ სასარგებლოდ მოსარჩევის მიერ განტეული სასამართლო ხარჯიდან 50 ლარის გადახდა; ა(ა)იპ „...ს“ სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში ეყრდნობა საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლს და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე და 44-ე მუხლებს.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა სსიპ „სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა“, რომელმაც მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

მოსარჩელეს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში სააპელაციო წესით არ გაუსაჩივრებია.

2014 წლის 20 მაისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას განცხადებით მიმართეს სსიპ „სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ სამართლის დოქტორმა, პროფესორმა მ. მ-მა, სამართლის დოქტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა პ. კ-ემ, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა მ. ა-ამ და ისტორიის დოქტორმა, პროფესორმა ო. ა-ამ და მოითხოვეს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლის საფუძველზე საქმეში მესამე პირებად ჩართვა იმ მოტივით, რომ საქმე ეხება მათ შესახებ ინფორმაციას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ

საქმეთა პალატის 2014 წლის 23 მაისის სასამართლო სდომაზე მ. მ-მა, პ. კ-ემ და ო. ა-ამ იშუამდგომლეს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.1 მუხლის შესაბამისად საქმეში მესამე პირად ჩართვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 23 მაისის საოქმო განჩინებით მ. მ-ის, პ. კ-ისა და ო. ა-ას შუამდგომლობა საქმეში მესამე პირის სტატუსით ჩაბმის თაობაზე დაკმაყოფილდა; მ. მ-ი, პ. კ-ე და ო. ა-ა საქმეში ჩაბმულ იქნენ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.1 მუხლის საფუძველზე, ხოლო მ. ა-ას შუამდგომლობა საქმეში მესამე პირად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლის საფუძველზე არ დაკმაყოფილდა; მ. ა-ა საქმეში ჩაბმული იქნა მესამე პირად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.1 მუხლის საფუძველზე.

აღნიშნულ საოქმო განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა მ. ა-ამ, რომელმაც მოთხოვა გასაჩივრებული საოქმო განჩინების გაუქმება და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16.2 მუხლის საფუძველზე საქმეში მესამე პირად ჩაბმა იმ მოტივით, რომ ის არის სადაც სამართალურთიერთობის მონაწილე, რადგან მოსარჩელე სისპ „სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან“ ითხოვს აკადემიურ თანამდებობებზე ჩატარებული კონკურსის საკონკურსო დოკუმენტაციას, მათ შორის, მის საკონკურსო დოკუმენტაციასაც, რომელიც წარუდგინა საკონკურსო კომისიას და წარმოადგენს მის პირად და პროფესიულ საიდუმლოებას. ამ დოკუმენტაციის ნაწილზე, კერძოდ: „სწავლების და კვლევის ხედვაზე“ (კონცეფცია) ვრცელდება მისი სააგრორო უფლებებიც. შესაბამისად, კერძო საჩივრის ავტორის აღნიშვნით, სარჩელის მოთხოვნა ქმედების განხორციელების თაობაზე დაარღვევს მის აღნიშნულ უფლებებს, რომლებიც განსხვავებულია მოსარჩელის ან მოპასუხის უფლებებისა და ინტერესებისაგან. მისთვის კონსტიტუციით და უწყდავისტური საერთაშორისო უფლებადაცვითი აქტებით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლების უმნიშვნელოვანესი შემადგენელი არის სასამართლოსათვის მიმართვის უფლება, რომელიც თავის მხრივ, აუცილებლად მოიცავს სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებასაც, რისი განხორციელების შესაძლებლობას დამოუკიდებლად მოკლებული იქნება საქმეში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16.1 ნაწილით ჩაბმის შემთხვევაში.

კერძო საჩივრის ავტორის აღნიშვნით, მას აქვს საფუძვლია-

ნი ეჭვი ივარაუდოს, რომ მოსარჩელის მიერ გამოთხოვილი ინფორმაცია მისსა და მისი კოლეგების შესახებ შესაძლოა მოხვდეს ოკუპანტი ქვეყნის – რუსეთის სპეცსამსახურების ხელში, ქართველ მეცნიერთა შესახებ სრულყოფილი კარტოთეკის შესაქმნელად და გამოყენებულ იქნეს უკანონო მანიპულაციებისათვის. აღნიშნული პერსპექტივის შესაძლებლობას იძლევა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, როგორც მისთვის, ისე სსიპ „სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში“ ჩატარებული კონკურსის ყველა მონაწილესათვის და საქართველოს ყველა უმაღლეს სასწავლებელში ჩატარებული თუ ჩასატარებელი თითოეული კონკურსის მონაწილისათვის, ანუ ქვეყნის მთელი სამეცნიერო კორპუსისათვის.

კერძო საჩივარზე მხარეებს და მესამე პირებს წერილობითი შეპასუხება არ წარმოუდგენიათ.

საკასაციო სასამართლოს 2014 წლის 18 ნოემბრის სასამართლო სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარის – ა(ა)იპ „სამართლიანი რეფორმების“ წარმომადგენლები – ა. ბ-ი და ნ. კ-ე არ დაეთანხმენ კერძო საჩივრის ავტორის მოთხოვნას საქმეში მესამე პირად სასკ-ის მე-16.2 მუხლის საფუძველზე ჩაბმის თაობაზე.

მოწინააღმდეგე მხარის – სსიპ „სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წარმომადგენელმა – მ. პ-ამ მხარი დაუჭირა კერძო საჩივრის მოთხოვნას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, წარმოდგენილი კერძო საჩივრის საფუძვლიანობის, მისი ზეპირი განხილვის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობით მიიჩნევს, რომ მ. ა-ას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს; უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის საპელაციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის საოქმო განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აღმინისტრაციულ სამართალწარმოებაში დამკვიდრებულია როგორც მხარეთა და პოტენციურ მესამე პირთა საპროცესო უფლება – მიმართონ სასამართლოს საქმეში მესამე პირის ან მესამე პირად ჩაბმის მოთხოვნით, აგრეთვე, ოფიციალობის პრინციპის გათვალისწინებით სასამართლოს გააჩინა, როგორც უფლებამოსილება, ასევე აკისრია პროცესუალური ვალდებულება მესამე პირის ჩაბმის თაობაზე, რაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი

დავების მატერიალურ-სამართლებრივი და პროცესუალური თავისებურებებიდან გამომდინარეობს.

მესამე პირთა სამართლებრივი ინტერესის დაცვის მიზნის მიღწევას ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირთა მოწვევის ინსტიტუტი ემსახურება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მესამე პირის ინსტიტუტი ადმინისტრაციული პროცესის მნიშვნელოვანი ინსტიტუტია, რომელიც აძლევს მესამე პირებს უფლებას დაიცვან თავიანთი კერძო, სუბიექტური ინტერესები და რეალურება განახორციელონ ადმინისტრაციული პროცესის ფარგლებში.

მესამე პირების ინსტიტუტის საკანონმდებლო საფუძველს ქმნის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლი. ალნიშნული მუხლის თანახმად, კანონმდებელი განასხვავებს მესამე პირების მარტივ და სავალდებულო (აუცილებელ) ჩაბმას. მესამე პირთა ადმინისტრაციულ პროცესში მოწვევის მარტივი ფორმა შინაარსობრივად განსხვავდება აუცილებელი, საგალდებულო ფორმისაგან. განსხვავება იმაშია, რომ მესამე პირთა ადმინისტრაციულ პროცესში მარტივი ფორმით ჩაბმა საქმის განმხილველი სასამართლოს უფლებაა, ხოლო მესამე პირთა აუცილებელი, სავალდებულო ჩაბმა კი ვალდებულება კონკრეტული გარემოების არსებობისას. სასკ-ის 16.1 მუხლის სწორედ მესამე პირთა მარტივი ჩაბმის ფორმულირებას შეიცავს, 16.2 მუხლის კი აუცილებელი, საგალდებულო ჩაბმის ფორმულირებას. ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირთა მარტივ და სავალდებულო ფორმით ჩაბმას შორის განსხვავებას მნიშვნელობა ენიჭება სწორედ მათვის საპროცესო უფლებაზნარიანობისა და ქმედუნარიანობის მინიჭების თვალსაზრისით. ადმინისტრაციულ პროცესში მარტივი ფორმით ჩაბმული მესამე პირები უფრო შეზღუდული უფლებებით სარგებლობენ, ვიდრე სავალდებულო ფორმით ჩაბმული მესამე პირები.

ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირთა სავალდებულო ჩაბმის ფორმა სახეზეა, თუ მესამე პირი იმ სამართალურთიერთობის მონაწილეა, რომლის თაობაზეც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი. ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირთა მარტივი ჩაბმის დროს გადამწყვეტია მესამე პირთა სამართლებრივი ინტერესები, ხოლო რაც შეეხება აუცილებელ, სავალდებულო ჩაბმას, ამ დროს სამართლებრივი ინტერესის პარალელურად მნიშვნელოვანია ის, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით მესამე პირთა უფლებები და მოვალეობებიც შეიძლება განისაზღვროს.

სასკ-ის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ჩაბმუ-

ლი მესამე პირი არ არის უფლებამოსილი გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება, ვინაიდან ამ სახის მესამე პირის იურიდიულ ინტერესებს სასამართლო გადაწყვეტილება შეიძლება შეეხოს პოტენციურად, სავარაუდოდ. ამდენად, კანონმდებელი პროცესის ამ მონაბილეს, განსხვავებით მე-16 მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული მესამე პირისა, არ აღჭურავს უფლებამოსილებით სადაც გახადოს სასამართლოს გადაწყვეტილება, მესამე პირთა ასეთ დიფერენციაციას განაპირობებს ის გარემოება, რომ სავალდებულო მოწვევის მესამე პირის (16.2 მუხლი) საქმეში ჩაბმა იმპერატიულად არის რეგლამენტირებული ანუ პირი იმ სამართალურთიერთობის სუბიექტია, რომელიც შეიძლება განხილულ იქნეს სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანის არეალში.

შესაბამისად, ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირთა მარტივი ჩაბმა სახეზეა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება მესამე პირთა ინტერესს შეეხოს. ე.ი. სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამ ზემოქმედება მოახდინოს იმ პირთა სამართლებრივ ინტერესზე. ამ დროს საქმე ეხება მხოლოდ სამართლებრივ ინტერესზე ზემოქმედებას და არა რამე უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრას სასამართლოს გადაწყვეტილებით. რაც შეეხება ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირთა სავალდებულო ჩაბმას, აქ სახეზეა მესამე პირთა არამხოლოდ სამართლებრივ ინტერესზე ზემოქმედება სასამართლოს გადაწყვეტილებით, არამედ მათთვის გარკვეული სამართლებრივი უფლებებისა და მოვალეობების დაკისრება. კერძოდ, სასამართლოს გადაწყვეტილებით განისაზღვრება მესამე პირთა უფლება-მოვალეობანიც და არა მარტო მათი სამართლებრივი ინტერესი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლი მესამე პირებად საქმეში ჩაბმის აუცილებლობას ადგენს იმ პირების მიმართ, რომლებიც არიან სადაც სამართალურთიერთობის მონაბილები, რომელთან მიმართებაშიც მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი, ანუ ასეთი პირები იმგვარად არიან დაკავშირებული სადაც სამართალურთიერთობასთან, რომ სასამართლოს მიერ ამ დავის გადაწყვეტის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება გავლენას მოახდენს ამ ურთიერთობასთან დაკავშირებულ, კანონით დაცულ მათ უფლებებსა და ინტერესებზე.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.5. მუხლის მიხედვით აუცილებელი მოწვევის საფუძველზე ჩაბმული მესამე

პირი (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლი) სარგებლობს მოსარჩელისა და მოპასუხის ყველა უფლებით და ეკისრება მოსარჩელის ყველა მოვალეობა, რაც გულისხმობს, რომ ამგვარი სტატუსის მესამე პირი აღჭურვილია მხარის ყველა საპროცესო უფლებით.

მოცემულ საქმეში სარჩელი აღძრულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სარჩელის სახით – მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოსათვის ქმედების განხორციელების დავალება. მოხსოვნის საგანს წარმოადგენს საჯარო ინფორმაციის გაცემის დავალება.

მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია, რომელიც დაცულია მოპასუხესთან, მოიცავს: სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული, ასოცირებული და ასისტენტური პროფესორის კონკურსანტის ანკეტა, პერსონალური მონაცემების – მისამართის, ტელეფონის, ელ. ფოსტის გარდა. სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული ასოცირებული და ასისტენტური პროფესორის კონკურსანტის სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი, მეცნიერების შესაბამისი დარგის სწავლებისა და კვლევის ხედვა ან სამოტივაციო წერილი, ასევე 2013 წლის იანვარში სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებული აკადემიური პერსონალის კონკურსში მონაწილე კანდიდატთა მონაცემთა შესაბამისობა შეფასების კრიტერიუმებთან დადგენილი საკონკურსო კომისიების მიერ, საკონკურსო კომისიების კენჭისყრის შედეგები, რომლის შესაბამისადაც განხორციელდა სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის თანამდებობებზე დანიშვნა.

სააპელაციო სასამართლომ მ. ა-ა მიიჩნია სასკ-ის მე-16 მუხლის 1-ლი ნაწილით, ანუ არასავალდებულო წესით საქმეში მოსაწვევ მესამე პირად, რომელზეც შემოტანილი კერძო საჩივრით მ. ა-ას მიაჩნია, რომ იგი საქმეში სავალდებულო მოწვევის მესამე პირად უნდა ყოფილიყო მოწვეული, რამდენადაც მოხსოვნილი საჯარო ინფორმაცია წარმოადგენს მის პერსონალურ და პროფესიულ საიდუმლოებას. ამ ღოკუმენტაციის ნაწილზე, კერძოდ: „სწავლების და კვლევის ხედვაზე“ (კონცეფცია) ვრცელდება მისი სავტორო უფლებებიც.

საკასაციო სასამართლო კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობით არ იზიარებს კერძო საჩივრის მოტივებს, გასაჩივრებული განჩინება მიაჩნია კანონშესაბამისად და თვლის, რომ მ. ა-ა არ წარმოადგენს სადაც სამართალურთიერთობის მონაწილეს, შესაბამისად, არ არსებობს მისი სასკ-ის მე-16 მუხლის

მე-2 ნაწილით საქმეში სავალდებულო მესამე პირად ჩაბმის მატერიალური და პროცესუალური ნინაპირობები, შემდეგ გარემოებათა გამო:

ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობებში პირის პროცესუალური უფლებების უზრუნველყოფა პირდაპირ კავშირშია მის მატერიალურ-სამართლებრივი უფლებების არსებობის ფაქტთან. პირს მესამე პირის პროცესუალური ინსტიტუტი აძლევს შესაძლებლობას, საპროცესო უფლებების გამოყენების გზით უზრუნველყოს მატერიალურ-სამართლებრივი უფლებების დაცვა.

საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებულ სასამართლო დავებმი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის კანონიერების შეფასებისას სასამართლო სწავლობს უარის კანონიერებას ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. საჯარო დაწესებულების უარი როცა ემყარება იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია განეკუთვნება სხვა პირის პერსონალურ მონაცემებს და მისი თანხმობის გარეშე იგი ხელმისაწვდომი ვერ გახდება, სასამართლო აფასებს, რამდენად ობიექტურად არის მიჩნეული სადავო დოკუმენტაცია სხვა პირის პერსონალურ მონაცემად, იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო გაიზიარებს მოპასუხის უარის საფუძველს და მიიჩნევს მას კანონიერად, ამ პირის უფლებები თავისთავად დაცულია, რამდენადაც ეს ინფორმაცია არ ხდება ხელმისაწვდომი. იმ ვითარებაში, როცა სასამართლო დაადგენს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების უკანონობას, ამგვარი სამართლებრივი შეფასება შეიძლება დაეფუძნოს მხოლოდ იმ ფაქტობრივი გარემოების დადგნენს, რომ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია არ განეკუთვნება სხვა პირის პერსონალურ მონაცემებს, შესაბამისად, მისი თანხმობის მიღების სავალდებულო პირობა ქარწყლდება, რის გამოც პროცესუალური თვალსაზრისით არ არსებობს სუბიექტი, რომლის მატერიალურ-სამართლებრივი უფლებების დაცვა სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველსაყოფად, პროცესუალური უფლებების რეალიზების მეშვეობით უნდა განხორციელდეს.

საკასაციო სასამართლო კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობით მიიჩნევს, რომ სასკ-ის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით საქმეში სავალდებულო მესამე პირად ჩაბმის ინსტიტუტი გამოიყენება იმ სამართლებრივ ურთიერთობებში, სადაც არა სავარაუდოდ, არამედ რეალურად დადგენილია, რომ იგი სადაც სამართალური ურთიერთობის მონაწილეა, რაც გულისხმობს, რომ

ამ სამართალურთიერთობაში ხდება მისი უფლება-მოვალეობების განსაზღვრა, რის გამოც მხარეებს შორის არსებული დავა უშუალოდ ზემოქმედებს მის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებზე, რომელთა დაცვა, რეალიზება, შელახვის პრევენცია პირისავე უფლებას წარმოადგენს. მაგ.: ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული აღმტურებელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სასამართლო წესით გაასაჩივრა პირმა, რომელიც მიიჩნევს, რომ ამ აქტით შეილახა მისი უფლებები. აღმტურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ადრესატი ანუ პირი, რომელიც რაიმე სიკეთეს ან სარგებელს იღებს ამ აქტით, უსათუოდ უნდა იყოს ჩაბმული საქმეში სავალდებულო მესამე პირად, რამდენადაც სადაც აქტით უშუალოდ მისი უფლებაა განსაზღვრული და ამ აქტის კანონიერება/უკანონობის შეფასება შესაბამისი გადაწყვეტილების დადგენისას პირდაპირ ზემოქმედებს მის უფლებებზე, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, გადაწყვეტილებით დადგენილი რეზულტატის მიხედვით, ან იარსებებს, ან მოისპობა, ან შეიზღუდება.

საკასაციო სასამართლო კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობით განმარტავს, რომ სასკ-ის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით საქმეში სავალდებულო მესამე პირად ჩაბმის ინსტიტუტის მიზანს სწორედ ასეთი პირის, სადაც სამართალურთიერთობის მონაწილის მატერიალურ-სამართლებრივი უფლებების დაცვის უზრუნველყოფა წარმოადგენს, რაც შესაბამისი საპროცესო უფლებების რეალიზაციის მეშვეობით უნდა განხორციელდეს.

საკასაციო სასამართლო კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობით მიიჩნევს, რომ განსახილველ სამართალურთიერთობაში კერძო საჩივრის ავტორის მ. ა-ას უფლება, მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით პიპოთეტურ ხასიათს ატარებს, რამდენადაც საქმის განხილვის მომზადების სტადიაზე შეუძლებელია იმ ფაქტობრივი გარემოების დადგენა, მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია წარმოადგენს თუ არა მის პერსონალურ მონაცემებს, ამდენად, მოცემულ სტადიაზე იგი ატარებს სასკ-ის მე-16 მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული მესამე პირის ნიშანს, ანუ იმ პირს, რომლის ინტერესებსაც შეიძლება შეეხოს სასამართლოს გადაწყვეტილება, რაც უზრუნველყოფილია საპელაციო სასამართლოს მიერ საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 243.2, 257-ე, 372-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მ. ა-ს კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისს საპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 23 მაისის სა-ოქმო განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ სა-ჩივრდება.

სავალდებულო მონევის მესამე პირების ჩაბმა პროცესზე

განხილვა

№ბს-494-483(2კს-14)

16 დეკემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ნკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: საქმეში მესამე პირად ჩაბმაზე უარის თქმის კანონიერება

აღწერილობითი ნაწილი:

2013 წლის 28 ივნისს მ. ხ-ამ სარჩელი აღძრა თბილისის საქა-ლაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მო-ბასუხეების ქ. თბილისის მერიის, სსიპ „თბილისის არქიტექტუ-რის სამსახურისა და ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენები-სა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის მიმართ და მოითხოვა: 1. ქ. თბილისის მერიის 2013 წლის 18 მარტის №498 განკარგულების ბათილად ცნობა;

2. ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2013 წლის 13 მარტის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების იმ ნაწილში ბათილად ცნობა, რომელიც შექება ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ... ქ. №124-ში არსებულ მინის ნაკვეთზე მრავალფუნქციური შენობის განთავსების მიზნით ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდას;

3. სსიპ „თბილისის არქიტექტურის სამსახურის“ 2013 წლის 2 აპრილის №621114 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე იმგვარად, რომ მინის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი 0.52-ის ნაცვლად განისაზღვროს 0.5-ით, ხოლო მინის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი ნაცვლად 3.04-ისა განისაზღვროს 1.5-ით;

4. ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2013 წლის 16 მაისის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.

2013 წლის 16 აგვისტოს მ. ხ-ამ შუამდგომლობით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29.3 მუხლის საფუძველზე საქმის განხილვის დასრულებამდე ქ. თბილისის მერიის სსიპ „თბილისის არქიტექტურის სამსახურის“ 2013 წლის 2 აპრილის №621114 ბრძანებისა და ქ. თბილისის მერის 2013 წლის 18 მარტის №498 განკარგულების მოქმედების შეჩერება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 19 აგვისტოს განჩინებით მ. ხ-ას შუამდგომლობა არ დაკამაყოფილდა.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა მ. ხ-ამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის განხილვის დასრულებამდე ქ. თბილისის მერიის სსიპ „თბილისის არქიტექტურის სამსახურის“ 2013 წლის 2 აპრილის №621114 ბრძანებასა და ქ. თბილისის მერის 2013 წლის 18 მარტის №498 განკარგულების მოქმედების შეჩერება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 4 ოქტომბრის განჩინებით მ. ხ-ას კერძო საჩივარი დაკამაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 19 აგვისტოს განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 24 ოქტომბრის განჩინებით მ. ხ-ას

შუამდგომლობა დაკმაყოფილდა; შეჩერდა ქ. თბილისის მერიის სასიპ „თბილისის არქიტექტურის სამსახურის“ 2013 წლის 2 აპრილის №621114 ბრძანებისა და ქ. თბილისის მერის 2013 წლის 18 მარტის №498 განკარგულების მოქმედება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 24 ოქტომბრის განჩინებით საქმეში მესამე პირად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16.2 მუხლის საფუძველზე ჩაბმულ იქნა კ. ა-ე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 6 ნოემბრის განჩინებით საქმეში მესამე პირად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16.2 მუხლის საფუძველზე ჩაბმულ იქნა შპს „...“.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 24 ოქტომბრის განჩინება კერძო საჩივრით გასასაჩივრეს ქ. თბილისის მერიამ, შპს „....მა“ და სსიპ „თბილისის არქიტექტურის სამსახურმა“, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და შუამდგომლობის – ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მოქმედების შეჩერების თაობაზე, დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 28 ნოემბრის განჩინებით ქ. თბილისის მერიის, შპს „....ის“ და სსიპ „თბილისის არქიტექტურის სამსახურის“ კერძო საჩივრები არ დაკმაყოფილდა.

შპს „....მა“ შუამდგომლობით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 24 ოქტომბრის განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 4 დეკემბრის განჩინებით შპს „....ის“ შუამდგომლობა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 24 ოქტომბრის განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

2013 წლის 9 დეკემბერს შპს „....მა“ განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფის შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა კოლეგიის 2013 წლის 10 დეკემბრის განჩინებით შპს „...-ის“ განცხადება მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

2013 წლის 10 დეკემბერს გ. კ-ის წარმომადგენელმა დ. ა-ემ განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა საქმეში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლის თანახმად გ. კ-ის მესამე პირად ჩართვა იმ მოტივით, რომ დავის საგანი ეხება თბილისი, ... ქ. №124-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე გაცემული ადმინისტრაციული აქტის კანონიერებას. სადაცვო აქტები გაცემულია გ. კ-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, რომელზეც 2013 წლის 10 იანვარს შპს „...-თან“ გაფორმებულია აღნაგობის ხელშეკრულება. სადაცვო აქტები ეხება გ. კ-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 11 დეკემბრის განჩინებით საქმეში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლის შესაბამისად ჩაბმულ იქნა გ. კ-ე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 26 თებერვლის განჩინებით მ. ხ-ას სასარჩელო განცხადებაზე – ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2013 წლის 13 მარტის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ და ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2013 წლის 16 მაისის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობაზე, დაუშვებლობის გამო საქმის წარმოება შეწყდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილებით მ. ხ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

2014 წლის 20 მარტს გ. კ-ემ განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფის თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 21 მარტის განჩინებით გ. კ-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფით გამონვეული მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული განჩინება საჩივრით გაასაჩივრა გ. კ-ემ, რომელმაც მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 21 მარტის განჩინების გა-

უქმება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 26 თებერვლის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მ. ხ-ამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა მ. ხ-ამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაქმაყოფილება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 7 აპრილის განჩინებით გ. კ-ის საჩივრი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 24 აპრილის განჩინებით მ. ხ-ას კერძო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 5 მაისის განჩინებით მ. ხ-ას სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 26 ივნისის სასამართლო სხდომაზე გ. კ-ის წარმომადგენელმა დ. ა-ემ იშუამდგომლა სასამართლოს წინაშე ან. გარდაცვლილი გ. კ-ის უფლებამონაცვლედ მისი მეუღლის თ. კ-ის ჩაბმის თაობაზე და წარადგინა სანოტარო აქტი სამკვიდროს გახსნის შესახებ.

მ. ხ-ას წარმომადგენელმა ბ. შ-მა შუამდგომლობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და მოითხოვა საქმის წარმოების შეწერება საქმეში მესამე პირის – გ. კ-ის გარდაცვალების გამო საპროცესო უფლებამონაცვლის დადგენამდე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 26 ივნისის სასამართლო სხდომაზე მ. ხ-ას წარმომადგენელმა ა. მ-ემ იშუამდგომლა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლის შესაბამისად საქმეში მესამე პირად ბ. ქ-ის ჩაბმის თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 26 ივნისის განჩინებით გ. კ-ის წარმომადგენლის დ. ა-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 21 მარტის განჩინება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ

საქმეთა პალატის 2014 წლის 26 ივნისის განჩინებით მ. ხ-ას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 26 ივნისის საოქმო განჩინებით მ. ხ-ას წარმომადგენლის ბ. შ-ის შუამდგომლობა საქმის წარმოების შეჩერების შესახებ არ დაკმაყოფილდა შემდეგი მოტივაციით: განსახილველ საქმეში არსებობდა არა უფლებამონაცვლეობის დადგენამდე საქმის წარმოების შეჩერების, არამედ არსებობდა საქმეში მესამე პირის – ან. გარდაცვლილი გ. კ-ის უფლებამონაცვლედ მისი შეუღლის თ. კ-ის ჩაბმის საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 26 ივნისის საოქმო განჩინებით გ. კ-ის წარმომადგენლის დ. ა-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა. საქმეში მესამე პირის ან. გარდაცვლილი გ. კ-ის უფლებამონაცვლედ ჩაბმულ იქნა მისი შეუღლე – თ. კ-ე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 26 ივნისის საოქმო განჩინებით მ. ხ-ას წარმომადგენლის ა. მ-ის შუამდგომლობა საქმეში მესამე პირად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლის შესაბამისად ბ. ქ-ის ჩაბმის თაობაზე არ დაკმაყოფილდა შემდეგი მოტივაციით: განსახილველ საქმეში დავის საგანს წარმოადგენს ქ. თბილისში, ... ქ. №124-ში არსებულ მინის ნაკვეთზე მრავალფუნქციური შენობის განსათავსებლად განაშენიანების კოეფიციენტის და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გაზრდა და ქ. თბილისში, ... ქ. №124-ში კერძო საკუთრებაში არსებულ მინის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის შეთანხმება. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს შეფასებით მოსარჩელეს არ წარმოუდგენია არაანაირი მტკიცებულება, საიდანაც დადასტურდება, რომ ბ. ქ-ე ნამდვილად ცხოვრობს ქ. თბილისში, ... ქ. №124-ში და აღნიშნულ მისამართზე მიმდინარე სადავო მშენებლობა აუცილებლად შეეხება მის ინტერესებს. ასევე, მხარის მიერ არ არის დასაბუთებული ის საპატიო მიზეზი, თუ რატომ არ იქნა აღძრული აღნიშნული შუამდგომლობა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩინა, რომ განსახილველ საქმეში ბ. ქ-ე არ წარმოადგენს იმ სამართალურთიერთობის მონაწილეს, რომლის თაობაზეც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი ან რომლის ინტერესებაც შეიძლება შეეხოს სასამართლოს გადაწყვეტილება.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ თუ ბ.

ე ნამდვილად ცხოვრობს ქ. თბილისში, ... ქ. №124-ში და აღნიშნულ მისამართზე მიმდინარე სადავო მშენებლობით მას ადგება რაიმე სახის ზიანი, მაშინ მას უფლება აქვს, კანონით დადგენილი წესით დამოუკიდებლადაც მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს მშენებლობასთან დაკავშირებით გამოცემული სა-დავო აქტების ბათოლად ცნობა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 26 ივნისის საოქმო განჩინება, საქმეში მესამე პირად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლის შესაბამისად ბ. ქ-ის ჩაბმაზე უარის თქმის თაობაზე, კერძო საჩივრით გაასაჩივრა მ. ხ-ამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ბ. ქ-ის საქმეში მესამე პირად ჩართვა სასკ-ის 16.2 მუხლის თანახმად იმ მოტივით, რომ მიწის ნაკვეთი, რომელზედაც იგეგმება მშენებლობა სადავო ადმინისტრაციული აქტების თანახმად, მდებარეობს ვაკის რაიონში, ... ქუჩის ბოლოში, ... მიმდებარედ. კვარტალს და მიწის ნაკვეთს, სადაც იგეგმება მშენებლობა, მინიჭებული აქვს საცხოვრებელი ზონა 3-ის სტატუსი. ზონის ინტენსივობის მაჩვენებელი $z=2$ -1,5, რაც იშნავს, რომ იგი წარმოადგენს დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელ ზონას. დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელ ზონაში პარამეტრების იმდენად გაზრდა მოხდა, რომ გადააჭარბა ყველაზე უფრო მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონისათვის დადგენილ პარამეტრებს.

ქალაქმშენებლობითი კოეფიციენტების დადგენის ერთ-ერთი მიზანია, რომ აიკრძალოს შეუსაბამო ობიექტების აღმართვა და მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებმა ზიანი არ მიაყენონ ერთმანეთს, რაც პირდაპირ გამომდინარეობს „სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობის საფუძვლების შესახებ“, კანონის პირველივე მუხლიდან, რომლის თანახმად, სივრცითი მოწყობა და ქალაქმშენებლობის პროცესის რეგლამენტირება ხდება მოსახლეობის ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი და სამოლგაწეო გარემოთი უზრუნველყოფის მიზნით და რაკიდა სამშენებლო კოეფიციენტი მოქმედებს კვარტლისათვის – მისი დარღვევა ზეგავლენას ახდენს მთლიანად კვარტლის მაცხოვრებლებზე.

კერძო საჩივრის ავტორის აღნიშვნით, ბ. ქ-ეს საკუთრების უფლებით ეკუთვნის ქ. თბილისში, ... ქ. №43-ში მდებარე ბინა №34 ფართით 84 კვ.მ. (ს/კ №...), შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში სამართალურთიერთობის მონაწილედ უნდა მივიჩინოთ ყველა სუბიექტი, მათ შორის ბ. ქ-ე, რომლის საცხოვრებე-

ლი გარემოს დაცვა უზრუნველყოფილია კანონით დადგენილი სამშენებლო კოეფიციენტის დადგენით. სამშენებლო კოეფიციენტის გაზრდის მართლზომიერებასთან დაკავშირებით შესაძლებელია მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანა ... ქუჩის მაცხოვრებელთათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოვა, რომ მიღებული გადაწყვეტილება ეხება მხოლოდ ერთ მაცხოვრებელს – მ. ხ-ას, მაგრამ არ შეეხება სხვა მაცხოვრებლებს, რაც კერძო საჩივრის ავტორის აღნიშვნით, არასწორია. სასკ-ის 16.2 მუხლის თანახმად, პ. ქ-ე და მისი კატეგორიის პირები აუცილებლად უნდა იქნენ საქმეში ჩაბმულნი, რადგან ისინი არიან იმ სამართლურთიერთობის მონაწილენი, რომლის თაობაზეც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანა შესაძლებელი.

ასევე, კერძო საჩივრის ავტორის აღნიშვნით, სააპელაციო სასამართლომ 2014 წლის 26 ივნისის სასამართლოს სხდომის დარბაზიდან უსაფუძვლოდ გააძევა მისი ორივე ადვოკატი, რის შემდეგაც სხდომა არ გადადებულა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლის მეოთხე ნაწილის იმპერატიული მოთხოვნის მიუხედავად.

ადვოკატ ა. მ-ის გაძევება მოხდა მესამე პირის სახით პ. ქ-ის საქმეში მესამე პირად ჩაბმის შუამდგომლობს განხილვის პროცესში (იმ ეტაპზე მისი მეორე ადვოკატი პ. შ-ი უკვე გაძევებული იყო სხდომის დარბაზიდან), მაგრამ შუამდგომლობის განხილვა ჩვეულებრივ გაგრძელდა. ადვოკატს არ მიეცა საშუალება წარედგინა პ. ქ-ის საკუთრების დამადასტურებელი მტკიცებულება (საჯარო რეესტრიდან ამონაწერი), რაც გახდა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი.

შესაბამისად, კერძო საჩივრის ავტორი ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 26 ივნისის საოქმო განჩინების გაუქმებას და საქმეში მესამე პირად სასკ-ის 16.2 მუხლის საფუძველზე პ. ქ-ის ჩაბმას, კერძო საჩივარს ერთვის პ. ქ-ის საკუთრების დამადასტურებელი მტკიცებულება (12.09.13ნ. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან).

2014 წლის 2 დეკემბერს პ. ქ-ემ განცხადებით მომართა საკასაციო სასამართლოს მ. ხ-ას კერძო საჩივართან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მხარს უჭერს მ. ხ-ას მოთხოვნას. უკანონო მშენებლობა, რომლის თაობაზე დავობს იგი, უხეშად არღვევს არა მხოლოდ მის, არამედ მთელი კვარტლის მაცხოვრებლების ინტერესებს.

2013 წელს დაინყო მშენებლობა ... ქ. №124-ში. ამ მშენებლო-

ბის თაობაზე ბოლო პერიოდში ატეხილი აუიოტაჟის შედეგად გაირკვა, რომ დაგეგმილია 7-სართულიანი მრავალპროფილიანი კორპუსის მშენებლობა და არა 3 სართულიანი სახლის, როგორც აქამდე იყო ცნობილი. უბანი, სადაც ცხოვრობენ და კერძოდ კი ... ქუჩა მთლიანად განაშენიანებულია 2-სართულიანი (გამონაკლისის სახით 3-სართულიანი) კერძო სახლებით. კვარტალი დაბალი განაშენიანების ზონას წარმოადგენს და 7-სართულიანი კომპლექსის მშენებლობა ამ უბანში მცხოვრებთა ინტერესების სრულ უგულვებელყოფას წარმოადგენს. ქალაქისთვის, კვარტლისათვის და სახელდობრ ... ქუჩის მაცხოვრებლებისათვის უდიდესი მნიშვნელობის მქონე სადაცო ადმინისტრაციული აქტი იმგვარად გამოიცა, რომ ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ინფორმაცია არ ჰქონიათ არცერთ დაინტერესებულ პირს, რომლებიც ცხოვრობენ ამ უბანში, სადაც იგეგმება მშენებლობა გაზრდილი პარამეტრებით, რითაც დაირღვა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლი. განმცხადებლის აზრით, არცერთ ცივილურზებულ საზოგადოებაში არ უნდა იზრდებოდეს კვარტლისათვის დადგენილი სამშენებლო კოეფიციენტი ისე, რომ საკითხის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო არც კი ინტერესდებოდეს ამ კვარტლის მაცხოვრებლების მოსაზრებით. ასეთი საკითხების გადაწყვეტისას უნდა ეწყობოდეს საჯარო განხილვები, რაც მათ შემთხვევაში არ მომხდარა. ამიტომ, ქუჩის მაცხოვრებლებისათვის მხოლოდ ახლა გახდა ცნობილი, თუ რა საშიშროების წინაშე აღმოჩნდებიან ქ. თბილისის მერიის 2013 წლის 18 მარტის №498 განკარგულების შედეგად.

განმცხადებლის აღნიშვნით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლის თანახმად, მესამე პირი აუცილებლად უნდა იქნეს ჩაბმული საქმეში, თუ იგი არის იმ სამართალურთიერთობის მონაზილე, რომლის თაობაზეც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი. განსახილველ შემთხვევაში სამართალურთიერთობის მონაზილედ უნდა მიჩნეულ იქნენ ყველა სუბიექტი, რომლის საცხოვრებელი გარემოს დაცვა უზრუნველყოფილია კანონით დადგენილი სამშენებლო კოეფიციენტის დადგენით. სამშენებლო კოეფიციენტის გაზრდის მართლზომიერებასთან დაკავშირებით შესაძლებელია მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანა ტიციან ტაბიძის ქუჩის მაცხოვრებელთათვის.

შესაბამისად, განმცხადებელი ითხოვს მ. ხ-ას კერძო საჩივრის დაკმაყოფილებას და საქმეში მესამე პირად სასკ-ის 16.2 მუხლის შესაბამისად ჩაბმას, რათა მიეცეს საშუალება დაიცვას

მისი დარღვეული უფლება და კანონით დაცული ინტერესი. განმცხადებელმა წარმოადგინა მისი საკუთრების დამადასტურებელი მტკიცებულება (12.09.13ნ. ამონანერი საჯარო რეესტრი-დან).

კერძო საჩივარზე მხარეებს და მესამე პირებს წერილობითი შეპასუხება არ წარმოუდგენიათ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, კერძო საჩივრის კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიღა იმ დასკვნამდე, რომ მ. ხ-ას კერძო საჩივარი უნდა დაქმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 26 ივნისის საოქმო განჩინება და საქმე, მ. ხ-ას წარმომადგენლის ა. მ-ის შუამდგომლობის, საქმეში სასკ-ის 16.2 მუხლის საფუძველზე პ. ქ-ის ჩაბმის თაობაზე, ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას დაარღვია საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-394-ე მუხლებით განსაზღვრული მოთხოვნები, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოიყენებინა და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოიყენებინა.

მოცემულ საქმეში დავის საგანს წარმოადგენს ქ. თბილისში, ... ქ. №124-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური შენობის განსათავსებლად განაშენიანების კოეფიციენტის და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გაზრდა და ქ. თბილისში, ... ქ. №124-ში კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელის სახლის არქიტექტურული პროექტის შეთანხმება.

მოსარჩევე ითხოვს სასკ-ის 16.2 მუხლის საფუძველზე საქმეში პ. ქ-ის ჩაბმას მესამე პირად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში დამკვიდრებულია როგორც მხარეთა და პოტენციურ მესამე პირთა საპროცესო უფლება – მიმართონ სასამართლოს საქმეში მესამე პირის ან მესამე პირად ჩაბმის მოთხოვნით, აგრეთვე, ოფიციალობის პრინციპის გათვალისწინებით სასამართლოს გააჩინა, როგორც უფლებამოსილება, ასევე აკისრია პროცესუალური ვალდებულება მესამე პირის ჩაბმის თაობაზე, რაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი

დავების მატერიალურ-სამართლებრივი და პროცესუალური თავისებურებებიდან გამომდინარეობს.

მესამე პირთა სამართლებრივი ინტერესის დაცვის მიზნის მიღწევას ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირთა მოწვევის ინსტიტუტი ემსახურება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მესამე პირის ინსტიტუტი ადმინისტრაციული პროცესის მნიშვნელოვანი ინსტიტუტია, რომელიც აძლევს მესამე პირებს უფლებას დაიცვან თავიანთი კერძო, სუბიექტური ინტერესები და რეალურება განახორციელონ ადმინისტრაციული პროცესის ფარგლებში.

მესამე პირების ინსტიტუტის საკანონმდებლო საფუძველს ქმნის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლი. ალნიშნული მუხლის თანახმად, კანონმდებელი განასხვავებს მესამე პირების მარტივ და სავალდებულო (აუცილებელ) ჩაბმას. მესამე პირთა ადმინისტრაციულ პროცესში მოწვევის მარტივი ფორმა შინაარსობრივად განსხვავდება აუცილებელი, საგალდებულო ფორმისაგან. განსხვავება იმაშია, რომ მესამე პირთა ადმინისტრაციულ პროცესში მარტივი ფორმით ჩაბმა საქმის განმხილველი სასამართლოს უფლებაა, ხოლო მესამე პირთა აუცილებელი, სავალდებულო ჩაბმა კი ვალდებულება კონკრეტული გარემოების არსებობისას. სასკ-ის 16.1 მუხლის სწორედ მესამე პირთა მარტივი ჩაბმის ფორმულირებას შეიცავს, 16.2 მუხლის კი აუცილებელი, საგალდებულო ჩაბმის ფორმულირებას. ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირთა მარტივ და სავალდებულო ფორმით ჩაბმას შორის განსხვავებას მნიშვნელობა ენიჭება სწორედ მათვის საპროცესო უფლებაზნარიანობისა და ქმედუნარიანობის მინიჭების თვალსაზრისით. ადმინისტრაციულ პროცესში მარტივი ფორმით ჩაბმული მესამე პირები უფრო შეზღუდული უფლებებით სარგებლობენ, ვიდრე სავალდებულო ფორმით ჩაბმული მესამე პირები.

ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირთა სავალდებულო ჩაბმის ფორმა სახეზეა, თუ მესამე პირი იმ სამართალურთიერთობის მონაწილეა, რომლის თაობაზეც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი. ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირთა მარტივი ჩაბმის დროს გადამწყვეტია მესამე პირთა სამართლებრივი ინტერესები, ხოლო რაც შეეხება აუცილებელ, სავალდებულო ჩაბმას, ამ დროს სამართლებრივი ინტერესის პარალელურად მნიშვნელოვანია ის, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით მესამე პირთა უფლებები და მოვალეობებიც შეიძლება განისაზღვროს.

სასკ-ის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ჩაბმუ-

ლი მესამე პირი არ არის უფლებამოსილი გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება, ვინაიდან ამ სახის მესამე პირის იურიდიულ ინტერესებს სასამართლო გადაწყვეტილება შეიძლება შეეხოს პოტენციურად, სავარაუდოდ. ამდენად, კანონმდებელი პროცესის ამ მონაწილეს, განსხვავებით მე-16 მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული მესამე პირისა, არ აღჭურავს უფლებამოსილებით სადაც გახადოს სასამართლოს გადაწყვეტილება, მესამე პირთა ასეთ დიფერენციაციას განაპირობებს ის გარემოება, რომ სავალდებულო მოწვევის მესამე პირის (16.2 მუხლი) საქმეში ჩაბმა იმპერატიულად არის რეგლამენტირებული ანუ პირი იმ სამართალურთიერთობის სუბიექტია, რომელიც შეიძლება განხილულ იქნეს სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანის არეალში.

შესაბამისად, ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირთა მარტივი ჩაბმა სახეზეა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება მესამე პირთა ინტერესს შეეხოს. ე.ი. სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამ ზემოქმედება მოახდინოს იმ პირთა სამართლებრივ ინტერესზე. ამ დროს საქმე ეხება მხოლოდ სამართლებრივ ინტერესზე ზემოქმედებას და არა რამე უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრას სასამართლოს გადაწყვეტილებით. რაც შეეხება ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირთა სავალდებულო ჩაბმას, აქ სახეზეა მესამე პირთა არამხოლოდ სამართლებრივ ინტერესზე ზემოქმედება სასამართლოს გადაწყვეტილებით, არამედ მათთვის გარკვეული სამართლებრივი უფლებებისა და მოვალეობების დაკისრება. კერძოდ, სასამართლოს გადაწყვეტილებით განისაზღვრება მესამე პირთა უფლება-მოვალეობანიც და არა მარტო მათი სამართლებრივი ინტერესი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლი მესამე პირებად საქმეში ჩაბმის აუცილებლობას ადგენს იმ პირების მიმართ, რომელიც არიან სადაც სამართალურთიერთობის მონაწილეები, რომელთან მიმართებაშიც მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი, ანუ ასეთი პირები იმგვარად არიან დაკავშირებული სადაც სამართალურთიერთობასთან, რომ სასამართლოს მიერ ამ დავის გადაწყვეტის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება გავლენას მოახდენს ამ ურთიერთობასთან დაკავშირებულ, კანონით დაცულ მათ უფლებებსა და ინტერესებზე.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.5. მუხლის მიხედვით აუცილებელი მოწვევის საფუძველზე ჩაბმული მესამე

პირი (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლი) სარგებლობს მოსარჩევისა და მოპასუხის ყველა უფლებით და ეკისრება მოსარჩელის ყველა მოვალეობა, რაც გულისხმობს, რომ ამგვარი სტატუსის მესამე პირი აღჭურვილია მხარის ყველა საპროცესო უფლებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ ხელახლა უნდა იმსჯელოს სასკ-ის 16.2 მუხლის საფუძველზე, საქმეში მესამე პირად პ. ქ-ის ჩაბმის თაობაზე, ვინაიდან კერძო საჩივრის ავტორის მიერ საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილი იქნა 2013 წლის 12 სექტემბრის ამონანერი საჯარო რეესტრიდან, რომლითაც დასტურდება პ. ქ-ის საკუთრება ქ. თბილისში, ... ქ. №43, ბინა №34-ში, რაც სააპელაციო სასამართლოს მსჯელობისა და შეფასების საგანი არ ყოფილა.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, საქმის განმხილველმა სასამართლომ სასკ-ის 16.2 მუხლით დაკისრებული ვალდებულების კვალიფიციური შესრულების მიზნით ობიექტურად უნდა გამოიკვლიოს და დაადგინოს განსახილველი სამართალურთიერთობის, რომლის დავის საგანს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები წარმოადგენს, მონანილე პირები, რომელთა მიმართ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების მიღებაა შესაძლებელი, რაც კონკრეტულ დავაში გულისხმობს გასაჩივრებული აქტების იურიდიული შედეგების გავრცელების სუბიექტების დადგენას, პირის სუბიექტურ უფლებაზე ზეგავლენის, ზემოქმედების თვალსაზრისით.

სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს, სადაცო აქტები ეხება თუ არა მოსარჩელეს, მისი საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტის გათვალისწინებით, რამდენადაც საქმეში მესამე პირის სასკ-ის 16.2 მუხლის საფუძველზე ჩაბმა ემსახურება მომავალში ამ პირების მიერ სადაცო აქტების კანონიერებაზე დამოუკიდებელი სარჩელების აღდვრა-განხილვის პრევენციას.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კერძო საჩივარი შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისათვის, ამასთან, საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, თავად მიიღოს საქმეზე ახალი განჩინება, რადგან სსსკ-ის 412.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საჭიროა მტკიცებულებათა გამოკვლევა და საპელაციო სასამართლომ უნდა გააკეთოს დასკვნა რამდენად წარმოადგენს პ. ქ-ე მოცემულ საქმეში სამართალურთიერთობის მონანილე მხარეს, რომლის თაობაზეც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მ. ხ-ას

კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 26 ივნისის საოქმო განჩინება და საქმე მ. ხ-ას წარმომადგენლის ა. მ-ის შუამდგომლობის, საქმეში სასკ-ის 16.2 მუხლის საფუძველზე ბ. ქ-ის ჩაბმის თაობაზე, ხელახლა შემოწმების სტადიიდან განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 390-ე, 399-ე, 419-420-ე, 412-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მ. ხ-ას კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 26 ივნისის საოქმო განჩინება და საქმე მ. ხ-ას წარმომადგენლის ა. მ-ის შუამდგომლობის, საქმეში სასკ-ის 16.2 მუხლის საფუძველზე ბ. ქ-ის ჩაბმის თაობაზე, ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯები გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმეში მესამე პირად ჩაბმის მოთხოვნის კანონიერება

განჩინება

№პს-550-537(ქს-14)

10 მარტი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმი-
ნისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 22 ივნისის განჩინე-
ბის ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება;

აღნერილობითი ნაწილი:

შპს „...“ სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამარ-
თლოს მოპასუხების: ქ.ქუთაისის მერიის და ქ. ქუთაისის საკ-
რებულოს მიმართ, რომლითაც მოითხოვა ქ.ქუთაისის საკრებუ-
ლოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 იანვრის №15 ბრძანების ბა-
თილად ცნობა.

მოსარჩელის მითითებით შპს „...“ და ქალაქ ქუთაისის მერი-
ას შორის 2007 წლის 7 ნოემბერს დაიდო აღნაგობის ხელშეკრუ-
ლება, რომელშიც ბოლო ცვლილებები განხორციელდა 2010
წლის 31 აგვისტოს. აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე
შპს „...“ პირდაპირი განკარგვის წესით, აღნაგობის უფლებით,
45 წლის ვადით სარგებლობაში გადაეცა თვითმმართველი ერ-
თულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება – მინს ნაკ-
ვეთი, საერთო ფართით 2171 კვ.მ., რომელზეც შპს „...“ მიერ გან-
ხორციელდა სამშენებლო სამუშაოები. მითითებული ხელშეკ-
რულება, შპს „...“ წინასწარ შეუტყობინებლად, ხელშეკრულე-
ბის პირობების შეუსრულებლობის მოტივით, გაუქმებულ იქნა
ქალაქ ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის 2011 წლის 20
იანვრის ბრძანებით, რაც მოსარჩელის აზრით, უკანონოა, ვინა-
იდან შპს „...“ მხრიდან ადგილი არ ჰქონია ხელშეკრულების პი-
რობების დარღვევას.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 31 მარტის გა-
დაწყვეტილებით შპს „...“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სა-
აპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „...“.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ

საქმეთა პალატის 2011 წლის 22 ივნისის განჩინებით დამტკიც-და მხარეთა შორის მორიგება, რომლითაც თვითმმართველი ქ. ქუთაისის საკრებულოსა და მერიას შორის აღდგა ქალაქ ქუთაისის მერიასა და შპს „...“ შორის 2007 წლის 7 ნოემბერს დადებული №4 აღნაგობის ხელშეკრულების მოქმედება 2011 წლის 10 იანვრიდან და შპს „...“ გააგრძელა აღნაგობით გადაცემული მინის ნაკვეთით სარგებლობა ზემოთ მითითებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად; თვითმმართველი ქ. ქუთაისის საკრებულომ და მერიამ იკისრეს ვალდებულება შპს „...“ მიერ თვითმმართველობის მიმართ არსებული დაგვალიანების – 19226 ლარის დაფარვიდან 5 დღის ვადაში ქ. ქუთაისის მერიასა და შპს „...“ შორის 2007 წლის 7 ნოემბერს დადებული №4 აღნაგობის ხელშეკრულების გაუქმების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 იანვრის №15 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების უზრუნველყოფა; შპს „...“ აღიარა, რომ ქალაქ ქუთაისის მერიასა და შპს „...“ შორის 2007 წლის 7 ნოემბერს დადებული №4 აღნაგობის ხელშეკრულების ფარგლებში მას თვითმმართველი ქ. ქუთაისის ბიუჯეტის სასარგებლოდ გადასახდელი აქვს აღნაგობის ქირის დავალიანება, რაც შეადგენს 19226 ლარს და მიმდინარე წლის 31 აგვისტომდე იკისრა შისი გადახდის ვალდებულება; დადგენილ იქნა სადავო თანხის დაფარვისა და „ქალაქ ქუთაისის მერიასა და შპს „...“ შორის 2007 წლის 7 ნოემბერს დადებული №4 აღნაგობის ხელშეკრულების გაუქმების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 იანვრის №15 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შემდგომ ქალაქ ქუთაისის მერიასა და შპს „...“ შორის 2007 წლის 7 ნოემბერს დადებული №4 აღნაგობის ხელშეკრულების ამოქმედება მასში დადგენილი წესით შეტანილი ყველა ცვლილების გათვალისწინებით; ხელშეკრულებით გათვალისწინებული აღნაგობის ქირის ათვლა დაიწყო 2011 წლის 1 იანვრიდან; შპს „...“ აიღო ვალდებულება უზრუნველეყო 2012 წლის 1 აპრილამდე აღნაგობით გადაცემულ მინის ნაკვეთზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შენობა-ნაგებობის (სავაჭრო ცენტრის) გარე იერსახე და ფასადის კეთილმოწყობა; შპს „...“ და მ. წ-ეს, გ. კ-ეს, ჯ. ა-ეს, ს. ბ-ეს, თ. ქ-ეს, ო. თ-ესა და ვ. ბ-ს შორის გაფორმებული წინასწარი ვადიანი ნასყიდობის/საიჯარო ხელშეკრულებების მოქმედების მაქსიმალურ ვადად განისაზღვრა ქალაქ ქუთაისის მერიასა და შპს „...“ შორის 2007 წლის 7 ნოემბერს დადებული №4 აღნაგობის ხელშეკრულების ვადა, რომლის გასვლის შემდეგაც ნასყიდო-

ბის ობიექტი, საკუთრებაში რჩება პირვანდელ მესაკუთრეს ან წინამდებარე მორიგების შპს „...“ ბრალით (რაც გულისხმობს შპს „...“ მიერ წინამდებარე მორიგების აქტით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევას) გაუქმების, ასევე აღნაგობით გადაცემულ მიწის ნაკვეთზე აშენებული შენობა-ნაგებობის თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მიერ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 239-ე მუხლით დადგენილი წესით გამოსყიდვის შემთხვევაში – თვითმმართველს ქალაქ ქუთაისს; შპს „...“ იყისრა ვალდებულება, რომ მიწის ნაკვეთით სარგებლობის მოელი პერიოდის განმავლობაში მიწის ნაკვეთზე მშენებარე ან აშენებულ შენობა-ნაგებობებზე, ან მის რომელიმე ნაწილზე მის მიერ მესამე პირებთან წინასწარი ვადიანი ნასყიდობის, ვადიანი ნასყიდობის ან იჯარის ხელშეკრულების გაფორმების შემთვევაში ხელშეკრულების ვადა იქნება არაუმეტეს ქალაქ ქუთაისის მერიასა და შპს „...“ შორის 2007 წლის 7 ნოემბერს დადებული №4 აღნაგობის ხელშეკრულების ვადისა, რომლის გასვლის შემდეგაც ნასყიდობის/იჯარის ობიექტი, საკუთრებაში რჩება პირვანდელ მესაკუთრეს ან წინამდებარე მორიგების შპს „...“ ბრალით (რაც გულისხმობს შპს „...“ მიერ წინამდებარე მორიგების აქტით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევას) გაუქმების, ასევე აღნაგობით გადაცემულ მიწის ნაკვეთზე აშენებული შენობა-ნაგებობის თვითმმართველი ქ. ქუთაისის მიერ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 239-ე მუხლით დადგენილი წესით გამოსყიდვის შემთხვევაში – თვითმმართველ ქალაქ ქუთაისს; შპს „...“ იყისრა ვალდებულება სარგებლობაში გადაცემული მიწის ნაკვეთი გამოიყენოს მხოლოდ დანიშნულებისამებრ, ქალაქ ქუთაისის მერიასა და შპს „...“ შორის 2007 წლის 7 ნოემბერს დადებული №4 აღნაგობის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად; მხარეები შეთანხმდნენ, რომ წინამდებარე მორიგების (ქალაქ ქუთაისის მერიასა და შპს „...“ შორის 2007 წლის 7 ნოემბერს დადებული №4 აღნაგობის ხელშეკრულებისა და წინამდებარე მორიგების აქტით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევას) გაუქმების შემთხვევაში ქალაქ ქუთაისში, ... გამზირი №67-ის დასავლეთით მდებარე ტერიტორიასა და გზის მონაკვეთზე, მიწის ნაკვეთზე (ფართობით 1871 კვ.მ) აშენებულ ან მშენებარე ნაგებობასთან დაკაშირებით შპს „...“ და მესამე პირებს შორის დადებული ყოველგვარი ხელშეკრულება, მათ შორის როგორც ვადიანი ნასყიდობის, ასევე წინასწარი ვადიანი ნასყიდობის და საიჯარო ხელშეკრულებებიც ძალაშია არაუმეტეს ქალაქ ქუთაისის მერიასა და შპს „...“ შორის 2007 წლის 7 ნოემბერს დადებული №4 აღნაგობის ხელშეკრუ-

ლების ვადით, რომლის გასვლის შემდეგ ხელშეკრულების ობიექტი გადადის თვითმმართველი ქ.ქუთაისის საკუთრებაში, ხოლო შპს „...“ და თვითმმართველი ქ.ქუთაისის მერიას შორის შემდგომი უფლებები და ვალდებულებები განისაზღვრა 2007 წლის 7 ნოემბრის №4 აღნაგობის ხელშეკრულებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2014 წლის 5 მარტს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა არარეზიდენტი ფ/პ-ის ა. წ-ის წარმომადგენელმა ე. ტ-ემ, რომლითაც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 22 ივნისის განჩინების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განხლება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 8 აპრილს განჩინებით ა. წ-ის წარმომადგენლის ე. ტ-ის განცხადება არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე და 422-ე მუხლებით და მიუთითა ზემოაღნიშნული განჩინებით დამტკიცებული გარიგების შინაარსზე, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილის პირველი პუნქტით განსაზღვრულია, რომ „თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის საკრებულო და მერია თანახმა არიან აღდგეს ქალაქ ქუთაისის მერიასა და შპს „...“ შორის 2007 წლის 7 ნოემბერს დადებული №4 აღნაგობის ხელშეკრულების მოქმედება 2011 წლის 10 იანვრიდან და შპს „...“ გააგრძელოს აღნაგობით გადაცემული მინის ნაკვეთით სარგებლობა ზემოთ მითითებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად“. ამდენად, ამ განჩინების საფუძველზე არ მომხდარა თვითმმართველი ქ.ქუთაისის საკრებულოს და მერიის მიერ ქონების (... გამზირის №50-ის დასავლეთით მდებარე მინის ნაკვეთის) უშუალო განკარგვა. აღნიშნული ქონება განკარგულია ქალაქ ქუთაისის მერიასა და შპს „...“ შორის 2007 წლის 7 ნოემბერს დადებული №4 ხელშეკრულებით, რომლითაც შპს „...“ პირდაპირი განკარგის წესით, აღნაგობის უფლებით 45 წლის ვადით სარგებლობაში გადაეცა თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთები, საერთო ფართით 2171 კვ/მ, მდებარე ქ.ქუთაისში, ... გამზირზე, ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე, ნაკვეთი №5 – 1037 კვ.მ.; ნაკვეთი №6 – 834 კვ/მ და ... გამზირის №50-ის დასავლეთით უნივერმალი „...“ მიმდებარე 300 კვ/მ მინის ნაკვეთი. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, მოცემულ შემთხვევაში გან-

მცხადებლის განმარტებით, რომ იგი ელოდებოდა ქ. ქუთაისში, ... გამზირზე მდებარე ზემოაღნიშნულ უძრავ ქონებაზე უფლების შეძენას და მას ქუთაისის მერია აღუთქვამდა მის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული სადავო მიწის ნაკვეთის გადაცემას, არ შეიძლება ერთმნიშვნელოვნად დადგენილ იქნეს, რომ აღნიშნული მოლოდინი საკუთრების უფლების შეძენით დამთავრდებოდა. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ გასაჩივრებული განჩინება ა. წ-ის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ არ შეხებია და, შესაბამისად, არ არსებობს საქმის წარმოების განახლებისათვის, კანონით დადგენილი, აუცილებელი საფუძვლები.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 8 აპრილის განჩინება კერძო სააჩივრით გასაჩივრა ა. წ-ის წარმომადგენელმა ე. ტ-ემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია დადგენილად, რომ 2011 წლის 22 ივნისის განჩინებით არ მომხდარა თვითმმართველი ქ. ქუთაისის საკურებულოს და მერიის მიერ ქ. ქუთაისში, ... გამზირის №50-ის დასავლეთით მდებარე მიწის ნაკვეთის უშუალო განკარგვა, ასევე აღნიშნული ქონება განკარგულია ქ. ქუთაისის მერიისა და შპს „...“ შორის 2007 წლის 7 ნოემბერს დადგებული №4 ხელშეკრულებით და ა. წ-ი არ წარმომადგენდა ქ. ქუთაისის საკურებულოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 იანვრის №15 ბრძანებით ბათილად ცნობილი 2007 წლის 7 ნოემბრის ხელშეკრულების მხარეს. განმცხადებლის მოსაზრებით, ა. წ-ი მართალია არ იყო ხელშეკრულების მხარე, თუმცა ის, რომ იგი დაინტერესებული პირია და რომ აღნიშნული განჩინება მის კანონიერ ინტერესებს ეხება ეს ცალსახაა.

კერძო საჩივრის ავტორი ასევე განმარტავს, რომ ა. წ-ის მიერ 2008 წელს გასაჩივრებულ იქნა ქ. ქუთაისის მერის №1691 ბრძანება და ამის საფუძველზე ქ. ქუთაისის მერიისა და შპს „...“ შორის დადგებული 2007 წლის 7 ნოემბრის №4 ხელშეკრულება. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით მისი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, ხოლო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 19 აპრილის განჩინებით გაუქმდა ქ. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 13 ოქტომბრის განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს. სწორედ ამ ეტაპის შემდგომ, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში საქმის წარმოებისას, არარეზიდენტ

ფ/პ-ის ა. წ-ის წარმომადგენელმა გამოიხმო სარჩელი, ვინაიდან ქ-ქუთაისის მერია მას დაპირდა, რომ ქ-ქუთაისის მერიასა და შპს „...“ შორის დადებული 2007 წლის 7 ნოემბრის №4 ხელშეკრულება გაუქმდებოდა, რაც ადმინისტრაციულმა ორგანომ განახორციელა კიდეც, თუმცა იგი ასევე დაპირდა კერძო საჩივრის ავტორს, რომ მასთან დადებდა ხელშეკრულებას ქ. ქუთაისში, ... გამზირი №50-ში უნივერმალი „...“ დასავლეთით მდებარე 1300 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე. ქ.თბილისის მერიასა და შპს „....“ შორის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 22 ივნისის განჩინებით დამტკიცებული მორიგების აქტით აღდგა ქ-ქუთაისის მერიასა და შპს „...“ შორის დადებული 2007 წლის 7 ნოემბრის №4 ხელშეკრულება, რომლითაც შპს „...“ განსაკარგავად გადაეცა ქ-ქუთაისში, ... გამზ. №50ა-თან მიმდებარე ტერიტორიის 1300 კვ.მ მიწის ფართობი, რაც პრაქტიკიც იყო ა. წ-ის გამგებლობაში და რაზეც დღემდე იხდის ქონების გადასახადს.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, კერძო საჩივრის ავტორი დაუსაბუთებლად და უკანონოდ მიიჩნევს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 8 აპრილის განჩინებას, მოითხოვს მის გაუქმებას და საქმის წარმოების განახლებას, რომელზეც არარეზიდენტი ფ/პ ა. წ-ი, როგორც დაინტერესებული პირი მიწვეული იქნება საქმის განხილვაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ა. წ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო, შესაბამისად, უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 8 აპრილის განჩინებაში შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალ-წარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის

წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არ-სებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების გა-ნახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წანამძღვრები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, კანონი-ერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის განცხადებით შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ პირი, რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერე-სებს უშუალოდ ეხება მიღებული გადაწყვეტილება, არ იყო მოწ-ვეული საქმის განხილვაზე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული სა-მართალწარმოება წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამარ-თლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე დავის გადაწყვეტის მიზნით საქმისწარმოების პროცესს, რომელიც მატერიალურ-სამართლებრივი უფლებების რეალიზების პროცესუალური სა-შუალება.

ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირად ჩაბმა უზრუნ-ველყოფს ამ პირის სამართლებრივი (სამართლის ნორმებით და-ცული) ინტერესებისა და უფლებების დაცვას, საქმის ყოველ-მხრივ განხილვას, პროცესის ეკონომიკურობას, სამართლებრივ უზრუნველყოფას. საქმეში მესამე პირად ჩასაბმელი პირის სა-მართლებრივი მდგომარეობა განისაზღვრება მისი როგორც მა-ტერიალურ-სამართლებრივი, ასევე პროცესუალურ-სამარ-თლებრივი დაინტერესებით საქმის მსვლელობისადმი. მესამე პირთა ინსტიტუტი, რომელიც ადმინისტრაციული პროცესის მნიშვნელოვან ინსტიტუტს განეკუთვნება, შესაძლებლობას ანიჭებს საქმეში ამ სტატუსით მონაწილე პირებს მოახდინონ თავიანთი კერძო, სუბიექტური ინტერესების დაცვა ადმინის-ტრაციული პროცესის ფარგლებში. მესამე პირთა ინსტიტუტი მოქმედებს იმ პირთა მიმართ, რომლებიც არ წარმოადგენენ ად-მინისტრაციული პროცესის მხარეებს, მაგრამ შესაძლოა სასა-მართლოს გადაწყვეტილებით განესაზღვროთ გარკვეული უფ-ლებები და მოვალეობები. მოქმედი საპროცესო კანონმდებლო-ბა განასხვავებს მესამე პირთა ორ კატეგორიას – მარტივ და სავალდებულო მოწვევის მესამე პირებს.

ამდენად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მესამე პირთა მარტივი მოწვევა სასამართლოს უფლებამოსილებას განეკუთ-ვნება, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სავალდებულო მოწვევა – სასამართლოს ვალდებულებას.

როგორც აღინიშნა, მესამე პირების ინსტიტუტი უფლებას აძლევს მათ მოახდინონ საკუთარი კერძო, სუბიექტური ინტერესების დაცვა და რეალიზება ადმინისტრაციული პროცესის ფარგლებში. მესამე პირების ინსტიტუტის საფუძველს ადმინისტრაციულ კანონმდებლობაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლი ქმნის. პალატა განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილი მესამე პირებად საქმეში ჩაბმის აუცილებლობას ადგენს იმ პირების მიმართ, რომლებიც არინ სადაცო სამართალურთიერთობის მონაწილეები, რომელთან მიმართებაშიც მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანა შესაძლებელი. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ მართებულად არ მიიჩნია ა. წ-ი იმ პირად, რომლის ინტერესებსაც ეხებოდა მოცემულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება, რამდენადაც განმცხადებელი მოცემულ სადაცო სამართალურთიერთობის მონაწილედ მიიჩნევს იმ საფუძვლით, რომ იგი პრეტენზიას აცხადებს იმ მიწის ნაკვეთზე, რომელზეც მხარეთა შორის გაფორმებულია ზემოაღნიშნული აღნაგობის ხელშეკრულება, ამასთან, იგი აცხადებს, რომ ქ. ქუთაისის მერია ხელშეკრულების გაუქმების პირობებში პირდებოდა სადაცო მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემას. საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის ავტორის ყურადღებას მიაქცევს ადმინისტრაციული საქმის, რომელზეც განმცხადებელი ითხოვს წარმოების განახლებას, დავის საგანზე – ქ. ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 იანვრის №15 ბრძანებით ბათილად იქნა ცნობილი ქ. ქუთაისის მერიასა და შპს „...“ შორის 2007 წლის 7 ნოემბერს დადგებული №4 აღნაგობის ხელშეკრულება, შპს „...“ მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო. კანონიერ ძალაში შესული განჩინებით გადაწყვეტილ საქმეზე სარჩელის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები ეხებოდა არა ხელშეკრულების საგანზე უფლებას წარმოშობის კანონიერებას, არამედ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო მოსარჩელე – შპს „...“ და ქ. ქუთაისის მერიას შორის გაფორმებული ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე მიღებულ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კერძო საჩივრის ავტორის მიერ დასახელებული გარემოებები არ განაპირობებს კანონიერ ძალაში შესული განჩინებით გადაწყვეტილი დავის მიმართ მის კანონიერ ინტერესს და დავის საგანთან შემხებლობას, რამდე-

ნადაც მესამე პირის პროცესუალური ინსტიტუტი პირს აძლევს შესაძლებლობას, საპროცესო უფლებების გამოყენების გზით სადაც სამართალურთიერთობაში უზრუნველყოს მატერიალურ-სამართლებრივი უფლებების დაცვა, ხოლო სარჩელის ზე-მოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები და მოცემულ საქმე-ში წარმოდგენილი დავის საგანი არ ქმნის განმცხადებლის უშუალოდ სასამართლოს მიერ გადაწყვეტილი სადაც მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილედ მიჩნევის საფუძველს, რაც გამორიცხავს კანონიერ ძალაში შესული განჩინების გაუქმების შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ა. წ-ის კერძო საჩივარი არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას, შესაბამისად, არ არსებობს ქუთაისის საპეტარაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების მატერიალური და პროცესუალური საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველი ნაწილით, 422-ე, 262-ე, 420-ე, 429-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. არარეზიდენტი ფ/პ ა. წ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 8 აპრილის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მესამე პირების ჩატვა პროცესი გართივი ფორმით

განხილვა

№პს-247-243(ქს-15)

16 ივნისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
6. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: საქართველოს ადმინისტრაციული საპროცე-
სო კოდექსის მე-16 მუხლის 1-ლი ნაწილით საქმეში მესამე პი-
რად ჩაბმა

აღნერილობითი ნაწილი:

2009 წლის 13 მაისს თ. ფ-მა სასარჩელო განცხადებით მი-
მართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – სსიპ ალსრულების ეროვნული
ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიმართ.

მოსარჩელემ თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრუ-
ლებლის მიერ 2003 წლის 25 დეკემბრის №01/09 და 2003 წლის
29 დეკემბრის №01/09 ადმინისტრაციული აქტების არარად აღი-
არების თაობაზე თბილისის სააღსრულებო ბიუროსთვის ადმი-
ნისტრაციული აქტის გამოცემის დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიას განცხადებით მიმართა შპს „...“, შპს „დ...“, „ქ...“
მიერ დაზარალებულ მეანაბრეთა კავშირის თავმჯდომარემ –
6. წ-მა, რომელმაც საქართველოს ადმინისტრაციული საპრო-
ცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად საქ-
მეში კავშირის მესამე პირად ჩაბმა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიის 2009 წლის 26 ნოემბრის საოქმო განჩინებით
საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16
მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საქმეში მესამე პირებად
ჩაებნენ შპს „...“, „დ...“, ... ფონდი, კრედიტორები: 6. ლ-ე, თ- ლ-ე,
კ. ტ-ე, ი. ბ-ე, მ. გ-ე, ნ. უ-ი, ქ. ყ-ე, ვ. გ-ი, ც. მ-ე, რ. თ-ე, ლ. ბ-ე, ზ.
ხ-ი, ნ. კ-ი, რ. მ-ა, დ. მ-ე, ა. გ-ი, ე. მ-ე, ლ. ბ-ე, მ. ქ-ი, ბ. გ-ა, თ. გ-ა,
დ. ნ-ი, თ. ს-ე-ბ-ე, დ. ბ-ი, გ. ხ-ი, ნ. რ-ი, მ. ა-ი, გ. გ-ი, პ. ჭ-ი, რ. ზ-ე,
ვ. ხ-ა, ლ. გ-ე, ლ. შ-ე, გ. ქ-ე, ნ. მ-ი, ფ. ჟ-ა, ლ. კ-ე, ნ. კ-ი, დ. კ-ე, ლ.

ბ-ა, ს. ნ-ი, ლ. ფ-ა, ჯ. ფ-ე, რ.ხ-ა, ჯ. მ-ი, ბ. მ-ი, თ. კ-ა, ლ. კ-ა, ც. ა-ე, ნ. ლ-ი, ე. ს-ე, კ. ი-ე, მ. მ-ი, ქ. ს-ე, ნ. ნ-ი, ნ. ჯ-ე, ნ. გ-ი, მ. თ-ა, ჯ. თ-ა, ნ. ჯ-ე, ი. თ-ე, ლ. ვ-ე, მ. ლ-ე, ი. ზ-ე, ჯ. ლ-ე, ბ. ე-ე, ნ. ლ-ე, მ. პ-ა, ა. ხ-ი, მ. მ-ი, გ. მ-ე, ნ. ჯ-ი, მ. ჩ-ა, ნ. მ-ე, მ. ჭ-ი, ქ.ჩ-ი, ე. ბ-ი, ნ. მ-ი, ი. ხ-ი, ს. ლ-ი, დ. ლ-ი, ვ. მ-ე, ლ. მ-ი, ი. ზ-ე, თ. ქ-ი, რ. კ-ე, გ. ქ-ე, ზ. ფ-ე, ქ. ფ-ა, მ. ხ-ე, ლ. თ-ი, ნ. ბ-ი, ნ. ბ-ე, გ. ბ-ე, მ. ო-ი, თ. ნ-ი, ნ. გ-ე, ნ. მ-ი, მ. ჩ-ე, დ. თ-ა, ნ. ი-ი, ნ. ლ-ე, ზ. ს-ე, ლ. ს-ე, ს. ჯ-ე, ქ. წ-ე, ს. დ-ე, თ. ყ-ი, ნ. ზ-ე, ა. გ-ე, შ. ჩ-ი, ზ. ქ-ი, ნ. კ-ე, ს. კ-ე, მ. ნ-ა, ნ. რ-ე, ნ. მ-ი, ზ. კ-ე, ზ. მ-ა, შ. მ-ა, ი. ა-ი, ა. ბ-ე, თ. ი-ი, ნ. ჭ-ე, მ. გ-ე, გ. ს-ე, ნ. გ-ი, დ. ა-ი, ლ. გ-ე, გ. ბ-ი, ქ. ლ-ი, უ. ა-ა, მ. შ-ა, ვ. კ-ი, მ. შ-ი, ნ. თ-ი, მ. ს-ე, ლ. ნ-ე, თ. ს-ე, გ. ნ-ა, მ. გ-ი, ც. ხ-ი, ნ. ი-ე, მ. ბ-ე, ვ. კ-ა, მ. კ-ა, ვ. კ-ა, გ. ს-ე, ი. თ-ე, დ. კ-ი, ლ. ლ-ე, მ. ჭ-ე, ჯ. ჯ-ე, ნ. ჭ-ე, ა. გ-ე, ა. ა-ი, ლ. ნ-ა, თ. ჩ-ე, ნ. ქ-ე, ი. ა-ი, მ. წ-ი, ა. მ-ი, ლ. ნ-ი, მ. ნ-ი, გ. შ-ა, მ. ჯ-ე, გ. კ-ე, მ. ა-ი, ე. ც-ა, თ. გ-ი, ნ. ჯ-ე, მ. ს-ე, მ. ს-ე, ზ. ა-ე, ნ. ჯ-ე, რ. ო-ი, ი. ა-ი, მ. ჯ-ე, პ. წ-ი, დ. ნ-ი, ნ. ა-ი, რ. ნ-ი, ლ. ბ-ი, ლ. გ-ა, ვ. კ-ა, ნ. ჭ-ა, ლ. კ-ე, მ. კ-ი, მ. ჭ-ი, მ. ა-ი, ქ. ჩ-ი, ნ. ბ. დ-ი, გ. ხ-ე, მ. კ-ა, მ. თ-ე, მ. ხ-ე, ი. მ-ი, რ. ნ-ი, ნ. ბ-ა, კ.ბ-ი, ქ. მ-ე, მ. ლ-ა, ი. მ-ი, ზ. ა-ი, ა. ფ-ი, ნ. ო-ი, ნ. ხ-ა, ნ. ხ-ა, ა. ნ-ი, ე. შ-ი, ე. მ-ე, ლ. ს-ა, ნ. ა-ი, ა. მ-ე, თ. უ-ე, ი. ნ-ი, დ. პ-ი, ო. პ-ი, ქ. ბ-ი, დ. შ-ა, ნ. ფ-ე, ა. ფ-ე, ი. ტ-ი, ზ. მ-ე, მ. ჩ-ა-თ-ა, უ. გ-ა, გ. ა-ი, ც. კ-ა, თ. მ-ე, ლ. ა-ე, ნ. ლ-ა, ლ. კ-ი, ი. მ-ე, ე. ზ-ა, თ. გ-ი, მ. თ-ე, ა. წ-ი, ა. ბ-ი, ვ. მ-ი, მ. მ-ე, ნ. შ-ა, ლ. ჩ-ა, ნ. გ-ი, ი. მ-ა, ს. ქ-ე, დ. გ-ა, მ. ჩ-ე, ტ. ბ-ე, ვ. ო-ი, ნ. კ-ე, ნ. კ-ე, ე. ა-ი, ს. ჭ-ა, ლ. ძ-ი, რ. გ-ე, ვ. მ-ე, მ. ბ-ი, ა. ნ-ი, ი. ბ-ი, მ. ბ-ი, დ. ჭ-ა, ც. კ-ე, მ. გ-ი, მ. ა-ე, ლ. ს-ი, მ. მ-ა, ნ. გ-ე, გ. გ-ე, ლ. ბ-ე, ს. ლ-ა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა კოლეგიის 2010 წლის 4 იანვრის განჩინებით საქართვე-ლოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძვლზე საქმეში მესამე პირად ჩაება დ. ბ-ე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა კოლეგიის 2009 წლის 26 ნოემბრის საოქმო განჩინება კერ-ძო საჩივრით გაასაჩივრა კავშირის თავმჯდომარემ – ნ. წ-მა, რომელმაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კო-დექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად საქმეში მესა-მე პირად უშუალოდ შპს „...“, შპს „დ...“, „ქ...“ ... კავშირის, რო-გორც იურიდიული პირის, ჩაბმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 17 მაისის განჩინებით კერძო სა-ჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოცემული ადმინისტრა-ციული საქმე შპს „...“, შპს „დ...“, „ქ...“ ... კავშირის, როგორც იუ-რიდიული პირის, საქმეში მესამე პირად ჩაბმის საკითხის გადა-

საწყვეტად დაუბრუნდა პირველი ინსტანციის სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიის 2010 წლის 26 ნოემბრის განჩინებით შუამდგომ-
ლობა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის
მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად საქმეში მესამე პი-
რად ... კავშირის ჩაბმასთან დაკავშირებით არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიის 2010 წლის 26 ნოემბრის განჩინება კერძო სა-
ჩივრით გასაჩივრა შპს „...“, შპს „დ...“, „ქ...“ ... კავშირის თავ-
მჯდომარებ - ნ. წ-მა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების
გაუქმება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატის 2011 წლის 28 თებერვლის განჩინებით შპს
„...“, შპს „დ...“, „ქ...“ ... კავშირის თავმჯდომარის, მეანაბრეთა
რწმუნებულის - ნ. წ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიის 2011 წლის 16 დეკემბრის საოქმო განჩინებით
ნ. წ-ს უარი ეთქვა საქმეში მესამე პირებად შპს „...“, შპს „დ...“,
„ქ...“ ... კავშირის ჩაბმის თაობაზე შუამდგომლობის დაკმაყო-
ფილებაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიის 2014 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილებით თ. ფ-
ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხე საქართვე-
ლოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს
ქ. თბილისის სააღსრულებო ბიუროს თ. ფ-ის 2009 წლის 23 მარ-
ტის №01/09.02.2595 განცხადების თაობაზე თბილისის სააღ-
სრულებო ბიუროს აღმასრულებლის 2003 წლის 25 დეკემბრის
№01/09 და 2003 წლის 29 დეკემბრის №01/09 ადმინისტრაცი-
ულ აქტებთან დაკავშირებით ადმინისტრაციული აქტის გამო-
ცემა დაევალა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიის 2014 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილება სააპე-
ლაციო წესით გასაჩივრა სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიუ-
რომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება
და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უა-
რის თქმა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიის 2014 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილება სააპე-
ლაციო წესით გასაჩივრებს მ. ჭ-მა, თ.ი-მა, ლ. წ-მა, თ. გ-მა, ნ. მ-
ემ, ი. ბ-მა, დ. ბ-მა, მ. თ-ემ, თ. ლ-ემ, ლ. ს-ემ, ზ. ს-ემ, ი. მ-ემ და
ლ. კ-მა, რომლებმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქ-

მება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 18 თებერვლის განჩინებით შპს „...“, შპს „დ...“, „ქ...“ ... კავშირის თავმჯდომარის – ნ. წ-ის შუამ-დგომლობა განსახილები საქმეში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე საქმეში მესამე პირად ჩაბმის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ დაგაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქმეში მესამე პირებად ჩაბმული არიან მეანაბრეები, რომლებიც თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს მიერ გაცემული სააღსრუ-ლებო ფურცლის თანახმად, არიან კრედიტორები და რომელთა ინტერესებსაც შეიძლება შეეხოს სასამართლოს გადაწყვეტი-ლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 18 თებერვლის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა შპს „...“, შპს „დ...“, „ქ...“ ... კავშირის თავ-მჯდომარებ - ნ. წ-მა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო სასამართლოსთვის მისი შუამდგომ-ლობის განხილვის დავალება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 18 თებერვლის განჩინებაზე და-მატებითი კერძო საჩივარი წარმოადგინეს კავშირის წევრებმა – ზ. და ლ. ს-ეებმა, ი. თ-ემ და სხვებმა (15 პირი), რომლებმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო სასამარ-თლოსთვის კავშირის თავმჯდომარის – ნ. წ-ის შუამდგომლო-ბის განხილვის დავალება მოითხოვეს.

კერძო საჩივრების ავტორთა განმარტებით, სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ შეიცავს დასაბუთებას მოცემულ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეე-სება თუ არა მეანაბრეთა რეგისტრირებული კავშირის ინტერე-სებს.

კავშირის წესდების 1-ლი მუხლის 1.6 პუნქტის, მე-2 მუხლის 2.1 და 2.2 პუნქტების, მე-7 მუხლის 7.1 პუნქტის თანახმად, მე-ანაბრეთა რეგისტრირებული კავშირი არის იურიდიული პირი, რომელიც მიზნად ისახავს მისი წევრების – მეანაბრეების ინ-ტერესების დაცვას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ

საქმეთა პალატის 2015 წლის 1 ივნისის განჩინებით წარმოებაში იქნა მიღებული შპს „...“, შპს „დ...“, „ქ...“ ... კავშირის თავმჯდომარის – ნ. წ-ის და კავშირის წევრების – ზ. და ლ. ს-ების, ი. თ-ისა და სხვათა (15 პირი) კერძო და დამატებითი კერძო საჩივრები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ შპს „...“, შპს „დ...“, „ქ...“ ... კავშირის თავმჯდომარის – ნ. წ-ის და კავშირის წევრების – ზ. და ლ. ს-ების, ი. თ-ისა და სხვათა (15 პირი) კერძო და დამატებითი კერძო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალ-წარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 18 თებერვლის განჩინებით შპს „...“, შპს „დ...“, „ქ...“ ... კავშირის თავმჯდომარის – ნ. წ-ის შუამდგომლობა განსახილველ საქმეში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე საქმეში მესამე პირად ჩაბმის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მესამე პირების ინსტიტუტი უფლებას აძლევს მათ მოახდინონ საკუთარი კერძო, სუბიექტური ინტერესების დაცვა და რეალიზება ადმინისტრაციული პროცესის ფარგლებში. მესამე პირების ინსტიტუტის საფუძველს ადმინისტრაციულ კანონმდებლობაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლი ქმნის. ამასთან, აღნიშნული მუხლის თანახმად, კანონმდებელი განსახვავებს მესამე პირების ჩვეულებრივ და სავალდებულო (აუცილებელ) ჩაბმას. მე-16 მუხლის 1-ლი ნაწილი მესამე პირთა ჩვეულებრივი წესით ჩაბმის ფორმულირებას შეიცავს, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილი – სავალდებულო, აუცილებე-

ლი ჩაბმის ფორმულირებას. ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირთა ჩვეულებრივ და სავალდებულო ფორმით ჩაბმას შორის განსხვავებას მნიშვნელობა ენიჭება სწორედ მათთვის საპროცეს უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის მინიჭების თვალსაზრისით. საყურადღებოა, რომ ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირთა მარტივი ჩაბმის დროს გადამწყვეტია მესამე პირთა სამართლებრივი ინტერესი, ხოლო რაც შეეხება ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირთა აუცილებელ, სავალდებულო ჩაბმას, ამ დროს სამართლებრივი ინტერესის პარალელურად მნიშვნელოვანია ის, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით მესამე პირთა უფლებები და მოვალეობები შეიძლება განისაზღვროს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირთა სამართლებრივი ინტერესის დაცვის მიზანი წარმოადგენს უპირატეს მიზანს, რომელსაც ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირთა მოწვევის ინსტიტუტი ემსახურება.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქმეში მესამე პირების სავალდებულო მოწვევა სასამართლოს ვალდებულებას წარმოადგენს, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცეს კოდექსის მე-16 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული მესამე პირი სარგებლობს მოსარჩელის (მოპასუხის) ყველა უფლებით და მას ეკისრება მოსარჩელის ყველა მოვალეობა, ხოლო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცეს კოდექსის მე-16 მუხლის 1-ლი ნაწილით მესამე პირთა ჩაბმა სასამართლოს უფლებამოსილებაა. ასეთი წესით ჩაბმული მესამე პირები არ სარგებლობენ მოსარჩელის (მოპასუხის) ყველა უფლებით.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს მთავარი სხდომის დამთავრებამდე სასამართლო უფლებამოსილია აცნობოს პირს, რომლის ინტრესებსაც შეიძლება შეეხოს სასამართლოს გადაწყვეტილება, ადმინისტრაციული პროცესის დაწყების შესახებ და ჩააბას იგი საქმეში მესამე პირად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ არასავალდებულო წესით საქმეში მესამე პირთა ჩაბმა წარმოადგენს სასამართლოს უფლებამოსილებას. აღნიშნული საპროცესო მოქმედების განხორციელებისას სასამართლო აფასებს საქმის გარემოებებს, შესაძლო მესამე პირთა კატეგორის სადაცო სამართლურთიერთობის მიმართ და მითითებული ფაქტორების გათვალისწინებითა და მიზანშენონილობიდან გამომდინარე, წყვეტის შე-

საბამისი საპროცესო სტატუსით საქმეში პირთა ჩაბმის საკითხს.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ არ და-აკმაყოფილა შუამდგომლობა საქმეში ჩვეულებრივი მოწვევის მესამე პირად იმ მეანაბრეთა რეგისტრირებული კავშირის ჩაბ-მის შესახებ, რომლებიც პირადად ჩაბმულნი არიან სავალდე-ბულო მოწვევის მესამე პირებად.

საქმეში წარმოდგენილი შპს „...“, შპს „დ...“, „ქ...“ ... კავშირის წესდების თანახმად, აღნიშნული კავშირი დაფუძნებულია მეა-ნაბრეთა მიერ და იგი მიზნად ისახავს მეანაბრეთა ინტერესე-ბის დაცვას. ანუ იგი მოწოდებულია მეანაბრეთა უფლებების რე-ალიზაციისა და დაცვისაკენ.

მოცემულ საქმეში მეანაბრები ჩაბმულნი არიან სავალდე-ბულო მოწვევის მესამე პირებად, შესაბამისად, უდავოა მათი ინტერესის არსებობა მოცემული დავის მიმართ. აღნიშნული-დან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მო-ცემული დავის არსის, მონაცილე მესამე პირთა სიმრავლის, კავ-შირის მიზნის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვისას თავიდან უნდა იმსჯელოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად შპს „...“, შპს „დ...“, „ქ...“ ... კავშირის ჩაბ-მის თაობაზე, რათა უკეთ იქნეს უზრუნველყოფილი მეანაბრე-თა უფლებების დაცვა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „...“, შპს „დ...“, „ქ...“ ... კავშირის თავმჯდომა-რის – ნ. წ-ის და კავშირის წევრების – ზ. და ლ. ს-ეების, ი. თ-ისა და სხვათა (15 პირი) კერძო და დამატებითი კერძო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილიბრივ და საქართველოს ადმი-ნისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის 1-ლი ნაწი-ლით შპს „...“, შპს „დ...“, „ქ...“ ... კავშირის მესამე პირად ჩაბმის საკითხის გადასაწყვეტად საქმე განსახილველად უნდა დაუბ-რუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „...“, შპს „დ...“, „ქ...“ ... კავშირის თავმჯდომარის – ნ. წ-

ის და კავშირის წევრების – ზ. და ლ. ს-ეების, ი. თ-ისა და სხვათა (15 პირი) კერძო და დამატებითი კერძო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 18 ოქტემბრის განჩინება და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის 1-ლი ნაწილით შპს „...“, შპს „დ...“, „ქ...“ ... კავშირის მესამე პირად ჩაბმის საკითხის გადასაწყვეტად საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. მთკიცებულებების სრულყოფილად გამოკვლევა

№ბს-435-430(კ-12) 26 თებერვალი 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ნკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების
ბათილად ცნობა

აღნერილობითი ნაწილი:

მოსარჩევე – მ. ჩ-ე

მოპასუხები: 1. ქ. ბათუმის მერია;

2. ქ. ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგ-
მარების სამსახური

3. გ. კ-ე

4. ო. კ-ე

სარჩელის სახე: საქართველოს ადმინისტრაციული საპრო-
ცესო კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე ადმინისტრაციულ-
სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა.

სარჩელის საგანი:

1. ქ. ბათუმის მერიის 2011 წლის 15 ივნისის №182 საჩივრის
წარმოებაში მიღების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა;

2. ქ. ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული და-
გეგმარების სამსახურის 2010 წლის 22 ივნისის №624 ბრძანები-
სა და მის საფუძველზე გაცემული №000268 მშენებლობის ნე-
ბართვის მოწმობის ბათილად ცნობა;

3. ქ. ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული და-
გეგმარების სამსახურის 2011 წლის 4 თებერვლის №86 ბრძანე-
ბისა და მის საფუძველზე გაცემული №000514 მშენებლობის
ნებართვის მოწმობის ბათილად ცნობა.

სარჩელის საფუძველი:

ფაქტობრივი:

ქ. ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმა-
რების სამსახურის 2010 წლის 22 ივნისის №624 ბრძანებითა და
ამავე სამსახურის 2006 წლის 6 ივლისის №01-22/228 ბრძანე-
ბით შეთანხმებული №119 არქიტექტურულ-სამშენებლო პრო-

ექტის საფუძველზე გ. კ-ეზე გაიცა ქ.ბათუმში, .../ ... ქ. №108/78-ში საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნებართვა, რის საფუძველზეც მიღებულ იქნა №000268 მშენებლობის სანებართვო მოწმობა;

ქ. ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის 2011 წლის 4 თებერვლის №86 ბრძანებით ი. კ-ეზე გაიცა ქ.ბათუმში, ... ქ. №108-ში საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნებართვა, რის საფუძველზეც მიღებულ იქნა №000514 მშენებლობის სანებართვო მოწმობა;

აღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის თაობაზე მ. ჩ-ემ საჩივრით მიმართა ქ. ბათუმის მერიას. ქ. ბათუმის მერის 2011 წლის 15 ივნისის №182 ბრძანებით მ. ჩ-ეს უარი ეთქვა საჩივრის ნარმობაში მიღებაზე.

სამართლებრივი: მოსარჩევეს მიაჩნია, რომ ქ. ბათუმის მერიის არქტიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის 2010 წლის 22 ივნისის №624 ბრძანება და მის საფუძველზე გამოცემული №000268 მშენებლობის სანებართვო მოწმობა, ასევე 2011 წლის 4 თებერვლის №86 ბრძანება და მის საფუძველზე გამოცემული №000514 მშენებლობის სანებართვო მოწმობა მიღებულია კანონმდებლობის უხეში დარღვევით, კერძოდ, მოსარჩევე, როგორც დაინტერესებული პირი არ ყოფილა მიწვეული ადმინისტრაციულ ნარმობაზე, ამასთანავე, მშენებლობა მიმდინარეობს მთლიან მიწის ნაკვეთზე, რომელიც მიღვმულია მის საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ სახლზე, რის გამოცემულებელია მისი სახლის ფანჯრებითა და კარებით სარგებლობა. აღნიშნულის გამო იღახება მოსარჩევე – მ. ჩ-ის კანონიერი ინტერესი;

მოსარჩევეს მიაჩნია, რომ სადაცო აქტები ბათილად უნდა იქნეს ცნობილი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60^ი მუხლისა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე და 32-ე მუხლების საფუძველზე.

მოპასუხებების – ქ. ბათუმის მერიისა და ქ. ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის შესაგებლები:

მოპასუხების განმარტებით, ქ.ბათუმის მერიის არქტიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის 2010 წლის 22 ივნისის №624 ბრძანებითა და მის საფუძველზე გამოცემული №000268 მშენებლობის სანებართვო მოწმობით გ. კ-ე უფლებამოსილია მშენებლობა ანარმონს მხოლოდ ქ. ბათუმში, .../ ... ქ. №108/78-ში მდებარე 132 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, აღნიშნული მიწის ნაკვეთი კი უშუა-

ლოდ არ ესაზღვრება მ. ჩ-ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას, გ. კ-ის საკუთრებაში არსებულ 134 კვ.მ. (დაზუსტებული) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთსა და მ. ჩ-ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას შორის მდებარეობს ი. კ-ის საკუთრებაში არსებული 65 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მშენებლობით შეუძლებელია შეიზღუდოს მოსარჩელის კანონიერი ინტერესი.

სამართლებრივი: მოპასუხის მოსაზრებით, მოსარჩელემ ქ. ბათუმის მერიაში საჩივრის წარდგენისას დაარღვია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლი, ვინაიდან, ქ.ბათუმის მერიაში არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის 2011 წლის 4 თებერვლის №86 ბრძანება და მის საფუძველზე გაცემული №000514 მშენებლობის სანებართვო მოწმობა მოსარჩელეს გადაეცა 2011 წლის 22 თებერვალს, ბათუმის საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვისას, მან კი საჩივარი ქ. ბათუმის მერიაში შეიტანა 2011 წლის 3 ივნისს, კ.ი. გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი ვადის დარღვევით.

მოპასუხების – გ. კ-ისა და ი. კ-ის შესაგებლები:

ფაქტობრივი: მოპასუხების განმარტებით, მ. ჩ-ის სარჩელი უსაფუძვლო და დაუშვებელია, ვინაიდან, მოსარჩელე ვერ განმარტავს თუ რა ზიანს აყენებს მას მოპასუხე მხარეთა სასარგებლოდ გამოცემული ადმინისტრაციული აქტები.

სამართლებრივი: მოპასუხე მხარეს მიაჩნია, რომ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები კანონმდებლობით დადგენილი წესით არის გამოცემული და სრულად აკმაყოფილებენ კანონიერი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისათვის დადგენილი ფორმალური და მატერიალური კანონიერების ელემენტებს და არ არსებობს მათი ბათილად ცნობის საფუძველი.

საქმის გარემოებები:

მოსარჩელე – მ. ჩ-ეს, ქ. ბათუმში, ... ქ. №78-ში საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით რეგისტრირებული ჰქონდა 153,38კვ.მ. შენობა-ნაგებობა და დაუზუსტებელი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების – 203 კვ.მ. მიწის ნაკვეთი. მიწის ნაკვეთი რეგისტრირებული იყო სამ საკადასტრო ერთეულად და სამივე მიწის ნაკვეთის თანამესაკუთრეს წარმოადგენდა მ. ჩ-ე. აღნიშნული მიწის ნაკვეთიდან 132 კვ.მ. მიწის ნაკვეთი შეიძინა გ. კ-ემ, რის შემდეგაც მოსარჩელე გაემგზავრა ... სამუშაოდ.

მოსარჩელის განმარტებით, გ. კ-ემ დაიწყო მშენებლობა არა მის მიერ შეძენილ 132 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, არამედ 197 კვ.მ.

ფართზე და ფაქტობრივად მის მიერ მშენებლობა ხორციელდებოდა მ. ჩ-ის თანასაკუთრებაში არსებულ 65 კვ.მ მიწის ნაკვეთზეც.

აღნიშნულის თაობაზე მ. ჩ-ემ საჩივრით მიმართა ქ. ბათუმის მერს, რომელმაც საჩივრის განხილვისას დაადასტურა, რომ ქ. ბათუმის ქალაქეებმარებისა და სიცრცითი მოწყობის ადგილობრივი სამსახურის 2006 წლის 6 ივლისის №01-22/228 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის არქიტექტურული ნაწილი და კონსტრუქციული ნაწილი არ შეესაბამებოდა ერთმანეთს. მიუხედავად ამისა, ბათუმის მერიამ საჩივარი არ დააკმაყოფილა და შეწყვიტა ადმინისტრაციული წარმოება.

მოსარჩელის მითითებით, გ. კ-ემ მისი ნებართვის გარეშე შეიძინა ქ. ბათუმში ... ქ. №78-ში, მის საკუთრებაში არსებული 132 კვ.მ მიწის ნაკვეთის მიმდებარე 65 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, რომელიც შემდეგ თვალობაშიც ურთის გაასხვისა თავის დაზე – ი. კ-ეზე.

გ. კ-ემ ქ. ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურისაგან მიიღო ორი ახალი მშენებლობის ნებართვა, ერთი მის საკუთრებაში არსებულ 132 კვ.მ-ზე, ხოლო მეორე ი. კ-ის სახელზე, ი. კ-ის საკუთრებაში არსებულ 65 კვ.მ-ზე. თუმცა ნებართვების მიღებამდე მას მშენებლობა უკვე დაწყებული ჰქონდა ორივე მიწის ნაკვეთზე და აშენებული ჰქონდა ერთი სართული.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 13 ოქტომბრის საოქმო განჩინებით არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის შუამდგომლობები მოწმეთა დაკითხვისა და სპეციალისტის მონაწილეობით ადგილის დათვალიერების თაობაზე.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება/სარეზოლუციო:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილებით მ. ჩ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლოს მიერ უდავოდ მიჩნეული ფაქტები:

2010 წლის 13 აგვისტოს საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, 1994 წლის 8 ივლისს დამოწმებული სამკვიდრო მოწმობისა და მიწის ნაკვეთის დაყოფის თაობაზე 2002 წლის 25 ოქტომბრის სანოტარო აქტის საფუძველზე, მ. ჩ-ის საკუთრებად საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია ქ.ბათუმში, .../... ქ. №78/108-ში მდებარე 153,38 შენობა-ნაგებობა და დაუზუსტებელი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების – 203 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი №...);

2002 წლის 6 ნოემბრის საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, 2002 წლის 1 ნოემბრის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე საჯარო რეესტრში გ. კ-ის საკუთრებად დარეგისტრირდა ქ.ბათუმში, .../... ქ. №78/108-ში მდებარე 132 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ნაკვეთის №012).

2008 წლის 4 იანვრის საჯარო რეესტრის ამონაწერით, ნასყიდობის 2002 წლის 1 ნოემბრისა და 2007 წლის 7 აგვისტოს ხელშეკრულებების საფუძველზე გ. კ-ის სახელზე საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით ირიცხებოდა ქ.ბათუმში, .../... ქ. №108/78-ში მდებარე 198 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

2010 წლის 30 აგვისტოს გაცემული საჯარო რეესტრის ამონაწერებით გ. კ-ის საკუთრებაში არსებული 198 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი დარეგისტრირდა ორ საკადასტრო ერთეულად – 65 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთად, საკადასტრო კოდით №... და 134 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთად, საკადასტრო კოდით №..., რომელთაგან 65 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (სარეგისტრაციო კოდით №...) 2010 წლის 30 აგვისტოს დამოწმებული ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა ი. კ-ის საკუთრებად.

2010 წლის 30 აგვისტოს გაცემული საჯარო რეესტრის ამონაწერის შესაბამისად, ამჟამად საჯარო რეესტრში გ. კ-ის საკუთრებად რეგისტრირებულია ქ.ბათუმში, ... ქ. №78/... ქ. №108-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 134 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდით №...), დაზუსტებული ფართობით.

ი. კ-ის საკუთრებაში არსებული 65 კვ.მ. მიწის ნაკვეთი მდებარეობს გ. კ-ის საკუთრებაში არსებულ 134 კვ.მ. მიწის ნაკვეთა და მ. ჩ-ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას შორის.

2006 წლის 8 მაისს ქ.ბათუმის ქალაქეგმარებისა და სივრცითი მოწყობის ადგილობრივმა სამსახურმა მიიღო №01-16/286 ბრძანება გ. კ-ის განცხადების დაკმაყოფილებისა და ქ.ბათუმში, ... ქ. №108/78-ში ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლის (მანსარდით) მშენებლობასთან დაკავშირებით არქიტექტურულ-გეგმარებითი №85 დავალების გაცემის თაობაზე.

2006 წლის 6 ივნისს ქ.ბათუმის ქალაქეგმარებისა და სივრცითი მოწყობის ადგილობრივი სამსახურის №01-22/228 ბრძანებით არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმების შესახებ, გ. კ-ეს მიერიჭა უფლებამოსილება საცხოვრებელი სახ-

ლის მშენებლობა ეწარმოებინა მის საკუთრებაში არსებულ ქ.ბა-
თუმში, .../ ... ქ. №108/78-ში მდებარე მინის ნაკვეთზე.

ქ.ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმა-
რების სამსახურის 2010 წლის 29 ოქტომბრის №1258 ბრძანე-
ბით შეთანხმებული იქნა ქ.ბათუმში, .../ ... ქ. №108/78-ში საც-
ხოვრებელი სახლის მშენებლობის 2006 წლის 6 ივლისის №119
არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტში ცვლილებები.

ქ.ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმა-
რების სამსახურის 2010 წლის 22 ივნისის №624 ბრძანებით, ამა-
ვე სამსახურის 2006 წლის 6 ივლის №01-22/228 ბრძანებით შე-
თანხმებული №119 არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის
საფუძველზე გ. კ-ის სახელზე გაიცა მშენებლობის ნებართვა
ქ.ბათუმში, .../ ... ქ. №108/78-ში საცხოვრებელი სახლის მშენებ-
ლობის თაობაზე, რის საფუძველზეც გაიცა №000268 მშენებ-
ლობის სანებართვო მოწმობა.

ქ. ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმა-
რების სამსახურის 2011 წლის 4 თებერვლის №86 ბრძანებით ი.
კ-ის სახელზე გაიცა მშენებლობის ნებართვა ქ.ბათუმში, ... ქ.
№108-ში საცხოვრებელი სახლის მშენებლობის თაობაზე, რის
საფუძველზეც გაიცა №000514 მშენებლობის სანებართვო
მოწმობა.

ქ.ბათუმის მერიის 2011 წლის 15 ივნისის №182 ბრძანებით მ.
ჩ-ის საჩივარი არ იქნა მიღებული ნარმოებაში იმ მოტივით, რომ
მ. ჩ-ე არ იყო უფლებამოსილი სადავოდ გაეხადა ბრძანება გ. კ-
ეზე მშენებლობის ნებართვისა და მშენებლობის სანებართვო
მოწმობის გაცემის თაობაზე, ვინაიდან, ისინი არ ზღუდავდა მის
კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს, ამასთან, მას გამეცებუ-
ლი ჰქონდა ი. კ-ეზე მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობა-
ზე ბრძანებისა და მასზე გაცემული მშენებლობის სანებართვო
მოწმობის გასაჩივრების ერთოვანი ვადა.

სადავო ფაქტობრივი გარემოებები:

სადავოა ქ.ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული
დაგეგმარების სამსახურის 2010 წლის 22 ივნისის №624 ბრძა-
ნება და მის საფუძველზე გაცემული №000268 მშენებლობის
ნებართვის მოწმობა და 2011 წლის 4 თებერვლის №86 ბრძანება
და მის საფუძველზე გაცემული №000514 მშენებლობის ნებარ-
თვის მოწმობა, ვინაიდან, აღნიშნული ნებართვების შედეგად
განხორციელებული მშენებლობით ზიანი ადგება მოსარჩელის
კანონიერ ინტერესს.

**სასამართლოს მიერ სადავოდ გახდილი ფაქტების შეფა-
სება:**

დადგენილია, რომ გ. კ-ის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი და მასზე წარმოებული მშენებლობა არ ესაზღვრება მ. ჩი-ის საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ სახლს, მოსარჩელის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასა და გ. კ-ის საკუთრებაში არსებულ 65 კვ.მ. მიწის ნაკვეთს შორის მდებარეობს ო. კ-ის საკუთრებაში არსებული 65 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, აღნიშნულიდან გამომდინარე, არ არსებობს გ. კ-ეზე მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე ქ. ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის 2010 წლის 22 ივნისის №624 ბრძანებითა და მის საფუძველზე გაცემული №000268 მშენებლობის სანებართვი მოწმობით მ. ჩ-ის კანონიერი უფლებებისა და ინტერესებისათვის პირდაპირი და უშუალო ზიანის მიყენების საფუძველი.

სასამართლოს დასკვნები – საქმის მასალების გაცნობის, მხარის ახსნა-განმარტებების მოსმენის, სარჩელის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმებისა და საქმეში არსებულ მტკიცებულებათა სამართლებრივი შეფასების შედეგად სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მ. ჩ-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება /კვალიფიკაცია/:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული საჩივარი წარდგენილი უნდა იქნეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნების ან ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თუ კანონით სხვა რამ არ არის დაგენილი.

საქალაქო სასამართლომ საქმის მასალების საფუძველზე დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. ბათუმის მერიის არქტიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის 2011 წლის 4 თებერვლის №86 ბრძანება და მის საფუძველზე გაცემული №000514 მშენებლობის სანებართვი მოწმობა, რომლითაც ო. კ-ეზე გაიცა მის საკუთრებაში არსებულ 65 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნებართვა, მოსარჩელეს გადაეცა და ოფიციალურად გაეცნ 2011 წლის 22 თებერვალს, მ. ჩ-ის სარჩელისა გამო სხვა ადმინისტრაციული საქმის განხილვისას, სასამართლოს მთავარ სხდომაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელეს უფლება ჰქონდა ი. კ-ეზე მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე ქ. ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების

სამსახურის 2011 წლის 4 თებერვლის №86 ბრძანება და №000514 მშენებლობის სანებართვო მოწმობა გაესაჩივრებინა 2011 წლის 23 მარტამდე, 22 მარტის ჩათვლით, ხოლო მ. ჩ-ის წარმომადგენელმა ადმინისტრაციული საჩივარი ქ.ბათუმის მერიაში წარადგინა 2011 წლის 3 ივნისს, ე.ი. გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ და „ზ“ პუნქტების თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არ განიხილავს ადმინისტრაციულ საჩივარს, თუ ადმინისტრაციული საჩივარი შეტანილია არაუფლებამოსილი პირის მიერ; გასულია ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის კანონით დადგენილი ვადა. ამდენად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ქ.ბათუმის მერიის 2011 წლის 15 ივნისის ბრძანებით მ. ჩ-ის წარმომადგენელს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა დაცვით ეთქვა უარი ადმინისტრაციული საჩივრის წარმოებაში მიღებაზე.

აპელანტი: მ. ჩ-ე

მოწინააღმდეგე მხარეები (მოპასუხეები): 1. ქ. ბათუმის მერია;

2. ქ. ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახური;

3. გ. კ-ე

4. ი. კ-ე

აპელაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაქმაყოფილება; ასევე 2011 წლის 13 ოქტომბრის საოქმო განჩინების გაუქმება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის შუამდგომლობა სპეციალისტის მონაწილეობით ადგილის დათვალიერებაზე.

აპელაციის მოტივები:

ფაქტობრივი: აპელანტის მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება თითქოს გასაჩივრებული აქტები ზიანს არ აყენებს მ. ჩ-ის ინტერესებს და უკანონოდ არ ზღუდავს მის უფლებას. ასევე სასამართლომ უსაფუძვლოდ არ დააკმაყოფილა მოსარჩელე მხარის შუამდგომლობა ადგილის დათვალიერების თაობაზე, რითაც დადასტურდებოდა სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოება. სასამართლომ არ გაითვალისწინა ქ. ბათუმის მერიის 2010 წლის 17 სექტემბრის ბრძანება, რომლის მიხედვითაც დგინდება, რომ გ. კ-ის სახელზე გაცემული მშენებლობის ნებართვასთან და-

კავშირებით მშენებლობის კონსტრუქციული და არქიტექტურული ნაწილი არ შეესაბამებოდა ერთმანეთს და რომ გ. კ-ეს არ ჰქონდა უფლება მშენებლობა ენარმოებინა 200კვ.მ. მიწის ნაკვეთზე. აპელანტის განმარტებით, ნაცვლად იმისა, რომ შეეჩერებინათ უკანონო მშენებლობა, გ. კ-ეზე გაცემულ იქნა ახალი მშენებლობის ნებართვები, მაშინ, როცა მას უკავე აშენებული ჰქონდა ორი სართული. სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რომ აქტის გასაჩივრებისათვის დადგენილი ერთთვიანი ვადა გასული იყო, ვინაიდან არ არსებობდა მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა აქტის ჩაბარებას მოსარჩევე მხარისათვის მონინააღმდეგე მხარის მიერ მითითებულ დროს.

სამართლებრივი: აპელანტის განმარტებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2. „ბ“ მუხლის, 53.4 და 53.5 ნაწილების მოთხოვნებიდან გამომდინარე ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, რომლებიც არ გამოკვლეულა, ხოლო ამავე კოდექსის 5.1. მუხლში დადგენილია ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილების განხორციელება კანონის საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოსთვის ცნობილი იყო, რომ მ. ჩ-ე ნარმოადგენდა დაინტერესებულ პირს, მაგრამ იგი არ იქნა მიწვეული ადმინისტრაციული ნარმოების დროს.

მონინააღმდეგე მხარეების – ქ. ბათუმის მერიისა და ქ. ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის შეპასუხება:

ფაქტობრივი: მონინააღმდეგე მხარის წარმომადგენლის განმარტებით გ. კ-ისა და მოსარჩევე – მ. ჩ-ის მიწის ნაკვეთს შორის არსებობს, ცალკე საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, ი. კ-ის საკუთრებაში არსებული, მიწის ნაკვეთი. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით აპელანტის მტკიცება, რომ გასაჩივრებული აქტებით მის კანონიერ ინტერესს ადგება ზიანი, დაუსაბუთებელია.

მონინააღმდეგე მხარის წარმომადგენლის მოსაზრებით სასამართლომ აპელანტს კანონიერად უთხრა უარი შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, რადგან ადგილზე დათვალიერებას საქმისათვის მნიშვნელობა არ ჰქონდა.

სამართლებრივი: მონინააღმდეგე მხარის წარმომადგენლის მოსაზრებით გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სასამართლოს მიერ დადგინდა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და მიღებულ იქნა არსებითად სწორი და დასაბუთებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება /სარეზო-ლუციონ ნაწილი/:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 14 მარტის განჩინებით მ. ჩ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილება და ამავე სასამართლოს 2011 წლის 13 ოქტომბრის საოქმო განჩინებები.

აპელაციის მოტივების არგაზიარების თაობაზე სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა:

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნიან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობას და შესაბამისად, გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებს.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნების გაზიარების თაობაზე სასამართლოს მსჯელობა:

სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, თბილისის საქალაქო სასამართლომ სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რაც გაიზიარა სააპელაციო პალატამ. სააპელაციო სასამართლომ ასევე სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს.

ამასთან, მიუთითა, რომ სააპელაციო საჩივარში მოწმეთა დაკითხვის საჭიროების თაობაზე არაფერია ნათქვამი, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დავის საგანი მშენებლობის კანონმდებლობიდან გამომდინარეობს, სადაც ამ დარგის კანონმდებლობით არის განერილი აქტის მომზადებისა და გამოცემის საკითხები, შესაბამისად, საქართველოს სსსკ-ის 102.3-ე მუხლის თანახმად საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით, ანუ მოწმეთა ჩვენებები ამ შემთხვევაში მტკიცებულებად ვერ გამოდგება. ხოლო რაც შეეხება სპეციალისტის მეშვეობით ადგილის დათვალიერებას, საქმის მასალები საკმარის საფუძველს იძლევა იმისათვის, რომ სასამართლოს თვალნათლივ შეექმნას წარ-

მოდგენა სარჩელის ობიექტზე. სწორედ ამ საფუძვლებით არ დაკმაყოფილდა სააპელაციო საჩივარში მითითებული შუამ-დგომლობა. ამდენად, გასაჩივრებული საოქმო განჩინებები კანონშესაბამისია, მათი გაუქმების საფუძველი არ არსებობს და მათი არ დაკმაყოფილება ზეგავლენას გადაწყვეტილების კანონიერებაზე ვერ მოახდენს.

კასატორი – მ. ჩ-ე

მოწინააღმდეგე მხარეები (მოპასუხეები): 1. ქ. ბათუმის მერია;

2. ქ. ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმვის მარების სამსახური;

3. გ. კ-ე;

4. ი. კ-ე

კასაციის განაცხადი:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 14 მარტის განჩინების, ბათუმის საეპლაქო სასამართლოს 13 ოქტომბრის საოქმო განჩინებების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასაციის მოტივები/სამართლებრივი/:

პროცესუალური: კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ სათანადოდ არ გამოიკვლია საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები და სამართლებრივი შეფასება არ მისცა მათ, სასამართლოს გადაწყვეტილება საერთოდ არ შეიცავს მსჯელობას სააპელაციო საჩივრის მოტივებზე, კასატორის მითითებით, არ მიუღია მონაწილეობა სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვაში.

სამართლებრივი:

კასატორის განმარტებით, მშენებარე სახლის კედელი მიდგმულია მის საცხოვრებელ სახლზე, რომლის კარები და ფანჯარა არ იღება. საქალაქო სასამართლოს რომ დაეკმაყოფილებინა მისი შუამდგომლობა სპეციალისტის მეშვეობით ადგილის დათვალიერების შესახებ, საქმეზე მიღებულ იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

მოწინააღმდეგე მხარეები: ქ. ბათუმის მერიასა და ქ. ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმვარების სამსახურს წერილობითი მოსაზრებები არ წარმოუდგენიათ.

საკასაციო სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის დასპექტობის პროცესუალური წანამდლვრები (სასკ 34.3 მ.):

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კასატორის მ. ჩ-ის საკასაციო საჩივარი შეიცავს მითითებებს ადმინისტრაციული

საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლით, კერძოდ „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლის თაობაზე. სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

2013 წლის 19 ოქტომბერის საქმის ზეპირი განხილვისას ქ. ბათუმის მერიისა და ქ. ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის წარმომადგენელმა მ. კ-ემ წარადგინა ქ. ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურის №63 და №64 ბრძანებები, რომელთა თანახმად, ქ. ბათუმში .../ ... ქ. №108/78-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი საერთო ფართით – 106.63 მ² და საცხოვრებელი სახლი საერთო ფართით – 451,03 მ² ვარგისად იქნა აღიარებული.

მოწინააღმდეგე მხარეებმა, ქ. ბათუმის მერიამ და ქ. ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურმა, საქმის ზეპირი მოსმენით განხილვისას, საკასაციო საჩივრია არ ცნეს უსაფუძვლობის მოტივით და მოითხოვეს მის დაცმაყოფილებაზე უარის თქმა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მ. ჩ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 14 მარტის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილებელად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას დაარღვია მატერიალური და საპროცესო სამართლის ხორმები, კერძოდ, საქართველოს სამოქადაჭიმის საპროცესო კოდექსის 393.2 და 394-ე „ე“ მუხლების მოთხოვნები, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი და გადაწყვეტილება იურიდიული თვალსაზრისით დაუსაბუთებელია. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილული და გადაწყვეტილია საპროცესო ხორმებით დადგენილი მოთხოვნების უგულებელყოფით. ამასთანავე, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამარ-

თლებრივი დასაბუთება და დადგენილი სამართლებრივი დასკვნები არ ეყრდნობა შესაბამის მატერიალური სამართლის ნორმებს.

საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ „დავის საგანი მშენებლობის კანონმდებლობიდან გამომდინარეობს, სადაც ამ დარგის კანონმდებლობით არის განერილი აქტის მომზადებისა და გამოცემის საკითხები „...“, მისი სრული კანონშეუსაბამობის გამო, ვინაიდან სამშენებლო სამართალი განეკუთვნება ადმინისტრაციული სამართლის განსაკუთრებულ (კერძო) ნაწილს, შესაბამისად, სამშენებლო სამართალურთიერთობებთან დაკავშირებით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მიმართ სრულად ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მომზადების, მიღებისა და გამოცემისათვის დადგენილი სამართლებრივი პროცედურები, მათ შორის, საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისა და წარმოების ამ სახისათვის განსაზღვრული საპროცესო მოქმედებათა ჩატარების ვალდებულება, კერძოდ, მტკიცებულებათა მოპოვება, შეფასება, მესამე პირების ჩაბმა, მხარეთა მოსმენა და სხვა. ამდენად, სამშენებლო სამართლის (ისევე, როგორც ადმინისტრაციული სამართლის კერძო ნაწილის ყველა სხვა სფეროს) ნორმატიული აქტები ამომწურავად არ განსაზღვრავს აქტების მომზადების, მიღებისა და გამოცემის წესებს, რადგან ეს საერთო წესი დადგენილია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით და სავალდებულოა ყველა ადმინისტრაციული ორგანოსათვის მმართველობითი ღონისძიებების ყველა სამართლებრივი ფორმის განხორციელების მომენტში.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ამგვარი მსჯელობა ენინაალმდეგება მმართველობის კანონიერების პრინციპს, ქვეყნის კანონმდებლობის ჰარმონიზაციის და სხვადასხვა ნორმატიული აქტებით დადგენილი წესების სინთეზურად გამოყენების ვალდებულებას, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მოცემული სამართლებრივი შეფასება არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობის სწორი გაგება-გამოყენება-განმარტებიდან, მეტიც ადმინისტრაციული სამართლის ზოგადი ნაწილის ნორმები განაპირობებენ ადმინისტრაციული სამართლის კერძო ნაწილის ნორმების შინაარსს. ეს ნორმატიული აქტები ადგენენ კონკრეტულ მოწესრიგებას, რაც არცერთ შემთხვევაში არ უნდა იქნეს გაგებული იმგვარად, რომ ამ სამართალურთიერთობებში ზოგადი ადმინისტრაციული სამარ-

თლის ნორმები არ გამოიყენება.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმებისას საკასაციო სასამართლოს მიაჩინია, რომ სსსკ-ის 407.2. მუხლის მიხედვით წარმოდგენილია დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, რის გამოც სასამართლოს მიერ დადასტურებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები ვერ იქნება სავალდებულო საკასაციო სასამართლოსთვის, კერძოდ, გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას სააპელაციო სასამართლოს მიერ დარღვეულია სსსკ-ის 105.2. მუხლის მოთხოვნა, რომლის მიხედვით სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოცემული საქმის განხილვისას სასამართლოს სრულყოფილად არ გამოუკვლევია საქმის მასალები, დადგენილად მიჩნეული გარემოებები არ არის დადასტურებული შესაბამისი მტკიცებულებებით, საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებებს კი არ მიეცა ობიექტური შეფასება, შესაბამისად, სასამართლოს დასკვნები სრულიად დაუსაბუთებელია როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით. უფრო შეტიც, სააპელაციო სასამართლო მტკიცებულებათა შეკრებისა და გამოკვლევის გარეშე დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნას, რომ გ. კ-ის სახლის მშენებლობით აპელანტ – მ. ჩ-ის სუბიექტურ უფლებას და კანონიერ ინტერესს პირდაპირი და უშუალო ზიანი არ ადგებოდა და საჩივარი არ დააკმაყოფილა, მაშინ როცა აღნიშნული წარმოადგენს სარჩელის დაუშვებლობის მოტივით საქმის შეწყვეტის პროცესუალურ საფუძვლებს.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მსჯელობას, რომ სააპელაციო სასამართლომ სათანადოდ არ გამოიკვლია საქმის გარემოებები და სამართლებრივი შეფასება არ მისცა მათ.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოს პროცესუალური უფლებამოსილება განჩინებაში გადმოსცეს მოკლე დასაბუთება, არც ერთ შემთხვევაში არ უნდა იქნეს გაგებული იმგვარად, რომ სააპელაციო სასამართლო მხოლოდ ფორმალური თვალსაზრისით ახორციელებს მართლმსაჯულებას. მითითებული ნორმით დადგენილი პროცესუალური უფლებამოსილების გამოყენება არ უნდა მოვიდეს წინააღმდეგობაში ამავე კოდექსის 377.1 მუხლით განსაზღვრულ სააპელაციო სასამართლოს იურისდიქციასა და კომპეტენციას –

თან, ვინაიდან სააპელაციო ინსტანციაში მართლმსაჯულების განხორციელების არსი მდგომარეობს სწორედ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით სააპელაციო საჩივრის ფარგლებში შემოწმების ვალდებულების დადგენით. გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების და დასაბუთებულობის შემოწმების ვალდებულება პროცესუალურ-სამართლებრივი დოქტრინის მიხედვით გულისხმობს და მოიაზრებს სააპელაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის შეფასებას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართლწარმოება, რომელიც აგებულია მხარეთა დისპოზიციურობის და შეჯიბრებითობის პრინციპებზე, სააპელაციო და საკასაციო საჩივარს აკუთვნებს მხარის უფლების დაცვის სამართლებრივ საშუალებებს, ამასთან, სწორედ მხარის ამ საპროცესო უფლების რეალზაცია თანაზომიერია მხარისავე საპროცესო ვალდებულებასთან – დაასაბუთოს საჩივარი, კერძოდ, სსკ-ის 368-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ და „ვ“ ქვეპუნქტებში მითითებულია თუ რა უნდა იყოს ასახული სააპელაციო საჩივრის შინაარსში. მხარის ამგვარი პროცესუალური ვალდებულება შეიცავს მხარის საპროცესო უფლებრივ გარანტიას, ზემდგომში სასამართლომ შეაფასოს მისი საჩივრის მოტივების საფუძვლიანობა, გაიზიაროს ან უარყოს, გააქარწყლოს ისინი იურიდიულად არგუმენტირებული სახით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსსკ-ის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების გამოყენება ზემომითითებული საპროცესო ნორმების ობიექტური შინაარსის კონტექსტის გათვალისწინების გარეშე, სააპელაციო სამართალწარმოებას გახდის ზედაპირულს და განაპირობებს მის უკიდურესად ფორმალისტურ ხასიათს, რაც წინააღმდეგობაში მოდის სააპელაციო სამართალწარმოების არსა და მართლმსაჯულების პრინციპებთან.

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ არ არის გაქარწყლებული სააპელაციო საჩივრის მოტივები, არ არის გამოკვლეული საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, უფრო მეტიც, სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნები და ყოველგვარი სამართლებრივი დასაბუთების გარეშე დაასკვნა, რომ „სააპელაციო საჩივარში მოწმეთა დაკითხვის თაობაზე არაფერია ნათქვამი, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დავის საგანი მშენებლობის კანონმდებლობიდან გამომდინარეობს, სადაც ამ დარგის კანონმდებლობით არის გაწერილი აქტის მომზადებისა

და გამოცემის საკითხები, შესაბამისად საქართველოს სსკ-ის 102.3 მუხლის თანახმად, გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით, მოწმეთა ჩვენებები ამ შემთხვევაში მტკიცებულებად ვერ გამოდგება. ხოლო, რაც შეეხება სპეციალისტის მეშვეობით ადგილის დათვალიერებას, საქმის მასალები საკმარის საფუძველს იძლევა იმისათვის, რომ სასამართლოს თვალნათლივ შეექმნას წარმოდგენა საჩივრის ობიექტზე. სწორედ ამ საფუძვლებით არ დაკმაყოფილდა სააპელაციო საჩივარში მითითებული შუამდგომლობა. გასაჩივრებული საოქმო განჩინებები კანონს შესაბამისია და მათი არდაკმაყოფილება ზეგავლენას გადაწყვეტილების კანონიერებაზე ვერ მოახდენს".

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ქ. ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის 2012 წლის 22 ივნისის №624 ბრძანებისა და №000168 მშენებლობის სანებართვო მოწმობის თანახმად გ. კ-ე უფლებამოსილია ანარმონოს მშენებლობა სანებართვო მოწმობის შესაბამისად ქ. ბათუმში, .../ ... ქ. №108/78-ში მის საკუთრებაში არსებულ 134 კვ.მ მინის ნაკვეთზე, ხოლო ამავე სამსახურის 2011 წლის 4 თებერვლის №86 ბრძანებისა და №000514 მშენებლობის სანებართვო მოწმობის საფუძველზე ი. კ-ე უფლებამოსილია მშენებლობა ანარმონოს ამავე მისამართზე მდებარე მის საკუთრებაში არსებულ 65 კვ.მ მინის ნაკვეთზე. ი. კ-ის საკუთრებაში არსებული 65 კვ.მ მინის ნაკვეთი მდებარეობს გ. კ-ის საკუთრებაში არსებულ 134 კვ.მ მინის ნაკვეთსა და კასატორ მ. ჩ-ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას შორის. სწორედ ამ უკანასკნელ გარემოებაზე დაყრდნობით ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა მიიჩინეს, რომ გ. კ-ის მიერ საკუთარ მინის ნაკვეთზე წარმოებული მშენებლობა მ. ჩ-ის უფლებასა და კანონიერ ინტერესს პირდაპირ და უშუალო ზიანს არ აყენებს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩინია, რომ მხოლოდ ზემოაღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით შეუძლებელია დადგინდეს, ადგება თუ არა მ. ჩ-ის კანონიერ უფლებებსა და ინტერესს პირდაპირი და უშუალო ზიანი. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო პალატის ზემოაღნიშნულ ვრცელ მსჯელობას მისი იურიდიული დაუსაბუთებლობის გამო და განმარტავს, რომ სასამართლოს მიერ განვითარებული დასკვნები საქმეში არსებული მტკიცებულებებიდან, მათი შეფასებისა და გამოკვლევის საფუძველზე უნდა გამომდინარეობდეს. რამდენადაც სასამართლოს მიერ იურიდიული კვალიფი-

კაციის მოხდენა თავის თავში მოიცავს საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისობას კანონით დადგენილი ნორმის შემადგენლობასთან.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XV-XX თავები განსაზღვრავს მტკიცებულებათა სახეებს. ამავე კოდექსის 105.1 მუხლით დადგენილია სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა შეფასების სტანდარტი, კერძოდ, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შენაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოქვეს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოების არსებობის ან არარსებობის შესახებ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლი ადგენს მტკიცებულებათა შეკრების წესს და განსაზღვრავს, რომ გარდა მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებისა, სასამართლოს თავად შეუძლია დაავალოს მხარეებს დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენა, ამასთანავე, ადმინისტრაციული სამართალნარმოებისას, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლის პირველი ნაწილი, ოფიციალობის პრინციპის გათვალისწინებით, სასამართლოს ანიჭებს დამატებით უფლებამოსილებას – საკუთარი ინიციატივითაც შეაგროვოს ფაქტობრივი მტკიცებულებები საქმეზე კანონიერი გადაწყვეტილების მისაღებად. უფრო მეტიც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 107-ე მუხლი სასამართლოს ანიჭებს უფლებამოსილებას დასაბუთებული განჩინებით მტკიცებულებათა შეგროვება (შემოწმება) დაავალოს იმ სასამართლოს, რომლისთვისაც ტერიტორიულად ეს უფრო მოსახერხებელია.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებული სასამართლო დასკვნები არ ემყარება საქმის გარემოებების სრულ და ყოველმხრივ გამოკვლევას, ვერ ჰპოვებს დადასტურებას საქმეში არსებული მტკიცებულებებით, რის გამოც სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა გამოიკვლიოს ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, ჩაატაროს ადგილობრივი დათვალიერება, რათა უტყუარად და სარწმუნოდ დადგინდეს სადავო აქტებით ნებადართული მშენებლობის შედეგად მ. ჩ-ის სუბიექტური უფლების შელახვის საკითხი. საკასაციო სასამართლო დასძენს, რომ მსგავსი კატეგორიის დავების კანონშესაბამისი გადაწყვეტა დიდწილად არის დამოკიდებული სპეციალისტის დასკვნების შეფასებასთან, რის გამოც სააპელაციო სასამართლომ ობი-

ექტურად უნდა შეამოწმოს საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების წინმსწრები, სპეციალისტის მონაწილეობით ადგილის დათვალიერებაზე უარის თქმის შესახებ განჩინების კანონიერება, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377.3 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სამართლწარმოება მოიცავს სარჩელის მიღების, დასამვებობის შემოწმებისა და სარჩელის დასაბუთებულობის დადგენის სტადიებს. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-25-ე მუხლებით დადგენილია ადმინისტრაციული სარჩელის სახეები და მათი დასაშვებობის წინაპირობები. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით სარჩელის დასაშვებობის ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს მოსარჩელის მტკიცება, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი წარმომადგენლობის მის კანონიერ უფლებას ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებამოსილებას, რადგან თუ მხარის მატერიალური უფლება ან კანონიერ ინტერესი არ იზღუდება ან/და არ ადგება პირდაპირი და უშუალო ზიანი, არც შესაბამისი საპროცესო უფლება არსებობს. სარჩელის დასაშვებობის დადგენისას საქართვისა იმის ვარაუდი, რომ ირლვევა მისი სუბიექტური უფლება, ხოლო ის ფაქტი, წამდგილად დარღვეულია თუ არა მოსარჩელის კანონიერი უფლება ან/და ინტერესი, დგინდება სარჩელის დასაბუთებულობის შემოწმებისას, რაც შეუძლებელია საქმეზე არსებული ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების სრული, ყოველმხრივი და ობიექტური განხილვისა და გამოკვლევის გარეშე. განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებისას სარჩელის დასაშვებობის სტადიის მიზანია, კანონით გათვალისწინებულ აუცილებელ საკითხებთან ერთად წინასწარ, საქმის არსებითი განხილვის დაწყებამდე გაირკვეს, „რიგ შემთხვევებში“, ხომ არ არსებობს საქმის დაუშვებლობის მოტივით განჩინებით შეწყვეტის საფუძვლები, რათა უსაფუძვლოდ არ გაჭიანურდეს საქმის განხილვა. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26²-ე მუხლის თანახმად, თუ მოსამართლეს გაუჩნდება ეჭვი ადმინისტრაციული სარჩელის დაუშვებლობასთან დაკავშირებით, მან უნდა დანიშნოს გამწესრიგებელი სხდომა (სასკ 26.2 მ).

მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, კასატორი, როგორც ადმინისტრაციული ორგანოსათვის წარდგენილ საჩივარში, აგრეთვე პირველი და საპელაციო ინსტანციის სასამართლოებში

მიუთითებდა, რომ მიუხედავად ქ. ბათუმის მერიის მიერ გაცემული ორი სხვადასხვა სანებართვო მოწმობისა, გ. კ-ე ანარმონებდა ერთიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობას არა მხოლოდ თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, არამედ, ასევე ი. კ-ის საკუთრებაში არსებულ 65კვ.მ მიწის ნაკვეთზე, რომელიც მიღდგმულია მ. ჩ-ის საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ სახლთან, რის გამოც მას ეზღუდება სახლის ფანჯრებითა და კარებით სარგებლობა და მოითხოვდა აღნიშნული გარემობის სრულ და ობიექტურ გამოკვლევას, შესაბამისი მტკიცებულებების შეკრების მეშვეობით.

მოცემულ შემთხვევაში სარჩელის დასაშვებობის გადაწყვეტა დამოკიდებულია ფაქტობრივი გარემოებების სრულფასოვან მოპოვებასა და მათ ობიექტურ შეფასებაზე, რის გამოც საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას თავად იმსჯელოს ამ ნაწილში სარჩელის დასაშვებობის საფუძვლებზე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა იმსჯელოს მოსარჩელის სარჩელის დასაშვებობის თაობაზე სწორედ ზემომითობებული ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-24-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელის დასაშვებობის პირობების გათვალისწინებით.

საკასაციო სასამართლო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ წერილობით გამოცემული აქტის ფორმალური კანონიერების განმსაზღვრელ ერთ-ერთ კრიტერიუმს წარმოადგენს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთება. წერილობითი ფორმით გამოცემული აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას იმ სამართლებრივი და ფაქტობრივი წანმდლვრების შესახებ, რომელთა საფუძველზეც გამოიცა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ამასთანავე, თუ ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე, იგი ვალდებულია, რომ აქტის დასაბუთებაში მიუთითოს იმ გარემოებებზე, რომელიც საფუძვლად დაუდო მის გადაწყვეტილებას. დასაბუთების ვალდებულება ადმინისტრაციული საქმის წარმოებისას ადმინისტრაციულ ორგანოს აძლევს საშუალებას კიდევ ერთხელ დარწმუნდეს მის მიერ მიღდებული გადაწყვეტილების სიზუსტესა და კანონიერებაში. ამასთანავე, აქტის ადრესატისათვის აქტის კანონიერებისა და გასაჩინოების საპროცესო უფლების რეალიზების შესაძლო შედეგების განსაზღვრასთანაა დაკავშირებული.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის ციტირებას

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილების ტექსტიდან, რომ „ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთების კანონისმიერი ვალდებულება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ადმინისტრაციული ორგანო შებოჭოს სამართლით და მოაქციოს თვითკონტროლის ფარგლებში, რამდენადაც გადაწყვეტილების მიღება უნდა ეფუძნებოდეს კონკრეტულ გარემოებებსა და ფაქტებს, რომელთა შეფასებასაც ადმინისტრაციული ორგანო მიჰყავს საკითხის გადაწყვეტამდე, ანუ სწორედ კონკრეტული ფაქტები და გარემოებები განსაზღვრავს გადაწყვეტილების იურიდიულ შედეგს და არა პირიქით“ და მიიჩნევს, რომ ქ. ბათუმის მერიისა და ქ. ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის მიერ დარღვეულია გასაჩივრებული აქტების მომზადებისას და გამოცემისას ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნები, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთების შესახებ. სადაც აქტები არ შეიცავს დასაბუთებას, თუ კონკრეტულად რომელ მტკიცებულებებზე დაყრდნობით მიიღეს ადმინისტრაციულმა ორგანოებმა გადაწყვეტილება, ამასთანავე, საქმის წარმოებისას არ არის შეკრებილი, შესწავლილი და გამოკვლეული საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოები და მტკიცებულებები.

საკასაციო სასამართლო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 58-ე მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ დაინტერესებული მხარისათვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ოფიციალური გაცნობა გულისხმობს: პირველი – დაინტერესებული მხარისათვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის უშუალოდ გადაცემას ან მეორე – დაინტერესებული მხარისათვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფოსტის მეშვეობით გაგზავნას, გარდა მი შემთხვევისა, როდესაც კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დასტურდება, რომ ქ. ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის 2011 წლის 4 თებერვლის №86 ბრძანება და მის საფუძველზე გაცემული №000514 მშენებლობის სანებართვო მოწმობა მოსარჩევე მხარის წარმომადგენელს ი. შეს გადაეცა 2011 წლის 22 თებერვალს ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმის სხდომაზე მ. ჩ-ის სარჩელთან დაკავშირებით, აღნიშნულის შესახებ სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს შეფასება, რომ სანებართვო მოწმობას მოსარჩელის

ადგომები იფიციალურად გაეცნო. თუმცა, სააპელაციო სასა-მართლოს არ უმსჯელია პირველი ინსტანციის სასამართლოში მოსარჩელის წარმომადგენლის ი. შ-ის მიერ წარდგენილ მტკი-ცებულებაზე, რომლის თანახმადაც, მისი 2011 წლის 18 აპრი-ლის №05-02/6141 განცხადების პასუხად, მას 2011 წლის 3 მა-ისს გაეგზავნა ბათუმის მერიისა არქიტექტურისა და ურბანუ-ლი დაგეგმარების სამსახურის 2010 წლის 22 ივნისის №624 ბრძა-ნებისა და №000268 მშენებლობის სანებართვო მოწმობა, ასევე ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული სამსახურის 2011 წლის 4 თებერვლის №86 ბრძანებისა და №000514 მშენებ-ლობის სანებართვო მოწმობის დამოწმებული ასლები, ამასთა-ნავე, სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია ითვლება თუ არა მოსარჩელის წარმომადგენლისათვის აქტის გაცნობის შე-საძლებლობა აქტის ოფიციალურ გაცნობად და ნიშნავს თუ არა მოსარჩელის წარმომადგენლისათვის აქტის ჩაბარება ან გაც-ნობა, თავად მოსარჩელის მიერ აქტის ოფიციალურ გაცნობას, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 58-ე მუხლის შესაბამი-სად. ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპე-ლაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს და შეაფასოს ზემოაღ-ნიშნული გარემოებები და მხარეთა მიერ საქმეზე წარდგენილი მტკიცებულებები, რათა უტყუარად დადგინდეს ადმინისტრა-ციული საჩივრის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადების საკით-ხი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსსკ-ის 412.2 მუხ-ლის შესაბამისად, სახეზეა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალური და სამართლებრივი საფუძვლები, რის გამოც, სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას ადმი-ნისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენებით კანონიერი და ობიექტური გადაწყვეტილების დადგენის მიზნით, სრულყოფი-ლად უნდა გამოიკვლიოს ზემომითითებული გარემოებები და დავა გადაწყვიტოს მოქმედი საპროცესო და მატერიალური სა-მართლის კანონმდებლობის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს სამო-ქალაქო საპროცესო კოდექსის 53.4. მუხლის შესაბამისად, სა-სამართლო ხარჯები უნდა გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 412-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მ. ჩ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 14 მარტის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯები გადანაწილდეს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მთკიცებულებების სრულყოფილად გამოკვლევა

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო მინისტრი

№ბს-286-282(ქ-12)

30 აპრილი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ქმედების განხორციელების დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

სს „...“ 2011 წლის 5 ივნისს სარჩელით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე ქ. ბათუმის მერიის მიმართ და მოითხოვა თვითმმართველი ქ. ბათუმის აღმასრულებელი ორგანოს, საკრებულოს თავმჯდომარის 2011 წლის 23 მაისის №02/185 ბრძანების ბათილად ცნობა და ქ. ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობისათვის ქმედების განხორციელების დავა-

ლება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 19 აგვისტოს გადაწყვეტილებით სს „...“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ მოცემულ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ქ. ბათუმის მთავრობის 2004 წლის 7 დეკემბრის №13 დადგენილებით ქ. ბათუმის ქუჩებში საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებებზე მგზავრთა მოსაცდელების მოსაწყობად არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე გამოცხადდა გრძელვადიანი იჯარის კონკურსი. ამავე დადგენილებით დამტკიცდა საკონკურსო პირობები, რომლის 1.1. პუნქტის თანახმად, ქ. ბათუმის ქუჩებში საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებებზე უნდა მოწყობილიყო მგზავრთა 100 მოსაცდელი ჯიხური.

„სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გრძელვადიანი იჯარით გაცემისათვის მიწის მართვისა და განკარგვის საკონკურსო კომისიის 2005 წლის 20 იანვრის №1 შემაჯამბეჭდი თქმის დამტკიცების შესახებ“, ქ. ბათუმის მთავრობის 2005 წლის 25 იანვრის №6 დაგენილებით კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „...“ (რეორგანიზაციის შემდეგ ს.ს. „...“), რომელთანაც აღნიშნული დადგენილების საფუძველზე 2005 წლის 26 აგვისტოს გაფორმდა №1-5626 ხელშეკრულება „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის იჯარის შესახებ“, და შპს „...“. ქ. ბათუმის ქუჩებში საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებებზე მგზავრთა 23 ერთეული მოსაცდელი ჯიხურების მოსაწყობად 20-წლიანი საიჯარო ვადით – 2025 წლის 26 აგვისტომდე, იჯარით გადაეცა 276 კვ.მ. საერთო ფართის (12 კვ X 23) მიწის ნაკვეთი.

ქ. ბათუმის მერიასა და შპს „...“ შორის გაფორმდა „თვითმმართველ ქ. ბათუმის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის იჯარის შესახებ“, 2008 წლის 8 მაისის №ი-3 ხელშეკრულება, რომლითაც შპს „...“. ქ. ბათუმის მთავრობის 2004 წლის 7 დეკემბრის №13 დადგენილების შესაბამისად იჯარით გადაეცა დარჩენილი 77 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

თვითმმართველი ქ. ბათუმის აღმასრულებელი ორგანოს, საკრებულოს თავმჯდომარის 2011 წლის 23 მაისის №02/185 ბრძანებით ბათოლად იქნა ცნობილი „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის იჯარის შესახებ“ ქ. ბათუმის მერიასა და შპს „...“ შორის 2005 წლის 26 აგვისტოს დადებული №1-5626 ხელშეკრუ-

ლება და ძალადაკარგულად გამოცხადდა „ქ. ბათუმის ქუჩებში საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებებზე მგზავრთა მოსაცდელების მოსაწყობად მიწის იჯარის უფლებით გაცემაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ქ. ბათუმის მთავრობის 2004 წლის 7 დეკემბრის №13 დადგენილება.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. ბათუმის ტერიტორიაზე ს.ს. „...“ მიერ დღემდე 100 მოსაცდელი ჯიხური არ მოწყობილა და მოწყობილია მხოლოდ 46 ავტობუსის გაჩერების კონსტრუქცია, რასაც მოპასუხე მხარეც ადასტურებს.

სასამართლომ არ გაიზიარა ს.ს. „...“ პოზიცია, რადგანაც ქ. ბათუმის მერიასა და შპს „...“ შორის გაფორმდა „თვითმმართველ ქ. ბათუმის საკუთრებაში არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის იჯარის შესახებ“ 2008 წლის 8 მაისის №ი-3 ხელშეკრულება, რომლითაც შპს „...“ ქ. ბათუმის მთავრობის 2004 წლის 7 დეკემბრის №13 დადგენილების შესაბამისად იჯარით გადაეცა დარჩენილი 77 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, აღნიშნულით ქ. ბათუმის მთავრობის 2004 წლის 7 დეკემბრის №13 დადგენილების მოთხოვნა 100 მოსაცდელი ჯიხურის მოწყობის შესახებ შესრულებული იქნა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მერიასა და ს.ს. „...“ შორის 2008 წლის 18 იანვარს დადებული შეთანხმება წარმოადგენს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას წარმოადგენს. სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის გაფორმებული 2005 წლის 26 აგვისტოს დადებული №1-5626 და 2008 წლის 8 მაისის №ი-3 ხელშეკრულებით დაიღვა კანონით დადგენილი წესი, რაც შემდეგში გამოიხატა: ქ. ბათუმის მთავრობასა და შპს „...“ შორის 2005 წლის 26 აგვისტოს დადებული №1-5626 ხელშეკრულების თანახმად, შპს „...“ აიღო ვალდებულება ქ. ბათუმის ქუჩებში საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებებზე მგზავრთა მხოლოდ 23 ერთეული მოსაცდელი ჯიხურის მოსაწყობად. შესაბამისად, აღნიშნული ხელშეკრულება არ შეესაბამებოდა ქ. ბათუმის მთავრობის 2004 წლის 7 დეკემბრის №13 დადგენილებას, რომლითაც ქ. ბათუმის ქუჩებში საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებებზე უნდა მოწყობილიყო მგზავრთა 100 მოსაცდელი ჯიხური. ხელშეკრულების გაფორმების დროს მოქმედი „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ“ საქარ-

თველოს კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო მინა საკუთრებაში ან სარგებლობაში განიკარგება კონკურსის, აუქციონის ან პირდაპირი განკარგვის წესით. ამავე კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, მოიჯარე მინათ-სარგებლობის უფლებას მოიპოვებს ხელშეკრულების საფუძვლზე. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კი, იჯარის ხელშეკრულებას რაიონის, ქალაქის, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში, აღმასრულებელი ორგანოები დებენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ დამტკიცებული და საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის და მშენებლობისა და ურბანიზაციის სამინისტროებთან და მინის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტთან შეთანხმებული ფორმით. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2000 წლის 10 მაისის №65 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის საკუთრებაში ან სარგებლობაში განკარგვის წესის“ მე-6 მუხლის თანახმად, რომელიც აწესრიგებს აუქციონის/კონკურსის გარიგებათა გაფორმების წესს, ადგილობრივი მმართველობის ორგანოს შეუძლია არ დაამტკიცოს აუქციონის ან კონკურსის შედეგები მინის განკარგვის შესახებ წესებისა და პირობების დარღვევის შემთხვევაში.

სასამართლოს მიერ დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ ქ. ბათუმის მთავრობასა და შპს „...“ შორის 2005 წლის 26 აგვისტოს დადებული №1-5626 ხელშეკრულება არ შეესაბამებოდა ქ. ბათუმის მთავრობის 2004 წლის 7 დეკემბრის №13 დადგენილებას, რომლითაც ქ. ბათუმის ქუჩებში საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებებზე უნდა მოწყობილიყო მგზავრთა 100 მოსაცდელი ჯიბური. ხსენებული გარემოება კი წარმოადგენდა კანონით დადგენილი წესის დარღვევას, რომ კონკურსის საფუძვლზე დადებული ხელშეკრულება უნდა შეესაბამებოდეს საკონკურსო პირობებს, რაც მოცემულ შემთხვევაში უფლებას აძლევდა ქ. ბათუმის მერიას, ბათილად ეცნო ქ. ბათუმის მთავრობასა და შპს „-ს შორის 2005 წლის 26 აგვისტოს დადებული №1-5626 ხელშეკრულება.

სასამართლომ მიუთითა იმ გარემოებაზეც, რომ მხარეთა შორის სადაცოდე გამხდარი ხელშეკრულება ენინაალმდეგება საჯარო წესრიგის განხორციელებას, იმ მხრივ, რომ ქ. ბათუმის მერია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“, საქართველოს კანონის საფუძვლზე განახორციელებს საჯარო უფლებამოსილებას, მათ შორის

რის, თვითმმართველი ერთეულის კუთვნილი ქონების მიმართაც, ხოლო მოცემულ შემთხვევაში განსაზღვრული იყო ზემოთ დასახელებული შეთანხმებით ქ. ბათუმის მერიასა და ს.ს „....“ შორის მერიის კონკრეტული საჯარო უფლებამოსილება, რისი შესრულებაც გამოირიცხა სადაცოდ გამხდარი ხელშეკრულების გამო. შესაბამისად, დარღვეულ იქნა სამოქალაქო ბრუნვის არსებითი პრინციპები და ამდენად საჯარო წესრიგიც.

სასამართლომ ჩათვალა, რომ არ არსებობდა ს.ს „....“-ს სარჩელის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა ს.ს „....“, რითაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება. აპელანტის მითითებით, სასამართლომ შეფასება არ მისცა იმ გარემობას, რომ ქ.ბათუმის მერია სისტემატურად უშლიდა ხელს სს „....“ ვალდებულების შესრულებაში. ქალაქის მერიას არ უცნობებია კონტრაპენტი მხარისათვის ხელშეკრულებიდან გასვლის თაობაზე სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი წესით. 2010 წლის 25 ივლისის წერილი იყო ერთადერთი შეტყობინება, რომ ადგილი ჰქონდა ავტობუსის გაჩერებაზე განთავსებული კონსტრუქციის დაზიანებას, რაც დაუყოვნებლივ იქნა აღმოვხვდილი. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ ქ.ბათუმის მთავრობასთან გაფორმებული ორივე ხელშეკრულების საფუძველზე სს „....“ დღემდე იხდის საიჯარო ქირას 100 ერთეულ მიწის ნაკვეთზე წელიწადში 5 602,8 ლარის ოდენობით, მიუხედავად იმისა, რომ მოსაცდელი ჯიხური 46 ადგილასაა განთავსებული.

აპელანტის აღნიშვნით, როცა სასამართლო მსჯელობს 2004 წლის 7 დეკემბრის №13 დადგენილების ვითომდა შეუსრულებლობაზე, ეყრდნობა მხოლოდ 2005 წლის №5626 ხელშეკრულებას და არ მიუთითებს მეორე, 2008 წლის 08 მაისის ხელშეკრულებაზე, რომელიც ფაქტობრივად ავსებს პირველს. ბათუმის საქალაქო სასამართლომ შეფასება არ მისცა ქ.ბათუმის მერის წერილს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისიისადმი, რომლის შინაარსიც ადასტურებს, რომ ქ.ბათუმის მერიისთვის ცნობილი იყო და იგი სადაცოდ არ ხდიდა სს „....“ მხრიდან ტროტუარების ნაწილზე, ავტობუსების გაჩერებებთან, მოსაცდელების განთავსებას ეტაპობრივად. აღნიშნული წერილი, აპელანტის აზრით, ადასტურებს, რომ ქალაქის თვითმმართველობა დაინტერესებული იყო მოსაცდელები მოწყობილიყო ქალაქის ინფრასტრუქტურის მოწესრიგებასთან ერთად, რაც ხშირ შემთხვევაში იწვევდა გაჩერე-

ბის ადგილის შეცვლას. აპელანტის განმარტებით მათი მხრიდან არაერთხელ გაცხადდა, რომ მზად იყვნენ (და არიან დღესაც) განეთავსებათ ქალაქის დარჩენილ უძნებშიც ავტობუსის გაჩერებებზე მოსაცდელი კონსტრუქციები მას შემდეგ, რაც ქალაქის მერია აღმოფხვრიდა ხელისშემმლელ ფაქტორებს (დაარეგისტრირებდა იჯარით გადაცემული ნაკვეთებს, რათა მომხდეარიყო სარგებლობის უფლების რეგისტრაცია, აღარ მოახდენდა გაჩერებებზე დამონტაჟებული კონსტრუქციების თვითნებურ დემონტაჟს და გაურკვეველ მისამართზე გადატანას, ასევე გამოყოფდა ახალ ადგილებს იმის სანაცვლოდ, რომლებიც ქალაქის ინფრასტრუქტურის ცვლილების გამო, გამოუსადეგარი აღმოჩნდა საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერების მოსაწყობად).

აპელანტის აზრით, შეფასება არ მიეცა იმ გარემობას, რომ 2004 წლის 7 დეკემბრის № 13 ხელშეკრულების შესაბამისად პირველ ეტაპზე, ერთ წელიწადში, უნდა მოწყობილიყო არანაკლებ 20 ჯიხური. რეალურად კი განთავსდა 23 ჯიხური. მიუხედავად ამისა, სასამართლომ მიიჩნია, რომ ვალდებულება არ შესრულებულა. სასამართლომ დადგენილ ფაქტორივ გარემობად მიიჩნია, რომ 2005 წლის 26 აგვისტოს № 1-5626 ხელშეკრულება მხოლოდ 23 ერთეული მოსაცდელი ჯიხურის მოწყობას ითვალისწინებდა, რაც მნიშვნელოვან ზიანს აყენებდა სახელმწიფო და სახელმწიფო ბრივ ინტერესს და არ გაითვალისწინა, რომ ამ ხელშეკრულებას, სს „...“ ერთად ხელს აწერდა ქ.ბათუმის მერიაც, ანუ მათვის იმ ეტაპზე მისალები იყო მხოლოდ 23 ადგილზე მოსაცდელის განთავსება. ამ ხელშეკრულებას თან ახლდა გაჩერებების ადგილმდებარეობის მითითებით დამტკიცებული და არქიტექტურისა სამსახურთან შეთანხებული გეგმა, რაც კი დევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ სწორედ მერიის ინიციატივით დაიდო ხელშეკრულება თავიდან 23, ხოლო მოგვიანებით - 77 ერთეულ ობიექტზე.

სააპელაციო საჩივრის დაქმაყოფილების სამართლებრივ საფუძვლად აპელანტი მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე, 95-ე, 96-ე მე-60¹ მუხლებზე.

სააპელაციო სასამართლომ სს „...“ სააპელაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა, უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 19 აგვისტოს გადაწყვეტილება, შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი შეფასების სრულად გაზიარებით, დადგენილად მიიჩნია, რომ გასაჩივრებული ადმინის-

ტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ ენინააღმდეგება კანონს, არ არის დარღვეული მისი მომზადებისა და გამოცემის კანონ-მდებლობით დადგენილი წესი, რის გამოც არ არსებობს მისი ბა-თილად ცნობის საფუძველი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 20 დეკემბრის განჩინებაზე სა-კასაციო საჩივარი შეიტყონა სს „...“ და მოითხოვა გასაჩივრებუ-ლი გადაწყვეტილების გაუქმების გზით ახალი გადაწყვეტილე-ბის მიღება, რომლითაც დაკმაყოფილდება სარჩელი. კასატორ-მა საკასაციო საჩივარში მიუთითა, რომ დაუსაბუთებელია საა-პელაციო სასამართლოს მითითება ხელშეკრულების სს „...“ მი-ერ შეუსრულებლობაზე. სასამართლომ არ იმსჯელა მოპასუხის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულე-ბისაგან თავის არიდებაზე. ასევე მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა აპელანტის მიერ მითითებულ მთელ რიგ ფაქტობრივ გარემოებებზე, მათ შორის: სს „...“ მიერ იჯა-რის ქირის გადახდაზე, სს „...“ მიერ 100 გაჩერების არ ჩადგმის ფაქტობრივ მიზეზებზე, გაჩერებების ტერიტორიების ქ. ბათუ-მის მერიის მიერ საჯარო რეესტრში არ დარეგისტრირებაზე, ასევე იმ გარემოებაზე, რომ მიუხედავად აქტის მოქმედების შეჩერებისა, ქ. ბათუმის მერია კვლავ აგრძელებს ჩადგმული გა-ჩერებების დემონტაჟს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 2 აპრი-ლის განჩინებით სს „...“ საკასაციო საჩივარი მიღებული იქნა წარ-მოებაში, ხოლო ამავე სასამართლოს 2012 წლის 24 დეკემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად. სასე-ის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამი-სად, რადგან საქმე მიჩნეული იქნა მნიშვნელოვნად სამართლის პრაქტიკისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამო-ყალიბებისათვის.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკა-საციო საჩივარის მოტივების საფუძვლიანობის შესწავლის, მხა-რეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და გასაჩივრებული გან-ჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედე-გად მივიღა იმ დასკვნამდე, რომ სს „...“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს ქუთაისის საა-პელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 20 დეკემბრის განჩინება და საქმეზე მიღებულ იქ-ნეს ახალი გადაწყვეტილება, სს „...“ სარჩელი დაკმაყოფილდეს

ნაწილობრივ, სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი თვითმართველი ქალაქის – ბათუმის აღმასრულებელი ორგანოს საკრებულოს თავმჯდომარის 2011 წლის 23 მაისის ბრძანება და დაევალოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად გამოსცეს ახალი ინდივიდუალური აღმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსს 32.4. მუხლი, რამდენადაც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სადაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გამოიცა საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, შემდეგ გარემოებათა გამო: საკასაციო სასამართლოს დადგენილად მიაჩნია ის ფაქტობრივი გარემოება, რომ ქ. ბათუმის მთავრობის 2004 წლის 7 დეკემბრის №13 დადგენილებით ქ. ბათუმის ქუჩებში საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებებზე მგზავრთა მოსაცდელების მოსაწყობად არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინებზე გამოცხადდა გრძელვადიანი იჯარის კონკურსი. ამავე დადგენილებით დამტკიცდა საკონკურსო პირობები, რომლის 1.1. პუნქტის თანახმად, ქ. ბათუმის ქუჩებში საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებებზე უნდა მოწყობილიყო მგზავრთა 100 მოსაცდელი ჯიხური. „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გრძელვადიანი იჯარით გაცემისათვის მიწის მართვისა და განკარვის საკონკურსო კომისიის 2005 წლის 20 იანვრის №1 შემაჯამებელი ოქმის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მთავრობის 2005 წლის 25 იანვრის №6 დადგენილებით კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „...“ (რეორგანიზაციის შემდეგ ს.ს. „...“), რომელთანაც აღნიშნული დადგენილების საფუძველზე 2005 წლის 26 აგვისტოს გაფორმდა №1-5626 ხელშეკრულება „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის იჯარის შესახებ“ და შპს „...“ ქ. ბათუმის ქუჩებში საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებებზე მგზავრთა 23 ერთეული მოსაცდელი ჯიხურების მოსაწყობად 20 წლიანი საიჯარო ვადით – 2025 წლის 26 აგვისტომდე, იჯარით გადაეცა 276 კვ.მ. საერთო ფართის (12 კვმ X 23) მიწის ნაკვეთები. ქ. ბათუმის მერიასა და შპს „...“ შორის გაფორმდა „თვითმმართველ ქ. ბათუმის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის იჯარის შესახებ“, 2008 წლის 8 მაისის №ი-3 ხელშეკრულება, რომლითაც შპს „...“ ქ. ბათუმის მთავრო-

ბის 2004 წლის 7 დეკემბრის №13 დადგენილების შესაბამისად იჯარით გადაეცა დარჩენილი 77 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. თვითმმართველი ქ. ბათუმის აღმასრულებელი ორგანოს, საკორებულოს თავმჯდომარის 2011 წლის 23 მაისის №02/185 ბრძანებით ბათილად იქნა ცნობილი „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის იჯარის შესახებ“ ქ. ბათუმის მერიასა და შპს „...“ შორის 2005 წლის 26 აგვისტოს დადებული №1-5626 ხელშეკრულება და ძალადაკარგულად გამოცხადდა „ქ. ბათუმის ქუჩებში საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებებზე მგზავრთა მოსაცდელების მოსაწყობად მიწის იჯარის უფლებით გაცემაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ქ. ბათუმის მთვრობის 2004 წლის 7 დეკემბრის №13 დადგენილება იმ საფუძვლით, რომ ქ. ბათუმის ტერიტორიაზე ს.ს. „...“ მიერ დღემდე 100 მოსაცდელი ჯიხური არ მოწყობილა და მოწყობილია მხოლოდ ნაწილი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტის გამოცემისას ადმინისტრაციულმა ორგანომ არ გამოიკვლია მთელი რიგი გარემოებები, კერძოდ, არ გაითვალისწინა ის ფაქტობრივი გარემოება, რომ სს „...“ არ მისცემია საშუალება ჩაედგა 100 ჯიხური, რადგან აღნიშნულის განხორციელება მხოლოდ მის სურვილსა და მოქმედებაზე არ იყო დამოკიდებული. ქ. ბათუმის თვითმმართველ ერთეულს თავის მხრივ ეკისრებოდა ვალდებულებები, რაც მას არ შეუსრულებია, კერძოდ, არ მოუხდენია აღნიშნული ადგილების საკადასტრო გეგმების დარეგისტრირება საჯარო რეესტრში. მიუხედავად იმისა, რომ ამავე ადგილზე საკადასტრო გეგმა თავად სს „...“ მიერ იქნა ქ. ბათუმის თვითმმართველი ერთეულისათვის გადაცემული, რაზეც სს „...“ მიერ ხარჯი იქნა განეული, რასაც არ უარყოფს მონინააღმდეგე მხარე. საქმის მასალებით დასტურდება, რომ თავად სს „...“ მიმართავდა ქ. ბათუმის მერს, მიენიდებინა სს „...“ ნაკვეთების ზუსტი სარეგისტრაციო მონაცემები, აღნიშნულს ადასტურებს საქმეში წარმოდგენილი წერილი. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებები არ ითვალისწინებდა 100 მოსაცდელი ჯიხურის ერთპაშად და დაუყოვნებლივ ჩადგმას. როგორც ადმინისტრაციული ორგანოს წარმომდგენელი სასამართლო სხდომებზე განმარტავდა სს „...“-ს 20 წლის ვადით გადაეცა ეს ადგილები სარგებლობის უფლებით, რაც არ გულისხმობდა მხარის უფლებას, 2025 წლამდე მოეხდინა ჯიხურების განთავსება, თუმცა ამავე დროს ვერ უთითებს ხელშეკრულების ვერც

ერთ დათქმაზე, რომელიც სს „....“ განუსაზღვრავდა ჯიხურების განთავსების უფრო მოკლე ვადას, 2025 წლამდე.

საკასაციო სასამართლო ასევე ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდება ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლის ზეპირი განცხადება სს „....“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის თაობაზე. ამასთან, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება სს „....“ მიერ ვალდებულებების შესრულება მისი შესაძლებლობების ფარგლებში.

საკასაციო სასამართლოს მნიშვნელოვნად მიაჩნია აღნიშნოს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქ. ბათუმის მთავრობასა და შპს „....“ შორის 2005 წლის 26 აგვისტოს დადებული №1-5626 ხელშეკრულება თავისი არსით წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას, რომლის მიმართ მსჯელობისას ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა გაეთვალისწინებინა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნები.

ასევე მნიშვნელოვანია, ყურადღება მიექცეს იმ გარემოებას, რომ ბათილად არის ცნობილი აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლის მიმართ სს „....“-ს გააჩნდა კანონიერი ნდობა, რაც არ გაუთვალისწინებია ადმინისტრაციულ ორგანოს, ისე გამოსცა გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კანონიერი ნდობის უფლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობებში განსაკუთრებულ დატვირთვას ატარებს, რადგან ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობას თავისი არსით სუბორდინაციული ხასიათი გააჩნია. კანონიერი ნდობის უფლება იცავს პირს ადმინისტრაციული ორგანოს სამართლებრივი შედომისა და მომავალში განსახორციელებელი მოქმედების შეუსრულებლობისაგან. აღნიშნული ინსტიტუტის სრულფასოვანი დამკვიდრება უზრუნველყოფს მმართველობის კანონიერებას, სტაბილურობას, მის ავტორიტეტს საზოგადოებაში. კანონიერი ნდობის ინსტიტუტის არსებობა პირდაპირ კავშირშია სამართლებრივ შედეგთან, სწორედ სამართლებრივი შედეგის სტაბილურობის შენარჩუნების მიზანს ემსახურება კანონიერი ნდობის დაცვა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში, ადმინისტრაციულმა ორგანომ ისე გამოსცა ადმინისტრაციული აქტი, რომ არ მოუხდენია ზემოთ მითითებული გა-

რემონტების გამოკვლევა, არ დაუსაბუთებია, რა აღმატებული საჯარო ინტერესი არსებობდა, როდესაც ბათილად აცხადებდა გასაჩივრებულ აქტს. საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად მიიჩნევს გასაჩივრებული აქტის დასაბუთებას იმის თაობაზე, რომ მხარეთა შორის დადებული გარიგება არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ვერ მოხდა იმის სარწმუნოდ დასაბუთება, თუ კანონის რომელი ნორმა დაირღვა ან რა ნაწილში ეწინააღმდეგება მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს. ასევე ვერ იქნა მტკიცებულებების წარმოდგენა, რომლებიც დაადასტურებდენ, რომ სს „...“-ს გააჩნდა შესაძლებლობა, მაგრამ მის მიერ არ იქნა შესრულებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, რაც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის მოთხოვნებს ეწინააღმდეგება, რომლის დეფინიციის თანახმად სახეზე არ არის კანონმდებლობით გათვალისწინებული არც ერთი პირობა, რაც შეიძლებოდა გამხდარიყ აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის საფუძველი.

საკასაციო სასამართლო ასევე ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სს „...“-ს მიერ საქმეში იქნა წარმოდგენილი საიჯარო ქირის გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულებები (ანგარიშის ბარათი და ელექტრონული საგადასახადო დავალებები), რომლითაც დასტურდება, რომ სს „...“ იხდის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საიჯარო ქირას. სს „...“ წარმომადგენლის მიერ სასამართლო სხდომებზე გაცხადებულ იქნა, რომ საიჯარო ქირას იხდიან ასევე (100) ჯიბურზე, მიუხედავად იმისა, რომ განთავსებული არ არის ყველა მათგანი. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება სადაციდ არ გაუხდია მოწინააღმდეგი ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენელს. აღნიშნული გარემოება კიდევ ერთხელ ადასტურებს სს „...“ კეთილსინდისიერებას, რაც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არ იქნა გათვალისწინებული.

საკასაციო სასამართლომ ასევე მნიშვნელოვნად მიიჩნევს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 8 ივლისის განჩინების შეუსრულებლობას. აღნიშნული განჩინებით სასამართლომ ადმინისტრაციული სარჩელის წარმოებაში მიღებასთან ერთად დაადგინა გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტის მოქმედების შეჩერება, რაც მოწინააღმდეგე მხარის მიერ არ გასაჩივრებულა. აღნიშნული კი

გულისხმობს სზაკ-ის 29.9 მუხლით გათვალისწინებული განჩინების გასაჩივრების ვადის გასცლის შემდეგ განჩინება შევიდა კანონიერ ძალაში. სს „...“ წარმომადგენლის მიერ საკასაციო სასამართლოს სხდომაზე განმარტებული იქნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანისთანავე ქ. ბათუმის თვითმმართველმა ერთეულმა დაიწყო სს „...“ მიერ განთავსებული ჯიხურების დემონტაჟი. იმის მიუხედავად, რომ გასაჩივრებული აქტის მოქმედება იყო შეჩერებული. მითითებული ფაქტობრივი გარემოება სადავოდ არ გაუხდია ქ. ბათუმის თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენელს. საქასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული მოქმედება წარმოადგენს კანონის უხეშ დარღვევას, ვინაიდან საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციის 82.2 მუხლის მიხედვით, სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა სახელწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლი ადგენს სასამართლო გადაწყვეტილებათა სავალდებულობას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე: კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებები (განკარგულებები, დადგენილებები), აგრეთვე თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად სასამართლოს მიერ აღმრული მოთხოვნები და განკარგულებები სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივი თუ კერძო სანარმოსათვის, დაწესებულებებისათვის, თანამდებობის პირისა თუ მოქალაქეებისათვის და ისინი უნდა შესრულდეს. საკასაციო სასამართლოს განმარტავს, რომ სასამართლო ახორციელებს რა სახელმწიფო ხელისუფლების განსაკუთრებულ ფუნქციას – მართლმსაჯულებას, სახელმწიფოს სახელით დადგენილი გადაწყვეტილებების კანონიერ ძალაში შესვლა გულისხმობს მის უპირობო და სავალდებულო შესრულებას, რაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში უგულებელყოფილი იქნა ბათუმის თვითმმართველი ერთეულის მიერ სს „...“ მიერ განთავსებული ჯიხურების დემონტაჟის განსახორციელებისას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა არეგულირებს სარჩელის უზრუნველყოფის საკითხს და ითვალისწინებს სარჩელის უზრუნველყოფის ისეთ ორ ღონისძიებას, როგორიც არის გასაჩივრებული ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლი) და დროებითი განჩინების მიღება (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხ-

ლი). მოცემულ შემთხვევაში სახეზეა სასკ-ის 29-ე მუხლით გათვალისწინებული აქტის მოქმედების შეჩერება, რა დროსაც დაუშვებელია აღნიშნული აქტის საფუძველზე განხორციელდეს რაიმე ქმედება, ვიდრე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 30-ე მუხლის შესაბამისად აღნიშნულ საკითხზე მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილება არ შევა კანონიერ ძალაში ან სასარჩელო წარმოება სხვაგვარად არ დასრულება. მოცემულ შემთხვევაში კანონმდებლობით გათვალისწინებული არც ერთი შემთხვევა არ არის სახეზე, რაც გამორიცხავს შეჩერებული აქტის საფუძველზე ყოველგვარი მოქმედების შესრულებას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 5.1. მუხლზე, რომლის თანახმად ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილების განხორციელების სავალდებულო პრინციპი – უფლებამოსილების განხორციელება კანონის საფუძველზე, გულისხმობს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს ეკრძალება კანონმდებლობის მოთხოვნის სანინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე მოქმედება. შეჩერებული აქტის პირობებში ქმედების განხორციელებისას კანონის მითითებული მოთხოვნა არ იქნა დაცული ბათუმის თვითმმართველი ერთეულის მიერ.

საკასაციო სასამართლო ასევე განმარტავს, რომ სასამართლოს უფლებამოსილება სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული ადმინისტრაციული აქტი, განსაზღვრულია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, კერძოდ, აღნიშნული ნორმის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა, იგი უფლებამოსილია სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს იგი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი – რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას წარმოადგენს საქმისათვის მნიშვნელო-

ბის მქონე გარემოებათა გამოკვლევა, სწორედ საქმის გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე უნდა იქნეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილება მიღებული. ზემოაღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ არ გამოიყვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და ისე გამოსცა ადმინისტრაციული აქტი, იგი უფლებამოსილია სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალურ-სამართლებრივი ადმინისტრაციული აქტი და დაავალოს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს გამოსცეს ახალი აქტი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4. მუხლით მინიჭებული უფლებამოსილება სასამართლომ უნდა გამოიყენოს იმ ვითარებაში, როცა სასამართლო წესით ვერ ხერხდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება. შესაბამისად, შეუძლებელი ხდება სადაც ადმინისტრაციული აქტის მატერიალური კანონიერების შეფასება.

აღნიშნული პროცესუალური შესაძლებლობა ემსახურება ადმინისტრაციული ორგანოების მიერ განხორციელებულ მმართველობის კანონიერებაზე სასამართლო კონტროლის სრულფასოვან რეალიზაციას და მართლმსაჯულების ეფექტიან განხორციელებას. იმ პირობებში, როცა ადმინისტრაციულ ორგანოს საერთოდ არ მოუხდენია ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში რიგ შემთხვევებში შეუძლებელი ხდება მათი გამოკვლევა.

მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ სადაც აქტის გამოცემისას ობიექტურად არ გამოიკვლია საქმის გარემოებები და არ შეასრულა კანონით მისთვის დაკისრებული მოვალეობები, რის შედეგადაც მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს საკითხის გადაწყვეტილისას მტკიცებულებათა შეჯერების გზით უნდა დაედგინა საქმისათვის განმსაზღვრელი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, რაც მის მიერ არ განხორციელებულია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის 1-ლი ნაწილის, მე-7 ნაწილის „ა“ პუნქტისა და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე სადაც საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი სადაც აქტი. ამასთან, მოპასუხეს უნდა დაევალოს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრა-

ციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა საქმის გარემოებების გამოკვლევისა და ობიექტური შეფასების საფუძველზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსსკ-ის 411-ე მუხლის შესაბამისად სახეზეა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გასაჩინორებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღების პროცესუალური წინაპირობები, რომლითაც სს „...“ სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თვითმმართველი ქალქებათუმის აღმასრულებელი ორგანოს საკრებულოს უნდა დაევალოს სს „...“ მიერ სახელმწიფო ბაჟის 550 ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 411-ე, მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ 3 ი ტ ა:

1. სს „...“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 20 დეკემბრის განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. სს „...“ სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი თვითმმართველი ქალაქ ბათუმის აღმასრულებელი ორგანოს საკრებულოს თავმჯდომარის 2011 წლის 23 მაისის ბრძანება და დაევალოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;
5. თვითმმართველი ქალაქ ბათუმის აღმასრულებელ ორგანოს საკრებულოს დაეკისროს სს „...“ მიერ გადახდილი ბაჟის – 550 ლარის ოდენობით ანაზღაურება.
6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მთკიცებულებების სრულყოფილად გამოკვლევა

განხილვა

№ბს-1808-1776(ქ-11)

30 აპრილი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
გ. ვაჩაძე,
6. სხირტლაძე

სარჩელის საგანი: საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის
30 იანვრის №93 განკარგულების პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნ-
ქტის ძალადაკარგულად გამოცხადების ნაწილში საქართველოს
პრეზიდენტის 2010 წლის 19 ოქტომბრის №1001 განკარგულე-
ბის ბათილად ცნობა.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა მ. ხ-ემ სა-
ქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 30 იანვრის №93 განკარგუ-
ლების პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის ძალადაკარგულად
გამოცხადების ნაწილში საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის
19 ოქტომბრის №1001 განკარგულების ბათილად ცნობა.

საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსზე, საქარ-
თველოს სამოქალაქო კოდექსსა და „სახელმწიფო საკუთრება-
ში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის
მართვისა და განკარგვის შესახებ“ საქართველოს კანონზე მი-
თითებით სასამართლომ სარჩელი მიიჩნია დაუსაბუთებელად,
იმ საფუძვლით, რომ არ არსებობს საქართველოს პრეზიდენ-
ტის 2010 წლის 19 ოქტომბრის №1001 განკარგულების ბათი-
ლად ცნობის სამართლებრივი საფუძველი, შემდეგ გარემოება-
თა გამო:

გასაჩივრებული საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 19
ოქტომბრის №1001 განკარგულება წარმოადგენს საქართველოს
ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულ ინ-
დივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და ად-
ნიშნული განკარგულების პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის
ნაწილში ძალადაკარგულად გამოცხადების კანონშესაბამისო-
ბა უნდა შეამოწმოს სასამართლომ მოცემული სარჩელის ფარ-

გლებში. გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმებისთვის მნიშვნელოვანია დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასება, ვინაიდან გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძველი გახდა ქ. თბილისის მთავრობის 2010 წლის 10 სექტემბრის №24.10.1107 დადგენილება, რომლითაც ძალადაკარგულად ჩაითვალა თბილისის მთავრობის 2000 წლის 30 ნოემბრის №19.07.290 დადგენილება იმ საფუძვლით, რომ მ. ხ-ის მიერ არ იქნა შესრულებული მისთვის ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 27 აგვისტოს №18.19.621 დადგენილებით განსაზღვრული ვალდებულება.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 30 იანვრის №93 განკარგულებით ქ. თბილისის მერის დადგენილი წესის შესაბამისად უნდა ენარმოებინა მ. ხ-ისათვის მიწის ნაკვეთის გადაცემა და შესაბამისი დოკუმენტების გაფორმება. ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 27 აგვისტოს №18.19.621 დადგენილების მე-5 პუნქტის თანახმად, ქ. თბილისის მთავრობის 2000 წლის 30 ნოემბრის №19.07.290 დადგენილებით გათვალისწინებულ ფიზიკურ პირთან – მ. ხ-ესთან 2007 წლის 1 დეკემბრამდე უნდა გაფორმებულიყო მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემის შესახებ ხელშეკრულება იმ შემთხვევაში, თუ მ. ხ-ე წარადგენდა ქ. თბილისის მერის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ გაცემულ დადებით ქალაქებებით დასკვნას, განსაზღვრული წესით დამზადებულ მიწის ნაკვეთის საზღვრებს და ქ. თბილისის საკრებულოს 2007 წლის 22 იანვრის №1-7 გადაწყვეტილებით დადგენილი მიწის ნორმატიული ფასის გადახდის დამადასტურებელ ქვითარს. ამავე დადგენილებით განისაზღვრა, რომ ზემოაღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ძალადაკარგულად ჩაითვლებოდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი იმ პირის მიმართ, რომელიც არ შეასრულებდა მათ.

ამდენად, მოსაჩივრელისათვის აღნიშნული დადგენილებით განისაზღვრა მისთვის (ნორმატიულ ფასად) ... ქუჩაზე, საბინაო-სამშენებლო ამხანაგობა შპს „...“ მშენებარე საცხოვრებელი სახლის მოპირდაპირედ არსებული 500 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის პირდაპირი განკარგვის წესით მიყიდვის თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 30 იანვრის №93 განკარგვულების შესრულება.

ამასთან, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. თბილისის მთავრობის 2008 წლის 3 აპრილის №05.27.212 დადგენი-

ლებით ცვლილება შევიდა ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 27 აგვისტოს №18.19.621 დადგენილების მე-5 პუნქტში, რომლის მიხედვითაც, ქ. თბილისის მთავრობის 2000 წლის 30 ნოემბრის №19.07.290 დადგენილებით გათვალისწინებულ ფიზიკურ პირთან – მ. ხ-ესთან უნდა გაფორმებულიყო სათანადო ხელ-შეკრულება 2009 წლის 1 იანვრამდე შემდეგი პირობის შესრულებით: ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ გაცემულ დადებით ქალაქებების დასკვნის, განსაზღვრული წესით დამზადებულ მიწის ნაკვეთის საზღვრების და ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად ადმინისტრაციული ნარმოების დაწყების დროისთვის მოქმედი საკანონმდებლო აქტის საფუძველზე, მიწის ნაკვეთისათვის დადგენილი საფასურის გადახდის ქვითრის ნარდების შემთხვევაში. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაცარგულად გამოცხადების პირობა დარჩა ძალაში, ვინაიდან მასში წინამდებარე დადგენილებით რაიმე ცვლილება არ შესულა. ქ. თბილისის მთავრობის 2010 წლის 10 სექტემბრის №24.10.1107 დადგენილებით ძალადაცარგულად ჩაითვალა ქ. თბილისის მთავრობის 2000 წლის 30 ნოემბრის №19.07.290 დადგენილება, რადგან მ. ხ-ის მიერ არ იქნა შესრულებული მისთვის ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 27 აგვისტოს №18.19.621 დადგენილებით განსაზღვრული ვალდებულება. მ. ხ-ეს ზემოაღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები სადაცოდ არ გაუხდია, რის გამოც სასამართლო მიიჩნევს, რომ იგი დაეთანხმა აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით მისთვის დადგენილ პირობებს.

სასამართლომ განმარტა, რომ მოსარჩელის მიერ არარა აქტებად მითითებული ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 27 აგვისტოს №18.19.621 და ქ. თბილისის მთავრობის 2010 წლის 10 სექტემბრის №24.10.1107 დადგენილებები არ წარმოადგენს განსაზილველი დავის საგანს, შესაბამისად, მათზე სასამართლო ვერ იმსჯელებს.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. თბილისის მთავრობის 2008 წლის 3 აპრილის №05.27.212 და 2008 წლის 22 დეკემბრის №24.36.852 დადგენილებებით განსაზღვრული ვალდებულებები მოსარჩელეს არ შეუსრულებია – ამ დადგენილებებით განსაზღვრულ ვადაში 2009 წლის 31 დეკემბრამდე მოსარჩელემ ვერ წარადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია, კერძოდ, ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსა-

ხურის მიერ გაცემული დადებითი ქალაქებიგმარებითი დასკვნა, განსაზღვრული წესით დამზადებული მიწის ნაკვეთის საზღვრები და ქ. თბილისის საკრებულოს 2007 წლის 22 იანვრის №1-7 გადაწყვეტილებით დადგენილი მიწის ნორმატიული ფასის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. სასამართლოს მიაჩნია, რომ აღნიშნული გარემოება მოპასუხის მიერ სწორად იქნა მიჩნეული საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 30 იანვრის №93 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძვლად იმის გათვალისწინებით, რომ ქ. თბილისის მთავრობის 2000 წლის 30 ნოემბრის №19.07.290 დადგენილება დღეისათვის ძალადაკარგულია ქ. თბილისის მთავრობის 2010 წლის 10 სექტემბრის №24.10.1107 დადგენილებით, რომელიც მოსარჩელეს არ გაუსაჩივრებია და შესასრულებლად სავალდებულო ძალის მქონეა. შესაბამისად, სასამართლოს მიაჩნია, რომ გასაჩივრებული აქტი შეესაბამება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს და სარჩელი ამ თვალსაზრისით დაუსაბუთებელია.

სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 30 იანვრის №93 განკარგულება გამოცემულია მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით. მოპასუხებ იხელმძღვანელა „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ“ საქართველოს კანონით, რომელიც არ მიუთითებს წარმოების რომელიმე სახის გამოყენების შესახებ, ამდენად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისთვის საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების ვალდებულება მოპასუხეს არ გააჩნდა.

სასამართლომ მიაჩნია, რომ მ. ხ-ეს ქ. თბილისის მთავრობის შესაბამისი დადგენილებებით ეკისრებოდა გარკვეული ვალდებულების შესრულება, აღნიშნული განკარგულებები კი ძალაშია და შესასრულებლად სავალდებულო ძალის მქონეა, მოსარჩელეს არ წარმოუდგენია აღნიშნული დადგენილებებით დაკისრებული ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულება, სასამართლო მიიჩნევს, რომ სახეზე არ არის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაშიც მოცემულ საქმეზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 19 ოქტომბრის №1001 განკარგულება, როგორც ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი პასუხობს მისთვის კანონით დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ, ა) ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი იყო გამოეყენებინა საქმიანობის ეს სამართლებრივი ფორმა 2) აქტის გამოცემისათვის დაცულია საჭირო საგნობრივი და ტერიტორიული კომპეტენცია – ადმინისტრაციული წარმოების სახე და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ფორმა (ე.ი. აქტის ფორმალური კანონიერება) 4) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შინაარსობრივად შესაბამება მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს (ე.ი. აქტის მატერიალური კანონიერება).

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა მ. ხ-ემ და მოთხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღება, რომლითაც დაკმაყოფილდება მისი სარჩელი. აპელანტმა სააპელაციო საჩივარში მიუთითა, რომ ქ. თბილისის მთავრობის 2010 წლის 10 სექტემბრის №24.10.1107 დადგენილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა ქ. თბილისის მთავრობის 2000 წლის 30 ნოემბრის №19.07.290 დადგენილება, ამ უკანასკნელით კი დადგინდა, რომ საქართველოს პრეზიდენტის წინაშე აღძრული იყო შეუძლებელობა აპელანტისათვის პირდაპირი წესით სასახლეკარე მიწის ნაკვეთის გამოყოფის თაობაზე. აპელანტის მსჯელობით, თუ ხსენებულ დადგენილებას მივიწჩევთ ადმინისტრაციულ აქტად იგი აღსრულდა, „ამოინურა“ იმ მომენტიდან, როცა საქართველოს პრეზიდენტის კანცელარიაში დარეგისტრირდა ქ. თბილისის მთავრობის შესაბამისი შეუძლებლობა. საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ამონურული ადმინისტრაციული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების შესაძლებლობას. ასეთი აქტი შეიძლება დაექვემდებაროს კანონიერების თვალსაზრისით შემოწმებას, აქედან გამომდინარე, ბათილად ცნობას, მაგრამ არა ძალადაკარგულად გამოცხადებას. ამონურული ადმინისტრაციული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების აღსრულება ფაქტობრივადაც შეუძლებელია ამ აქტის ამონურვის, როგორც ფაქტობრივი მიზეზის გამო. აპელანტის აზრით, აღნიშნულიდან გამომდინარე, ქ. თბილისის მთავრობის 2010 წლის 10 სექტემბრის №24.10.1107 დადგენილება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად წარმოადგენს არარა

აქტს.

აპელანტის აზრით, ქ. თბილისის მთავრობის 2000 წლის 30 ნოემბრის №19.07.290 დადგენილება, ისევე როგორც ქ. თბილი- სის მთავრობის 2010 წლის 10 სექტემბრის №24.10.1107 დადგე- ნილება არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი გამოცემულია „დადგენი- ლების“ ფორმით.

აპელანტმა მიუთითა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტზე და აღნიშნა, რომ შეუძლებელია ადმინისტრაციული აქტი ატარებდეს არა უფლე- ბადამდგენ, არამედ სარეკომენდაციო ხასიათს.

აპელანტის მოსაზრებით, აღნიშნული დადგენილებები მი- მართული იყო არა სამართლებრივი, არამედ ფაქტობრივი შე- დეგების დადგომისკენ, რაც გამოიხატებოდა მისთვის პირდა- პირი განკარგვის წესით მინის ნაკვეთის შეძენის უფლების მი- ნიჭებასა და ამ უფლების გაუქმებაში, რაც საქართველოს პრე- ზიდენტის ექსკულუზიურ კომპეტენციას განეკუთვნება და რი- სი განხორციელებაც მას შეუძლია ქ. თბილისის მთავრობის რე- კომენდაციის გარეშეც და ასეთი რეკომენდაციის საწინააღმდე- გოდაც. ქ. თბილისის მთავრობის 2010 წლის 10 სექტემბრის №24.10.1107 დადგენილებას არ მოჰყოლია და არც შეიძლება მოჰყოლოდა უმუალო სამართლებრივი შედეგი, რადგან ქ. თბი- ლისის მთავრობა არ არის ადმინისტრაციული ორგანო, რომელ- საც შეეძლო აპელანტისათვის მიენიჭებინა ან გაეუქმებინა მი- ნის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შეძენის უფლება ან გამოეცა საქართველოს პრეზიდენტის მიმართ სავალდებუ- ლო ხასიათის მქონე რაიმე აქტი, ამდენად ქ. თბილისის მთავ- რობის 2010 წლის 10 სექტემბრის №24.10.1107 დადგენილება არ შეიძლება წარმოადგენდეს არგუმენტს გასაჩივრებული ად- მინისტრაციული აქტის კანონიერების სასარგებლოდ.

აპელანტი არ დაეთანხმა სასამართლოს მოსაზრებას იმას- თან დაკავშირებით, რომ იგი არ იყო უფლებამოსილი ემსჯელა მოსარჩელის განცხადებაზე ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 27 აგვისტოს №18.19.621 და 2010 წლის 10 სექტემბრის №24.10.1107 დადგენილებათა არარაობის შესახებ, რადგან აღ- ნიშნული აქტების არარად აღიარება არ წარმოადგენს დავის სა- განს. აპელანტი უთითებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექ- სის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილზე და აღნიშნავს, რომ მან სარჩე- ლი აღძრა 22-ე მუხლის საფუძველზე, შესაბამისად მას არ ესა- ჭიროებოდა აღიარებითი სარჩელის სპეციალური ფორმის გა- მოყენება და სასამართლო ვალდებული იყო მოსარჩელის გან-

ცხადების საფუძველზე ემსჯელა 2007 წლის 27 აგვისტოს №18.19.621 და 2010 წლის 10 სექტემბრის №24.10.1107 დადგენილებათა არარაობის შესახებ.

აპელანტის აზრით, სასამართლომ არასწორად მიიჩნია დადგენილად ის გარემოება, რომ მოსარჩევები არ შეასრულა ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 27 აგვისტოს №18.19.621 დადგენილებით დაკისრებული ვალდებულება. სასამართლომ არ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 30 მარტის გადაწყვეტილებით უცვლელად დარჩენილი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 21 ივნისის განჩინება, რომლითაც ქ. თბილისის მერიას დაკისრა მოსარჩევესთან მინის ნაკვეთის პირდაპირი მიყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმება, ამდენად აღნიშნულ საქმეზე სასამართლოთა მიერ დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ არ არსებობდა მოსარჩელის ბრალით შეუსრულებელი ისეთი ვალდებულება, რომელიც გააქარწყლებდა მასთან შესაბამისი ხელშეკრულების დადებაზე ქ. თბილისის მერიის ვალდებულებას. პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიუთითა აღნიშნულ სასამართლო აქტზე, მაგრამ შეფასება არ მისცა მას. სასამართლომ არავითარი შეფასება არ მისცა იმ ფაქტსაც, რომ ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურმა ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 27 აგვისტოს №18.19.621 დადგენილებით განსაზღვრულ ვადაში უსაფუძვლოდ არ გასცა დადებითი ქალაქგეგმარებითი დასკვნა, რაც ამავე დადგენილებით პრივატიზების ხელშეკრულების აუცილებელ პირობად იყო მიჩნეული, რადგან ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურმა საბოლოოდ გასცა დადებითი ქალაქგეგმარებითი დასკვნა, იგი ცალსახად მიუთითებს, რომ იმავე სამსახურის მაშინდელი საწინააღმდეგო პოზიცია არ ემყარებოდა კანონიერ საფუძველს.

აპელანტმა აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში: 1. საქართველოს პრეზიდენტმა მას გამოუყო მინის ნაკვეთი ინდივიდუალური ბინათმშენებლობის მიზნით და ქ. თბილისის მერიას დაავალა მოსარჩევესთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება. 2. ქ. თბილისის მერიამ გამოსცა ინდივიდუალური აქტი, რომლის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის შესაბამისი გადაწყვეტილების მიუხედავად, მოსარჩელესთან ხელშეკრულება არ გაფორმდებოდა, თუ მოსარჩელე განსაზღვრულ ვადაში არ წარმოადგენდა ქ. თბილისის სტრუქტურული ერთეულის – ურბანული დადეგმარების საქალაქო სამსახურის დადებით ქალაქ-

გეგმარებით დასკვნას. 3. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციული აქტით, მოსარჩელეს მიწის ნაკვეთი გამოეყო სპეციალური მიზნით – ინდივიდუალური ბინათმენებლობისათვის, რაზედაც თავის დროზე არსებობდა არქიტექტურის სამსახურის დადებითი დასკვნა, ურბანული დაგეგმარების სამსახურმა (არქიტექტურის საქალაქო სამსახურის უფლებამონაცვლე) უარი განაცხადა მშენებლობის უფლებით მიწის ნაკვეთის გამოყოფაზე. 4. იმავე სამსახურმა დადებითი დასკვნა გასცა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამოინურა ქ. თბილისის მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ვადა.

აპელანტის აზრით, პირველი ინსტანციის სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება მიიღო ისე, რომ აღნიშნული გარემოებები დატოვა სამართლებრივი შეფასების გარეშე. სასამართლომ შეფასების გარეშე დატოვა ის გარემოებაც, რომ ქ. თბილისის მთავრობამ თავად არ შეასრულა მთავრობის 2007 წლის 27 აგვისტოს №18.19.621 დადგენილებით ნაკისრი ვალდებულება, საქართველოს პრეზიდენტის მიერ მისთვის გამოყოლი მიწის ნაკვეთი დაერეგისატრირებინა სახელმწიფო საკუთრებად, რაც ნასყიდობის ხელშეკრულების გასაფორმებლად აუცილებელ პირობას წარმოადგენდა.

აპელანტი აღნიშნავს, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 30 იანვრის №93-ე განკარგულების 1-ლი პუქნტის „ე“ ქვეპუნქტი ძალადაკარგულად იქნა ცნობილი იმ დროს, როცა აღნიშნული აქტის საფუძველზე, მას მოგებული ჰქონდა დავაქ. თბილისის მერიის მიმართ ორ ინსტაციიში. ხსენებულ საქმეზე სასამართლოთა მიერ დადგენილი ქ. თბილისის მერიის პასუხისმგებლობა საქართველოს პრეზიდენტს 2003 წლის 30 იანვრის №93 განკარგულების შეუსრულებლობის გამო. აპელანტის აზრით, მართალია, სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში არ იყო შესული, მაგრამ სასამართლო გადაწყვეტილების სისწორის პრეზუმეციიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების გაუქმებამდე პრეზუმირდება მისი კანონიერება და არა უკანონობა.

აპელანტის აზრით, ის ფაქტი, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტი ცალსახა გავლენას ახდენს მოსარჩელესა და ქ. თბილისის მერიას შორის არსებული დავის შედეგზე, დადასტურებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 14 აპრილის განჩინებით, რომლითაც საქმის განხილვა შეჩერდა მოცემულ საქმეში სადაც დაცეული ადმინისტრაციული აქტის იურიდიული ძალის საკითხის გადაწყვეტამდე. ამდენად, გასაჩივრებული ადმინისტრა-

ციულ-სამართლებრივი აქტი ენინააღმდეგება ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს და ამ მუხლით საქართველოს ნაკისრ შესაბამის საერთაშორისო ვალდებულებას.

აპელანტი აღნიშნავს, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 30 იანვრის №93 განკარგულებით მისთვის მინიჭებული უფლება ქონებრივი ხასიათისაა. ქონებრივი ხასიათის უფლებები და მოთხოვნები, რომელთაც საკამარისი საფუძველი გააჩნიათ ეროვნულ კანონმდებლობაში, სტრასბურგის სასამართლო პრაქტიკის თანახმად, წარმოადგენს „საკუთრებას“ კონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლის მნიშვნელობით. შესაბამისად, მისი ჩამორთმევა უნდა ემყარებოდეს კანონს და გამართლებული უნდა იყოს საზოგადოებრივი ინტერვალით, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სახეზეა კონვენციის მე-6 მუხლისა და მისი პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის დარღვევა, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹. მუხლის თანახმად, გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის საფუძველს წარმოადგენს.

აპელანტის აზრით, ვინაიდან მას გასაჩივრებული აქტით, შეუწყდა საქართველოს პრეზიდენტის აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტით – 2003 წლის 30 იანვრის №93 განკარგულების პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით მინიჭებული უფლება, იგი წარმოადგენს სამართლებრივი მდგომარეობის გამაუარესებელ აქტს. აპელანტი უთითებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებზე და აღნიშნავს, რომ მითითებული დანაწესები იმპერატიული ხასიათისაა და არ ტოვებს თავისუფალ სივრცეს ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციისათვის, თავად გადაწყვიტოს ჩაბას თუ არა ადმინისტრაციულ წარმოებაში პირი, რომლის სამართლებრივი მდგომარეობაც შესაძლოა გაუარესდეს აღნიშნული წარმოების შედეგად. აპელანტი ასევე უთითებს აღნიშნული კოდექსის მე-5 მუხლზე, მისი აზრით, სადაც არ არის ის ფაქტი, რომ მოცემულ შემთხვევაში მას არ ეცნობა ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ და არ იქნა უზრუნველყოფილი მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში. შესაბამისად, მას უკანონოდ აღეკვეთა დაინტერესებული მხარისათვის კანონით გარანტირებული ისეთი უფლებები, როგორიცაა საკუთარი მოსაზრების წარდგენის უფლება, მტკიცებულებათა წარდგენის უფლება და სხვა.

აპელანტის მითითებით აღნიშნული დარღვევები მიუთითებს იმაზე, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტი გა-

მოცემულია ადმინისტრაციული აქტის მომზადებისა და გამოცემისათვის დადგენილი მოთხოვნების არსებითი დარღვევით, რაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹.1. მუხლის შესაბამისად, ინვენს ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობას.

აპელანტის აზრით, პირველი ინსტანციის სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება მიიღო ისე, რომ არავითარი შეფასება არ მისცა ზემოთ მითითებულ გარემოებებს და ამ ნანილში საერთოდ არ უპასუხა სარჩელს. აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული გადაწყვეტილება იურიდიულად დაუსაბუთებელია, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

აპელანტი არ ეთანხმება სასამართლოს მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტი უნდა გამოცემულიყო მარტივი და არა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით. აპელანტი მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული აქტი გამოცემულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7 და 53-ე მუხლებით დადგენილი წესების დარღვევით, ფაქტობრივი და იურიდიული დასაბუთების გარეშე, რაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის საფუძველია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ ეთანხმება და იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და დამატებით აღნიშნავს შემდეგას: ქ. თბილისის მთავრობის 2008 წლის 3 აპრილის №05.27.212 დადგენილებით ცვლილებები და დამატებანი შევიდა ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 27 აგვისტოს №18.19.621 დადგენილების მე-5 პუნქტში და დაინტერესებულ პირებს დაევალათ შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენა, კერძოდ: – ა) ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული დადებითი ქალაქებებმარებითი დასკვნა; ბ) კანონმდებლობით განსაზღვრული წესით დამზადებული მინის ნაკვეთის საზღვრები; გ) შესაბამისი აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოსაცემად, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების დროისათვის მოქმედი საკანონმდებლო აქტის საფუძველზე მინის ნაკვეთისათვის დადგენილი სა-

ფასურის გადახდის ქვითარი. აღინიშნა, რომ მოქალაქეებმა, მათ შორის მ. ხ-ემაც 2009 წლის 1 იანვრამდე ქ. თბილისის მერიაში არ წარადგინეს შესაბამისი დოკუმენტაცია. ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 27 აგვისტოს №18.19.621 დადგენილების მე-5 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით თანახმად, „ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 27 აგვისტოს №18.19.621 დადგენილების მე-5 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულებების 2009 წლის 1 იანვრამდე შეუსრულებლობის შემთხვევაში, ძალადაკარგულად ჩაითვალოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები იმ პირთა ნანილში, რომელებიც არ შეასრულებენ მათ“. მოქალაქეების, მათ შორის მ. ხ-ის მიერ არ იქნა შესრულებული მათვის ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 27 აგვისტოს №18.19.621 დადგენილებით განსაზღვრული ვალდებულება, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი გახლდათ ძალადაკარგულად გამოეცხადებინა. „ქ. თბილისის მთავრობის 2001 წლის 24 იანვრის №01.45.42, 2001 წლის 11 ოქტომბრის №17.07.377, 2000 წლის 30 ნოემბრის №19.07.290, 2003 წლის 10 ივლისის №09.43.227 დადგენილებები. სამართლებრივ საფუძვლად მიეთითა – საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 76.1., „ბ“; 61-ე მუხლები, IV; VI; VII თავები; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22.3. მუხლი; ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 27 აგვისტოს №18.19.621 დადგენილების მე-5 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 19 ოქტომბრის №1001 განკარგულების „ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების პირდაპირი წესით განკარგვის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 30 იანვრის №93 განკარგულების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ – თანახმად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 62-ე მუხლის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდა, „ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების პირდაპირი წესით განკარგვის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 30 იანვრის №93 განკარგულების პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 19 ოქტომბრის №1001 განკარგულების (მათ შორის, სადაც პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის ნანილშიც) მომზადება-გამოცემას (მათ შორის, მ. ხ-ის ნაწილშიც)

საფუძვლად დაედო ქ. თბილისის მთავრობის 2010 წლის 10 სექტემბრის დადგენილება და ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 27 აგვისტოს №18.19.621 დადგენილების მე-5 პუნქტი.

სააპელაციო პალატამ სადავოდ არ მიიჩნია ის, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები (აქტის ნაწილი) – ქალაქ თბილისის მთავრობის 2010 წლის 10 სექტემბრის დადგენილება („ქ. თბილისის მთავრობის 2001 წლის 24 იანვრის №01.45.42, 2001 წლის 11 ოქტომბრის №17.07.377, 2000 წლის 30 ნოემბრის №19.07.290, 2003 წლის 10 ივლისის №09.43.227 დადგენილებების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“), მ. ხ-ის ნაწილში, აგრეთვე, ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 27 აგვისტოს №18.19.621 დადგენილების მე-5 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი („ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 27 აგვისტოს №18.19.621 დადგენილების მე-5 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულებების 2009 წლის 1 იანვრამდე შეუსრულებლობის შემთხვევაში, ძალადაკარგულად ჩაითვალა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები იმ პირთა ნაწილში, რომლებიც არ შეუსრულებენ მათ“). ამრიგად, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის მომენტისათვის სათანადო იურიდიული ძალა გააჩნიათ ზემოაღნიშნულ ადმინისტრაციულ აქტებს – ქ. თბილისის მთავრობის 2010 წლის 10 სექტემბრის დადგენილებასა და ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 27 აგვისტოს №18.19.621 დადგენილების მე-5 პუნქტს.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით ის გარემოება, რომ განსახილველი დავის შემთხვევაში სარჩელი აღძრული იქნა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის საფუძვლით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილის – საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 19 ოქტომბრის №1001 განკარგულების „ე“ პუნქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით, იმავდროულად არ ანიჭებს სასამართლოს საპროცესო უფლებამოსილებას წარმოდგენილი სარჩელის ფარგლებში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის საფუძველზე განიხილოს და არა-რად გამოცხადოს ის ადმინისტრაციული აქტები ან მათი ნაწილი (ქ. თბილისის მთავრობის 2010 წლის 10 სექტემბრის დადგენილება და ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 27 აგვისტოს №18.19.621 დადგენილების მე-5 პუნქტი), რომლებიც კანონმდებლობით დადგენილი წესით სადავოდ არ არის გამხდარი. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილით იმპერატიულად იქნა დადგენილი სასამართლოში წარდგენილი და

აღძრული აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის პირობები, რაც ამავდროულად არ ითვალისწინებს ამავე კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე სარჩელის აღძვრის შემთხვევაში სადაცო ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობასთან ერთად იმ ადმინისტრაციული აქტების არარად გამოცხადებას, რაც წინ უსწრებდა და საფუძვლად დაედო სადაცო აქტის გამოცემსა.

სააპელაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102.3. მუხლის შესაბამისად, აპელანტის მიერ სააპელაციო ინსტანციაში ვერ იქნა წარმოდგენილი რაიმე მტკიცება, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ სადაცო ადმინისტრაციულო აქტის მომზადება – გამოცემისას ადგილი ჰქონდა კანონით დადგენილი ისეთი პროცედურული ნორმების არსებით დარღვევას, რომლის არარსებობის შემთხვევაში აღნიშნულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა მ. ხ-ემ, რომლითაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოში დაბრუნება. კასატორმა მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლომ სათანადო სამართლებრივი შეფასება არ მისცა ქ. თბილისის მთავრობის 2010 წლის 10 სექტემბრის №24.10.1107 დადგენილებას, რომელიც საფუძვლად დაედო საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 19 ოქტომბრის №1001 განკარგულებას. კასატორი მიიჩნევს, რომ ქ. თბილისის მთავრობის დადგენილება არ წარომადგენს ადმინისტრაციულ აქტს, რის გამოც არ არსებობდა მისი ბათილად ან არარად ცნობის თაობაზე მოთხოვნის ცალკე აღძვრის საფუძველი. ვინაიდან ქ. თბილისის მთავრობის 2010 წლის 10 სექტემბრის №24.10.1107 დადგენილება გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტის იურიდიული საფუძველია, ადმინისტრაციული აქტის კანონიერების შემონმება თავისითავად მოიცავს მისი იურიდიული საფუძვლის შემონმებასაც. კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა და გამოიყენა სასკ-ის 25-ე მუხლი, რასაც შედეგად მოჰყვა არასწორი გადაწყვეტილების მიღება. კასატორი მიუთითებს, რომ აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძვლად ვერ ჩაითვლება სააპელაციო სასამართლოს მითითება იმაზე, რომ კასატორმა არ შეასრულა ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 27 აგვისტოს №18.19.621 დადგენილებით დაწესებული ვალდებულება გარკვეულ ვადაში გარკვეული დო-

კუმენტების წარდგენის შესახებ. კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ უპასუხა სააპელაციო საჩივრის კითხვებს: 1. იყო თუ არა ვალდებული ადმინისტრაციული ორგანო გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტი გამოეცა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით. 2. დაარღვია თუ არა მან ეს ვალდებულება 3. ასეთი დარღვევა არის თუ არა სზაკ-ის 60.1 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული „არსებითი დარღვევა“ და იმავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად იწვევს თუ არა ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობას. კასატორი აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული აქტი წარმოადგენს კასატორის სამართლებრივი მდგომარეობის გამაუარესებელ აქტს. კასატორი უთითებს სზაკ-ის მე-7 და 53-ე მუხლებით დადგენილი წესების დარღვევით, ფაქტობრივი და იურიდიული დასაბუთების გარეშე, რაც გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველს წარმოადგენს. კასატორმა ასევე მიუთითა საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 30 იანვრის №93 განკარგულების პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ, იმ დროს, როდესაც კასატორს ორ სასამართლო ინსტანციაში მოგებული პქონდა დავა ქ. თბილისის მერიის მიმართ, რომლითაც დადგენილია ქ. თბილისის მერიის პასუხისმგებლობა საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 30 იანვრის №93 განკარგულების შეუსრულებლობის გამო. კასატორი ასევე უთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლისა და პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის მოთხოვნების დარღვევაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საქმეში არსებული მტკიცებულებების გამოკვლევა-შეფასების შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, საქმე განსახილველად უნდა დაუბრუხდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო: საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სასამართლო დაცვის უფლება ადამიანის განუყოფელი უფლებაა და ყველა სხვა უფლებისა და თავისუფლების რეალიზაციის სავალდებულო გარანტიაა. მართლმსაჯულება უნდა პასუხობდეს სამართლიანობის მოთხოვნას და უზრუნველყოფდეს უფლებებში ეფექტურ აღდგენას. მხარის უფლება მისი საქმის სასამართლოზე განხილვაზე გულისხმობს არა მხოლოდ სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გამოიტანოს სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილება, რაც გან-

პირობებულია მხარის ინტერესით იცოდეს სახელმწიფოს სახელით გამოტანილი გადაწყვეტილების საფუძვლები და მოტივაცია.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოს პროცესუალური უფლებამოსილება განჩინებაში გადმოსცეს მოკლე დასაბუთება, არ უნდა იქნეს გაგებული იმგვარად, რომ სააპელაციო სასამართლო მხოლოდ ფორმალური თვალსაზრისით ახორციელებს მართლმსაჯულებას. ვინაიდან სააპელაციო ინსტანციაში მართლმსაჯულების განხორციელების არსი მდგომარეობს სწორედ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით სააპელაციო საჩივრის ფარგლებში შემონმების ვალდებულების დადგენით. გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემონმების ვალდებულება პროცესუალურ-სამართლებრივი დოქტრინის მიხედვით უცილობლად გულისხმობს და მოაზრებს სააპელაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის შეფასებას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამართალნარმოება აგებულია მხარეთა დისპოზიციურობის და შეჯიბრებითობის პრინციპებზე, სააპელაციო და საკასაციო საჩივარს აკუთვნებს მხარეებს უფლებათა დაცვის სამართლებრივ საშუალებებს, ამასთან, მითითებული საპროცესო უფლების რეალიზაციისა თანაზომიერია მხარისავე საპროცესო ვალდებულებასთან – დაასაბუთოს საჩივარი, კერძოდ, სსსე-ის 368-ე მუხლის პირველი ნაწილის ე) და ვ) ქვეპუნქტებში მითითებულია თუ რა უნდა იყოს ასახული სააპელაციო საჩივრის შინაარსში. მხარის ამგვარი პროცესუალური ვალდებულება შეიცავს მხარის საპროცესო უფლებრივ გარანტისას, ზემდგომმა სასამართლომ შეაფასოს მისი საჩივრის მოტივების საფუძვლიანობა, გაიზიაროს ან უარყოს, გააქარნებოს ისინი იურიდიულად არგუმენტირებული სახით.

საკასაციო სასამართლო დავის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვნად მიიჩნევს მიუთითოს ქვედა ინსტანციის სასამართლოს, შემდეგი: საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალნარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი, ხოლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილია, რომ საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გადაწყვეტილი გადაწყვეტილების დადგენილი გადაწყვეტილების და მოტივაციის საფუძვლიანობის შეფასებას.

ყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედე-
გად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქა-
ლაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომ-
ლის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავი-
სი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყო-
ველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც გა-
მოაქვს დასკვნა საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებე-
ბის არსებობის ან არარსებობის შესახებ. შესაბამისად, საკასა-
ციო სასამართლო მიუთითებს, რომ საპელაციო სასამართლომ
საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს უნდა მისცეს სრულ-
ყოფილი შეფასება და მხოლოდ საქმის გარემოებათა ურთიერ-
თშეჯერების საფუძველზე მიიღოს დასაბუთებული გადაწყვე-
ტილება.

საპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვის
დროს, გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტის კანონიერე-
ბის შემოწმებისას უნდა გამოიკვლიოს და შეფასება მისცეს შემ-
დეგ ფაქტობრივ გარემობას: საქმის არსებითად განხილვისას
პირველი ინსტანციის სასამართლოს არ მიუღია მხედველობაში
ის გარემოება, რომ გარდა განსახილველი დავისა, სასამართლო
წარმოება მიმდინარეობდა მ. ხ-ესა და ქ. თბილისის მთავრობას
შორის საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 30 იანვრის №93
განკარგულების შესრულების დავალდებულების თაობაზე,
რომლის შედეგად დაკმაყოფილდა მ. ხ-ის მოთხოვნა და ორი ინ-
სტანციის სასამართლოს მიერ დავალებული ჰქონდა ქ. თბილი-
ის მერიას უზრუნველყეყო საქართველოს პრეზიდენტის 2003
წლის 30 იანვრის №93 განკარგულების შესრულება. იმ პირო-
ბებში, როდესაც აღნიშნულ დავაზე სასამართლო წარმოება არ
იყო დასრულებული, ისე მოხდა ქ. თბილისის მთავრობის მიერ
პრეზიდენტისადმი მიმართვა, იმის თაობაზე, რომ ძალადაკარ-
გულად ყოფილყო ცნობილი საქართველოს პრეზიდენტის 2003
წლის 30 იანვრის №93 განკარგულება მ. ხ-ის ნაწილში იმ მოტი-
ვით, რომ მის მიერ სათანადო დოკუმენტაციის წარდგენა არ
მოხდა ქ. თბილისის მთავრობისათვის. პირველი ინსტანციის სა-
სამართლომ ყურადღების მიღმა დატოვა აღნიშნული ფაქტობ-
რივი გარემოება, რაზეც არც საპელაციო სასამართლოს უმ-
სჯელია. აღნიშნულს კი საკასაციო სასამართლოს აზრით გააჩ-
ნია პრინციპული და გადამწყვეტი მნიშვნელობა დავის სწორად
გადაწყვეტისათვის. საქართველოს ზოგადი აღმინისტრაციული
კოდექსის 53. 5. მუხლის შესაბამისად ადმინისტრაციული ორ-
განო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დაა-

ფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს, ხოლო 96-ე მუხლის შესაბამისად ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. დაუშვებელია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

საქმის ხელახლა განხხილველმა სასამართლომ შეფასება უნდა მისცეს იმ გარემობას, რამდენად შეესაბამებოდა ქ. თბილის მთავრობის მოქმედება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182.1. მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნას, რომლის შესაბამისად ადმინისტრაციული ორგანო არ განიხილავს ადმინისტრაციულ საჩივარს, თუ: სასამართლო წარმოებაშია საქმე დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით. განსახილველ შემთხვევაში ქ. თბილისის მთავრობამ საკუთარი ინიციატივით წარადგინა შუამდგომლობა პრეზიდენტის წინაშე მ. ხ-ის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო განკარგულების მის ნაწილში ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე იმ პირობებში, როდესაც სასამართლო წარმოება აღნიშნულ საკითხზე არ იყო დასრულებული. მით უმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლო წარმოება განვლილ ორი ინსტანციის სასამართლოში მ. ხ-ის სასარგებლოდ იყო გადაწყვეტილი. სააპელაციო სასამართლომ ასევე სათანადო შეფასება უნდა მისცეს აღნიშნული ქმედებების განხორციელებისას რამდენად იყო ადმინისტრაციული კანონომდებლობისთვის უმნიშვნელოვანესი – საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპი დაცული ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან, ასევე შეფასება მისცეს იმ გარემოებას, რამდენად გააჩნდა მ. ხ-ეს საქმის საბოლოოდ გადაწყვეტამდე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების რეალური შესაძლებლობა, ასევე აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინების შემთხვევაში მიღებული იქნებოდა თუ არა განსხვავებული გადაწყვეტილება.

პირველი ინსტანციის სასამართლოს და შემდგომში სააპელაციო სასამართლოს მიერ არ იქნა გათვალისწინებული ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის აღნიშნული ნორმები, ისე იქნა გადაწყვეტილება გამოტანილი. მითითებული საპროცესო

ნორმების დარღვევის პირობებში საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შეუძლებელია საქმის გარემოებები სრულყოფილად გამოკვლეულად, ხოლო გადაწყვეტილება სწორად და დასაბუთებულად ჩაითვალოს, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია. შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო პალატა თვლის, რომ ზემოაღნიშნული გარემოებების გამორკვევას მნიშვნელობა აქვს დავაზე სწორი და დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანისათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ სრულად არ იქნა გამოკვლეული საქმის ფაქტობრივი გარემოებები. საკასაციო პალატა თვლის, რომ დავის გადაწყვეტა საჭიროებს მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევას, საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები, სათანადო შეფასება მისცეს შეკრებილ მტკიცებულებებს და გამოიტანოს კანონის შესაბამისი გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებში ან სხდომათა ოქმებში. საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი თავად დაადგინოს ახალი ფაქტობრივი გარემოებები და შეაფასოს ახალი მტკიცებულებები, ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საპელაციო სასამართლო საქმის ხელახლა განხილვისას, ხელახლა უნდა დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ იგი თავად ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, რადგან არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მ. ხ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 412-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მ. ხ-ის საკასაციო საჩივარი დაქმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 20 ოქტომბრის განჩინება და საქმე ხელახალი სასამართლო განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სახელმწიფო ბაჟის დაკისრების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაზიდვეტილების მიღებისას;
4. უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მთკიცების ფორმი. მთკიცებულებების სრულყოფილად გამოკვლევა

განხილვა

№ბს-887-869(ჯ-12)

14 მაისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ნკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
გ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების, აუქციონის შედეგებისა და საჯარო რეესტრის ჩანაწერის ბათილად ცნობა; უძრავი ქონების მესაკუთრედ ცნობა

აღნერილობითი ნაწილი:

მოსარჩევე: ა. ხ-ა

მოპასუხებები: კერძო აღმასრულებელი რ. ს-ე; აღსრულების ეროვნული ბიურო; ზ. მ-ე; რ. კ-ი

მესამე პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული საგენტო

სარჩელის სახე – საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე ადმინისტრაციულ-

სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა;

სარჩელის საგანი: კერძო აღმასრულებლის მიერ ჩატარებული აუქციონის და 2011 წლის 22 სექტემბრის №11038296-011/004 განკარგულების ბათილად ცნობა.

ქალაქ ქუთაისში, ... ქუჩა №10-ში მდებარე 18.10 კვ.მ №39 ზ. მ-ის სახელზე რეგისტრირებული ბინის ა. ხ-ას სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრაცია.

2009 წლის 24 დეკემბრის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობა.

სარჩელის საფუძველი:

ფაქტობრივი მოსარჩელე ა. ხ-ა არის მოპასუხე რ. კ-ის დედა. მოსარჩელის წარმომადგენლის განმარტებით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 14 ივნისის განჩინებით, რ. კ-ს ზ. მ-ისთვის უნდა გადაეხადა 6365 კვ.მ. საჯარო რეესტრის ამონანერის მიხედვით, მოსარჩელის ბინა აღირიცხა ზ. მ-ის საკუთრებად. მოსარჩელე ა. ხ-ამ რ. კ-ის სახელზე 2009 წლის 21 დეკემბრის გასცა მინდობილობა, რომლის მიხედვით, მინდობილ პირს არ შეეძლო სესხის გაცემა. 2009 წლის 24 დეკემბერს რ. კ-მა ზ. მ-ესთან დადო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება.

სამართლებრივი მოსარჩელის წარმომადგენელმა კერძო სააღსრულებო ბიუროს მიერ ჩატარებული აუქციონის შედეგის ბათილად ცნობის ნაწილში მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 68-75-ე მუხლები.

ა. ხ-ას სახელზე ბინის საკუთრების უფლებით რეგისტრაციის ნაწილში „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის 26-ე მუხლი, სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლი, კონსტიტუციის 21-ე მუხლი, ხოლო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობის ნაწილში მიუთითა სკ-ის 103-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, 709-ე და 712-ე მუხლები, 111-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, 99-ე მუხლის 1-ლი ნაწილი და 102-ე მუხლი.

მოპასუხის შესაგებელი:

ფაქტობრივი: მოპასუხე კერძო აღმასრულებელი რ. ს-ე არ დაეთანხმა სარჩელში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს და აღნიშნა, რომ სარჩელი უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია, ვინაიდან, კერძო აღმასრულებელმა კანონის შესაბამისად იხელმძღვანელა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 14 ივნისს გამოტანილი განჩინების საფუძველზე გაცემული სააღსრულებო ფურცლის დედნით.

სამართლებრივი: მოპასუხე უთითებს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 14 ივნისის განჩინების საფუძველზე

გაცემულ სააღსრულებო ფურცელს №2/1679-2010, გაცემული 2011 წლის 11 ივნისს, ასევე „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14, მე-16 მუხლებს და მე-20 მუხლის I ნაწილს, რომლების თანახმად, სააღსრულებო წარმოება არ დაიშვება სააღსრულებო ფურცლის დედნის გარეშე. ამასთან, მოპასუხე განმარტავს, რომ მას არ გამოუცია განკარგულება აუქციონის ჩატარების შესახებ და იგი გამოცემულია აღსრულების ეროვნული ბიუროს რეგიონული სამსახურის მიერ. ასევე, რ. ს-ეს, როგორც კერძო აღმასრულებელს არ ჰქონდა სააღსრულებო ფურცლის შემოწმების უფლებამოსილება. მოპასუხე არ ცნობს სარჩელს და განმარტავს, რომ იგი უსაფუძლოა.

მოპასუხის შესაგებელი:

ფაქტობრივი: მოპასუხე ზ. მ-ემ სარჩელი არ ცნო და არ დაეთანხმა აღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებებს. მისი განმარტებით, 2009 წლის 29 დეკემბრის მინდობილობით, მას, როგორც მინდობილ მესაკუთრეს, უფლება ჰქონდა მინდობილი ქონების (ქ. ქუთაისში, ... ქ. №19-ში მდებარე ბინა №39) გაყიდვის, გაცვლის, გაჩუქრების, იპოთეკით დატვირთვის და ა.შ. აგრეთვე, მოპასუხის მითითებით, ხელშეკრულება რ. კ-თან დაიდო არა როგორც წარმომადგენელთან, არამედ – მინდობილ მესაკუთრესთან. 2009 წლის 24 დეკემბერს მინდობილ მესაკუთრესა და მოპასუხეს შორის გაფორმებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების დადგებისას დაცულია კანონით დადგენილი ფორმა, რომელიც ამავე დღეს დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში. მინდობილმა მესაკუთრემ არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება, არ გადაიხადა სარგებელი და არ დააბრუნა სესხად აღებული თანხა. მხარეთა მორიგების საფუძველზე მიღებული და კანონიერ ძალაში შესული 2011 წლის 14 ივნისის განჩინების პირობები არ შეასრულა მინდობილმა მესაკუთრემ და გადაწყვეტილება სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე გადაეცა იძულებით აღსასრულებლად. მოპასუხის მოსაზრებით, არ არსებობს სარჩელის დაკამაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

სამართლებრივი: სარჩელის დაუკმაყოფილებლობის სამართლებრივ საფუძვლად უთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის I მუხლის მე-2 ნაწილს და მე-2 მუხლის მე-5 ნაწილს და აღნიშნავს, რომ აუქციონის შედეგების გაუქმებისა და განკარგულების ბათილად ცნობის ნაწილში დავა სასამართლოს განსახილები არ არის.

მოპასუხის შესაგებელი: მოპასუხე რ. კ-მა სარჩელი სრულად ცნო და დაეთანხმა მასში მითითებულ ყველა ფაქტობრივ

გარემოებას.

მოპასუხის შესაგებელი:

ფაქტობრივი: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმომადგენელმა სარჩელი არ სცნო და არ დაეთანხმა სარჩელის ფაქტობრივ საფუძვლებს (გარემოებებს).

სამართლებრივი: აღსრულების ეროვნულ ბიუროს არ გააჩნია უფლებამოსილება, გადასინჯოს სააღსრულებო ფურცლის სისწორე და კანონიერება, მას მხოლოდ შეუძლია მხარეს მიუთითოს კანონით გათვალისწინებული ფორმალური ხარვეზების აღმოფხვრის თაობაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ მოპასუხე არავითარ შემთხვევაში არ იყო უფლებამოსილი შინაარსობრივი ანუ მატერიალური შესწორებები განეხორციელებინა სააღსრულებო ფურცელსა და განჩინებაში, ვინაიდან აღნიშნული მხოლოდ სასამართლოს პრეროგატივაა. აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმომადგენელმა იშუადგომლა სარჩელის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში განსჯადობით გადაგზავნის და სესხის ხელშეკრულების ბათილობის მოთხოვნის ნაწილში საქმის გამოყოფისა და სამოქალაქო წესით განხილვის თაობაზე.

საქმის გარემოებები:

2012 წლის 30 აპრილს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა ა. ხ-ამ მოპასუხების – კერძო აღმასრულებელ რ. ს-ის, ზ. მ-ისა და რ. კ-ის მიმართ. მოსარჩელის მითითებით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 14 ივნისის განჩინებით, რ. კ-სა და ზ. მ-ეს შორის დამტკიცდა მორიგების აქტი, რომლის მიხედვით, რ. კ-ს ზ. მ-ისთვის უნდა გადაეხადა 6365 ევრო განაწილვადებით. შეთანხმების პირობების დარღვევის შემთხვევაში მოხდებოდა იპოთეკით დატვირთული ბინის რეალიზაცია. მოსარჩელის განმარტებით, 2009 წლის 21 დეკემბერს მან რ. კ-ის სახელზე გასცა მინდობილობა, რომელიც არ შეიცავდა დათქმას სესხის უზრუნველსაყოფად, მინდობილი ქონების იპოთეკით დატვირთვის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე. მოსარჩელის მტკიცებით, აღნიშნული ხელშეკრულება განხილული უნდა იყოს, როგორც დავალების ხელშეკრულება და ყველა მოქმედება, რომელიც მისი დადების შემდეგ განხორციელდა, უნდა განხორციელებულიყო ა. ხ-ას და არა რ. კ-ის ინტერესების სასარგებლოდ. მოსარჩელემ მოგვიანებით მოითხოვა საქმეში აღსრულების ეროვნული ბიუროს მოპასუხედ ჩაბმა და მის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 18 მაისის გან-ჩინებით, საქმეში მოპასუხედ ჩართული იქნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო.

ქუთაისის საქალაქო სამართლოს 2012 წლის 1 ივნისის გან-ჩინებით, საქმეში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცე-სო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე მესამე პირად ჩაება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაი-სის სარეგისტრაციო სამსახური.

რაიონული /საქალაქო/ სასამართლოს გადაწყვეტილე-ბა /სარეზოლუციო/

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა პალატის 2012 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილებით მო-სარჩელე ა. ხ-ას სარჩელი არ დაკამაყოფილდა.

სასამართლოს მიერ უდავოდ მიჩნეული ფაქტები:

2009 წლის 21 დეკემბერს ა. ხ-ამ რ. კ-ის სახელზე გასცა მინ-დობილობა, რომლის მიხედვითაც, ა. ხ-ა წარმოადგენს „საკუთ-რების მიმწოდობას“, ხოლო რ. კ-ი – „მინდობილ მესაკუთრეს“.

2009 წლის 24 დეკემბერს რ. კ-სა და ზ. მ-ეს შორის გაფორ-მდა სესხის და იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის მიხედვი-თაც სესხის თანხის 2500 ევროს უზრუნველყოფის მიზნით იპო-თეკით დაიტვირთა ა. ხ-ას საკუთრებაში არსებული უძრავი ქო-ნება მდებარე ქ. ქუთაისი, ... ქუჩა (ყოფილი...) №10/39 -ში.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 14 ივნისის გან-ჩინების სააღსრულებო ფურცლის, გადაწყვეტილების შესრუ-ლების წინადადებისა და იძულებითი აღსრულების მიზნით დო-კუმენტის წარმოებაში მიღების შესახებ განცხადების მიხედ-ვით დადგინდა, რომ თუ მოვალე დაარღვევდა შეთანხმების პი-რობებს, მას დაეკისრებოდა გადაუხდელ სესხზე ყოველთვიუ-რი სარგებელი გადაწყვეტილების გამოტანის მომენტისთვის მის აღსრულებამდე პერიოდისთვის საურავის დარიცხვით და ამო-ინერგებოდა სააღსრულებო ფურცელი იპოთეკით დატვირთუ-ლი ბინის რეალიზაციის მიზნით. ქუთაისის საქალაქო სასამარ-თლოს მიერ გაცემული №2/1679-2010 სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე კერძო აღმასრულებლის მიერ დაწყებული იქნა სააღსრულებო წარმოება.

2011 წლის 22 სექტემბერს აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გამოცემულ №A11038296-11/004 განკარგულების საფუძ-ველზე მოვალე ა. ხ-ას საკუთრებაში რიცხული უძრავი ქონების მესაკუთრე გახდა ზ. მ-ე, რომლის სასარგებლოდაც განხორცი-ელდა აღსრულება. ამ უკანასკნელის მიერ კი, 2011 წლის 6 სექ-ტემბერს გადახდილ იქნა აუქციონის 1-ლი ლოტის საგარანტიო

თანხა 750 ლარის ოდენობით, ხოლო 2011 წლის 13 სექტემბერს გადახდილ იქნა აუქციონის 1-ლი ლოტის მთლიანი თანხა 6900 ლარის ოდენობით.

სასამართლოს დასკვნები: სასამართლოს დასკვნით სასარჩელო მოთხოვნა უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სასამართლოს მიერ სადავოდ მიჩნეული ფაქტები:

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მტკიცება იმის თაობაზე რომ ა. ხ-ასა და რ. კ-ს შორის გაფორმებული მინდობილობის მიხედვით, „მინდობილი მესაკუთრე“, ანუ რ. კ-ი არ იყო უფლებამოსილი დაედო სესხის ხელშეკრულება მოსარჩელის სახელით და მინდობილი ქონება გამოეყენებინა სესხის უზრუნველყოფის მიზნით.

სასამართლოს შეფასებით, მოსარჩელემ ვერ შეძლო საკუთარი პოზიციის დასაბუთება მტკიცებულებებით. ამასთან, მოსარჩელის არგუმენტები ვერ დადასტურდა მინდობილობის ხელშეკრულებითა და რ. კ-სა და ზ. მ-ეს შორის დადებული სესხის ხელშეკრულებით.

მხარეთა მიერ სადავოდ გამხდარი ფაქტების შეფასება:

სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის არგუმენტაცია, რომ განსახილველ შემთხვევაში „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კახონის 69-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად გამოყენებული უნდა ყოფილიყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 301-302-ე მუხლები, როგორც სპეციალური ნორმები. საქმის მასალებით დადგენილია, რომ აუქციონი გაიმართა 2011 წელს, ხოლო რაც შეეხება მოსარჩელის მითითებულ ნორმას – „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კახონის 69-ე მუხლის მე-2 ნაწილს, აღნიშნული ნორმა აუქციონის მიმდინარეობისას აღარ მოქმედებდა.

სამართლებრივი შეფასება /კვალიფიკაცია/:

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18³ მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, სააღსრულებო წარმოებისას ქონების შემძენისთვის საკუთრების უფლების მინიჭების შესახებ განკარგულება არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და მისი გასაჩივრება შეიძლება სასამართლოში.

სასამართლოს შეფასებით, სადავო სამართალურთიერთობაში მოსარჩელე ითხოვს აღსრულების ეროვნული ბიუროს 2011 წლის 22 სექტემბრის №A1038296-011/004 განკარგულების ბათილად ცნობას, რომელიც ადმინისტრაციული კანონმდებლობით განსაზღვრული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია და შესაბამისად, მისი კანონიერება უნდა

შემოწმდეს ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე.

სასამართლომ მიუთითა კანონის მე-14⁷, მე-20, მე-17, 25-ე მუხლები და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 258¹ მუხლი და დადგენილად მიიჩნია, რომ ზ. მ-ემ განცხადებით მიმართა რ. ს-ეს და სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე №2/1679-2010 მოითხოვა სააღსრულებო წარმოების დაწყება. აღნიშნული სააღსრულებო ფურცლის შესაბამისად, კრედიტორს წარმოადგენს ზ. მ-ე, ხოლო მოვალეს – რ. კ-ი, რომელსაც კერძო აღმასრულებლის მიერ გაეგზავნა წინადადება გადაწყვეტილების წესახებით შესრულების შესახებ. აღნიშნული წინადადება რ. კ-ს 2011 წლის 12 ივნისს ჩაბარდა, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი კერძო აღსრულების ბიუროს მიმართვაზე არსებული მისივე ხელმოწერით.

სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ სადავო განკარგულების გამოცემისას დარღვეული არ ყოფილა მისი მომზადებისა და გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, იგი არ ენინააღმდეგება კანონს, შესაბამისად, არ არსებობს აუქციონის შედეგების გაუქმებისა და აღსრულების ეროვნული ბიუროს 2011 წლის 22 სექტემბრის №ა1103829-011/004 განკარგულების ბათილად ცნობის საფუძვლები. ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ ა. ხ-ას მოთხოვნა საჯარო რეესტრის ჩანაწერის გაუქმებისა და მესაკუთრედ ცნობის თაობაზე წარმოადგენს განსახილველი ორი მოთხოვნის სამართლებრივ შედეგს, რაც თავისთავად გამორიცხავს მის დაკმაყოფილებას.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „კ“ ქვეპუნქტზე, რომელიც განსაზღვრავს სარეგისტრაციო დოკუმენტის შინაარსს, აგრეთვე ამავე კანონის მე-3 მუხლზე, რომლის მიხედვითაც სარეგისტრაციო ორგანო და მისი თანამშრომელი პასუხს არ აგებენ წარმოდგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტაციის წამდებაზე, მე-8 მუხლის შესაბამისად კი, წარმოების დაწყების საფუძველია განცხადება ან უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 75-ე მუხლის მე-3 წანილის მიხედვით აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ ქონების ფასის სრულად დაფარვის შემდეგ აღსრულების ეროვნული ბიურო გამოსცემს განკარგულებას აუქციონზე შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლების შესახებ.

სასამართლოს შეფასებით, ზ. მ-ემ ქონება შეიძინა კანონიერად და შესაბამისად, ასევე კანონიერია აღსრულების ეროვნუ-

ლი ბიუროს მიერ გამოცემული განკარგულება №A 11038296-011/004, რომლითაც ა. ხ-ას საკუთრებაში არსებული ქონების შემძენი გახდა ზ. მ-ე. სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია, მოსარჩელის მტკიცება საჯარო რეესტრის მიერ უკანონოდ განხორციელებული საკუთრების უფლების რეგისტრაციის თაობაზე, იმ მოტივით, რომ საჯარო რეესტრი ვალდებული იყო შემოწმებინა, რამდენად კანონიერად გაიცა განკარგულება აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ.

სასამართლომ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 50-ე, 724-725-ე და 727-ე მუხლები და დაასკვნა, რომ მოსარჩელის მტკიცება შემდეგზე, რომ მას არ გამოუთქვამს თანხმობა, რ. კ-ს დაედო მესამე პირებთან სესხის ხელშეკრულება და უზრუნველყოფის სამუალებად გამოეყენებინა მინდობილი ქონება, უსაფუძვლოა. მოხმობილ ნორმათა ანალიზი კი, სასამართლოს მიჩნევით, იძლევა მხოლოდ ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას.

აპელანტი: ა. ხ-ა

მოწინააღმდეგე მხარე: აღსრულების ეროვნული ბიურო, რ. ს-ე, ზ. მ-ე, რ. კ-ი

მესამე პირი: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

აპელაციის საგანი და შოცულობა /ფარგლები:/

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაქმაყოფილება

აპელაციის მოტივები:

ფაქტობრივი: აპელანტ ა. ხ-ას წარმომადგენლის განმარტებით, არასწორია პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების 3.11 პუნქტი, კერძოდ, ა. ხ-ა არ წარმოადგენს საკუთრების მიმდობას, ხოლო რ. კ-ი – მინდობილ მესაკუთრეს. მათ შორის დაიდო დავალების ხელშეკრულება.

სამართლებრივი: აპელანტის წარმომადგენლის მითითებით, რ. კ-სა და ა. ხ-ას შორის დაიდო არა საკუთრების მინდობის, არამედ დავალების ხელშეკრულება და სასამართლოს უნდა ეხელ-მდღვანელა სამოქალაქო კოდექსის 301-309-ე მუხლებით. მოპასუხებ დაარღვია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 147-ე მუხლის „ბ“ პუნქტის მოთხოვნა. მოსარჩელე არ იყო გაფრთხილებული აუქციონის შესახებ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 724-ე მუხლის მიხედვით, საკუთრების მინდობის ხელშეკრულებით საკუთრების მიმდობი გადასცემს ქონებას მინდობილ მესაკუთრეს, რომელიც იღებს და მართავს მას საკუთრების მიმდობის ინტერესების შესაბამისად. მსესხებელი იყო კ-ი, რაც მოწმობს, რომ სესხი არ იყო მოსარჩელის ინტე-

რესი.

სამოქალაქო კოდექსის 729-ე მუხლის მიხედვით, საკუთრების მინდობის მიმართ გამოიყენება დავალების ხელშეკრულების შესაბამისი ნორმები. დავალების ხელშეკრულების მიხედვით, კი რწმუნებული ვალდებულია შეასრულოს მისთვის დავალებული ერთი ან რამდენიმე მოქმედება და შეასრულოს მარწმუნებლის დავალებები. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებით, არ არის გათვალისწინებული, რომ კ-ს მინიჭებული აქვს სესხის აღების უფლებამოსილება მინდობილი ქონების უზრუნველყოფის გზით.

აპელანტის განმარტებით, მინდობის ხელშეკრულების საფუძველზე მესაკუთრის ინტერესის უფლებელყოფით ირღვევა თავად საკუთრების უფლების არსი. მინდობილობით კ-ს არ ჰქონდა საკუთრების მართვის უფლება, მინდობილობაში ამაზე არაფერია ნათქვამი, ამიტომ სესხის აღებისას საჭირო იყო თავად მესაკუთრის თანხმობა. აშკარაა, რომ კ-ის მიერ აღებული სესხი მოსარჩელის ინტერესების განხორციელებას არ ემსახურებოდა, რაც დასტურდება რ. ს-ის და აღსრულების ეროვნული ბიუროს შესაგებლებით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 99-ე მუხლის მიხედვით, თუ გარიგების ნამდვილობა დამოკიდებულია მესამე პირის თანხმობაზე, მაშინ როგორც თანხმობა, ასევე მასზე უარი შეიძლება გამოითქას როგორც ერთი, ისე მეორე მხარის წინაშე. სკ-ის 102-ე მუხლის მიხედვით, საგნის განკარგვა არაუფლებამოსილი პირის მიერ ნამდვილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს წინასწარი თანხმობა. წინასწარი თანხმობა არ არსებობდა, ხოლო მოწონების არ არსებობას ადასტურებს სარჩელი. სკ-ის 59-ე მუხლის მიხედვით კი, ამგვარად დადებული გარიგება ბათილია.

იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 31 იანვრის №21 ბრძანებით დამკიცებული იძულებითი აუქციონის ჩატარების წესი ეხება მხოლოდ კრედიტორსა და მოვალეს. კრედიტორის განცხადების საფუძველზე ტარდება აუქციონი მოვალის ქონებაზე, ამიტომ აუქციონის ჩატარების შესახებ უნდა ეცნობებინათ მოსარჩელისთვის. „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის 26-ე მუხლის მიხედვით ზ. მ-ის სახელზე რეგისტრაცია უნდა გამოცხადდეს ძალადაკარგულად, რადგან სააღსრულებო განკარგულება არასწორად გაიცა და ბათილია.

მონიცალმდეგის შეპასუხება:

ფაქტობრივი: მონიცალმდეგე მხარე კერძო აღმასრულებელი რ. ს-ე არ ეთანხმება აპელანტის მიერ მითითებულ ფაქ-

ტობრივ უსწორობას იმის შესახებ, რომ რ. კ-ი არ არის მინდობილი მესაკუთრე და წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულება არ წარმოადგენს საკუთრების მინდობის ხელშეკრულებას. ამასთან, მოწინააღმდეგის მტკიცებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ სახეზეა საკუთრების ხელშეკრულება.

სამართლებრივი: მოწინააღმდეგი მხარის მტკიცებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერია, რადგან ა. ხ-ასა და რ. კ-ს შორის სწორედ საკუთრების მინდობის ხელშეკრულება დაიდო, რითაც რ. კ-ს მიერიქა მინდობილი საკუთრების შეხედულებისამებრ განკარგვის უფლებამოსილება. ამ უფლებამოსილების ფარგლებშია სესხის უზრუნველყოფის მიზნით ბინის იპოთეკით დატვირთვა. მოწინააღმდეგი მხარემ მიუთითა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლი, რომლის შესაბამისად სააღსრულებო წარმოება იძულებითი აღსრულების შესახებ კრედიტორის განცხადებისა და სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე. თუ კრედიტორის მოთხოვნა უზრუნველყოფილია იპოთეკით ან რეგისტრირებული გირავნობით, იძულებითი აღსრულება წარმოებს მაშინაც, როდესაც უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენებული ქონების მესაკუთრე არ არის სააღსრულებო ფურცელში მოხსენიებული მოვალე, შესაბამისად კერძო აღმასრულებელს არ გააჩნდა ვალდებულება მოეძია რ. კ-ის ქონება. რ. კ-ს კერძო აღმასრულებელმა გაუგზავნა შეტყობინება აუქციონის ჩატარების თაობაზე.

მოწინააღმდეგის შეპასუხება:

ფაქტობრივი: მოწინააღმდეგი მხარე ზ. მ-ე არ დაეთანხმა აპელანტის მიერ მითითებულ ფაქტობრივ უსწორობას რ. კ-ის მინდობილ მესაკუთრედ აღიარების შესახებ და საკუთარი მოსაზრების დასტურად ასახელებს ნოტარიულად დამოწმებულ მინდობილობას, რომელშიც რ. კ-ი მოხსენიებული მინდობილ მესაკუთრედ, ხოლო ა. ხ-ა საკუთრების მიმნდობად. მოწინააღმდეგი მხარის მტკიცებით, მან სესხის ხელშეკრულება რ. კ-თან დადო არა როგორც მესაკუთრის წარმომადგენელთან, არამედ – მინდობილ მესაკუთრესთან.

სამართლებრივი: მოწინააღმდეგი მხარე აპელანტის სამართლებრივი არგუმენტაციის გასაბათილებლად უთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 96-ე და 727-ე მუხლებს, რომელთა მიხედვით ა. ხ-ამ რ. კ-ს მიანიჭა მისი საკუთრების განკარგვის სრული უფლებამოსილება. მოწინააღმდეგი მხარის მტკიცებით, სესხის აღება და მის უზრუნველსაყოფად მინდობილი ქონების გამოყენება, ბუნებრივია, არ სცილდებოდა მინი-

ჭებული უფლების ფარგლებს. შესაბამისად, არ არსებობს გარიგების ბათილობის საფუძველი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება დასაბუთებულია. აუქციონის შესახებ განკარგულება კი გაცემულია, არა კერძო აღმასრულებელ რ. ს-ის, არამედ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ, შესაბამისად სწორედ აღსრულების ბიუროა პასუხისმგებელი ქონების რეალიზაციის პროცედურების კანონიერად განხორციელებაზე. მონინაალმდეგე მხარის მტკიცებით, აუქციონის ჩატარების პროცედურა განხორციელდა კანონიერად, კერძოდ, მოცემულ შემთხვევაში ინტერნეტ აუქციონის მეშვეობით.

მონინაალმდეგე მხარე ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნევს მტკიცებას აუქციონისა და საკუთრების რეგისტრაციის ბათილად ცნობის შესახებ, ვინაიდან მოპასუხე ზ. მ-ემ კერძო აღმასრულებელს წარუდგინა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცელი №2/1679-10 და მოითხოვა მისი აღსრულება. კრედიტორად მითითებული იყო ზ. მ-ე, ხოლო მოვალედ – რ. კ-ი. „სააღსრულებო წარმოებათა“ შესახებ კანონის 68-ე მუხლის მიხედვით, განცხადებით ქონების რეალიზაციის მოთხოვნა სავალდებულო არ არის. აუქციონი ჩატარდა „იძულებითი აუქციონის ჩატარების წესისა და პროცედურების შესახებ“ საქართველოს ოუსტიციის მინისტრის 2011 წლის 31 იანვრის 21-ე ბრძანების მოთხოვნათა სრული დაცვით, ხოლო „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 75-ე მუხლის მიხედვით ქონების მესაკუთრე განცხადებულობის მიერ მიღებით და რის შედეგადაც იგი დარეგისტრირდა ქონების მესაკუთრედ.

მონინაალმდეგე მხარის მითითებით, არ არსებობს საქართველოს ზოგადი აღმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლით გათვალისწინებული აღმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილობის არცერთი წინაპირობა, შედეგად, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება კანონიერია და ძალაში უნდა დარჩეს.

მონინაალმდეგე მხარის შეპასუხება:

სამართლებრივი: აღსრულების ეროვნული ბიურო არ დაეთანხმა აპელანტის მითითებებს საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივ უსწორობებზე და აღნიშნა, რომ მათ მიერ გამოცემული ინდივიდუალური აღმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კანონშესაბამისია, რადგან აუქციონის შედეგად გამოიცა განკარგულება, რომლის საფუძველზეც მოხდა ზ. მ-ის სახელზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია. აპელანტის პოზიციას, რომ დარღვეულია „სააღსრულებო წარ-

მოებათა“ შესახებ კანონის 68-75-ე მუხლები, აღსრულების ეროვნული ბიურო არ იზიარებს და აღნიშნავს, რომ სააპელაციო საჩივარი აგებულია იმის მტკიცებაზე, რომ მოვალე არ წარმოადგენდა მინდობილ პირს. მონინააღმდეგებების მხარისთვის გაუგებარია, რატომ ედავება აპელანტი აღსრულების ეროვნულ ბიუროს, თუკი მისი ნების სანინააღმდეგოდ რ. კ-მა იმოქმედა. ამასთან აღსრულების ქვემდებარე აქტი არის არა სესხის და იპოთეკის ხელშეკრულება, არამედ – სააღსრულებო ფურცლის დედანი. კანონმდებლობა არ იცნობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განჩინების აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ რევიზიის/გადამოწმების შესაძლებლობას. ასევე „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 21-ე მუხლში ჩამოთვლილია ის მოქმედებები, რომლებსაც განახორციელებს აღმასრულებელი. ყველა ეს მოქმედება არის ფორმალური/გარეგნული ხასიათის, კერძოდ ასეთი შეიძლება იყოს მოვალის რეკვიზიტების დაზუსტება და ა.შ. მონინააღმდეგებების მხარის თქმით, უსაფუძვლოა მტკიცება იმის თაობაზე, რომ მინდობილ პირს არ ჰქონდა ქონების იპოთეკით დატვირთვის უფლება, ვინაიდან სანინააღმდეგოს ადასტურებს საქმეში წარმოდგენილი ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, რომლის თანახმად, მინდობილ პირს – რ. კ-ს ჰქონდა სრული უფლება, განეკარგა მინდობილი ქონება.

აღსრულების ეროვნული ბიუროს მითითებით, მათ მიერ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 25-ე და 68-ე მუხლების დარღვევას ადგილი არ ჰქონია, რასაც ადასტურებს მხარის მიერ საქმეში მტკიცებულების სახით წარმოდგენილი წარმოების მასალა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება /სარეზოლუციო/:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 25 ოქტომბრის განჩინებით ა. ხ-ას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების დასაბუთება:

ფაქტობრივი: სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა პირები ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები.

სამართლებრივი: სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირები ინსტანციის სასამართლოს განმარტებები სამართლებრივ

საკითხებთან დაკავშირებით და დამატებით მიუთითა, რომ მოცემულ დავის გადაწყვეტისთვის არსებითი მნიშვნელობა გააჩნია 2009 წლის 21 დეკემბერს ა. ხ-ას მოთხოვნით სანოტარო წესით შედგენილი მინდობილობიდან გამომდინარე რ. კ-ის უფლება-მოვალეობათა და სააღსრულებო ბიუროს მიერ რეალიზებული უძრავი ქონების განკარგვამდე აუქციონის ჩატარების შესახებ ა. ხ-ასთვის პირადად ინფორმირების აუცილებლობის შეფასებას. პალატამ განმარტა, რომ 2009 წლის 21 დეკემბერს სანოტარო წესით დადებული გარიგება თავისი ბუნებით წარმოადგენს კომბინირებულ გარიგებას, რომელიც თავის მხრივ, შეიცავს როგორც დავალების, ისე საკუთრების მინდობის ხელშეკრულების ელემენტებს.

პალატამ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 709-ე მუხლზე, რომლის თანახმადაც, ხელშეკრულებით რწმუნებული ვალდებულია შეასრულოს მისთვის დავალებული (მინდობილი) ერთი ან რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელითა და მის ხარჯზე. ამავე კოდექსის 724-ე მუხლის მიხედვით კი, საკუთრების მინდობის ხელშეკრულებით საკუთრების მიმნდობი გადასცემს ქონებას მინდობილ მესაკუთრეს, რომელიც მართავს მას საკუთრების მიმნდობის ინტერესების შესაბამისად, ხოლო 729-ე მუხლის თანახმად, საკუთრების მინდობის მიმართ გამოიყენება დავალების ხელშეკრულების შესაბამისი წესი.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საკუთრების მინდობის ხელშეკრულების საფუძველზე ქონების მართვა მინდობილი მესაკუთრის საქმიანობად მიიჩნევა, რომელსაც მინდობილი მესაკუთრე ახორციელებს საკუთარი სახელით, მაგრამ საკუთრების მიმნდობის რისკითა და ხარჯით. დავალების ხელშეკრულებით კი, რწმუნებული კისრულობს ვალდებულებას, განახორციელოს მისთვის დავალებული მოქმედებები მარწმუნებლის სახელითა და ხარჯით, ანუ მისი მოქმედების შედეგად მესამე პირებთან წარმომადილი ურთიერთობის მონაწილე ხდება მარწმუნებელი. აღნიშნული კი, არსებითად განასხვავებს ამ ორი ხელშეკრულების ხასიათს. საკუთრების მინდობისას მინდობილი მესაკუთრე თავად კისრულობს ვალდებულებას, მართოს მინდობილი ქონება და მესამე პირებთან ურთიერთობაში გამოდის საკუთარი სახელით.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2009 წლის 21 დეკემბერს სანოტარო წესით შედგენილი ხელშეკრულებით, ა. ხ-ამ თავის შვილს – რ. კ-ს მისცა თავისი შეხედულებისამებრ, მის საკუთრებაში არსებული ქონების გაყიდვის, გაცვლის, გაჩუქე-

ბის ან იპოთეკით დატვირთვის, აგრეთვე იპოთეკის ხელშეკრულების გაუქმების უფლება, ანუ მიანიჭა საკუთრებასთან დაკავშირებული მესაკუთრის ექსკლუზიური უფლებები, რაც გამომდინარეობს სწორედ საკუთრების მინდობის ხელშეკრულებიდან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ დაასკვნა, რომ რ. კ-ს 2009 წლის 21 დეკემბერს სანოტარო წესით შედგენილი მინდობილობით გააჩნდა სრული უფლებამოსილება, საკუთარი შეხედულებისამებრ მოეხდინა მისი დედის საკუთრების უფლებით რიცხვული ქონების განკარგვა, მათ შორის, იპოთეკით დატვირთვა სესხის ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად, შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ სადაც ხელშეკრულების დადებისას არ იყო უგულებელყოფილი იურიდიული მესაკუთრის ინტერესი და ამდენად, არ არსებობს სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძველი.

სააპელაციო პალატამ მიუთითა „საადსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონსა და იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 31 იანვრის 21-ე ბრძანებაზე. მითითებული ბრძანების პირველი მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, შესაბამისად, იძულებითი აუქციონის ჩატარების თაობაზე აღსრულების ეროვნული ბიურო აქვეყნებს ინტერნეტ-განცხადებას, რომელიც უნდა შეიცავდეს ა) აუქციონის დაწყების დადასრულების დროს. აუქციონის ხანგრძლივობა არ უნდა იყოს 7 დღეზე ნაკლები და 15 დღეზე მეტი. ამავე ბრძანების პირველი მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით დადგენილი წესით ხდება მხარეების ინფორმირება. აღსრულების ეროვნული ბიურო ვალდებულია აუქციონის შესახებ საჯარო განცხადება გაანთავსოს ვებგვერდზე: წნ.ეაუცტიონ.გე

ასევე აუქციონის ჩატარების შესახებ მხარეებს (საგადასახადო ორგანოს გარდა) პერსონალურად არ ეცნობებათ. ჩასატარებელი აუქციონის შესახებ პირადად უნდა ეცნობოთ საადსრულებო ფურცელში მითითებულ შზარეებს. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საადსრულებო ფურცელში მოვალედ მითითებული იყო რ. კ-ი, შესაბამისად, „საადსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის გათვალისწინებით, სწორედ ის წარმოადგენდა საადსრულებო წარმოებაში მონაშილე პირს და ამდენად, დამატებით ქონების უშუალო მესაკუთრის საადსრულებო წარმოებაში ჩაბმის და აუქციონის დანიშნის თაობაზე პერსონალურად ინფორმირების უფლებამოსილება ადმინისტრაციულ ორგანოს არ გააჩნდა. გარდა ამისა, სასამართლომ მნიშვნელოვნად მიიჩნია ის გარემოება, რომ

სააღსრულებო წარმოების დაწყების უშუალო საფუძველს წარმოადგენს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განჩინება და მის საფუძველზე გაცემული სააღსრულებო ფურცლის დედანი, რომელშიც პირდაპირ იყო მითითებული რ. კ-ის მხრიდან შეთანხმების დარღვევის შემთხვევაში გადაუხდელ თანხაზე, ყოველთვიური სარგებლის დარიცხვის და იპოთეკით დატვირთული ბინის რეალიზაციის გზით სააღსრულებო ფურცლის ამონერის შესახებ, ამდენად, იძულებითი აღსრულების განმახორციელებელ პირს არ გააჩნდა სხვა ქონების მოძიების ვალდებულება.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გამოცემული განკარგულება და ამ განკარგულების საფუძველზე რეალიზებული ქონების ზ. მ-ის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრაცია მიიჩნია კანონიერად.

შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა: სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ დაგა არსებითად სწორად გადაწყვიტა და შესაბამისად, უსაფუძვლობის გამო არ დაკმაყოფილდა ა. ხ-ას სააპელაციო საჩივარი და უცვლელად დარჩა მოცემულ საქმეზე ქუთაისის საქალაქო სამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება.

კასატორი: ა. ხ-ა

მოწინააღმდეგე მხარე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიურო; კერძო აღმასრულებელი რ. ს-ე; რ. კ-ი

კასაციის მოცულობა /ფარგლები/ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 25 ოქტომბრის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიხედვით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასაციის მოტივები:

სამართლებრივი:

პროცესუალური: კასატორის მტკიცებით, გადაწყვეტილება იურიდიულად საკმარისად არ არის დასაბუთებული. გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ შეუძლებელია მისი საფუძვლიანობის შემოწმება, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ სრულად არ გამოიკვლია მტკიცებულებები, რითაც დაარღვია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლით დადგენილი მოთხოვნებიდა არ გაუკლია მტკიცებულებათა გამოკვლევის, პაექრობისა და რეპლიკის სტადიები.

მატერიალური: კასატორის წარმომადგენლის – ფ. ბ-ას განმარტებით, არასწორია, სააპელაციო სასამართლოს განჩინების 4.12. პუნქტში მითითებული გარემოება, თითქოს ზ. მ-ემ თანხა გადასცა საგნის მესაკუთრეს ყოველთვიური სარგებლის მიღების პირობით. მოსარჩევეს არავითარი თანხა არ უსესხია, რადგან იგი არ ყოფილა სესხის ხელშეკრულების მხარე. აღნიშნული პუნქტი წინააღმდეგობაშია განჩინების 4.14 პუნქტან, რომლის მიხედვით, მოვალე არის არა მოსარჩევე, არამედ მოსარჩელის შვილი. კასატორის მითითებით, რ. კ-ს ქონების განკარგვა შეეძლო მხოლოდ მესაკუთრის – ა. ხ-ას ინტერესების გათვალისწინებით. მას შეეძლო სესხი აეღო, თუმცა ქონების იპოთეკის დატვირთვისთვის საჭირო იყო მესაკუთრის ნებართვა, რაც არ განხორციელებულა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 724-ე მუხლის მიხედვით კი, საკუთრების მიმნდობი გადასცემს ქონებას მინდობილ მესაკუთრეს, რომელიც იღებს და მართავს მას საკუთრების მიმნდობის ინტერესების გათვალისწინებით. ამ ნორმიდან გამომდინარე, კ-ს შეეძლო ქონება გამოყენებინა მოსარჩელისავე ინტერესების შესაბამისად. ზ. მ-ის განმარტებით, კი მსესხებელი იყო რ. კ-ი და არა – ა. ხ-ა, რაც მოწმობს, რომ სესხი არ იყო ა. ხ-ას ინტერესი. აღნიშნული სესხის ხელშეკრულება ბათილად უნდა იქნეს ცნობილი იმიტომ, რომ მისი დადებისას უგულებელყოფილი იქნა მესაკუთრის ნება და ინტერესი.

სამოქალაქო კოდექსის 725-ე მუხლის მიხედვით, მინდობილი მესაკუთრე მოვალეა, მართოს ქონება თავისი სახელით, მაგრამ საკუთრების მიმნდობის რისკითა და ხარჯით.

კასატორის მითითებით, საკუთრების მინდობის ხელშეკრულების მიმართ გამოყენება დავალების ხელშეკრულების ნორმები. დავალების ხელშეკრულების შესაბამისად კი, რწმუნებული ვალდებულია, შეასრულოს მისთვის დავალებული მოქმედებები და შეასრულოს მარწმუნებლის მითითებები.

სამოქალაქო კოდექსის 111-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ პირი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე დებს ხელშეკრულებას, ამ ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია წარმომადგენილი პირის თანხმობაზე. მოსარჩელის ინტერესში არ ყოფილა კ-ის მიერ სესხის აღება მოსარგებლის საჭიროებისთვის და ამ სესხის უზრუნველყოფის საშუალებად მინდობილი ქონების გამოყენება. საკუთრების მინდობის არსი კი, მდგომარეობს მინდობილი მესაკუთრის მიერ მიმდობის ინტერესებით მოქმედებაში.

ამავე კოდექსის 709-ე მუხლის მიხედვით, დავალების ხელ-

შეკრულებით რწმუნებული ვალდებულია, შეასრულოს მისთვის მინდობილი მოქმედებები მარწმუნებლის სახელითა და ხარჯით. თუ თავად მოსარჩელეს სურდა სესხის მიღება, იგი შეიძლებოდა მიღებულიყო კ-ის მიერ ხ-ას სახელით. სწორედ ამას გულისხმობს მინდობილობაც.

მოცემულ შემთხვევაში კი, სესხი არა ხ-ამ, არამედ რ. კ-მა აიღო, რაც დასტურდება ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით, სადაც მოვალედ სწორედ რ. კ-ია მითითებული. განჩინებით თანხის გადახდა დაეკისრა კ-ს და არა ა. ხ-ას, წინააღმდეგ შემთხვევაში თავად მოსარჩელე იქნებოდა მოპასუხე და არა – კ-ი. მსესხებელი ა. ხ-ა რომ ყოფილიყო, კ-ი არასათანადო მოპასუხედ უნდა მიჩნეულიყო და სამოქალაქო სარჩელი არ დაკამაყოფილდებოდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის საფუძველზე, რაც არ მომხდარა. საქმეში წარმოდგენილი მინდობილობა კ-ს არ აძლევდა უფლებას, საკუთარი საჭიროებისამებრ აეღო სესხი და იპოთეკით დაეტვირთა ა. ხ-ას წებართვის გარეშე.

კასატორის მოსაზრებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 99-ე, 59-ე და 102-ე მუხლების თანახმად, რ. კ-სა და ზ. მ-ეს შორის დადებული სესხის ხელშეკრულება ბათილია, ვინაიდან იგი წებართვის გარეშეა დადებული.

კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლომ არასწორად შეაფასა აუქციონის ჩატარება კანონიერად, ვინაიდან საქმის მასალებით არ დასტურდება აუქციონის გამართვა კ-ის გაფრთხილებიდან 7 დღის გასვლის შემდეგ. ამასთან სასამართლომ არასწორად განმარტა იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 31 იანვრის „იძულებითი აუქციონის ჩატარების ფორმების, წესისა და პროცედურების დამტკიცების შესახებ“ ბრძანების პირველი მუხლის მე-4 პუნქტი. სააღსრულებო ბიურო ვალდებული იყო აუქციონის ჩატარების თაობაზე ეცნობებინა მოსარჩელისთვის.

მოსარჩელის გაფრთხილების ვალდებულება გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-ე პრიმა მუხლის მე-2 ნანილიდან, რომლის მიხედვით, აუქციონი წყდება, თუ მის ჩატარებამდე მოვალე ან მესამე პირი, რომელიც უფლებამოსილია დააკამაყოფილოს კრედიტორი, გადაიხდის მის დასაკმაყოფილებლად საჭირო თანხას. სამოქალაქო კოდექსი კი, იერარქიულად მაღლა დგას მინისტრის ბრძანებაზე – კანონქვემდებარე აქტზე.

აღმასრულებელს აუქციონის ჩატარებამდე უნდა მოეძია კ-ის უძრავი ქონება. ამას ადასტურებს საქმეში არსებული მტკიცებულება – ჭ-ის მითითება აღმასრულებელ ს-ეზე.

ასევე არარეალურია წარმოდგენილი ექსპერტის დასკვნა ქონების შეფასების შესახებ. საქმეში წარმოდგენილია საპირისპირო მტკიცებულება – აუდიტის დასკვნა, რომელზეც სასამართლოს არ უმსჯელია.

კასატორის მოთხოვნით, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ზ. მ-ის სახელზე რეგისტრაცია უნდა გამოცხადდეს ძალადაკარგულად, რადგან ის წარმოადგენს აღმასრულებლის მიერ გამოცხემული განკარგულების თანმდევ შედეგს. განკარგულება კი, კასატორის მტკიცებით, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი.

პრეტენზია ფაქტობრივ გარემოებებზე: კასატორის მტკიცებით, არასწორია განჩინების 4.1.2. პუნქტში მითითებული გარემოება, თითქოს მ-ემ 2500 ევრო გადასცა იპოთეკის საგნის მესაკუთრეს და ასევე მითითება იმის თაობაზე, რომ მსესხებლის ვალდებულებათა უზრუნველყოფის მიზნით მოსაზრებლის ქონება იყო იპოთეკით დატვირთული. კ-ს არ ჰქონდა თანხმობა მოსაზრებლისგან ბინის იპოთეკით დატვირთვაზე. ასეთი თანხმობა არ მიუღია კრედიტორ მ-ესაც.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 4 იანვრის განჩინებით ა. ხ-ას წარმომადგენლის ფ. ბ-ას საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში და მხარეებს საკასაციო საჩივარის დასაშვებობის წინაპირობებთან დაკავშირებული მოსაზრებების წარმოსადგენად გაენსაზღვრათ 15-დღიანი ვადა.

მოწინააღმდეგის შეპასუხება:

2013 წლის 22 იანვარს მოწინააღმდეგე მხარის ზ. მ-ის წარმომადგენელმა ბ. ბ-ემ უზენაეს სასამართლოში წარმოადგინა მოსაზრება საკასაციო საჩივარის დასაშვებობაზე და მიუთითა, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ უნდა დაშვას კასაციის უსაფუძვლობის გამო.

ზ. მ-ის წარმომადგენელი არ ეთანხმება კასატორის მითითებას, იძულებითი აუქციონის მოვალისთვის კანონით განსაზღვრული 7-დღიანი ვადის გასვლამდე ჩატარების და სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა გამოკვლევის სტადიის გავლის გარეშე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების უკანონობის თაობაზე.

ზ. მ-ის წარმომადგენლის მითითებით, არასწორია კასატორის მტკიცება კერძო აღმასრულებელ რ. ს-ის მიერ გამოცხემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი №111038296-004/002-ის უკანონობის თაობაზე, იპოთეკით დატვირთული ქონების ელექტრონული გზით იძულებით აუქციონზე შვიდდღიანი

ვადის გასვლამდე გასხვისებასთან დაკავშირებით.

უზენაეს სასამართლოში წარმოდგენილი მოსაზრების ავტორის მტკიცებით, კერძო აღმასრულებლის წინადადება მოვალე – რ. კ-ს ჩაბარდა 2011 წლის 21 ივლისს. 2011 წლის 2 აგვისტოს შპს „...“ ექსპერტ მ. დ-ის მიერ შედგენილია ექსპერტიზის აქტი, რომლის გარეშე აუქციონი ვერ ჩატარდებოდა, რაც იმის დასტურია, რომ კანონით განსაზღვრული 7-დღიანი ვადის გასვლამდე აუქციონი არ ჩატარებულა.

მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლის მითითებით, ზ. მ-ემ აუქციონში მონაწილეობისთვის წინსწარ გადაიხადა ლოტის ღირებულების 7500 ლარის 10%-ის 750 ლარი 2011 წლის 7 სექტემბერს, ხოლო დამატებული ბიჯის შესაბამისად გადაიხადა მთლიანი თანხა /ის. 2011 წლის 13 სექტემბრის სალაროს შემოსავლის ორდერები/.

საკასაციო სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის პროცესუალური წარმდლვრები (საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლი):

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კასატორი გ. ბ-ის საკასაციო საჩივრის შეიცავს მითითებებს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 წარმონაბეჭდის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის თაობაზე და იგი მიჩნეულ იქნა დასაშვებად, როგორც პროცესუალური კასაცია.

სამოტივაციო წარმონა:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის მოტივების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიერთა იმ დასკვნამდე, რომ ა. ხ-ას საკასაციო საჩივრი უნდა დაკმაყოფილდეს წარმონაბეჭდი. გაუქმდეს ქუთაისის საპროცესო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 25 ოქტომბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემონტათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ უხეშად დაარღვია საპროცესო კანონმდებლობა, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.3 და 394-ე „ე“ მუხლის მოთხოვნები. სასამართლომ არ გამოიყენა საპროცესო კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა. სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა საპროცესო ნორმების უხეში უგულებელყოფით, კერძოდ, სასამართლომ ისე გადაწყვიტა დავა, რომ არ გაუვლია მთავარი სხდომის მთელი რი-

გი სტადიები.

სასამართლომ საქმის ზეპირი განხილვა მთავარ სხდომაზე გადადო მტკიცებულებათა გამოკვლევის მიზნით, კერძოდ, სხდომის ოქმის მიხედვით: ადმინისტრაციულ ორგანოს – „აღ-სრულების ეროვნულ ბიუროს დავალა, წარმოედგინა მტკიცებულება იძულებითი აუქციონის კანონიერ ვადაში ჩატარების თაობაზე, ვინაიდან საქმის მასალებით ზუსტად ვერ ირკვევა, როდის გაიმართა იძულებითი აუქციონი. აღნიშნულ გარემოებას დავის გადაწყვეტისთვის არსებითა მნიშვნელობა გააჩნია“.

სააპელაციო სასამართლოს პალატამ მომდევნო სხდომაზე, ნაცვლად იმისა, რომ გაეგრძელებინა საქმის განხილვა წინა სხდომაზე შეწყვეტილი პროცესუალური სტადიიდან, გამოაცხადა მიღებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი და განმარტა, რომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა როგორც ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ დასკვნებთან დაკავშირებით.

საქმეში წარმოდგენილი 2012 წლის 19 ოქტომბრის სხდომის ოქმის მიხედვით სასამართლომ მთავარ სხდომაზე, მოსამართლეთა შეკითხვების სტადიაზე გადადო საქმის განხილვა და კონკრეტული მტკიცებულების წარმოდგენა დაავალა მონინა-აღმდეგე მხარეს – აღსრულების ეროვნულ ბიუროს, ხოლო 2012 წლის 25 ოქტომბრის მთავარ სხდომაზე სასამართლო დარბაზში, ისე, რომ არ განუახლებია მთავარი სხდომა შეწყვეტილი სტადიიდან, გამოაცხადა განჩინების სარეზოლუციო ნაწილი.

საკავაციო სასამართლო განმარტავს, რომ მთავარი სხდომა სამართლამობების ერთ-ერთ ძირითად საპროცესო სტადიას წარმოადგენს, რომლის არჩატარება ან არასრულფასოვანი ჩატარება უხერხად ლახავს მხარეთა საპროცესო უფლებებს, მათ შორის, უფლებას სამართლიანი სასამართლო პროცედურებით განხილვის თაობაზე და მძიმე ზიანს აყენებს მართლმსაჯულების ავტორიტეტს.

სააპელაციო სასამართლომ მთავარი სხდომა შეწყვიტა მოსამართლეთა შეკითხვების სტადიაზე და მხარის მიერ სათანა-დო მტკიცებულების წარმოდგენის მოტივით გადადო ზეპირი მოსმენა სხვა დროისთვის, რაც იმას ნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოში მოცემული საქმე ისე გადაწყდა, სასამართლოს არ ჩაუტარებია საპროცესო კანონდებლობით იმპერატიულად დადგენილი მთავარი სხდომის სტადიები, კონკრეტულად, მტკიცებულებათა გამოკვლევა და შემოწმება, მხარეთა პაექრიბა და რეპლიკა. სააპელაციო სასამართლოს პალატამ სათათბირო ოთახში გაუსვლელად, გამოვიდა სათათბირო ოთახიდან განჩი-

ნების სარეზოლუციო ნაწილის გამოსაცხადებლად, რის გამოც უხეშად არის დარღვეული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 25-ე თავით დადგენილი მოთხოვნები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართალნარმოებაში მოქმედებს მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი. სასამართლოს მთავარი სხდომა არის მხარეთა შორის ზეპირი შეჯიბრების უფლების განხორციელება. საქმის ზეპირი განხილვისას იმპერატიულად დადგენილი საპროცესო სტადიების გავლა – არის ადმინისტრაციული და საპროცესო კანონმდებლობის პრინციპებისა და სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზება.

სამართლიანი სასამართლოს უფლება არის ყველა დანარჩენი უფლების დაცვის საშუალება. სასამართლოში საქმის ზეპირი განხილვისას, მტკიცებულებათა გამოკვლევას, მხარეთა პაექრობასა და რეპლიკას არა გარევანი, არამედ შინაარსობრივი, საქმის გადაწყვეტისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს. სწორედ ამ სტადიების სრულყოფილად და თანმიმდევრულად გავლის შემდგომ ყალიბდება მოსამართლის შინაგანი რწმენა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული საქმის გადაწყვეტისას არსებითი მნიშვნელობის მქონე შეიძლებოდა ყოფილიყო აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 17.2 მუხლით განსაზღვრულია ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება, სადაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერებასთან დაკავშირებით, წარმოადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები.

საკასაციო სასამართლო მტკიცების ტვირთის განაწილებასთან დაკავშირებით ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 25 დეკემბრის განჩინებას, ადმინისტრაციული საქმე №ბს-626-596(კ-07) ნ-ის სარჩელისა გამო, მოპასუხის საპატრულო პოლიციის მიმართ, ჩამოყალიბებულ დასკვნებს და აღნიშნავს, რომ „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის I პუნქტის მიხედვით, მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი სარჩელი, წარადგინოს თავისი შესაგებელი და შესაბამისი მტკიცებულებები. მითითებული დებულება ადგენს მხარეთა საპროცესო მოვალეობებს ადმინისტრაციულ სამართალნარმოებაში, რაც უზრუნველყოფს მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის სრულყოფილ რეალიზაციას. აქვე, კანონი ადგენს საგამონაკლისო შემთხვევას, ეკრძოდ, როცა დავის საგანს წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მართლზომიერების შემოწმება, მტკიცების ტვირ-

თი გადადის აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოზე – მოპასუხე სუბიექტზე“.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აგებულია შეჯიბრებითობის პრინციპზე, რაც ოფიციალობის პრინციპის გათვალისწინებით სრულად გამოიყენება ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციულ ორგანოს, აღსრულების ეროვნულ ბიუროს, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის საფუძველზე ცალსახად ეკისრება ვალდებულება, ამტკიცოს სადაც აქტის კანონიერება და წარადგინოს სათანადო მტკიცებულებები.

ადმინისტრაციული სამართლწარმოების ძირითადი – შეჯიბრებითობისა და ოფიციალობის პრინციპების უგულებელყოფით სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია ის მტკიცებულებები, რომლების წარმოდგენა თავად დაავალა მხარეს, არ შეამოწმა და შეაფასა ისანი, არ მოისმინა მხარეთა პაექრობა და არ მისცა მხარებს რეპლიკით სარგებლობის უფლება. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აღნიშნული პროცესუალური დარღვევები პრინციპულ წინააღმდეგობაშია კანონმდებლობასთან და იძლევა აბსოლუტური კასაციის, ესე იგი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლით განსაზღვრულ გადაწყვეტილების გაუქმების აბოლუტურ საფუძველს.

საქმის მასალების მიხედვით წინამდებარე დავის საგანს წარმოადგენს:

1. იპოთეკით უზრუნველყოფილი სესხის ხელშეკრულების ბათილად ცნობა;
2. იძულებითი აუქციონის შედეგების გაუქმება;
3. საჯარო რეესტრის ჩანაწერის ბათილად ცნობა;
4. კასატინის სადაც ბინის მესაკუთრედ ცნობა.

საკასაციო სასამართლო ეყრდნობა საქართველოს უზენაეს სასამართლოს 2010 წლის 21 სექტემბრის განჩინებაში (ადმინისტრაციული საქმე №ბს-299-288(კ-10) რ. თ-ის სარჩელისა გამო მოპასუხების – თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ფონდის აღრიცხვის, მართვისა და რეგულირების საქალაქო სამსახურისა და ა. ქ-ას მიმართ) ჩამოყალიბებულ დასკვნებს და აღნიშნავს, რომ „იმ მომენტიდან, როცა სასამართლო არაგანსჯადი ხდება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.2 მუხლი სასამართლოს აგალდებულებს საქმე გადაუგზანოს განსჯად სასამართლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნება არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ საქმის განხილ-

ვა, რაც იწვევს საპროცესო ნორმების იმგვარ დარღვევას, რომელიც სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური პროცესუალური საფუძველი ხდება“.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა წინამდებარე საქმეში არ გამიჯნეს ადმინისტრაციული და სამოქალაქო მოთხოვნები. ადმინისტრაციული წესით განსჯადი ვერ იქნება სადაცო სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულების ნამდვილობა, რომელიც თავის მხრივ საფუძვლად დაედო სადაცო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.

სააპელაციო და საქალაქო სასამართლოების არგუმენტები იმასთან დაკავშირებით, რომ საქმის გამოყოფა მიზანშეუწოდელი იქნება პროცესის ეკონომიკურობის პრინციპიდან გამომდინარე, უსაფუძვლოა და არ შეესაბამება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.2 მუხლით განსაზღვრულ ადმინისტრაციული სამართლწარმოების წესით განსახილველ საქმეთა კატეგორიას, ვინაიდან სადაცო ხელშეკრულება კერძოსამართლებრივი ბუნებისაა. ადმინისტრაციული წესით ვერ განიხილება თუ რა სახის ხელშეკრულება დაიდო რ. კ-სა და ა. ხ-ას შორის.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, ადმინისტრაციული სამართლწარმოების წესით განსჯადი არ არის ა. ხ-ასა და რ. კ-ს შორის დადებული მინდობით საკუთრების უფლების გადაცემისა და დავალების ხელშეკრულების ფორმალური და შინაარსობრივი გამიჯვნა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სწორედ ამ ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნებისა და მის საფუძველზე დადებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ნამდვილობის დაგვენის შემდგომ იქნება შესაძლებელი იძულებითი აუქციონის ჩატარების წესისა და პროცედურის კანონიერების შემოწმება.

სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს, სრულფასოვნად უზრუნველყოფს თუ არა მოცემული დავის ერთ საქმედ განხილვა მოსარჩელის მატერიალურ და საპროცესო უფლებებს და პირიქით, სასარჩელო მოთხოვნების კატეგორიათა მიხედვით გამოყოფის შემთხვევაში, იმსჯელოს, თუ რომელი მოთხოვნა (სამოქალაქო თუ ადმინისტრაციული) უნდა გადაწყდეს უპირველესად და რომელზე შეჩერდეს საქმის წარმოება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის მიხედვით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქმე საჭიროებს ხელახლა განხილვას, რამდენადაც ფაქტობრივად სასამართლოს დავა არ განუხილავს, არ გამოუკვლევია საქმის მასალები, შეი-

ლახა მხარეთა საპროცესო უფლებებით სრულფასოვანი რეალიზაცია, რითაც დაირღვა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით დადგენილი სამართლიანი სასამართლოს უფლება, რომელიც განეკუთვნება აბსოლუტურ უფლებათა ნუსხას და რომლის უზრუნველყოფის გალებულებაც გააჩნია ყოველ სახელმწიფოს მისი სასამართლო ორგანოების სახით.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსკ-ის 412-ე მუხლის შესაბამისად, სახეზეა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური პროცესუალური საფუძველი, რის გამოც, სსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია. ამიტომ, სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის მიზნით, სრულყოფილად უნდა განახორციელოს კანონით გათვალისწინებული საპროცესო მოქმედებები და დავა გადაწყვიტოს მოქმედი მატერიალური და პროცესუალური კანონმდებლობის შესაბამისად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 257-ე, 372-ე, 401-ე და 412-ე მუხლებით და პროცესუალური კანონმდებლობის შესაბამისად.

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ა. ხ-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტარციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 25 ოქტომბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახლველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯები გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. სარჩელის უზრუნველყოფა

საჩივარის სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე

განხილვა

№ბს-452-446(უს-14)

18 სექტემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
მ. ვაჩაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ს. და ე. ჩ-ეების საჩივა-
რი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატის 16.04.2014წ. განჩინებაზე

აღწერილობითი ნაწილი:

ს. და ე. ჩ-ეებმა 21.05.2013წ. სარჩელით მიმართეს თბილისის
საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგი-
ას მოპასუხების საქართველოს შსს-ს და შსს-ს ქ.თბილისის
მთავარი სამმართველოს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს
პოლიციის მე-9 განცოფილების მიმართ, შსს-ს 25.04.2013წ.
№778666 აქტისა და შსს-ს ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს
გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის მე-9 განცო-
ფილების 15.04.2013წ. №701062 გაფრთხილების ბათილად ცნო-
ბის მოთხოვნით. მოსარჩელებმა სარჩელის უზრუნველყოფის
ღონისძიების სახით მოითხოვეს საქმეზე საბოლოო გადაწყვე-
ტილების მიღებამდე ქ.თბილისში, ... მე-5 შესახ., №7-ში მდება-
რე უძრავი ქონებიდან მათი და მათი თანხმლები პირების გამო-
სახლების შეჩერება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიის 22.05.2013წ. განჩინებით შუამდგომლობა დაკ-
მაყოფილდა, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე
შეჩერდა თბილისში, ... მე-5 შესახ. №7-ში მდებარე უძრავი ქო-
ნებიდან ს. ჩ-ის, ე. ჩ-ის და მათი თანხმლები პირების გამოსახ-
ლების შესახებ შსს-ის ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს
გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის მე-9 განცო-
ფილების 15.04.2013წ. №701062 გაფრთხილების მოქმედება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიის 25.09.2013წ. განჩინებით სასკ-ის 16-2 მუხლის

შესაბამისად, საქმეში მესამე პირად ჩაერთო ნ. ფ-ა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 12.11.2013წ. გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 25.04.2013წ. №778666 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა ადმინისტრაციული წარმოების შედეგად ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოსარჩელებმა.

15.04.2014 წ. მოსარჩელეებმა განცხადებით მიმართეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოთხოვეს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციისათვის ქ.თბილისში, ... მე-5 შესახ., №7-ში მდებარე უძრავი ნივთის ს. ჩ-ისა და ე. ჩ-ისაგან გამოთხოვის აკრძალვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 16.04.2014წ. განჩინებით ს. და ე. ჩ-ების შუამდგომლობა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ მიუთითა სასკ-ის 1.2 მუხლზე, სსკ-ის 198.3, 191.1 მუხლებზე და აღნიშნა, რომ აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიცია განსახილველ საქმეში მხარეს არ წარმოადგენს, დავა მის მიმართ არ მიმდინარეობს, შესაბამისად, იგი არ არის მოპასუხე, რაც გამორიცხავს მის მიმართ მოთხოვნილი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას, რადგან სარჩელის უზრუნველყოფა არის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილების საშუალება მოპასუხისთვის გარკვეულ უფლებების შეზღუდვის გზით. სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელის უზრუნველყოფა, როგორც დროებითი ღონისძიება გამოყენებული უნდა იქნეს სასამართლო დავის დასრულებამდე გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლობის ან განხელების საფრთხის თავიდან აცილების საფუძვლით სწორედ მოპასუხის მიმართ, როგორსაც მოცემულ დავაში არ წარმოადგენს აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიცია, ამდენად, არ არსებობს მოთხოვნილი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების წინაპირობები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 16.04.2014წ. განჩინება გასაჩივრდა ს. და ე. ჩ-ეების მიერ, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციისათვის ქ.თბილისში, ... მე-5 შესახ., №7-ში მდებარე უძრავი ნივთის ს. ჩ-ისა და ე. ჩ-ისაგან გამოთხოვის აკრძალვა, საჩივრის ავტორებმა მიუთითეს სსკ-ის 191-ე, 198.3 მუხლებზე და აღნიშნეს, რომ სასამართლომ არ შეაფასა გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეშლის საფრთხე და არ გაითვალისწინა, რომ განსახილველი სარჩელის საბოლოო მიზანი უძრავ ნივთზე ს. და ე. ჩ-ეების მართლზომიერი მფლობელობის დადასტურების შედეგად გამოსახლების საქმის წარმოების შეწყვეტა. სარჩელის სრულად დაკამაყოფილების შემთხვევაში დადასტურდება ნივთზე ს. და ე. ჩ-ეების მართლზომიერი ფლობა, რაც „საადსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 84-ე მუხლის თანახმად, უძრავი ნივთის გამოთხოვაზე უარის თქმის კანონიერი საფუძველია. საჩივარში აღნიშნულია, რომ მოთხოვნილი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებლობა შეუძლებელს გახდის საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებას და განსახილველი სარჩელი დაკარგავს განსახილვის მოტივაციას, რადგან არსებობს რეალური საშიშროება, რომ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიცია მოახდენს ს. და ე. ჩ-ეების გამოსახლებას. საჩივრის ავტორებმა ასევე აღნიშნეს, რომ კანონმდებელი არ აწესებს რაიმე შეზღუდვას უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების ადრესატის მიმართ, შესაბამისად ის შესაძლოა გამოყენებული იქნეს იმ პირის მიმართ, რომელიც განსახილველ დავაძი არ არის მოპასუხე, რადგან მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეშლის შესაძლო რისკების განსაზღვრა და არა ის, თუ კი მიმართ არა მოთხოვნილი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 14.05.2014წ. განჩინებით ს. და ე. ჩ-ეების სააპელაციო საჩივარი არ დაკამაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს 12.11.2013წ. გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 25.06.2014წ. განჩინებით ს. და ე. ჩ-ეების საჩივარი არ დაკამაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 16.04.2014წ. განჩინება და განცხადება

სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე თანდართულ მასალებ-თან ერთად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამარ-თლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და წარმოდგენილი საჩივრის დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ს. და ე. ჩ-ების საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილ-დეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართლნარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კო-დექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლით გათვალისწინებულია სასამართლოს-თვის სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე განცხადებით მიმართვის უფლება და განსაზღვრულია ამ უფლების რეალიზაციის წესი. კერძოდ, განცხადება უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა გააძნელებს, ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად.

განსახილველ შემთხვევაში ე. და ს. ჩ-ები ითხოვენ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციისათვის ქ.თბილისში, ... მე-5 შესახ., №7-ში მდებარე უძრავი ნივთის ს.ჩ-ისა და ე.ჩ-ისაგან გამოთხოვის აკრძალვას იმ საფუძვლით, რომ განსახილველი სარჩელის დაკმაყოფილების საბოლოო მიზანია ს. და ე. ჩ-ების მართლზომიერი მფლობელობის დადასტურების შედეგად გამოსახლების საქმის წარმოების შეწყვეტა. საჩივრის ავტორის მითითებით, სარჩელის სრულად დაკმაყოფილების შემთხვევაში გარკვეულწილად დადასტურდება ს. და ე. ჩ-ების მართლზომიერი ფლობა, სარგებლობის ფაქტი, რაც „საადსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 84-ე მუხლის თანახმად, ნივთის გამოთხოვაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს, რადგან აღსრულების პოლიცია არ გამოითხოვს ნივთს მფლობელობიდან თუ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით დასტურდება ნივთზე კანონიერი მფლობელობისა და სარგებლობის უფლება. ამდენად, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებ-

ლობა შეუძლებელს გახდის საქმეზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას და განსახილველი სარჩელი დაკარგავს განხილვის მოტივაციას.

სასამართლო აღნიშნავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფა მიზნად ისახავს, სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სასამართლო მოთხოვნის რეალიზაციის უზრუნველყოფას. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება გადაწყვეტილების ფაქტობრივი აღსრულების გაჭიანურების ან დაბრკოლების თავიდან აცილებას ემსახურება (სსკ-ის 191.1 მუხლი). ამასთანავე, საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისთვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილება ხდება მოპასუხისათვის გარკვეული უფლების შეზღუდვის გზით, რადგან სწორედ მას შეუძლია შექმნას სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლობის თუ გაჭიანურების რისკი. განსახილველ დავაში აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიცია არ არის მოპასუხე, უფრო მეტიც, იგი მიმდინარე დავაში მხარეს არ წარმოადგენს, რაც გამორიცხავს აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციის მიმართ მოთხოვნილი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას. ამასთანავე, საქმეში წარმოდგენილი აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციის 03.04.2014წ. გაფრთხილებით დასტურდება, რომ №A 14025456 სააღსრულებო წარმოებაში მოვალე არის მ. ჩ-ე, რომელიც ასევე არ წარმოადგენს მიმდინარე დავის მხარეს. ამდენად, იმ სააღსრულებო წარმოების ფარგლებში, რომლის შეჩერების აუცილებლობაზე საჩივრის ავტორები უთითებენ, მოთხოვნილია არ ე. და ს. ჩ-ეების, არამედ მ. ჩ-ის მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვა, რაც ასევე უსაფუძღლოს ხდის ე. და ს. ჩ-ეების მოთხოვნას აღსრულების პოლიციის მიმართ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველი დავა არ გამორიცხავს კანონით დადგენილი წესით სააღსრულებო პროცედურებთან დაკავშირებული აქტებისა და მოქმედებების გასაჩივრებისას, აღსრულებასთან დაკავშირებული დავის ფარგლებში მოპასუხის მიმართ გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ზომის გამოყენების შესაძლებლობას. რაც შეეხება მოცემულ საქმეს, საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს 22.05.2013წ. განჩინებით ს. და ე. ჩ-ეების შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, სარ-

ჩელის უზრუნველყოფის სახით შეჩერდა ქ.თბილისში, ... ქ. მე-5 შესახვევის №7-ში მდებარე უძრავი ქონებიდან ს. ჩ-ის, ე. ჩ-ის და მათი თანმხლები პირების გამოსახლების შესახებ შსს თბილისის მთავარი სამმართველოს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის მე-9 განყოფილების 15.04.2013წ. №701062 გაფრთხილების მოქმედება. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ე. და ს. ჩ-ების საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის საპელაციო სასამართლოს 16.04.2014 წ. განჩინება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197¹ მუხლის მე-4 ნაწილით, 191-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით, და

და ადგილა:

1. ს. და ე. ჩ-ების საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 16.04.2014წ. განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების კანონის მიერ გადაწყვეტილების შემთხვევა

განხილვა

№პს-491-473(უს-13)

25 ნოემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე; მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „...“ 2013 წლის 26 თებერვალს სასარჩელო განცხადებით
მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა კოლეგიას მოპასუხების საქართველოს ეკონომიკისა
და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს ეკო-
ნომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სახელ-
მწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და სსიპ საჯარო რეეს-
ტრიის ეროვნული სააგენტოს მიმართ, რომლითაც საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2013
წლის 31 იანვრის №1-1/25 ბრძანების, სახელმწიფო ქონების აღ-
რიცხვისა და პრივატიზების კახეთის სამხარეო სამმართველოს
2012 წლის 7 აგვისტოს №ტ/1/1462 მიმართვისა და საჯარო რე-
ესტრიის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 14 აგვისტოს
№882012465797-03 სარეგისტრაციო წარმოების საფუძველზე
განხორციელებული ჩანაწერის ბათილად ცნობა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიის 2013 წლის 1 მარტის განჩინებით შპს „...“ სარჩე-
ლი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სა-
მინისტროს 2013 წლის 21 იანვრის №1-1/25 ბრძანებისა და სსიპ
სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 22 ოქ-
ტომბრის №1/1-145 ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე გან-
სჯადობით განსახილველად გადაეგზავნა გურჯაანის რაიონულ
სასამართლოს.

გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 29 მაისის
საოქმო განჩინებით №3/12-13 ადმინისტრაციულ საქმეში სა-
ქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16

შუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად მესამე პირად ჩაექა ბ. ჯ-ა.

შპს „...“ 2013 წლის 6 ივნისს სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების თაობაზე განცხადება/შუამდგომლობით მიმართა გურჯაანის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, რომლითაც მოითხოვა: 2012 წლის 5 ნოემბრის №1186 აუქციონის შედეგების, სადაც მინის ნაკვეთის განკარგვის შესახებ 2012 წლის 21 ნოემბრის №2012102248835 უ.უ. ნასყიდობის ხელშეკრულების, საჯარო რეესტრის ჩანაწერში ტექნიკური ხარვეზის შესწორების შესახებ 2012 წლის 11 სექტემბრის №882012730333 სარეგისტრაციო წარმოებისა და სახელმწიფოს მიერ პრივატიზებულ ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ საჯარო რეესტრის 2012 წლის 21 ნოემბრის №892012113682 სარეგისტრაციო წარმოების ბათილად ცნობა. ამასთან, მოსარჩელემ მოპასუხებად დაასახელა აუქციონის შედეგების ბათილად ცნობის შესახებ მოთხოვნის ნაწილში – სისპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო და სადაც მინის ნაკვეთზე გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ მოთხოვნის ნაწილში – ბ. ჯ-ა.

გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 3 ივნისის გადაწყვეტილებით მოსარჩელე შპს „...“-ის სარჩელი მოპასუხების: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ს.ს.ი.პ. სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს; საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და მესამე პირის – ბ. ჯ-ას მიმართ, სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების კახეთის სამხარეო სამმართველოს 2012 წლის 7 აგვისტოს №ტ7/1462 მიმართვის ბათილად ცნობის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2013 წლის 31 იანვრის №1-1/25 ბრძანების ბათილად ცნობის, 2012 წლის 5 ნოემბრის №1186 აუქციონის შედეგების ბათილად ცნობის, აუქციონის შედეგად დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და დასახელებული აქტების საფუძველზე საჯარო რეესტრში განხორციელებული რეგისტრაციების ბათილად ცნობის მოთხოვნით, არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო. აღნიმუნებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „...“.

შპს „...“ ნარმომადგენელმა ნ. ხ-მა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე განცხადებით მიმართა თბილისის საპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, რომლითაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის შესაბამისად, მოითხოვა: სარჩელის უზრუნ-

ველყოფის სახით ყადაღა დაედოს უძრავ ქონებას, მდებარე: ყვარლის რაიონი, სოფ., საკადასტრო კოდით – ...; აერძალოს მესამე პირს ბ. ჯ-ას უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდით: ...) მდებარე ნარგავებითა და ვაზის გახარებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურით სარგებლობა; ყადაღა დაედოს ყურძნის მოსავალს, რომელიც მოწეულია შპს „...“ კუთვნილ ვენახში, მიწის ნაკვეთზე, მდებარე: ყვარლის რაიონი, სოფ. (საკადასტრო კოდით: ...), ალნიშნულ მიწის ნაკვეთზე იჯარის ხელშეკრულება დადებულია შპს „...“.

განმცხადებელმა მიუთითა, რომ სასამართლოში დავის საგანს წარმოადგენს უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება და სარჩელის დაქმაყოფილების შემთხვევაში ბათილად იქნება ცნობილი ის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მესამე პირის საკუთრებაში აღმოჩნდა სადავო მიწის ნაკვეთი. შესაბამისად, ბათილად გამოცხადდება საჯარო რეესტრის ის ჩანაწერი, რომელიც საკუთრების უფლებას ანიჭებს მესამე პირს. ამიტომ განმცხადებლის მოსაზრებით მიზანშეწონილია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით ყადაღა დაედოს სადავო უძრავ ქონებას დავის დასრულებამდე. თუ სასამართლო ამგვარ უზრუნველყოფის ღონისძიებას არ გამოიყენებს მხარეს არ ექნება შეზღუდული უფლება გაასხვისოს სადავო უძრავი ქონება გარეშე მესამე პირზე და სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, დადგება შედეგი, როცა შეუძლებელი იქნება გადაწყვეტილების აღსრულება. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიზანშეწონილობაზე მსჯელობისას, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ასევე ის გარემოება, რომ სადავო უძრავი ქონება არის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელზეც ლ. სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შეფასებით, განთავსებულია 67800 ლარის ღირებულების ნარგავები – ინვესტიცია, რომელიც 2006 წლიდან 2012 წლამდე შპს „...“ განახორციელა, რომელიც სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს შეფასებითვე არ გასხვისებულა და კვლავ ამ უკანასკნელის საკუთრებას წარმოადგენს. შესაბამისად, სადავო ქონების გასხვისებით, შპს „...“ საკუთრებაში არსებული ქონებაც, რომელიც ამ მიწაზეა განთავსებული, აღმოჩნდება გარეშე მესამე პირის ფაქტობრივ მფლობელობაში. რაც შეეხება ვენახსა და მოსავალს, რომელიც მოწეული იქნება აღნიშნულ ნაკვეთზე, წარმოადგენს შპს „...“ საკუთრებას. ამდენად, ვინაიდან ბ. ჯ-ა აუქციონის შედეგად, როგორც მესაკუთრე დაეუფლა სადავო მიწის ნაკვეთს და იგი განაგებს ასეთ ნარგავებსაც, არის საშიშროება, რომ მოსავალი გასხვისდება,

რის გამოც იგი აუცილებლად უნდა დაყადაღდეს, რადგან სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, თუ აღდგება სტატუს ქვო, შპს „...“ კვლავ განაგრძოს საიჯარო ნაკვეთის მოვლა-პატ-რონობას. თუმცა, 2013 წლის მოსავალი სამწუხაროდ უკვე გადამუშავებული და გასხვისებული იქნება, რაც კიდევ ერთი დავის წარმოშობის საფუძველია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 5 სექტემბრის განჩინებით შპს „...“ წარმომადგენლის 6. ხ-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოცემულ საქმეში დავის საგანს წარმომადგენს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების კახეთის სამხარეო სამართველოს 2012 წლის 7 აგვისტოს №გ7/1462 მიმართვის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2013 წლის 31 იანვრის №1-1/25 ბრძანების, 2012 წლის 5 ნოემბრის №1186 აუქციონის შედეგების, აუქციონის შედეგად დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა და დასახელებული აქტების საფუძველზე საჯარო რეესტრში განხორციელებულ რეგისტრაციების ბათილად ცნობა. აღნიშნულ დავაში ბ. ჯ-ა გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 29 მაისის საოქმო განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ჩაბმულ იქნა მესამე პირად. სადაც სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი მდებარე: ყვარლის რაიონი, სოფელი ..., საკადასტრო კოდი - ..., წარმომადგენს მესამე პირის ბ. ჯ-ას საკუთრებას.

სააპელაციო პალატამ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლზე, რომლის თანახმად, „მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის, რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, იგი გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის

შესახებ. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს. ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე“. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, განცხადებას, რომლითაც პირი ითხოვს უძრავ ქონებაზე ყადაღის დადებას, უნდა დაერთოს ცნობა საჯარო რეესტრიდან ან შესაბამისი დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება უძრავ ქონებაზე მოპასუხის საკუთრების უფლება. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება შეიძლება იყოს „ყადაღის დადება ქონებაზე, ფასიან ქაღალდებსა თუ ფულად სახსრებზე, რომლებიც მოპასუხეს ეკუთვნის და არის მასთან ან სხვა პირთან. ხოლო ამავე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება შეიძლება იყოს „მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვა“.

პალატამ განმარტა, რომ მითითებული ნორმის დანაწესიდან გამომდინარე, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება შეიძლება გამოყენებულ ქქნეს, მხოლოდ მოპასუხის სახელზე რიცხულ საკუთრებაზე. შესაბამისად, აღნიშნული გამორიცხავდა საქმეში, მე-3 პირის სტატუსით ჩაბმული პ. ჯ-ას საკუთრებაში არსებულ ქონებასთან მიმართებაში, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე შუამდგომლობის დაკმაყოფილების წინაპირობები, ვინაიდან სახეზე იყო ისეთი ფაქტობრივი გარემოება, რომლის გამოც კონკრეტულ შემთხვევაში, დაუშვებლად მიიჩნია მოთხოვნილი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, რამდენადაც, განმცხადებელი მოითხოვდა მესამე პირის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე ყადაღის დადებას და მისსავე საკუთრებაში არსებულ ქონებაზე მდებარე ნარგავებითა და ვაზის გახარებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურით სარგებლობის აკრძალვას.

სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის შესახებ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 5 სექტემბრის განჩინება გაასაჩივრა შპს „...“ წარმომადგენელმა ნ. ხ-მა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ განცხადების დაკმაყოფილება მო-

ითხოვა.

საჩივრის ავტორის მოსაზრებით, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემსახურება სარჩელის აღსრულებადობის მიზანს და გამოიყენება იმ შემთხვევისათვის, რათა სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, გადაწყვეტილების შემდგომი აღსრულება არ გაძნელდეს ან/და შეუძლებელი არ გახდეს. მოცემულ შემთხვევაში, მართალია ფაქტობრივად უძრავი ქონების მესაკუთრეს, რომელ ქონებაზეც მიმართულია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, წარმოადგენს პროცესში მესამე პირად ჩართული პირი, მაგრამ დავის საგანს წარმოადგენს იმ ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობა – აუქციონის შედეგად დადგებული ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში საკუთრების უფლების რეგისტრაციის ბათილად ცნობა, რომლის საფუძველზეც პ. ჯ-ას წარმოეშვა საკუთრების უფლება აღნიშნულ უძრავ ქონებაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჩივრის ავტორის მოსაზრებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილი არ უნდა განემარტა სასამართლოს ასე ვინროდ და სარჩელის უზრუნველყოფის ადრესატად მხოლოდ მოპასუხე არ უნდა მიეჩნია, მით უმეტეს, რომ აღნიშნული მუხლი არ განმარტავს, რომ ზოგადად სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება მხოლოდ მოპასუხის ნინა-აღმდევ შეიძლება იყოს მიმართული. რაც შეეხება 191-ე მუხლის მე-2 ნაწილს, საჩივრის ავტორის მოსაზრებით ეს არის სპეციალური შემთხვევა, როცა ყადაღა უშუალოდ მიმართულია მოპასუხისაკენ და შესაბამისად მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებისაკენ, გარდა ამისა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-3 პუნქტი ანიჭებს სასამართლოს ფართო უფლებამოსილებას, რომ საკუთარი შეხედულებისამებრ გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 18 სექტემბრის განჩინებით შპს „...“ საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 5 სექტემბრის განჩინებაზე არ დაკმაყოფილდა დაუსაბუთებლობის გამო და იგი საქმის მასალებთან ერთად გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორმა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება მოითხოვა საქმეში მე-3 პირის

სტატუსით მონაწილე პ. ჯ-ას საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე.

სააპელაციო სასამართლომ სარჩელის უზრუნველყოფის ონისძიების გამოყენების შეუძლებლობა დაასაბუთა იმ გარემოებაზე მითითებით, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრული, სარჩელის უზრუნველყოფის ონისძიების მარეგულირებელი ნორმები, ითვალისწინებენ მისი გამოყენების შესაძლებლობას, მხოლოდ მოპასუხის სახელზე რიცხვულ უძრავ ქონებაზე, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის. ამდენად, სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ საჩივრის ავტორის მიერ ვერ იქნა გაბათილებული გასაჩივრებული განჩინების არგუმენტები სარჩელის უზრუნველყოფის ონისძიების გამოყენების შეუძლებლობის თაობაზე, შესაბამისად მიაჩინა, რომ არ არსებობდა სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 5 სექტემბრის განჩინების გაუქმებისა და სარჩელის უზრუნველყოფის ონისძიების გამოყენების საფუძველი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო შპს „...“ საჩივრის საფუძვლების ანალიზის, საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საჩივარი უნდა დაქმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლზე, რომლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალნარმოებაში მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლში კი განმტკიცებულია დისპოზიციურობის პრინციპი, რომლის მიხედვითაც, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით, ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სარჩელის აღდერისას მოსარჩელე თვითონ განსაზღვრავს სარჩელის შინაარსს, კერძოდ, დავის საგანსა და ფარგლებს, ასევე სასარჩელო მოთხოვნებს და მიუთითებს მოპასუხე მხარეებზე, რომელთა წინააღმდეგაც მიმართულია მისი სასარჩელო მოთხოვნა, თუმცა საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქა-

ლაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლით მინიჭებულ უფლებამოსილებაზეც, რომლის თანახმად, სასამართლომ უნდა დაადგინოს აღძრულია თუ არა სარჩელი იმ პირის წინააღმდეგ, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე ან სწორად აქვს თუ არა მოსარჩელს ყველა სასარჩელო მოთხოვნის მიმართ დასახელებული მოპასუხე.

განსახილველ შემთხვევაში საქმეზე დავის საგანს წარმოადგენს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების კახეთის სამხარეო სამმართველოს 2012 წლის 7 აგვისტოს №ტ7/1462 მიმართვის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2013 წლის 31 იანვრის №1-1/25 პრანების, 2012 წლის 5 ნოემბრის №1186 აუქციონის შედეგების, აუქციონის შედეგად დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებისა და დასახელებული აქტების საფუძველზე საჯარო რეესტრში განხორციელებული რეგისტრაციების ბათილად ცნობა. აღნიშნული აქტების საფუძველზე ყვარლის რაიონის, სოფელ ..., საკადასტრო კოდი – ... მდებარე მინის ნაკვეთის მესაკუთრე გახდა ბ. ჯ-ა, რომელიც გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 29 მაისის საოქმო განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად მესამე პირად არის საქმეში ჩაბმული.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას საქმეში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად ჩაბმული მესამე პირის – ბ. ჯ-ას მიმართ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შეუძლებლობაზე, იმ საფუძლით, რომ იგი არ წარმოადგენს მოპასუხეს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ შპს „...“ ერთ-ერთ სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის უპირობო აუქციონის ფორმით პრივატიზების შედეგად 2012 წლის 21 ნოემბერს დადებული №2012102248835 უ.უ. ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა. ამდენად, ხსენებული მოთხოვნა მიმართული იყო სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა“ და ბ. ჯ-ასადმი. საქმეში დაცული სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების თაობაზე შპს „...“ მიერ 2013 წლის 6 ივნისს წარდგენილი განცხადება/შუამდგომლობით დგინდება, რომ მოსარჩელემ სადავო მინის ნაკვეთის განკარგვის შესახებ 2012 წლის 21 ნოემბრის №2012102248835 უ.უ. ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე მოთხოვნის ნაწილში მოპასუხედ ბ. ჯ-ა დაასხელა. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ, როგორც პირვე-

ლი ინსტანციის სასამართლო საქმის არსებითად განხილვისას, ისე სააპელაციო სასამართლო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე განცხადების განხილვისას ვალდებული იყვნენ გაეთვალისწინებინათ 2013 წლის 6 ივნისს წარდგენილი მოსარჩელის განცხადება/შუამდგომლობა. ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს იმ გარემოებაზეც, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ სასარჩელო მოთხოვნა საქმის განხილვის ორცერთ ეტაპზე მხარეს არ შეუმცირება, მაშინ, როდესაც სარჩელის უზრუნველყოფის გმოყენებაზე უარის თქმის შესახებ 2013 წლის 5 სექტემბრის განჩინებით სააპელაციო სასამართლომ ერთის მხრივ დადგენილად მიიჩნია, რომ დავის საგანს წარმოადგენდა აუქციონის შედეგად დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, მეორე მხრივ აღნიშნული დავის საგნის მიმართ მოპასუხე – ბ. ჯა-ა მიიჩნია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად საქმეში ჩაბმულ მესამე პირად. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ განცხადების განხილვამდე დაზუსტებას საჭიროებდა ბ. ჯა-ას პროცესუალური სტატუსი, რის შემდეგაც სააპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე და 198-ე მუხლების გამოყენების შესაძლებლობაზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ შპს „...“ განცხადება განხილულია საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევისა და შეფასების გარეშე. სააპელაციო სასამართლოს არსებითად არ უმსჯელია შპს „...“ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ განცხადების მოპასუხე – ბ. ჯა-ას მიმართ საფუძვლიანობაზე.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ, ზემოხსენებულის გათვალისწინებით, უნდა დაადგინოს ბ. ჯა-ას პროცესუალური სტატუსი და მხოლოდ აღნიშნული საკითხის გარკვევის შემდეგ მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ შპს „...“ განცხადების თაობაზე. რისთვისაც სააპელაციო სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ შპს „...“ საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე და 372-ე მუხლებით, 1971-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 191-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „...“ საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისა სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 5 სექტემბრის განჩინება;
3. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ შპს „...“ განცხადების ხელახლა განხილვის მიზნით საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საპირებელი

1. მესამე პირების ჩაბმა პროცესში

სავალდებულო მოწვევის მესამე პირის ჩაბმა.....	3; 12; 19; 24; 36
სავალდებულო მოწვევის მესამე პირის ჩაბმის კანონიერების შემონმება	30
სასამართლოს უფლებამოსილება მესამე პირის მარტივი ფორმით ჩაბმის შესახებ	47
საქმეში მესამე პირის ჩაბმის მოთხოვნის კანონიერების შემონმება	56
მესამე პირებისათვის საქმის მასალების გაგზავნის საკითხი ..	61
არასავალდებულო წესით მოსაწვევი მესამე პირის ჩაბმა	67
სავალდებულო მოწვევის მესამე პირების ჩაბმა პროცესშე	77
საქმეში მესამე პირად ჩაბმის მოთხოვნის კანონიერება	91
მესამე პირების ჩაბმა პროცესში მარტივი ფორმით	100

2. მტკიცებულებები

მტკიცებულებების სრულყოფილად გამოკვლევა	108; 129; 144
მტკიცების ტვირთი.	
მტკიცებულებების სრულყოფილად გამოკვლევა	162

3. სარჩელის უზრუნველყოფა

საჩივარი სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე	186
სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების კანონიერების შემონმება	192